

644
1969/4



ԳԻՆԵՄ

10

1969



ტყეა

149

გამოცემის მაცემება წელი

11281

10

თვეობები

1969

თბილისი



საქ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარლთა კავშირის ორგანო





შინაქრსი

საქართველოს
წიგნების კავშირი

ლეინიანა

3. დილარ ივარდავა. ვლადიმერ ლეინის. პოემა.

პროზა და პოეზია

8. გოგი ლაბაძე. ბებრები. მოთხრობა

12. გოდერძი შვიშილი. კადრების ინსპექტორი. მოთხრობა

21. ეთერ სამხარაძე-ჯღაპაძე. ლექსები. მირიან მირნელი. ლექსები. ჯანო ჯანელიძე. ლექსები

25. გიორგი ზორბუაშვილი. უთქმელი სადღეობრძლო. მოთხრობა

35. გურამ კებრიანოვილი. ლექსები

37. რევაზ მიუველაძე. მოთხრობები

52. გივი გეგეჭკორი. ტრანზისტორი. პოემა

60. მაკა ჯოხაძე. მოთხრობები

66. მანანა ავალიანოვილი. წყურვილი. მოთხრობა

69. ლალი ბრეგვაძე. ფერის ბახსმება. მოთხრობა

72. ბადრი ზოზონელიძე. მოთხრობები

პოეზიის მერიდიანები

76. იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ლექსები. გერმანულიდან-თარგმნა აკაკი გელოვანმა

78. რუსინი. ფედრა. დასაწყისი. თარგმნა ოთარ ჭილაძემ

ნარკვევი

97. მელა კახიძე. ნაირფერების საუფლოში

წერილები

105. ფილიპ მახარაძე. ვ. ი. ლეინი ორბანიშატორული მუშაობის შესახებ

113. ალფრე ბარაჟი. ქართული დიდაქტიკური პოეზიის მამამთავარი

ახალგაზრდა მწერლები "ცისკარში"

115. რევაზ სირაძე. კ. კეკელიძე და კველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები

125. გურამ ყორანაშვილი. გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის კავიტალურმამდელი ხანის ევოლუციაში

„ცისკარის“ პუბლიკაცია

135. გორის პასტორნაჟი. წერილები ქართულ მებოგრებს. დასაწყისი. თარგმნეს ლევან ბოლქვაძემ, გივი კიკელაშვილმა

სტირა და იუმორი

156. არლი თაყაიშვილი. „დიდობა“ რა ძნა

158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯ ა ნ ხ უ ლ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი

ხარედაქციო კოლეგია:
პურამ ასათიანი,
პაპაი ბაბრაძე,
ია გამრეკელი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვარდუთელი,
მირაზ ელიოვიანი,
პარლან კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია კახორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ტარიელ ბანტურია,
სერგი შილაძე,
თამაზ შილაძე,
ლავა ჯანაშია.

ლილარ ივარღაძე

ვლადიმერ ლენინს

1

მკერდზე მესვენა
 მირიადი ცვარ-ნამის გალა,
 დამდგაფუნობდა მირიადი წლების ჩქერალი,
 ვიყავ მარცვალი,
 გატრუნული მიწის წიაღში
 და ძლივს მელირსა სანახებში გამოცხადება.
 დიდხანს მეძინა კომმარების მღვრიე ცარგვალში
 და მიკვირს, როგორ გადავურჩი ფრინველთა ჩიჩახვს,
 ან ბასრ ნისკარტებს, რომ მეძებდნენ თავგამეტებით.
 მოთმინებით და ძალისხმევით ვიდოდი ზევით
 და ამომქონდა სიმწვანე და მიწის სურნელი.
 პირველყოფილი, დაბურული ჩემი თვალები
 იხლართებოდა ბარდებში და ტყეთა კორომში
 და მე მიჭირდა ყველაფრის და ყოველის გარკვევა.
 ვარკვევდი საგნებს და ვცდილობდი მათ დაურევბას.
 მიკვირდა მთების ზვიადობა და გულცივობა,
 ტყეთა ფოფინი და მინდვრების ჰაეროვნება.
 მე მათ ხასიათს, სახეს, იერს ვაკვირდებოდი
 და ფიქრთან ერთად მე თანდათან ბგერებს ვძერწავდი,
 უკიდევანო სამყაროში მიმოფანტულებს
 და ამ ბგერებით ყოველ საგანს სახელს ვარქმევდი.
 დაისაკუთრა უცხო შიშმა ჩემი სხეული
 და ნებას ჩემსას მე დავეუდე ზღვარად კანონი,
 რომელიც შემდეგ გარდამექცა მძიმე ხუნდებად
 და მის დაღეწვას შევალეი წელი უთვლელი.

2

გაურკვეველობამ
 უთვალავი შიში მარგუნა, —
 რომ არ მესმოდა საკუთარი ფიქრის, სხეულის —
 გამოვეუგონე ყოველ საგანს თავისი ღმერთი
 და... დავიჯერე არსებობა
 მე იმ ღმერთების.



არა ვყოფილვარ მავალი უქმად
 და ჩემი კვალი დაეტყო მიწას.
 ყოველ ახალ დღეს ჩემი გონება
 ფერსა და ახალ სხივებს იძენდა.
 ხოლო ერთ დღეს კი მეწვია ჩუმიად
 ჩემი სიცხადის ელვარე კვეთი.
 და დავინახე, ვიგრძენ თვალნათლივ,
 თვალნათლივ ვიგრძენ და დავინახე:
 ჩემზე ჭკვიანმა,
 თურმე ცბიერმა
 ჩემი მოდგმიდან,
 ჩემი ტომიდან
 მძიმე უღელი დამადგა ქედზე.
 დამადგა ქედზე და თან მიბრძანა:
 — დიდი ღმერთის და ქვეყნის განგებით
 მონა ხარ ჩემი და მემსახურე!
 რა უნდა მექნა,
 ვიყავ დატაკი,
 ვიყავ უძღური და მყავდა ღმერთი, —
 რა უნდა მექნა,
 არ მქონდა ძალა
 და გავხდი მონა!
 ო, ასე გავხდი სხვათა სიმდიდრე,
 მე ასე გავხდი სხვათა დამცველი,
 მე ასე გავხდი სხვათა სიმაგრე, —
 საკუთარი კი არა მებადა.
 რა უნდა მექნა საბრალო მონას!
 ვიყავი ერთი—გავხდი უთვლელი, —
 რა უნდა გვექნა საბრალო მონებს;
 და იგი, ვისაც დავრჩით მონებად,
 იყო ცბიერი ჩვენი მოდგმიდან.

საბრალო მონა!
 განძარცული იანვრის ბაღი,
 ვერ უკურიდა, რაიც მტანჯველ სიცხადედ ექმნა, —
 საბრალო მონა!
 დგაფუნობდა წლების მდინარე
 და მას დარანში ერთი თევზიც არა ებადა!
 მხოლოდ და მხოლოდ ალიკაპი ედგა კისერზე
 და მძიმე ხუნდებს
 მორჩილებით აჟღარუნებდა.
 არავინ იყო გამკითხავი ამ მძიმე დროის,
 ბორგავდა ირგვლივ მღვრიე ტალღა,
 ცრემლი,
 გოდება!

— სანამდის ასე? —

მე ვკითხე იმათ,
რომლებსაც ბედი ერგოთ ჩემივე.
— დრო დადგა ჩვენი შურისძიების,
დრო დადგა-მეთქი!
დროა დავამხოთ ძალმომრეობა,
ძალმომრეობა სულთამხუთავი
და დაუბრუნოთ პირველყოფილი
სულს წართმეული თავისუფლება.

6

როგორც ზღვა იწყებს თანდათან ღელვას,
ანდა ვულკანის კრატერი შხუილს,
ისე დავიწყეთ ძალთამოკრება
და ახლაც უცბად ვირწმუნეთ ღმერთი,
ღმერთი, რომელიც დაგვიბრუნებდა
ადრე დაკარგულ თავისუფლებას.

7

აზვავებულნი, შეკრულნი მუშტად
ჩვენ მოვდიოდით წელი უთვლელი,
ჩვენ მოვდიოდით შურისძიებით
და ვგავდით მაშინ
იალქნიან გემს ბობოქარ ზღვაში,
რომელსაც თურმე ნაპირზე დარჩა
კაპიტანი და კომპასი ერთად.

8

აღბათ, ათასჯერ დაგვატყდა თავზე
მეხთატება თუ ღელვის გრიგალი.
რა უნდა გვექნა —
კვლავ ვბრუნდებოდით,
ვუბრუნდებოდით ყოფას პირვანდელს.

9

ასე უთვლელჯერ გავდით ზღვაზე
და, როცა მივხვდით, რაა საჭირო,
რომ არ დაბრუნდე ხელმოცარული,
რომ არ დაბრუნდე დამარცხებული —
მოვიდა ჩვენთან ნამდვილი ღმერთი,
ასგზის ძლიერი, ვიდრე ნებტუნი.
და მან წარმართა გონება ჩვენი, —
იცოდა ჩვენი საჭირო გეზი.
ის გახდა ჩვენი მზე და კომპასი —
მივყვებოდით და ვიცოდით ყველამ:

არა ზღვათა და მეხთა გრიალი,
არამედ ახლა პლანეტას ჩვენსას
ჩვენი გრიგალი აზანზარებდა.



10

მორჩა, გათავდა!
დღემ ოქტომბრისამ
ამოაბრწყინა მზეა დიადი,
მორჩა, გათავდა!
მონობას ჩვენსას
ამიერიდან ერგო წერტილი.
და კაცი იგი,
კაცი და ღმერთი,
ვისაც გავყევით ქართველებში,
ჩვენს შორის იდგა, როგორც მნათობი
და ძლევის დროშებს აელვარებდა.
ეს მან იცოდა:
ჩაგრულთა გემი —
ჩემი ქვეყანა სად წაყვანა.
ეს მან იცოდა:
არ ჩაივლიდა
ამოდ ჩვენი დაღვრილი სისხლი.
ეს მან იცოდა:
რომ არ ეძინათ
მტრებს დამხობილებს და გაფანტულებს
ეს მან იცოდა:
რაც უნდა გვექნა, —
ჩვენც მიყვებოდით და...
გავიმარჯვეთ.

11

ახლა, როდესაც:
მზესთან ვუმზერთ ჩაქურს და ნამგალს,
ჩვენი ღერბია სინდისი დ პატიოსნება,
ჩვენი ღერბია თავისუფლება,
და მივალწიეთ იმ სიმაღლეს, რაიც გვეწადა,
ახლა, როდესაც გვაქვს სამშობლო უკიდევანო,
გამარჯვებათა და მშვიდობის მძლავრი მჭედელი,
ახლა, როდესაც:
ჩვენი ხომალდი ოკეანეს
მოედო ძლევით,



როცა უსმენენ რაკეტების კოსმოსში ჟრიალს,
როცა ხედავენ რა მძლავრია ძალა მშრომელთა,
როცა ხედავენ სიმართლეს მხოლოდ ძლიერი,
როცა ხედავენ — სინათლეს ჩვენი თანმდევი —
იმ პირველ ღმერთ-კაცს,
ვინაც მართა ჩვენი სომალდი,
იმ პირველ ღმერთ-კაცს,
ვინც კვლავ მართავს მშრომელთა ნებას,
იმ პირველ მზე-კაცს,
პირველ კაპიტანს
პირველ სომალდის,
იმედს ჩაგრულთა —
ვ ლ ა დ ი მ ე რ ლ ე ნ ი ნ ს
მთელი მსოფლიო მნათობად სახავს.





სახლი პატარაა — ძველი ფიცრებით აშენებული და ბოკონებზე შემოდგმული. კედლები ალაგ-ალაგ დამპალი აქვს და ჩამტვრეული, საიდანაც არაფრის-მთქმელი თვალებით იჭყიტება ჟანგისფერი ჩალა. სახურავიც ძველია — დაჩემჩილ ყვავარს ხავსი მოსდებია. ერთი შეხედვით, ვერცკი იფიქრებ, აქ თუ ვინმე ცხოვრობს — მიჭვათყურებული გეგონება.

●
ამირანმა ყვავის ფეხივით გაშავებული და დაკვარჩხული ცალი ხელი საბნი-

დან ამოიღო და გააზმორა. მერე მეორე აწოილო. ახლა იმითაც აპირებდა გაზმორებას, მაგრამ კერიიდან ქვაბის ხმაური მოესმა და იქითკენ შებრუნდა.

— ოლიკო, შენ უკვე ადექი? — თქვა მან, — გენაცვალე სულში, სულში და გულში, — წაუმდერა.

— ნეტა შენ ჭკუა მოგცა თავში, — გაეცინა ოლლას. ხელში პაწია ქვაბი ეჭირა. ასეთივე პატარა კარდალა ჰქონდა, პატარა ქოთანნი, პატარა როდინი... ასეთ ჭურჭელს ახლა იშვიათად შეხვდებით.

ამირანი ცნობისმოყვარეობით და

ინტერესით ადევნებდა თვალს ცოლის საქმიანობას, რომელიც ქვაბში ღომს ზელდა. მერე ჰკითხა:

— ნეტა იზოლდას ბავშვი რამდენის იქნება ახლა, ოლიკო, ა?

— აღარ გახსოვს, შე კაცო? — გულწრფელად გაიკვირვა ოლდამ. — შარშან ზაფხულზე რომ ყავდა აქ, მაშინ შეუსრულდა ორი წელი და ოთხი თვე.

— კი, კი, — დაეთანხმა ამირანი, — მახსოვს. გრიშას ბიჭი? ჰო, გრიშას ბიჭი დიდი იქნება ახლა...

ცოლი მისგან ზურგშექცევით იჯდა. ამირანი გვერდიდან უყურებდა მის კისერს. კისერი წვრილი იყო და დანაოკებული. ალაგ-ალაგ ბადისებური ნაოკებიც ჰქონდა, მაგრამ ამირანი ამას ვერ ამჩნევდა... უცნაურად მოუნდა ცოლის სიახლოვეს ყოფნა...

წამოდგა. ორი გამხდარი, გალურჯებული ძვალი ფრთხილად შეჰყო ქოშებში. ჩამოიღო საწოლის თავზე გადაკიდებული შარვალი და ჩაცმას შეუდგა. ფეხზე დგომა გაუჭირდა. უკვე დიდი ხანი იყო, რაც ფეხზე „დგომელა“ ველარ იცვამდა ამირანი შარვალს. ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ახლა ასე განაგრძო ჩაცმა. მერე დიდი ბალთებიანი ხვანჯრით შეიკრა და ცოლის გვერდით ჩაცუქდა კერძისთან.

— ხაუტუნა, — უთხრა და ეშმაკურად მოუჭუტა თვალი.

— გადი ახლა აქედან! — დაუყვირა ოლდამ.

— რა გაყვირებს, შე ქაალო, — უღვაშებში ჩაიციინა ამირანმა და ხელი გამოაცალა. მერე შემარიგებლად ჰკითხა:

— ვალოდია რამდენს გვიგზავნის თვეში, ოლიკო?

— ოც მანეთს, — თქვა ოლდამ და შვილის გახსენებამ სახე გაუნათა.

— გრიშა? თხუთმეტ მანეთს... ავთანდილას ჯერ არ გამოუგზავნია, სულიკო, ხომ?

— არა, ავთანდილას არ გამოუგზავნია.

— ის ბიჭი ზარალი გამოგვადგა, ქალებს გადაჰყვა და იმათ აჰმეგს.

— ჯერ ბოვშია, — თქვა დედამკურსო სამსახურშიც ახლა ჩადგა.

— ბოვში კი არა, მე მგავს, — ამირანმა სიამაყით უღვაშები გადაიგრისა, — ახალგაზრდობაში მეც მასეთი ვიყავი.

მერე ისევ ცოლს მიუჩოჩდა, წელზე მოხვია ხელი. ოლდას არაფერი უთქვამს. ამირანი გათამამდა და მკლავზე უჩქმიტა.

— ხელს გავიხმობ ახლა მე შენ, — დაუყვირა ოლდამ და საკეცე დაჰკრა.

— რას მერჩი, შე ქაალო, — გებრია ამირანი, — რა დაგიშავე? უიმე, უიმე, უიმე, — ხელზე სულის შებერვა დაიწყო.

— მასე გინდა შენ, ხელებს რომ არ მოუკლებ.

ლობებს მეზობლის პატარა ბიჭი მოადგა.

— მოდი, მოდი, ბიძია! — დაუძახა ამირანმა. ძალიან უყვარდა ეს ბიჭი. გვერდით მოისვამდა და დიდი კაცივით ელაპარაკებოდა. ისიც დიდი კაცივით უსმენდა ხოლმე და სწორედ ამიტომ უყვარდა ამირანსაც.

— მოუტეხე, გოგო, პური ვაჟას, — უთხრა ცოლს.

ბიჭმა პურის დიდი ნაჭერი მადიანად ჩაქიჩა, თან ჩვეულებისამებრ დიდი გულისყურით უსმენდა ამირანს, რომელიც რევოლუციის მატთანეს „ფურცლავდა“.

— ცხრაას თვრამეტ წელს, თურქეთით რომ შემოვიდა, — ჰყვებოდა ამირანი, — მაშინ მე ბათუმში ვმსახურობდი. ოჰ, შეიქნა ერთი ამბავი! ჩაგვამწყრივეს ოფიცრები; გამოვიდა დავით კლდიაშვილი და ილაპარაკა და ილაპარაკა... ხომ გაგიგონია, ბიძია, დავით კლდიაშვილი? „ჩვენი კოპწია საქართველო, ჩვენი კოპწია საქართველო“, ასე იცოდა თქმა. პატარა, ბაჩუნა კაცი იყო, ჰი, ჰი...

— ეგ არ მინდა, — აწყვეტინებს ბიჭი.

გოგი ლაბაძე

ბ ე ბ რ ე ბ ი

— ის მოყვე, შენ და ოლა ბებია კედელი რომ გახვრიტეთ და წერილებს უგზავნიდით ერთმანეთს.

— ეგ? — იცინის ამირანი, — ეგ მე კი არა, ოლიკომ გახვრიტა.

— ისემც რას გეტყვი მე შენ! — იცინის ოლაც.

— მოჰყევი, მოჰყევი, — არ ისვენებს ბიჭი.

— როგორ იყო, ბიძია და, — დაიწყო ამირანმა, — მაშინ მე მაგათსას ვიყავი მდგმურად. ალექსანდრე — მამა მაგისი, მკაცრი და ეჭვიანი კაცი იყო. მეზობლებს უთქვამს, ეგ ვილაც ოხერი ოფიცერია, გოგოს გაგიფუტებსო და ახლოსაც აღარ მკარებდა. ამას თურმე შევყვარებოვარ. გავიხედე, ასე ეს ღრთა; ლოგინზე ვარ წამოწოლილი და გავეთს ვკითხულობ. უცებ კედლის ფხაჭუნი შემომესმა. ყური მივუვადე — იქიდან ვილაც აწვება. ავდექი და ხელით მოსინჯვა დავეუწყე იმ ადგილს. უცებ არ მომხვდა გახურებული რკინის შანთა ხელის გულზე?..

ბიჭმა ხმამალა გადაიკისკისა. სამივენი გულიანად იცინოდნენ.

— შეშინებული გვერდზე გავხტი. — განაგრძო ამირანმა, — ვხედავ, ძირს რაღაც დაეცა. ავიღე — წერილი იყო. ამხელა ნაგლეჯ ქალღმერთზე წითელი ფანქრით ეწერა: „მიყვარხარ, გენაცვალოს ოლიკო“. ჰი, ჰი...

— ისემც რას გეტყვი მე შენ, — გულკეთილად იწყევლება ოლა, — მე ვქენი მაგი თუ შენ?

— მიყვარხარო, ჰი, ჰი...

— სულელია, აბა რა არის ახლა ეის.

— ის რავე იყო? — ახლა სხვას ეკითხება ბიჭი და ამირანიც ახლა იმას ჰყვება, თუ როგორ იყო „ის“, მერე ის, მერე კიდევ ის და ასე... სანამ არ მოსწყინდებათ. ჰყვება ცისას, ბარისას, ტყუილსა და მართალს, რაც კი უნახავს, რაც კი გაუგონია ამ სამოცდაათი წლის მანძილზე.

— ახლა ის მოყვე, — აგონებს ბიჭი.

— შენ და დათა ოსეთში რომ წახვედით სიმინდზე.

— დათა? გახსოვს დათა თუ? — ეკითხება ამირანი.

— აბა არა! — თავს უქნევს ბიჭი.

— მაღალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი...

— ჰო.

— ჰი, ჰი, — იცინის ამირანი, — მაღალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, გესმის, ოლიკო?

მერე ისევ ეკითხება:

— მანაველა გახსოვს?

— მახსოვს.

— შავი იყო, გრუზათმიანი.

ბიჭი უგებს მოხუცს ეშმაკობას და ეუბნება:

— არა, შავი არ ყოფილა, არც თმა ჰქონია.

— გხსომებია, — სერიოზულად ამბობს ამირანი. მერე რაღაცაზე ჩაფიქრდა და ისევ ჰკითხა:

— საიდან, ბიჭო, ის რომ მოკვდა. შენ ერთი წლის იქნებოდი.

ბიჭს წელანდელი გაცურება ვერ მოუწელებია, ამიტომ დაჟინებით ამბობს:

— მახსოვს და...

— რა ვიცი, ბიძია, — უკვირს ამირანს და წუხს...

ამასობაში ოლამ ცხელ-ცხელი საჭმელი დაალაგა სუფრაზე.

— გენაცვალე სულში, — უთხრა ამირანმა. სკამი აიღო და ახლოს მიუჯდა სუფრას, — და-რა-რი-რა, და-რა-რი-რა... ოლა, გოგო, მართლი? ახლოს მოიწი, ბიძია. და-რა-რი-რა, და-რა-რი-რა...

— ვაჟა! — გაისმა უცებ ქალის ხმა მეზობლის სახლიდან.

— ჰოო, — დაუძახა ბიჭმა.

— ვაჟა, უუ!

— ჰოო, — ხმას აუწია ბიჭმა.

— ვაი შენ და არგადარჩენა, არგადარჩენა. მეეთრიე სახლში, საჭმელი ჰამე!

ბიჭი საწოლიდან ჩამოხტა და გაიქცა.

— დარჩი, ბიძია, აგერ ჰამე, — და-

ადევნა ამირანმა და ცოლს ქურდულად უჩქმიტა.

— დაგაკოს ახლა ჭამამ! — გაწყრა ოლღა.

ამირანი ჭამს საჭმელს, ნელა, უმაღოდ. მერე ამთავრებს და გარეთ გამოდის. დილის გრილი ჰაერი სახეში სცემს და უსაზღვროდ სიამოვნებს. მკერდს იღელავს, ლაფაროში შედის და თოხს სინჯავს.

— ოლია! — ყვირის უცებ.

— რაიო?

— ეს თოხი შენ იხმარე?

— ხო, ბოსტანს ვთოხნიდი.

— ოი, შენი ღდინი რა ვქენი, — ბობოქრობს ამირანი, — ასე გაუწმენდავი უნდა მიატოვო მერე? ამ თოხს მე ვკოცნი და ისე ვინახავ, აბა, ვკოცნი და ისე ვინახავ...

ოლღა სახლის დალაგებას მორჩა. კარი გამოაღო და გარეთ გამოვიდა. თოხზე დახრილ ქმარს ეშმაკურად გადახედა. ამირანი თავისთვის ღიღინებდა და ცოლს ვერცკი ამჩნევდა. ამით ისარგებლა ოლღამ, უკნიდან მიეპარა, ხელი ჰკრა და სულელიო, მიაძახა.

— ჰაიტ, მე შენ გიჩვენებ სულელს! — თოხი კედელზე მიაყუდა ამირანმა და გამოეკიდა. ოლღა სიცილით გაიქცა და ვენახში დაიმალა.

„სად წავიდა აწი?“ — ფიქრობს ამირანი და ფრთხილად მიიპარება. აი, შემოუარა რამდენიმე ვაზს და მოულოდნელად თავს წაადგა ლობიოს ბარდებში გატრუნულ ცოლს. ხელს ხვევს და ეალერსება:

— ხაპუტუნა, რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყოლოდი, ჩემო ხაპუტუნა?

— გამიშვი! — ყვირის ოლღა.

— არ გაგიშვებ, — იცინის ამირანი.

— გამიშვი-მეთქი! — უკვე წყნარად ისმის ცოლის ხმაში. ამირანი სულს უშვებს.

— რა იყო, შე ქაალო...

— სულელი, — წამოხტა ოლღა და გაიქცა. ამირანი ისევ დაედევნა. ოლღა სახლში შევარდა, კარები მოხურა, მაგრამ ჩარაზვა ვეღარ მოასწრო.

— გამიღე! — აწვევა ამირანი კარებს.

— გადაგრევეს გამჩენი! — უყვირის ოლღა...

სალამო ხანს კი ისინი ისევ სხედან ბუხართან. ოლღა მატყლს ართავს, ამირანი კი ვაზეთს კითხულობს. ლამპის შუქი მიბნედილა და კრთომით ანათებს ძველის-ძველი ფიცრებით შეკოწიწებულ ქოხს. კედლები ალაგ-ალაგ დამპალია და ჩამტვრეული, საიდანაც არაფრისმთქმელი თვალებით იჭყიტება ქანგისფერი ჩალა. სახურავიც ძველია. დაჩემჩილ ყავარს ხავსი მოსდებია. ერთი შეხედვით, ვერცკი იფიქრებ, თუ აქ ვინმე ცხოვრობს — მიქვათყურებული გეგონება, მაგრამ...

— ოლიკო, იზოლდას ბავშვები რაჟღენის იქნება? — ამბობს ამირანი და ვაზეთის კითხვას თავს ანებებს.

— რა გამოყრუებული ხარ, შე საწყალიო, დღეს არ გითხარი?

— ხოო, გენაცვალე სულში, სულში და გულში.

ვარსკვლავები ციმციმს უმატებენ ამ სახლის თავზე. ქარი გულკეთილი ხარხარით ეველება მის სახურავს, ხოლო მთვარე კი, სიყვარულის და ნაზი გრძნობის მესაიდუმლე მთვარე, როცა ამ ადგილს გაუსწორდება, გაიღიმებს და სახეს ღრუბლების თალხისფერ რიდეში ჩამალავს მორცხვად.





კანკაბის ინსპექტორი

ყოველთვის ერთ და იმავე დროს, ექვსს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, დავეთხოვებოდი განყოფილების გამგეს და სკოლაში მივდიოდი გიგის წამოსაყვანად. გიგი ჩემი უმცროსი ძმაა. თითქმის იმ დროს დაიწყო სკოლაში სიარული, მე რომ ინსტიტუტი დავამთავრე, უფრო სწორედ, როცა სამშენებლო ტრესტის კადრების განყოფილების ინსპექტორად მოვეწვიე.

გიგი დილითაც მე მიმყავს სკოლაში, რადგან ამ დროს არც დედას სცალია და არც მამას. დედა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მსახურობს,

მამა — ბექდვითი სიტყვის კომიტეტში. ორივეს ცხრაზე ეწყებათ მუშაობა და ესეც არ იყოს, უსინდისობა იქნებოდა, უარი მეთქვა გიგის წამოყვანაზე, როცა ჩემი სამსახური იქვეა, სკოლასთან ახლოს. ამ ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, რომ დილით ავდექი და მარტო გავიქეცი გაჩერებისაკენ...

წინა საღამოს გიგი მეცადინეობას მორჩა და დასაძინებლად დაწვა, ტელევიზორი ჩაერთე და ის იყო დავჯექი, რომ დედა შემოვიდა და ხმადაბლა, მაგრამ გამომწვევად მითხრა: გაიგე,

ვაჰბატონო, მაგდა რომ დანიშნულა?...
— როდის-მეთქი? — მინდოდა მეკითხა, მაგრამ ისე ავირიე, ხმა ვეღარ ამოვიღე. — ვერ გაიგე? — გამიმეორა დედაჩემმა. გავიგე-მეთქი, მივუგე და სიწითლისაგან აპარხლებულ სახეზე რომ არ შეეხედა, ავდექი და ტელევიზორისაკენ გავემართე, ვითომ ეკრანი იყო გასასწორებელი. ინსტიტუტურად ხელი კადრების რეგულატორს წავავლე და ისე აირია ყველაფერი, თვალები ამიჭრელდა. როგორც იყო გავასწორე ეკრანი, გამოვბრუნდი და ისევ დავვექი. რომ არაფერი ვთქვი, ეტყობა, დედა ამან კიდევ უფრო გააღიზიანა, მომდგა და ზედისზედ დამაყარა საყვედურები: „რატომ ხარ, შეილო, ასეთი მოუხერხებელი!“ — „იქნებ ისიც თანაგიგრძნობდა, ერთი სიტყვა როგორ ვერ უთხარი!“... „სანამდე უნდა იყო ასეთი უენო!“... კიდევ კარგი, ამ დროს ბამაჩემის ხმა მოისმა — თინიკო, ერთი ქიქა უმაქრო ჩაი შემომიბრუნეო, და დედაჩემიც გაჩუმდა, თორემ სული შემეხუთებოდა... სამზარეულოსკენ რომ წავიდა, ჩემს ოთახში გავედი, დავწექი და თავზე საბანი წავიფარე. ისედაც მოშხამული ჭიკაძე და კიდევ საყვედურების მოსმენის თავი მქონდა?

მაგდა ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო. ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობდა დირექტორის მდივანად და ამავე დროს უცხო ენათა ინსტიტუტშიც სწავლობდა დაუსწრებლად. ამ ხუთიოდე წლის წინათ, ჩვენი და მათი ოჯახი, ერთ კვარტალში გადმოვსახლდით საცხოვრებლად. მაგდას დედა — ქალბატონი მერი და დედაჩემი კოლეგები იყვნენ და ერთად მუშაობდნენ პოლიკლინიკაში. დედას ძალიან მოსწონდა მაგდა — ეს ხორბლისფერთვალეობა, ქერათმიანი და ტანმოორჩილი გოგონა. სულ მის ქებაში იყო... თუმცა, იმ დღემდე პირდაპირ არაფერი უთქვამს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემს მომავალ ოჯახურ ბედნიერებას მასში ხედავდა. მეც მომწონდა მაგდა, მომწონდა კი არა და მეტიც იყო, მაგრამ ასე მოხდა...

ორის ნახევრამდე, ვიდრე გავკეთო-
ლები დაეწყება, გიგი გახანგრძლივებულ ჯგუფში მეცადინეობს, გავკეთო-
ლებს იმეორებს, ხატავს ან ძერწავს. გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელზე მზე ამოსდის. მასწავლებელს გიგი და მისი ამხანაგები ყოველ შაბათს, რიგრიგობით, დაჰყავს კინოში, ცირკში, მუსიკალური კომედიისა და თოჯინების თეატრში.

გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელს ნელი ჰქვია. ნელი მასწავლებელს პირველად, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო მდგომარეობაში შეგხვდი. ჩემი ძმა რომ აქებდა და აქებდა, დავინტერესდი, უფრო მისი გარეგნობით და თუ აქამდე გიგის სკოლის კიბემდე მივაცილებდი და მაშინვე სამსახურისკენ გავებოდი, იმ დღეს საკლასო ოთახის კარამდე მივყვედი... კარის გაღება და ნელი მასწავლებლის ყვირილი ერთი იყო: „მელანი დაღვარე, არა? დასვარე რვეული, ხომ? ა, შე თხუპნია! შე საძაველო!“ — უჯავრდებოდა იგი რომელიღაცა ბავშვს, ცოფებს ყრიდა... ორმოციოდე წლის ქალი იყო. საკმაოდ დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ ახლა ისე გამოიყურებოდა, არ მოგეწონებოდა... აღამიანი, განსაკუთრებით კი სასიამოვნო გარეგნობის ქალი, როდესაც წონასწორობას ჰკარგავს, ბავშვობიდანვე ვერ ვიტან, საშინლად მწყდება გული... მოკლედ, იმ დღეს იმედგაცრუებული გამოვბრუნდი უკან... მე რე გიგიმ მიაბზო: იმ ხანებში თურმე მის ქმარს გულის ინფარქტი ჰქონდა და ამის გამო ნერვიულობდა... რა ჰქონდა-მეთქი? ინფარქტო, მომიგო. გამეცინა. ამ ლაწირაკმა საიდან იცის ასეთი რალაცები-მეთქი, და კისერში წავუთაქე.

●
გიგის გადამკიდე, პირველ ხანებში, სკოლაში წასვლის დრო რომ მოახ-

გოლაფიკი შვირვილი
პადრიზის ინსპექტორი

ლოკდებოდა, მოსვენებას ვკარგავდი. მეუხერხულეობდა, მრცხვენოდა განყოფილების გამგისათვის ყოველდღე თხოვნა. უარი რომ ეთქვა, რა უნდა მექნა, ბავშვს ხომ ვერ მივატოვებდი? მაინც ხომ უნდა წავსულიყავი... უარი აიასოდეს არ უთქვამს — კი, ვენაცვალე, წადიო! მაგრამ ვიდრე ვეტყვი, ქარის ოფელში ვიწურებოდი. რატომ ვარ ასეთი? — ვფიქრობდი ხშირად, — რა მოხდა ბოლოს და ბოლოს. თხუთმეტი წუთით ადრე მივდივარ.. ზოგიერთები შესვენებაზე წავლენ და სამ-ოთხ საათამდე არ ბრუნდებიან! ამ დროს ყოველთვის წინააღმდეგობის სურვილი მეუფლებოდა. მინდოდა, სხვანიერი ვყოფილიყავი. რამდენიმეჯერ გადაწყვიტე, ვიგის წამოსაყვანად ისე წავსულიყავი, განყოფილების გამგისათვის არ მეთქვა.. წარბეჭრული წამოვდგებოდი, მაგრამ უმაღვე ისევ სკამზე დავეშვებოდი... რას ვეპართლები ამ კაცს, ვფიქრობდი და კმაყოფილი ვიყავი, რომ დროზე შევიკავე თავი... მერე მაგდას ნიშნობის გამო დედაჩემის უკმაყოფილი სახე და მისი საყვედურები მომაგონდებოდა და ისევ მომეწურებოდა გული. ვფიქრობდი, რომ იგი ნაწილობრივ მართალი იყო, უნდა მეთქვა... მაგრამ ესეც ხომ უნდა იფიქრო, რა გამოვიდოდა აქედან? თავის გაბითურების მეტი არაფერი, ქალს საქმე გადაწყვეტილი ჰქონია...

როგორ მომწონდა მაგდა! რა გოგო იყო! მისი თმის სურნელი ახლაც თავბრუს მახვევს... ერთხელ, კბილის დასაპლომბად დედაჩემთან გავიარე პოლიკლინიკაში. ეს ამ შემოდგომაზე მოხდა. მაგდა უკვე დანიშნული იყო.

დერეფანში რომ გამოვედი, გასასვლელისაკენ მიმავალი მაგდა დაეინახე. წამოვეწიე და ერთად წავედით გაჩერებისაკენ.

ტროლეიბუსი ხალხით იყო სავსე და ძლივს ავედით. მაგდა წინ იდგა, ზურგით ჩემკენ. უცებ მძღოლმა დაამუხრუჭა და ხალხი ერთმანეთს მიაწყდა... მაგდა ზურგით მკერდზე ამეკრა, ამა რა

უნდა ექნა! მის წინ ვილაც ჩასუქებულ კაცი იდგა. ეტყობოდა, სულ ეხუთებოდა და იდაყვებს იქნევდა. ვარიანდებული ვიდექი და მინდოდა, დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყო დრო, მინდოდა დიდხანს ვმდგარიყავით ასე, მაგრამ... ეს იყო ერთი წამით!.. ტროლეიბუსი ისევ დაიძრა და უკან დავიწიე...

● გადიოდა დრო.

დღეები.

კვირები.

არჩილი — ჩემი უცოლოდ დაბერებული განყოფილების გამგე, უფრო ვულისხმიერი და კეთილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. უკვე აღარ ვნერვიულობდი გიგისთან წასვლის დრო რომ მოახლოვდებოდა. ჩემზე სამჯერ თუ მეტჯერაც უფროსი იყო, მაგრამ ამას სრულებითაც არ შეუშლია ხელი ჩვენი დაახლოებისათვის. მე უკვე ყველაფერი ვიცოდი მისი. ბატონმა არჩილმა დაწვრილებით მიაგმო თავისი ბიოგრაფია. მიაგმო, რომ რევოლუციის დროს პეტერბურგში იმყოფებოდა... იბრძოდა ცარიცინთან... მერე საქართველოდან მენშევიკების განდევნასა და მშვიდობიან მშენებლობაში მონაწილეობდა... შემდეგ ომი ფინეთთან და გერმანიასთან, მძიმე ჭრილობა და რა ვიცი, ათასი რამ...

მის მიმართ თანდათან სიბრაღეულის გრძობა გაიჩინდა. მებრალებოდა როგორც კაცი, რომელიც სადაცა უშვილსიროდ დაასრულებდა თავის ცხოვრებას; მებრალებოდა, რადგან იგი—ჩემს ძმაზე, სულ ერთხელ რომ ჰყავდა ნანახი, ისე ხშირად, ისე ხალსით და სიყვარულით ლაპარაკობდა; მე კარგად ვიცოდი, თუ რა იყო ამის მიზეზი.. იმასაც ვგრძნობდი, როგორ მისდამეუქმნეველად გადავდე ჩემი საზრუნავი და კედლის საათის დიდი ისარი რომ ექვსიანს გადასცდებოდა, უკვე აღარ მიკვირდა მისი ხმის გაგონება:

--- იჩქარე, რეზო, არ დაგავკიანდეს.

ქალღმერთებს სწრაფად მივკრებ-მოვკრებდი, უკრაში ჩავყრიდი და წამოდებებოდი.

— ნახვამდის, ბატონო არჩილ!

— ნახვამდის...

ერთ დღეს ბატონი არჩილი სამსახურში აღარ მოვიდა. საავადმყოფოდან დარეკეს: ღამით თირკმლების მწვავე შეტევა მოსვლოდა და სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინათ.

შაბათს ან კვირას მივიღოდი მის სახახვად. ვიცოდი, მაწონი და ნამცხვარი უყვარდა და მიმქონდა. შესვენებისას კაფეში რომ შევიდოდით, ყოველთვის მაწონს და ნამცხვარს მოატანინებდა ხოლმე, სასმელებზე საერთოდ თავს იკავებდა. ძალიან ცოტას და იშვიათად სვამდა — თირკმელები მიჭირებს საქმესო...

აირველ საავადმყოფოში იწვა, მეორე სართულზე, საერთო პალატაში. გარეთ ციოდა, პალატის ფანჯრები ჩაერახნათ, კარი კი ყოველთვის ღია მხვდებოდა. შენობას ძლიერ ათბობდნენ, დერეფანში კონდიციონერი იდგა და პაერს ანეიტრალებდა. კარსაც ალბათ ამიტომ აღებდნენ.

ბატონი არჩილი კარის პირდაპირ, ფანჯარასთან იწვა. დამინახვდა თუ არა, გამოცოცხლდებოდა, თვალები აუციმციმდებოდა... ალბათ ჰყავდა ახლობლები და ნახულობდნენ კდმც, ერთხელ თუ ორჯერ თანამშრომლებიც მივიდნენ, მაგრამ რატომღაც ვფიქრობდი, ჩემი დანახვა განსაკუთრებით უხარია-მეთქი.

— ოჰ, რეზო, მოხვედი?

შორიდან არ მესმოდა, რას ამბობდა, პალატა დარბაზივით გრძელი და ფართო იყო, მაგრამ ტუჩების მოძრაობით ვგრძნობდი, მაწვნიან ქილას და ქალღმერთში შეხვეულ ნამცხვარს კარადის თავზე ვდებდი, სკამს საწოლთან ახლოს მივიდგამდი და ვკვდებოდი...

— ხომ არ გაგიჭირდა მარტო მუშაობა? — მკითხა, ამასწინათ რომ მივედი. უკვე გამომჯობინებული იყო. გა-

ჭირვებით, მაგრამ გვერდზე გაღმორუნებდას მაინც ახერხებდა.

— ა, გაგიჭირდა?

— არა, ჯერჯერობით ისეთი არაფერი, — მიუხე მე, — თქვენ დღეს უკეთ გამოიყურებით. ალბათ ორ-სამ კვირაში დაბრუნდებით, არა?

— არა მგონია.

— კი მაგრამ, რატომ?

— ხომ გაგიგონია, ვაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო? ეს რამდენიმე დღეა, რემატიზმმაც შემომიტია, — მკლავზე ხელი მომიჭირა, გამიღიმა, — სამოცდაათს მივაკაჟუნე. სუძრობაა?.. პენსიაზე გავალ. შენ კი... შენ უნდა იმუშაო... — თქვა და გაჩუმდა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა. მერე თვალები ჭერს მიაპყრო და განაგრძო: — ჩვენი შეფი კი ცოტა არ იყოს თავისებური და მკაცრი კაცია, თუ შეგატყო, მორცხვი და გაუბედავი ხარ, აღარაფერს დაგიჯერებს, ავითვალისწინებს... უნდა იბრძოლო... აბა შენ იცი, მაგრად იყავი...

თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. მაგრამ უცებ სახსრების ტკივილმა შემოუტია და კენესას მოჰყვა. ამ დროს პალატაში მორიგე ექიმი შემოვიდა და ჩემს გასაგონად თქვა: ამდენ ხანს გაჩერება არ შეიძლებაო. მეც ავდექი და არჩილს გამოვეთხოვე...

მოშხამულ გუნებაზე ვიყავი. არჩილის სიტყვები განუწყვეტლივ მიტრიალებდა გონებაში. სინანულის გრძნობამ შემიპყრო. ნეტა, დღეს სულ არ მიესულიყავი მის სანახავად-მეთქი... მაგრამ, ხომ შეიძლება, რომ ეს ისე თქვა. ჩვეულებრივად და რასაც მე ვფიქრობდი, თავშიაც კი არ მოსვლია? გასამხნევებლად მიიხრა და მტეი არაფერი?

ქუჩა ისე გადავჭერი, მოახლოებული მანქანებისათვის ყურადღებაც არ მიმიქცევია.

„მაინც რა უნდა ამ ხალხს ჩემგან? რას მოითხოვენ? — ვფიქრობდი, — თავ-

გოდარძი ვიწვინილი
კადრების ინსპექტორი

ნედი ვიყო?... ამხანაგი მყავდა ასეთი... ერთად ვსწავლობდით, ინსტიტუტში. დიდი გაბლენძილი ვილაცა იყო. მეოთხე კურსზე ვიყავით, როცა მოთხრობების წერა და რედაქციებში სიარული დაიწყო... წელს ორი თუ სამი პატარა მოთხრობა გამოაქვეყნა კიდევ და ალბათ სიხარულმა იმოქმედა, თუ უკვე დაიჯერა, ნამდვილი მწერალი ვარო, უარესად ვაიტყვარჭა და გაიქაჩა... ერთ დღეს კი (ზოგიერთი ამ ამბავზე ამბობს, მოუგონესო, მე კი მართალი მგონია) მწერალთა კავშირში მისულა და უთქვამს: მე ესა და ეს კაცი ვარ და კავშირის წევრად უნდამიმდილოთო! ის აღარ ვიცო, იქ რა უთხრეს, მაგრამ ალბათ კუდამოძუებული გამოისტუმრეს... ერთ ჩემს მეზობელს სამი თუ ოთხი წიგნი აქვს გამოცემული, ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად იბეჭდება მისი ნაწარმოებები და კავშირის წევრად ახლახან მიიღეს. იმ ყეყემა კი... მაინც როგორ ვაბედა მისვლა! „ქიმწმენდა“ ხომ არ ეგონა, ნაცნობობით ურიგოდ რომ წმენდენ ტანსაცმელს. ისე შტერი როგორ უნდა იყო კაცი, იცოდე ვინა ხარ და რას წარმოადგენ...“

ერთი წამით ისე მომეჩვენა, თითქოს ყველაფერი თავდაყირა იდგა... ქუჩა, ტრანსპორტი, სახლები... მეც თავდაყირა ვიდექი, ეს ხალხიც, მეც და ისიც ფეხების მაგიერ ხელებზე ვიდექით და ისე მივდიოდით... ეს იყო წამით, მერე ყველაფერი ისევ ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა.

მოედანზე გავედი. გაჩერებაზე საბურთალოსკენ მიმავალი ავტობუსი დავინახე და გავიქეცი. ავტობუსში თბილოდა და მესიამოვნა. ფანჯარასთან დავჯექი და გარეთ დავიწყე ყურება. ასფალტზე თოვლი იყო, ყინავდა, სიცივისგან მობუხული მოქალაქეები ფრთხილი, მოკლე ნაბიჯებით მიმოდინდნენ... უეცრად „მეტროს“ სადგურიდან გამოსული მაგდა და მისი დეიდაშვილი — ლია დავინახე. შენობის კუთხესთან შეჩერდნენ. ლია რა-

ლაცას უყვებოდა და იცინოდა... მერე შებრუნდნენ და მარჯანიშვილზე შექცნენ. ჩას გაუყვნენ... მაგდას დაეძახა, მისთვის პალტო ეცვა და წითელი ნაქსოვი ქუდი ეხურა. ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო! ასე მომხიბლავი არასოდეს ყოფილა... ნეტა სად მიდიან? ის რატომ არ არის მათთან ერთად?... უცებ ყველაფერი დამავიწყდა: არჩილის სიტყვები, მაგდას საქმროც... ჩამოსვლა დავაპირე, მაგრამ სწორედ ამ დროს ავტობუსიც დაიძრა. აფორიაქებული და არეული დავეშვი სკამზე... როცა მაგდას დავინახე, ასე მომდის, უცებ შევიცვლები ხოლმე... თავი ფანჯრისკენ მივიბრუნე და კინო-ფილმ „საპაერო თავგადასავლებიდან“ დაბალ ხმაზე, ერთი მარშის მოტივის სტვენა დავიწყე... ეს ფილმი გვიმაც ნახა და რა თქმა უნდა, მარშიც იცოდა. დილით, ავტობუსიდან ჩამოსვლები, ფურცელაძის ქუჩაზე რომ ჩავუხვევდით, ხელს გამაშვებინებდა და მარშის სტვენით მიდიოდა სკოლისაკენ. „იმდენი ვიცინე, კინლამ მოკვდი“, — მითხრა იმ დღეს ფილმი რომ ნახა და მას მერე სულ მეხვეწებოდა, წავიდეთ და კიდევ ვნახოთ, აუჰ, რა ჰაეროპლანები ჰქონდათო!..

ვუსტვენდი და მიდიოდა ავტობუსი... რატომღაც ასე ხდება: როცა გახარებული ვარ ან რაღაცაზე ვნერვიულობ, ლილინიც მაშინ მომინდება და სტვენაც..

— დღეს სამი ხუთიანი მივიღე! — მეუბნება გიგი და ამაჟად მოაბოჯებს ზურგზე ჩანთააკიდებული.

— აბა, მომასხენე!

— წერაში, არითმეტიკაში და ფიზკულტურაში, — მომიგო გიგიმ, — რაც სწავლა დაიწყო, იცი რამდენი ხუთიანი მაქვს მიღებული?

— რამდენი?

— ორმოცდათხუთმეტი!

— ყოჩაღ! მაგრამ ოთხიანებიც რომ ბლომად გქონდა, ამაზე რატომ არაფერს ამბობ?

— სუფთა წერაში? მაშინ რვეულე-
ბი არ ვარგოდა... დღაბნიდა და იმი-
ტომ.

— მართალია!.. მაშ, ორმოცდაათხუთ-
მეტი ხუთიანი ხომ?

— ჰო.

— მოდი, კანფეტს გიყიდი.

იქვე, ბაზრის წინ, მონპასიეს ვყიდუ-
ლობ და ვაძლევ..

დღეს დილიდანვე დიდებულ გუნე-
ბაზე ვარ. ის იყო სანაყინეს გაცვლი
და სამსახურისაყენ ავუხვიე, რომ კომ-
კავშირის ხეივანისკენ მიმავალი ავტო-
ბუსი წამომეწია, წინა ფანჯარასთან
მაგდა იჯდა. დამინახა და მომესალმა,
თან ხელი დამიქნია — გამოიარეო, და
გამიღიმა. მერე და, როგორი გაღიმება
იცის! ისე მეჩვენება. თითქოს მზესა-
ვით უბრწყინავს თვალები და სახე...
არა, ასეთ გუნებაზე არასოდეს ვყო-
ფილვარ... ეს ერთი კვირაა, რაც ბატონი
არჩილი პენსიაზე გავიდა და გან-
ყოფილების საქმეები ჯერჯერობით
ჩემს კისერზეა. თუმცა დღეს, საღაცაა
სამუშაო საათები დამთავრდება და
რაიონში გასაგზავნი წერილის დაწე-
რის მეტი, მბეჭდავს რომ შევეუტანე,
არაფერი გამიკეთებია... იმ განცხა-
დებებსა და საბუთებს, მმართველმა
რომ გადმომცა, გუშინვე გავეცანი და
მაგიდაზე მიდევს, ლევან ალექსიძის
საბუთების ქვემოთ.

ლევანი მშენებელი-ტექნიკოსია. ორ-
მოც წელსაა მიღწეული. ოჯახური პი-
რობების გამო რაიონში სამსახურს თა-
ვი დაანება. უნდა ჩვენი ტრესტის რო-
მელიმე ობიექტზე დაიწყოს მუშაობა
ათისთავად. საბუთები კარგაზნაია მოი-
ტანა. მმართველიც შეჰპირდა, ადგილი
გამოჩნდება და დაგნიშნავთ..

დამიძახებდეს მაინც ბატონი შალვა,
იქნებ ცოტათი დავმშვიდდე. რა მომ-
დის? ასე აცეტებული ჯერ არ ვყოფი-
ლვარ. ხომ არ ვგიჟდები? გამეცინა,
აღდექი, ფანჯარასთან მივედი და რა-
ფას მივეყუდე...

„რა მემართება?“ — დილის აქეთ
ბგონი მეათედ ვეკითხები საკუთარ
თავს. „საოცარია, სხვა დროსაც მინის-
ლმებია ავტობუსიდან, მაგრამ ისიც ვა-
უღიმიო და რაც მთავარია, ხელი არ
რაუქნევია — გამოიარეო. ახლა რა
მოელანდა? იმ ტიპთან ხომ არ ჩამ-
ლია საქმე? რა სისულელეა, რატომ
უნდა ჩაშლოდა? შეიძლება აღარ მოა-
წონს, აღარ მიყვება! აქი ქორწილიც
რამდენიმეჯერ გადაიდო. ჯერ საშვიდ-
ნომბროდ აპირებდნენ, მერე საახალ-
წლოდ, აგერ ზამთარიც მიიწურა... მაგ-
რამ ასე რომ იყოს, დედაჩემს ეცოდინ-
ებოდა... მოიცა, მოიცა! ახლა გამახ-
სენდა... წუხელ გვიანობამდე ვუყურე-
ბდი ტელევიზორს, საერთაშორისო ამ-
ბებს გადმოსცემდნენ. მერე გამოვრთე
და კარის დასაკეტად წავედი. დედისა
და მამის ოთახს ჩავუარე. ისინი იწვე-
ნენ, მაგრამ არ ეძინათ. დედა რაღაცას
ეჩურჩულებოდა მამას... აღარ მიჰყე-
ვაო, ეს კი გავიგონე, მაგრამ ვისზე
ამბობდა, ამისათვის მაშინ ყურადღება
არ მიმიქცევია.. ჩემი ფეხის ხმა რომ
გაიგონა, დედაჩემმა მაშინვე შეწყვიტა
ჩურჩული... ნაღდად მაგდას ამბავს
უყვებოდა... ნუთუ მართლა ასეა საქმე,
ნუთუ მართლა აღარ მიჰყვება? აქი
არც იმ დღეს ახლდა ის ბიჭი, ავტობუსი-
დან რომ დავინახე, არც გუშინწინ,
საჩუქრების მალაზიაში რომ შედიო-
და... წინათ კი სულ ერთად დადიოდ-
ნენ. მალალი ბიჭი იყო, ლამაზი. მე მა-
ინც არ მომწონდა, რამდენჯერ დამი-
ნახავს, მაგდას გვერდით მიმავალს თა-
ვი ამაყად ეჭირა, გაბღენძილი იყო.
ჯერ ვფიქრობდი, ასეთი გოგო იგდო
ხელში და თავში აქვს ავარდნილი-მე-
თქი, მაგრამ მერე თანდათან დავრწ-
მუნდი, საერთოდ ასეთი ყოფილა. მაგ-
და კი, სხვანაირი გოგოა, ოდნავ გულ-
უბრყვილო და უპრეტენზიო... ვინ იცის,
იმ იდიოტმა „ვოლგაც“ კი მოსთხოვა
დედამისს? მოდი და ნუ გასკდები

გოლარაი ბეიზვილი
კალრავის ინსპექტორი



კულზე!.. მაგდა, რა თქმა უნდა, მიხედა, რა ბედოვლათი იყო.. ჩემთან რა უნდა? ხელი რომ დამიქნია — გამოიარეო, ისე მომეჩვენა, თითქოს გაწითლდა.. რატომ?... ვინ იცის, იქნებ... ოჰ, კარგი ერთი... მაგრამ რატომ გაწითლდა? უნებურად გაცა თავი და ამიტომ? შეიძლება, ყველაფერი შეიძლება... რა უნდა ვქნა? დღესვე მივალ! დღეს მისვლა არ ივარგებს, უხერხულია...“

ფანჯარას მოვშორდი და ოთახში სიარული დავიწყე... მერე ისევ უკან მოვბრუნდი.

„ხვალ მივალ... ან ზეგ! ზეგ ხომ შაბათია, ვიგის სკოლაში მივიყვან და სადამომდე თავისუფალი ვიქნები. ჰო, ასე აჯობებს!.. თავს იფასებ? — ყოჩაღ, რეზო!.. დილით კი, ისე იყავი გახარებული და აფორიაქებული, ისე გაპორბოდი, თითქოს გამოცხადების ეურნალში ხელი უნდა მოგეწერა და მაგდასთან გაქცეულიყავი...“

კიბეზე ბატონ შალვას წამოვეწიე, იგი დაბალი, მსუქანი კაცია, ვიდრე მეოთხე სართულამდე კიბეს აივლის, ქოშინი აუვარდება ხოლმე.

— დილა მშვიდობისა, ბატონო შალვა!

მე თვითონ გამიკვირდა, ისე თავისუფლად ვუთხარი. წინათ მივესალმებოდი თუ არა, გავწითლდებოდი და ფხს მოვუჩქარებდი.

— ოო, გამარჯობა!

— როგორ ბრძანდებით?

— რა მიშავს... ჰუჰ! — ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, — გმადლობთ.


კიბე ავათავეთ და შევჩერდი.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ ალბათ არ ვარჯიშობთ.

გავღიმა და ღერეფანში შევიდა. მეც გვერდით გავყვი.

— სავარჯიშოდ სად მცალია, — ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოიგვა.

— უნდა ივარჯიშოთ და უკეთ იქნებით. აუცილებლად უნდა ივარჯიშოთ.

კარგად ბრძანდებოდეთ, — ვთქვი და ჩემი ოთახისაკენ გავუხვიე...


ტელეფონის ზარის ხმა შემიქნია ფიქრებიდან გამოვერკვიე. მივედი და ყურმილი ავიღე. ბატონი შალვა მიბარებდა... საბუთები ავიღე და წავედი.

კაბინეტში მარტო იჯდა, რალაცას წერდა. მე რომ შევედი, წერა შეწყვიტა, თუ დაამთავრა, ქაღალდი გვერდზე გადადო და ხელი გამომიწოდა. მე საბუთები მივეცი და დავჯექი. სწრაფად გადაათვალიერა და ადგა. მეც ავდექი.

— დილომში... იმ ობიექტზე, ათისთავად ამაშუკელი გავუშვათ! — მითხრა და ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლისაკენ გემართა.

— ამაშუკელი?!

— დიახ. ბრძანება დაწერეთ! დღეს მე... ალბათ აღარ დავბრუნდები, ხვალ დილით შემომიტანეთ ხელისმოსაწერად... — პალტო ჩაიცვა, შლაბა დაიხურა და მეორე კარიდან გავიდა.

მოულოდნელობისაგან სახტად დავრჩი. ხმის ამოღებაც ვეღარ მოვახერხე. გაოგნებული ვიდექი და მივშტერებოდი შეტყავადაკრულ კარს, საიდანაც ეს წუთია იგი გავიდა. მერე მაგიდაზე საბუთებს დავხედე და ავიღე... საოცარია, თუ ასე უნდოდა, მე რაღას შეუბნებოდა, გაეცანი საბუთებს და კანდიდატურები წარმოადგინე? რატომ არ მომისმინა? იქნებ მე სხვა ნოსაზრება მქონდა... ბოლოსდაბოლოს, ვინ არის ეს ამაშუკელი! ერთი კვირა არც კია, რაც საბუთები მოიტანა... საწყალი ლეენი! მისი სახე დამიდგა თვალწინ... მოწყენილი, შეწუხებული სახე.. რა იმედი ჰქონდა!... და მოულოდნელად ეს ამაშუკელი! ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დასჭირდება ლოდინი. უჭირს, ხუმრობაა, ორი შეილი ჰყავს და ავადმყოფი ცოლი.. მმართველს ალბათ ვიღაცამ დაურეკა.

...უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა: კერი, მაგიდა, სკამები, მმართველის სავარძელი... წელან ისიც თავდაყირა გავიდა კაბინეტიდან... ყველაფერი თავდაყირა იყო... თითქოს მეც თავდაყირა ვიდექი და გული ვადამიქანდა.

კარი გამოვალე და ჩემი ოთახისაკენ წავიდი, შევედი თუ არა, კედლის საათმაც დარეკა — ექვსის ნახევარი სრულდებოდა. პალტო ჩავიცვი და გარეთ გამოვვარდი.

● გიგი, როგორც ყოველთვის, სკოლის კიბეზე მელოდებოდა, დამინახა თუ არა, გავხარდა და ჩემკენ გამოიქცა.

ჩანთა ზურგზე აკვიდე და წამოვედი.

— დღეს ორხაზიან რვეულებში დაიწყეთ წერა, — მომახარა გიგიმ.

— ჰო!

— იცი, რა კარგად დავწერე?

— ყოჩაღ!

...დილა.

— ბრძანება მოიტანეთ? — მეკითხება შალვა.

— დიან, — გავუწოდე და დავეჭეი. იგი გაკვირვებული მიყურებს, რას შერბაო. უკვირს, რომ დავეჭეი თვითონ ხომ თავდაყირა დგას სკამზე. მხრებს იჩიჩავს, სათვალეს იკეთებს და ბრძანებას კითხულობს. უცებ თავს გააქნევს, ალბათ ფიქრობს, რაც აქ წერია, მომეჩვენაო და თავიდან იწყებს კითხვას. სწრაფად კითხულობს, სათვალეს მოიხსნის და მეუბნება:

— რა არის ეს?

— რიგის მიხედვით ლევან ალექსიძე უნდა დაგვენიშნა იმ ადგილზე.

— მე ვითხარით, ამაშუკელზე დაწერეთ ბრძანება-მეთქი!

— რიგის მიხედვით პირველი ალექსიძეა. ესეც არ იყოს, რა უპირატესობა აქვს ამაშუკელს! პირიქით, ალექსიძე ვაცილებით გამოცდილი მუშაკია, ნახეთ მისი ანკეტა.

— ნუ მეკამათებთ, მიბრძანდით და ისე გააკეთეთ, როგორც ვითხარით!

— ბრძანება ხელში შემოფიქრეთ, ჰმ, რიგით პირველი..

— თუ თქვენ ბოლოდან ითვლით, უკაცრავად, მაგრამ სისულელეა!

შალვა გაფითრდა.

— რა თქვით?!

— სისულელეა-მეთქი! ესეც სისულელეა, ხელებით რომ დადიხართ!

— მაშ როგორ უნდა ვიარო?!

— ჩვეულებრივად. აი, ასე. — ავდექი და გავიარე.

— როგორ შეიძლება!

— აბა, მოსინჯეთ.

...ფეხზე დადგა და გაიარა. წამოხერხილი უბეები თანდათან დაუცხრა, თვალები დაეწმინდა და თავისუფლად ამოისუნთქა. დგას და კმაყოფილი მიყურებს.

— ასე არ სჯობია?

თავი დამიქნია და გამიღიმა. მერე მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და მიიხრა:

— მომეცით ბრძანება, ხელს მოვაწერ.

ავილე და წინ დავუღე.

● გიგიმ, ეტყობა, რალაცას ფეხი წამოჰკრა, მკლავზე ჩამომეკიდა და გამოვერკვიე.

— აი, ასე გიგი!

— რა არის ასე?

— ასეა საჭირო, ასე უნდა გავაკეთო!

— რა უნდა გააკეთო? •

— შენ ჯერ ამას ვერ მიხვდები. •

გიგის აღარ უკითხავს, რას ვერ მიხვდებოდა, კინო-თეატრის წინ გავედით და მისი ყურადღება ნათურებით გაჩახჩახებულმა აფიშამ მიიპყრო. შეჩერდა და კითხვა დაიწყო.

გოდარძი ზვიზვილი

პალატის ინსპექტორი

— წერტილის დასმა დავიწყებიათ! —
წამოიძახა უცებ.

— სად?

— აი, შეხედე!

— სათაურის შემდეგ წერტილი არ
დაისმება, — გამეცინა და ცხვირზე
თითი დავკარი, — ისე... წერტილი აუ-
ცილებელია, ყველას უნდა ჰქონდეს
თავისი...

— კარგი ფილმია?

— არ მინახავს, გინდა შევიდეთ?

— შევიდეთ, შევიდეთ! — შესახა
გახარებულმა, ხელი ჩამკიდა და სა-
ლაროსაკენ გაიქაჩა.

— მოიცა, ჯერ ეს მითხარი: ხვალის-
თვის რა დავალება გაქვს მოცემული?

— არითმეტიკაში მარტო ერთი ამო-
ცანა უნდა გამოვიყვანო.

ბილეთები ავიღეთ და შევედით კინო-
ბეს რომ ავუყევით, უეცრად შეგდა სუ-
მასხენდა. ძალიან მინდოდა ახლა ისიც
ჩემთან ერთად, ჩემს გვერდით ყოფი-
ლიყო. მაგრამ ცხოვრება ხომ დღევან-
დელი დღით არ მთავრდებოდა... შეუ-
სვენებლივ მიფუყვებოდი კიბეს, მთელ
სხეულში უჩვეულო ძალას ვგრძნობ-
დი და მიხაროდა, რადგან ჩემს ორბი-
ტაზე ვგრძნობდი თავს და დარწმუნე-
ბული ვიყავი, რაც არ უნდა მომხდა-
რიყო, არასოდეს არ გადავუხვევდი
ამ ორბიტიდან.





●
 შენი ცის თაღი
 სამოთხის ბაღად
 მიმაჩნია,
 შენმა მზემ ზამთარშიც
 სხვა სითბოს მიმაჩვია.
 შენი უკვდავების
 ცივი წყალი მწყურებია,
 თვალნი შენი ცქერით
 დამიბურებია.
 შენი ბალახი
 უებარ წამლად გამომიხდია,
 სად არ ვყოფილვარ,
 რა ქვეყანაში,
 შენი ლეჩაქი
 არ მომიხდია...

●
 ამ გზებზე ჰყვაროდა
 ასკილი,
 მოცხარი,
 ამ გზებზე დადიოდა
 ბაბუა თომა
 და ჰქონდა წვერი
 ჩამოთოვლილი
 და ჰქონდა ვენახი
 ისეთი მოვლილი...
 და იყო თოვა
 ვაზის ყვავილთა...
 მას შემდეგ ურიცხვი

აპრილი გავიდა.
 ამ გზებზე
 კვლავ ჰყვავის
 ასკილი,
 მოცხარი.
 კვლავ მესმის
 მეურმის
 სიმღერა რგანიდან,
 თუმც თომა ბაბუა
 არ არის ცოცხალი.
 ამ გზებზე ცხოვრება
 იწყება თავიდან. •

●
 მითხარი, რის გოდება,
 მითხარი, რა გოდება...
 რამდენჯერ ლურჯი კენჭი
 დაღმართზე დაგორდება...
 რამდენჯერ მთვარე მკრთალი
 ბეჭობზე გადმოდგება,

იმდენჯერ სამართალი
 მართალი გამოდგება?
 მითხარი, რის გოდება,
 მითხარი, რა გოდება,
 გიცქერ მღიმიარეს და
 აპრილი მაგონდება.

უკვდავი შვილი

სერგო ჯაქარიამცხ

დღეებს სიკვდილის ბასრი ცელები
ცელავდნენ სწრაფად
და გაშმაგებით
და დიდ ბრძოლებში ენაცვლებოდნენ
მამებს —
შვილები,
შვილებს —
მამები.

აი, დაეცა შვილი და...
მამის
თვალებში
ომი
გაქვავდა
წამით. —

გაქვავდა ომის გზაჯვარედინი,
თუ ქანცგაცლილი სანგარში მიწვა?..
და მოქვითინე მამის მკერდით
შემდეგ ხელახლა შეტოვდა მიწა.

და თუმცა მტერმა ანთხია გესლი, —
განათდა ზეცა მაისის დილით...
და მიაბიჯებს მსოფლიოს გზებზე
მშვიდობა — მამის უკვდავი შვილი.

მ მ ი რ ი

იწვოდა მტერთან შებმის წყურვილით, —
ტოკავდა მიწა,
ცა ზანზარებდა...
დღეს მის საფლავთან სუნთქავს დუმილი
და ქუდს იხდიან წუთით მგზავრები. —
შემდეგ ტოვებენ ჩუმად ობელისკს,
მაგრამ ფიქრობენ დიდხანს იმაზე —
როგორ შემოსონ მიწა მშობელი
ხმლის სიმკაცრით და
იის სინაზით.

ვისაც პირველი სიცილი არ განუცდია აპრილის,
 თვალთ არასდროს უნახავს ზღვათა მეორე ნაპირი;
 გულით არ უტარებია გუგულის ტკბილი ძახილი,
 არ შესებია ტუნებზე ალუბლის ტოტი დახრილი;
 ვისაც სითეთრე შტოების სახეზე არ მოჰყენია,
 ასიათასი ყვავილი ერთბაშად არ მოფრქვევია;
 ნახნავზე ნედლი ბელტების სურნელი არ უყნოსია,
 ვისაც გლესური ცსოვრების ჟინი არასდროს მოსვლია:
 არ უნატრია ბუხარში მუხის ჯირკვების შენთება
 დეკემბრის გრძელთა დამეთა კერისპირ გასათეთრებლად;
 არ შესწრებია არასდროს გომურში სუნთქვას ხარების,
 ტკივილი არა სტკენია, წინაპართ ნასახლარების;
 არ წაუღია წისქვილში საფქვაავი, როგორც იმედი,
 ვისაც ღიმილი მოძმესთან არ დარჩენია მცირედი;
 ვისაც უვლია, უვლია, არცა უვლია ვითომდა,
 სოფელში არვის უნახავს, არცვინ უნახავს თვითონაც,
 ვისაც მზეში და ქარებში არ უთრთოლია სრულებით,
 შინ მიტანილი ჰგონია ლაფში ჩაფლული ურემი;
 ვისაც არ დაჰბედებია წვა და წყურვილი თავიდან —
 მე მისი მეგობრობა და მე მისი ძმობა არ მინდა!..

ჯანო ჯანლიძე

აპრილი ტყეში ნუკრივით დადის
 და მე ვკიდევარ ფოთლებს წვეთივით,
 მიწაზე მძიმედ ეშვება ლანდი,
 როგორც ხე ძირში გადაკვეთილი.

და მაღლა ცისკენ
 და მაღლა ცისკენ
 სველი ფრთებივით მიიწევს წვიმა,
 როგორც ცისფერი ფრინველი ისე
 და ცის სიმაღლეს სიცოცხლეს სწირავს.

მიიწევს ცისკენ და გაუგონარ
 და უკანასკნელ სიმღერას ამბობს
 და ისე, როგორც პირველი თოვლი,
 მიწაზე ტოვებს უწმინდეს ამბორს.

ერთადერთობა

მზის ამოსვლისას,
ვით მლოცველს წმინდას,
მიპყრობს სურვილი,
ორთავე მუხლი რომ მოვიყარო,
კავკასიონი წინ ხატად მიდგას
და მზის თვალებით ვუცქერ სამყაროს.

და არც კი მინდა,
ვიფიქრო მასზე,
ამ სამყაროში თუ რამდენი
მზე არის და მთვარე რამდენი,
ჩემთვის ერთი მზე ამოდის ცაზე
და მე ამ მზესთან ერთად ვმთავრდები.

ვინ აიტანა ეს მთვარე ხეზე
და ვინ გაჰფინა, როგორც იმედი?
ო, იქნებ მთვარეც იმ გოგოს ეძებს, —
მე რომ მიყვარდა,
მე რომ მივენდე.

და მთვარის მზერა წყლის ფსკერზე ატანს,
მაგრამ სად არი?

გაქრა გოგონა.

და დარჩა მხოლოდ მდუმარე ჭასთან
კოკა გამტყდარი,
მას რომ მოჰქონდა.





უთქველი სპუგველი

მე თუ მკითხავთ, ბატონი ირაკლი სათამადო კაცი არაა და იმ დიდებულ სუფრაზეც არ უნდა ეთამადებინათ. ჯერ ერთი, იუმორის გრძნობა არ მოუმაღლებია გამჩენს. უამისოდ კი ქეიფი უღაზათია. მეორეც ის, რომ სიმღერაზე მწყურალად გახლავთ, უსიმღერობასაც შეეგუებოდა კაკო კოლერა-წვილი, მაგრამ თამადა რომ სუფრის დემოკრატიას არ დაუდევდა, გულს ისა სტკენდა. ზოგის დღეგრძელობისას სიტყვაუბნობდა და ენამზებოდა, ზოგისაზე კი — ორ სიტყვასაც იმყოფინებდა. ბევრი ღირსეული მოქეიფე

დატოვა ჩრდილში. ყველაზე მეტად კოკაკოს ატკინა გული.

ბატარა ქეიფი არ გახლდათ. იმხელა საბანკეტო დარბაზი თითქმის გავსებული იყო. აქ მოქცეულიყო რაიონის რჩეულ-რჩეულნი: დირექტორები, გამგეები, თავმჯდომარეები. თბ მწყრივად გამართულ მაგიდებს ბარე ორასამდე კაცი უჯდა.

ქეიფის საბაბ-მიზეზიც არ იყო უბრალო. რაიონის თავკაცთაგანი სხვაგან გადაეყვანათ და იმის საპატივსაცემოდ შეკრებილიყვნენ.

რა ცუდ დროს დაენიშნათ ქეიფი.

რალა ბატონი კაკოს შვებულებში ვასვლას დამთხვეოდა. რაზე ჩააგდეს საგონებელში. ძლივს ეშოვნა საგზური და აფსუსი არ იყო მისი გაუქმება! უბრალო სანატორიუმისა ხომ არა, საირმეს საგზური მოეხერხებინა. უძვირუხასეს სამკურნალო ადგილად იმიტომაც მიაჩნდა, რომ დიდი კაცები იქით-ცენ ისწრაფვიანო. ექიმებმაც ურჩიეს: რახან თირკმლების ტკივილი გაქვთ, საირმე აუცილებელიაო. დიდხანს იყო-ყმანა: საირმე დაეთმო თუ ბანკეტი. გა-მოსავალი იპოვნა: ათი დღე გამიცდებ-ბა, ეგ არაფერიო, დარჩენილი თორ-მეტი დღეც მეყოფა სამკურნალოდაო, თუ გაქირდა, საგზურს შემდეგისთვისაც ვიშოვნე, მოსალოდნელი ბანკეტი კი აღარ გამეორდებაო. რად უნდა გამო-ვავლდე, ვისზე რა ნაკლები ვარო, რაი-ონში თუ ვისიმე სკამის ოქროსვარაყი-ანობა ითქმის, ჩემს სკამზეც იტყვიან-ო. საყოფაცხოვრებო ნომსახურების სამმართველოს უფროსობა რომ პატა-რა თანამდებობა იყოს, ამდენი მალუ-ლი თუ აშკარა მოცილე არ მეყოლებო-დაო.

ჰოდა, ამიტომაც წინასწარ შეატყო-ბინეს. თანაც მოკრძალებით სთხოვეს, თუ დრო გექნებათ, გთხოვთ მობრძან-დეთ და სუფრა დაგვიშვენოთო. ამ კი-ლოთი ნათქვამი ესიამოვნა, მხრები დინჯად ასწია, ღრმად ამოისუნთქა, და დამადლებით უპასუხა, გვედებით. მსხვილი, მრავალფერა საწერი აიღო, მაგიდის კალენდარი გადაფურცლა, ოთ-ბი დეკემბრის ფურცელი მოძებნა და წითელი ფერით დააწერა: „ექვსი საა-თისათვის გაცილების ბანკეტზე რეს-ტორან „სალხინოში“.

თითქმის ერთი კვირა აკლია საბან-კეტოდ დათქმულ დღეს. ბატონ კაკოს სული ყელში ებჯინება. საპატიო მდგო-მარეობაში წარმოიდგენს თავს და წი-ნასწარ იბადრება. ერთ დღეს კი საგო-ნებელში ჩააგდეს, სასიამოვნო ამბავი ახარეს და უსიამოვნო გუნებაზე დაა-ყენეს. მოპატიყე ეახლა, დისშვილის ქორწილის ამბავი ახარა. დისწული

რომ გაუბედნიერდა, ეს იცოდა. ქორწი-ლი რომ ორ-სამ კვირაში უნდა გადაეხე-დათ, ესეც მოეხსენებოდა. მაგრამ და-ზუსტებული დრო არ იყო ცნობილი. და აი, მოპატიყემ აცნობა, მაყვალს ქორწილი გადაწყდაო, შაბათს, ოთხ დეკემბერს მიჰყავთო. თანაც თქვენმა დამ შემოგითვალათ: სათამაოდ გვინ-დისხარ, შენზე მახლობელი და ენაშია-ნი კაცი ვინა მყავს და არ დამაღლა-ტოო. ბატონი კაკო უმადურად დაემა-დლობა და ჩამქრალი ხმით მიუგო: „რა ვიცი, საირმეში წასვლას ვაპირებ, ლა-მის მომკლას თირკმელმა და როგორ ბოვიქცეო. წამოვალ, მამ რას ვიზამ. პაგ საქმეს როგორ ელატებო“. — ურწმუნოდ უთხრა.

შეჰპირდა, მაგრამ სიტყვა ვერ გაიმა-კრა, დისწულის ქორწილს ბანკეტზე წასვლა არჩია. ჩემი დაიკო შინაური, არ ეწყინება, გამიგებს, მერე მივალ, მოვუბოდიშებ, შეცდომას გამოვასწო-რებ. ბანკეტზე წაუსვლელობა კი უხერხულია, უფროსები მომიკითხა-ვენ და რას იტყვიანო.

აი, საბანკეტო საღამომაც მოაწია.

„სალხინოში“ დიდი ორომ-ტრია-ლია. გარეთ მანქანების ტევა არ არის, შიგნით ხალხისა. ზოგი აღრე მოსული-ყო, ზოგი იგვიანებდა. ბატონი კაკო კი დათქმულ დროზე ათი წუთით აღრე გამოცხადებულყო.

იმდენს ეცადა, გამოსაჩენ ადგილას დაჯდა. ალღომ არ უმტყუნა. თავკა-ცობა ახლოს ჩამომწკრივდა. ბატონი კაკო თავის ქნევით ესალმება. მგონი უკვე მიიქცია მათი ყურადღება, ავი იამადის არჩევისას პირველთაგანმა წამოიძახა „ირაკლი ნასყიდოვიჩის გა-უმარჯოს, კაი კაცსა და კაი თამადა-სო“. მოიცათ, თუ მოადგილეობა მა-ინც დაავალეს, თვითონ იცის, როგორ გამოიჩენს თავსა.

აჰა, თამადა წამოდგა. თამადის მო-ადგილეები მოითხოვა. იმ სამ ჩარიგება-ზე უკვე რიგზეა საქმე.

„მანდეთ, მანდეთ!“ — ყელყელაობს სუფრის თავი.



კაკო წამოწითლდა, ბავშვივით აელეწა ლოყები, უხერხულად შეიმშუშნა და ნაძალადევად ჩაახველა.

„ოთარი“.

„ეახილი“.

„არჩილი“.

„გურამი“.

„იორამი“. — ასახელებდნენ კანდიდატურებს.

„კაკო“. — მხოლოდ თვითონ თქვა, ისიც გულში.

„ესტატეს დავავალოთ, ესტატესა!“ — უცებ წამოიძახა კაკომ, უფრო იმიტომ, თავი შეეხსენებინა.

„ბატონ კაკოს დაუფეროთ, ესტატეს დავავალოთ მოადგილეობა!“ — სხვაამც აუბა მხარი.

კაკომ დანჯად ჩაიციხა, ვითომ კმყოფილებით?! ეგრე რომ ყოფილიყო, თავის თავს არ უსაყვედურებდა: რა ძალა მადგა, რომ სხვას აღარ დავაცალე, იქნებ მე დავესახელებინე ვისმესო.

თუ მართლა თირკმელი სტკივა, ბატონ კაკოს ღვინო არ დაეღევა. ამ საბაბით ბევრჯერ გაუტატანებია ხელეები, წვეთის ჩამშვები არა ვარო. ნათქვამი შეუსრულებია. მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც მოქეფვთა სათაყვანებელი ყოფილა და „აკაკი ქრისტეფოროვიჩის“ ხშირი მოსმენით დამტკბარა. მაგრამ აქ ვერ გაუვა „თირკმელები მტკივა, ვერ დავღევე“-ის ოინეები. რასა ბრძანებთ, უფროსები რას იტყვიან, დედლობად ჩაუთვლიან, იქნებ იმათ თვალს აერიდოს, მაგრამ გვერდით რომ ქილიკა მეზობლები უსხედან?! ჩემი მტერი დამჯდარა ამირან ლოღობერიძის მახლობლად, ეშმაკობაში სძდრება სული. ეს გაჩხიკული, ქერა კაცი სულ იმის ცდაშია, ვის რა უხიბანდროს. აქაოდა, წელგამართული კაციო, აქაოდა, ხუმრობა უხდებო, მეტიწმეტს სჩადის. აღარც ვისიმე სიბრძნეს უწევს ანგარიშს და აღარც სიდიდკაცეს. იმ დღეს როგორ აუცეტებია ცხოველმზადების უფროსი. ჯერ ემარჯვებინა და ებეჯითებინა სასამელი,

ბოლომდე ეცლევინებინა, მაგრამ მოეთრო, მერე „უცქულუნი“ უხეხებინებია, ამისსქე კაცი სპილოსავით უბამპულებია, უხვნეშინებია, იქამდე მიუყვანია, რომ არაქათვამოცლილი იატაკზე დაცემულა, სული ვედარ მოუთქვამს, ის ხველებით იხრჩობოდა და იქ მყოფნი სიცილით... რალა შორს მივდივართ, თვითონ აკაკი ქრისტეფოროვიჩსაც მოსჭრია თავი მისი ეშმაკობით. ელექსელის დირექტორის ოჯახში წაყვანათ. მასპინძლის ცოლისდასაც უდიასახლისია. ამირანს წაუჭურჩულებია კაკოსთვის: ეგ გაბადრული ქალი შინაბერააო. კაკოს მიამიტად დაუჯერებია, თავდაქერილად გაარშიყებია კიდეც. თამილისაგან ნება აუღია. უდღეგრძელებია, შენს ქორწილში გვექეფოსო, ესეც დაუტანებია. ქმარშვილიანი ქალი უხერხულობისგან წამოქარხლებულა, კაკოს კი სადღეგრძელო ამ კუთხით გაუგრძელებია, იქ მყოფთ კი გულიანად უხარხარიათ. მერე კაკოც პიმხვდარა, სწყენია, აბილბილებულა, მაგრამ გაბრაზება ყელში ჩაუკლავს, მოსალოდნელ უარესობას მოპრიდებია. მაგ სირცხვილის ჭამის შემდეგ უთქვამს: ამირან ლოღობერიძის გვერდით დამჯდომი აღარა ვარო, მაგრამ ახლაც იგი უმშვენებს მხარს.

აკაკი ქრისტეფოროვიჩი სულ იმის ცდაში იყო, რომ ხელ-პირდაუყენებელი ამირანი მის გვერდით არ მოხვედრილიყო, მაგრამ ამ უსიამოვნებას მაინც ვერ ასცდა. ეგრე მოიხდინა საქემე. აკაკი რომ გულდაგულ მიიწევდა გამოსაჩენ ადგილას, ამირანი შორიდან უთვალოთვალებდა. უცებ გაძვრა-გამოივრა და გვერდით მიუსკუბდა. რალს იზამდა აკაკი ქრისტეფოროვიჩი. იძულებული გახდა, ნაძალადევად მაინც გაეღიმა ამირანისათვის და მხიარულის კილოთი ეთქვა: კეთილი იყოს ჩვენი მეზობლობაო.

აკაკი ასე დაძაბულად არასოდეს მჯდარა სუფრასთან. ცალი თვალი და

გიორგი სოგუაშვილი
 უთმეფილი სადღეგრძელო



ყური უფროსებისავენ აქვს მიპყრობილი, ცალით — ამირანს სდარაჯობს, არაფერი მიეშმაცოს და ამდენ ხალხში თავი არ მომპრასო. მადლობა ღმერთს, დღეს მამა აბრამის ბატკანივით ზის ამირანი, არც ენა უსწრებს და არც ხელები ამ დიდად პატივცემულ კრერულში სხვანაირად ვერც მოიქცევა. ასე დაასვენა აკაკი ქრისტეფოროვიჩმა და ღაწმუნებულმა იმამი, ამირანი ვერ მიხიბანდრებსო, მთელი გულისყური უფროსებზე გადაიტანა.

ქეიფს ეშხი ეძლევა. ჭიჭები იცლება-მხიარულება. მატულობს.

კაკოც ღვინობს. სხვებს აპყობია. სევამ უთქმელად. სცლის ბოლომდე. ეს რა კარგ გუნებაზე შეხვდა. თავის თავში ისეთი ძალა ეგულება, საღვინით რომ მოიარაკრავს, ისევ ბრძენივით იჯდება. ზომიერების გრძნობას არ ჰკარგავს. მთელი არსებით თავაკცებისკენ არის. გვერდში მჯდომთ იშვიათად მიუბრუნდება, თავს არ უყადრებს. ჭიჭის მისაკაყუნებლად თუ მოახედებენ.

ალლო არ ღალატობს. წინასწარ იცნის, რომელ სადღეგრძელოს რომელი მოჰყვება, აი, ნახავთ, თუ მორიგი სადღეგრძელო ალექსანდრე მიხაილოვიჩის არ მიეძღვნება.

— ალექსანდრე მიხაილოვიჩის სადღეგრძელოს იტყვის. — გადაულაპარაუა მეზობელს ქერა ამირანმა.

— აქამდეც უნდა თქმულიყო. — შენიშნეს.

ამას რა თქმა უნდა, ხმადაბლა ამბობენ, თითქმის ჩურჩულთ, კაკომაც ძლივს გაიგონა და თამადის ყურამდე ვინ მიიტანდა.

„სწორი შენიშვნაა. ალექსანდრე მიხაილოვიჩის სადღეგრძელო გვიანდება“. — გაუელვა კაკოს. წამოსადგომად აცმუკდა. თამადას უნდა შეახსენოს, მაგრამ თავის შეკავება არჩია. არამკითხეობა არ დამწამონო.

— ბიჭი ის არის, ვინც საყადრის სადღეგრძელოს იტყვის! — კვლავ ხმადაბლა ამბობს ამირანი. ზურგი კაკოსკენ მიუქცევია, თითქოს, მისთვის არ

ეძებება სათქმელი, მაგრამ უნდა ცრავდ, ეგეთი ყურმომეკარგებელი აკაკი ქრისტეფოროვიჩი მაინც გაიგონა. შეკრთა და შეყრყოლდა, თითქოს უხილაგმა არსებამ, კეთილმა ანგელოზმა ჩასჩურჩულა: გონს მოეგე, სადღეგრძელოსათვის მოემზადეთ.

— თამადა იტყვის საყადრისს.

— მარტო იმის ნათქვამი არ კმარა. სხვა ვინ შეამკობს ღირსეულად, საქმეც არის, — ისევ ჩურჩულთ ეუბნება ამირანი და თვალებს ეშმაკურად აციცებს.

„მე შევამკობ!“ — ჩაითქვა კაკომ.

— ქება უყვარს, ხომ?!

— ვის ეჯავრება! სხვათა შორის, ძალიან დაკვირვებული კაცია, ადამიანის გულსა და გონებაში ღრმად იხედება. სადღეგრძელოს თქმაშიც კი გამოიციმობს კაცის სიბრძნესა და ერთგულებას. ხედავ, როგორ გულისყურით ისწენს ყოველ სადღეგრძელოს?! — მსჯელობენ, ვითომდა, თავისთვის.

კაკომ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ალექსანდრე მიხაილოვიჩის სადღეგრძელო გამოთქმით, ყველასათვის გასაგონად თქვას, მკაფიოდ და მოხდენილად.

მერე, თუ მარჯვედ მოუვიდა, რა მოჰყვება, თქვენ არ იცით.

სიტყვა უნდა იყოს მისხალივით აწონილი, შერჩეული და ძვირფასი თვალვით ელვარე, ადრესატის საამებლად გამიზნული. ჭკვიანმა კაცმა უმიზნოდ არც უნდა დაისველოს ენა. ვინა თქვა: ენა დოვლათს არა ჰქმნისო. მოქნილი და თითლიბაზა ენით რამდენი კაცი სჭამს პურსა, ვინ მოსთვლის! ენატლიცინა ვასო აბრამიძე თავს მავითი ირჩენს, თორემ განყოფილების გამგეობას მაგას ვინ აღირსებდა. ჯანმრთელობის დაცვას უდგას სათავეში და ამდენი ხნის უფროსობით სპეციალობა ისე გადაავიწყდა, თავის სატყვივარსაც ველარ გებულობს; კოლია ქარსელაძე თავისმა ენამ დასვა ღვინის ქარხნის დირექტორის სკამზე. საამშენებლო სამმართველოს უფროსი ერთ დღეს არ

არის გასაჩერებელი, ქვეყანა მაგის მო-
მღურავია, მაგრამ ავტო ოთხი წელი-
წალია უფროსობს. რითი? ლაქარდიანი
ენითა. ასეთ სიტყვაბარაქიანებს რამ-
დენსაც იტყვი, იმდენს წარმოგიდ-
ვენთ და აკაკი რად უნდა ჩამორჩეს
მათ.

სადღეგრძელოს იმით დაიწყებს,
რომ ალექსანდრე მიხაილოვიჩის კაცუ-
რი კაცობა, გონიერება, ზომიერება
კველაფერში, უნარიანობა, შრომა და
კაცთმოყვარეობა საყოველთაოდ არის
ცნობილი. მართლაცდა, საოცარია: ამ
პატარა კაცში რა დიდი ენერჯია და ძა-
ლაა.. არა, პატარას არ იტყვის, ტანპა-
ტარაობა პატარა კაცობად არ ჩამოარ-
თვან და საქმე მთლად არ წაიხდინოს..

„ძვირფასო ალექსანდრე მიხაილო-
ვიჩ, სულ რაღაც ხუთი თვეა სათავეში
ჩაუდგეხით ჩვენს რაიონს, მაგრამ დიდი
გარდატეხა ცხადზე უცხადესია რო-
მელ დარგს დავასახელებთ, რომ თქვე-
ნი გამჭრიახი გონების კვალი არ ემჩ-
ნეოდეს. მრეწველობაში თუ თამამი სი-
ტყვა გვეთქმის, ეს თქვენ უნდა გიმად-
ლოდეთ. პარკეტის ქარხანამ რომ ვარ-
დამავალი დროშა დაისაკუთრა, ეს
თქვენი ვაჟკაცობაა.

სოფლის მეურნეობა ავიღოთ. ასეთი
მიღწევები ჩვენს რაიონს ჯერ არ ახ-
სოვს. მართალია, ამ წლის მოსავალს
სხვის ხელში ჩაეყარა საფუძველი. მა-
გრამ მთავარი ეგ არ არის. ბიჭობა მისი
ბელელში მიტანაა. მერე, რა ავდრია-
ნი შემოდგომა დაგვიდგა! ესუმრე-
ბით?! ზღვა მოსავალს ჩაბინავება არ
უნდოდა?! ჩემი თვალით მინახავს,
ალექსანდრე მიხაილოვიჩი წვიმაში იდ-
ვა და ყურძენს კრეფდა. ამას, იცით,
ბატონებო, რა უდიდესი მნიშვნელობა
ჰქონდა?! კოლმეურნეები მორალურად
გამხნევა, ბიძგი მისცა, წაახალისა და
ამის გამო იყო, რომ მევენახეები წვი-
მიან დღეებშიც გალუმპულულები კრეფ-
დნენ ყურძენს..

მეგობრებო, კაცი ან ბრმა უნდა იყოს
ორთავ თვალთ, ან გონებასუსტი, რომ
ვერ დაინახოს ის დიდი გარდატეხა,

რაც ხდებოდა ჩვენი რაიონის ცხოვრების
კველა სფეროში. ყოველივე ეს მთი-
თხოვს უდიდეს ენერჯიასა და მტკიცე-
რაც თქვენში ესოდენ ძალზედ მტკიცე-
მოცემული, ალექსანდრე მიხაილოვიჩი,
მაგრამ, მეგობრებო, სიმართლე უნდა
ითქვას, რაიონის აქტივი ძალიან ცო-
ტას ეხმარება, რა ქნას ერთმა კაცმა!

ალექსანდრე მიხაილოვიჩი, რა ვქნა,
ვერ ვმაღავ და, ნუ დამძრახავთ! აღ-
ფრთვანებული ვართ თქვენი მუშაო-
ბის სტილით. პირდაპირობა და პირში
ზრახვა თქვენი სამკაულია. მე მქონია
ბედნიერება: შევსწრებოდი თქვენს
განრისხების ქამსაც და შეხილა ტკბილ-
მოუბრობაც. არასოდეს დამავიწყდება,
კაკაბეთის კოლთავერე და ზოტექნი-
კოსი მაშინ ისე გახადეთ, ბოდიში მომი-
თხოვია ამ სუფრაზე, ლუკმა რომ სჭე-
როდათ, ძალღი არ გამოართმევდათ. ნა-
მდვილად ღირსი იყვენ, დაეალებას
წესრულება უნდა! ისიც მახსოვს, რაი-
კოპკაევიშორის თავმჯდომარე რომ ინ-
ფარქტს გადაარჩინეთ თქვენი ტკბილი
სიტყვითა. კაცს შავადა ჰქონდა საქმე,
რისხვის კი არა, მეტის ღირსი იყო.
თქვენებურად რომ გაგელანძლათ, შეი-
ძლებოდა, მართლა ინფარქტი დამარ-
თოდა. თქვენ გაითვალისწინეთ მისი
გულჩვილობა და დაბალი ხმით გააფრ-
თხილეთ: ასეთი რამ მეორედ აღარ
დაგემართოსო. მე ვფიქრობ და აქ დამ-
სწრენიც დამემოწმებია, ის თბილი
საყვედური უფრო იმოქმედებდა იმ
გასალანძლ კაცზე, ვიდრე ყვირილი და
მუქარა. რამდენი ნერვებაშლილი მო-
მჩივანი შემოსულა თქვენს კაბინეტში
და ღიმილით დაბრუნებულა. მე თვი-
თონაც მიგემია ბქვენგან ბოძებული
პატარა უსიამოვნებაც და დიდი კმაყო-
ფილება: გაგახსენებთ: როცა პირვე-
ლად დამითვალაიერეთ საყოფაცხოვრე-
ბო ობიექტები, თვალში არ მოგივი-
დათ. ჯერ იქვე შემახურეთ, მერე კაბი-
ნეტში მაჯანჯლარეთ, თათბირზეც ამი-
წვით გვერდები. მე ჩავუფიქრდი მდგო-

გიორგი სოროგოშვილი
უთმეოლი სადღეგრძელო

მარეობას, დღედაღამე მუშაობის შედეგად საქმე გავაუმჯობესე. ის წინსვლა თქვენი დამსახურება იყო. როცა კვლავ დაგვითვისებთ ქსელი, ძალიან ძუნწი, მაგრამ მეტად სტიმულისმომცემი ქება გაიმეტეთ: ცოტა რაღაცა გიცდილია, მთლად დაღუპული არა ყოფილხარო. ეს ჩემთვის იყო დიდი გამხნეება და სტიმული... თუმცა მის მერე ბევრი არაფერი გამოიკეთებია (ამას თავმდაბლობისათვის ვიტყვი), მაგრამ მომავალი წინაა. ეს წარმატება თქვენ გეკუთვნით, როგორც ხელმძღვანელს, და არა მე, უბრალო მომავლადვს. ვინ მოთვლის, რამდენი კაცი გამოსთქვამს ჩემებრ მადლიერებას და რამდენი მადლიერი პირში არ გეტყვიო, მაგრამ ზურგს უკან თქვენს ლოცვა-კურთხევასია.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ამ ორიოდე სიტყვას ვიკმარებ. ვნახოთ, დავატყობ, თუ ალექსანდრე მიხაილოვიჩს ესაიამონა და სხვებმაც დამაცალეს, სადღეგრძელოს კიდევ გავაგრძელებ. სათქმელზე მეტი რა არის. მთავარია, ვთქვა მოხდენილად, სხარტად, დიქციას და თავდაჭერილობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი გასათვალისწინებელია.

ნამდვილი კარგი სადღეგრძელო გამოვა, ალექსანდრე მიხაილოვიჩი მომიწონებს. ალბათ, როცა მარტოკას შიახლებს კაბინეტში, კმაყოფილებით მეტყვის: ყოჩაღ, აკაკი ქრისტეფოროვიჩ, მე არ ვიცოდი, თუ ასეთი საზრიანი კაცი იყავიო და შინაურ საუბარს გამიბამს, შეიძლება... არა. ამის თქმა აღრეა... თუმცა გული მეუბნება: უკეთეს ადგილზე გადასვლა შემომთავაზოს. თუ კიდევ დამაწინაურა, ხომ კარგი, თუ არადა, პატარა წარმოების უფროსი არა ვარ და ჩემს სკანზე გამაგრებითაც მადლიერი ვიქნები, ზოგი მერე დაყაროს ხმები რაიმეწვეკომბინატის დირექტორმა: კაკო კოლერაშვილი ალექსანდრე მიხაილოვიჩს თვალში არ მოსდის და ქონიან ნიჩაბ-

ზე დევსო. აი, აი, რას ჰგავს ეს უბედური. სიგრძე და სიგანე ერთი და იგივეა (ცოცხალი რომ არ იყვეს, ეს უნდა იქნებინა?! ადამიანის ფორმა აღარა აქვს. სავსე ტომარასავით დაუქილია მუცელი. თვითონ რომ ვერ იღუნება, სხვა ჰყავს გაწამებული ფეხსაცმლის ჩაცმაზე. იმანაც მე უნდა დამცინოს?! რატო ღმერთი არ გაიცინებს! შეხე, შეხე, როგორა როხროხებს... არც კი რტყვენია. ამხელა ვირგლა კაცია და ბილიარდის ბურთულასავით გორაობს უფროსების ხელისგულზე. ან მისალმება რა შნოზე იცის, ლამის ნიკაბი მუხლზე ჩამოირტყას ხოლმე. ან სიტყვა-პასუხს რა ლაზათს გამოაყოლებს, ამდენი „მიხაილოვიჩის“ ძახილით ლამის ენა გაიცვითოს, ისე აქვს გაზუთხული ეგ სიტყვა, ცოლსა და დედასაც კი „მიხაილოვიჩით“ მიმართავს ხოლმე. ეგეც იტყვის, კაცი ვარო, რაღა! ეგეთი მლიქვნელი ადამიანი სიკვდილივით შეზარება! ერთი, მაგის წკმუტუნს მოვესწრებოდეთ და...“

— ალავერდს თქვენთანა ვარ! — ჭიჭა მიუტაკუნა ამირანმა.

— ვისი სადღეგრძელოა?! — თითქოს ანაზღად გააღვიძესო, დაბნეულად იკითხა აკაკიმ.

ახლო-მახლო მსხდომებმა ირიბად ჩაიღიმეს და რაღაცა წასჩურჩულეს ერთმანეთს.

— რაიონის მშრომელების, — დადინჯებით უპასუხა ამირანმა.

— გაუმარჯოს! რა მაქვს საწინააღმდეგო! — ეს იკმარა. ორიოდე კაცსაც ვერ გააგებინა. ღრეჯითა და სვენებ-სვენებით დალია.

— ისე უნდა გამოცალო, თვალი ვერც-კი მოგაყოლონ! თანაც სახე გილიმოდეს! — შენიშნა ვილაკამ.

— ეს ოხერი თირკმელა მაწუხებს და... — დაიჩვილა.

თამადამ დიდი სასმისი მოითხოვა.

თეთრხალათიანმა მომტანებმა ქაშანურის ფიალები მიართვეს.

— ეგენი არა! — ხელის მტყვენის შემთამაშებით ანიშნა, უკან წაიღეო.

ციდისტოლა ქვევრები მოუძუებუ-
ნენ.

— არც ეგენი! — კვლავ აუქნია ხე-
ლი, — ისეთი სასმისი მინდა, მიკაკუ-
ნებისას ზარივით გაიწვრილოს!

ბროლის ჭიქები მოუტრებინეს.

— ჰოო, ასეთი! — მოუწონა, გამოარ-
თვა, ერთი თვითონ მოიმარჯვა. მეორე
გვერდში მყოფს შესთავაზა, ფრთხი-
ლად მიუტაკუნა. ცარიელმა ჭიქებ-
მა გაბმულად გაიწვარუნეს. — გამოდ-
გება! — კმაყოფილებით თქვა თამადამ
და მსუქან ლოყებში ღრმა ღიმილი
ჩაიმჩნია.

მაგიდებზე ჩოჩქოლი ატყდა. ბრო-
ლის ჭიქები მიჰქონდათ და აესებდნენ.

— ძვირფასო მეგობრებო, ერთი საყ-
ვარელი სადღეგრძელო მინდა შემოფე-
თავაზოთ, — რიხით დაიწყო თამადამ.
ყველა მიხვდა, ვისზეც უნდა თქმუ-
ლიყო და გაისუსნენ.

„ალექსანდრე მიხაილოვიჩი“ ახსენა
თუ არა, ამხელა კრებული ერთბაშად
წამოიშალა. სასმისიანი ხელები ტყესა-
ვით აიყარა მალა. თოვლის ფანტე-
ლივით გადმოიფანტა ღიმილი. ზღვის
ქენჭებივით იმრავლა თეთრმა კბილებმა.

— დაბრძანდით, მეგობრებო! — ხე-
ლითაც ანიშნა ბატონმა ალექსანდრემ.

— არა, არა, ალექსანდრე მიხაილო-
ვიჩი, თამადა მე ვარ და ჩემი სურვილი
ასეთია. ჩემი კი არა, მთელი კოლექ-
ტივის! — მტკიცედ თქვა თამადამ.

— სწორი ბრძანებაა, ფეხზე ადგო-
მით უნდა დაილიოს! — წამოიძახა ვი-
ლაც თამადამ მოქეიფეთავანმა.

— ფეხზე ადგომით, ფეხზე ადგო-
მით!

— ჩვენ ასე გვსურს!

— საყვარელი სადღეგრძელო ასე
ასმევია!

— ხმა ღვთისა და ხმა ერისაო! — წა-
მოეშველნენ აქეთ-იქიდან.

არავის ჩაუმუხლავს.

თამადამ ენა მოიქარგა, ღერსეულად
შეამკო ალექსანდრე მიხაილოვიჩი.
სულმოუთქმელად გამოცალა. „ესე მტე-
რი დაეცალოსო“, წამოაპირქვავა ფე-

ხიანი ჭიქა, რომელსაც წვეთი ველა
ჩამოვარდა. მოალავერდეს დაუცადა-
იმანაც პირქვე დაამხო გამოცალის
სმისი და თამადას მიუმარჯვა, ნამკვეთ
მიუტაკუნეს ბროლის ჭიქები და სამ-
ჯერვე ზარივით წვრიალი გაისმა.

თამადას სხვებმაც მიბაძეს, აწკრი-
ალდნენ გამოცლილი სასმისებო.

— ახლა, ძმაო, ვინც რიგიან სადღე-
გრძელოს იტყვის, ვაუკაცი ის არის! —
აკაკის გასავიწროვებლად თქვა ამირანმა.

აკაკი ქრისტეფოროვიჩი გაიჯგინა,
კმაყოფილების ნერწყვი გადაყალბა.
მტკიცედ ჩაითქვა: აუცილებლად გამო-
თქმით იტყოდა სადღეგრძელოს, რო-
მელიც კარგად ჰქონდა ჩამოყალიბებუ-
ლი და გუნებაში მრავლგზის გამეორე-
ბული.

მაგრამ ჯერ სხვისი რიგია. აქაც ჯე-
რი უნდა. თუკაცთა მარაქაში გარეუ-
ლებს ხომ ვერ გადაუხტება წინ!

თუმცა ითქვა: „ეს სადღეგრძელო
ექსტრად უნდა დაილიოსო“, მაგრამ
უმეტესობამ ყურად არ იღო. იციდი-
ლეს, იძალავეს და მოკლე სიტყვის
თქმა მაინც მოახერხეს. აი, ღვინის
ქარხნის ღირებურობი წამოიმართა და
გულის ჭია მოიკლა. ბატონი კაკო მას-
ზე ნაკლები რითია. თხა-თხაზე ნაკლე-
ბი, მგელმა შეჭამოს. მანამ კიდევ სხვა
არამკითხველ წამოდგებოდეს, მან უნდა
დაასწროს, ის ფეხიანი ჭიქაც დროუ-
ლად მიუმარჯვა ამირანმა. ღმერთმა
აგაშენა, ამირან! აკაკი ქრისტეფორო-
ვიჩი მაშინვე წამოიმართა. ნაძალადე-
ვად ჩაახველა და:

— ბატონებო! — ხმა დაირბილა.

ჯერჯერობით ვერავის ყურადღება
მიიპყრო.

— ბატ... — უნდა მიემართა, მაგრამ
ხე-ტყის ბაზის გამგემ დაასწრო და
სიტყვა გაუწყდა. მოთმინებით უსმენ-
და.

— ბატონებო! — ცოტა აუწია ხმას.
ახლა წრიბა ვანიკო ჩაეჩხირა, ავტო-
სატრანსპორტო კანტორის უფროსი.

გიორგი სოროჯაშვილი
უთხარელი სადღეგრძელო

ამანაც აკაკის უნდა აჯობოს?! კაცს
მაინც ჰგავდეს! რას იზამს, იმასაც უნ-
და დააყდოს.

— ძვირფასო მეგობრებო! — გამო-
ჩჩეული კილოთი გადასძახა.

ორიოდე კაცმა გაიგონა, მაგრამ ვერ
უშველეს.

— ირაკლი ნასყიდოვიჩი! — ახლა თა-
მადს მიმართა.

ამდენ ხმაურში თამადამ ვერ გაიგო-
ნა.

— მოშორებით ზის და რას გაავო-
ნებს კაცი ასეთ ყაყანში! — წუხდა
ამირანი.

— ირაკლი ნასყიდოვიჩი! — გამეტე-
ბით დაიძვირა.

უცნაური წამოძახილი ყველას ეჩო-
თირა და ხარხარი აუტყდათ.

— რაშია საქმე?! — გაკვირვებით მი-
ხედა თამადამ.

აკაკი ქრისტეფოროვიჩმა ყელი გა-
მოიწია და სალოკი თითოთ აჩვენა:
ერთ წუთს დამიწყნარე კრებულიო.

თამადამ მხრები აიჩეჩა: რა გიყოფო-

— ირაკლი ნასყიდოვიჩი, ძალიან
გთხოვთ!

თამადამ ვედრება ისმინა. აურზაური
დააცხრო.

ბატონი კაკო წელში გაიმართა, მკე-
რდი გამოხერა. ტიქა მაღლა ასწია, მო-
ბუსხული ბაგე შეატოკა და ბრძენის
თავდაქერილობით გადახედა მოქეიფე-
ებს. დარწმუნებულმა იმაში, რომ ყვე-
ლასათვის საინტერესოს ვიტყვიო, გან-
საკუთრებით კი ალექსანდრე მიხაილო-
ვიჩს გავახარებო, რიხით დაიწყა:

— შეევე პირფერი კაცი არ გახ-
ლავართ. მოიქნელობა სიკვდილივით
მძულს, მაგრამ...

ბატონი ალექსანდრე წამოდგა. აღ-
ზათ, დაინტერესდა, ასე ორიგინალუ-
რად ვინ დაიწყაო და დინჯი მხერით
ეძებდა მდღეგრძელებელს.

აკაკის ეგონა: ჩემს პატივსაცემად
წამოიწიაო და ფრთები შეესხა.

— ბრძანდებოდეთ, ალექსანდრე მი-
ხაილოვიჩი, ბრძანდებოდეთ! როგორ
გეკადრებათ! — იძახდა აღტაცებული,

ეკლავ ბრძენის შეხედულება მიიღო
და ბოხი ხმით განაგრძო: — მე ერთი
პატარა თანამდებობის კაცი გახლო-
ვართ. პირფერობა ქირივით შეზარდება,
მაგრამ უდიდესი სიყვარულით უსწავ
დიდალ...

— დაჯექი, დაჯექი! — შეცოდების
კილოთი მიმართა ბატონმა ალექსანდ-
რემ და ხელითაც ანიშნა: შენს ქერქში
დაეტიო.

აქეთ-იქით ფხუკუნი აუტყდათ.
აკაკი ქრისტეფოროვიჩი გაშრა. ენა
ველარ დასძრა.

— დაჯექიო, — ვილაცამ შეახსენა.

მუხლებმოკვეთილი დაეშვა სკამზე.
გაბრუვდა. თავი ჩაღუნა და მწარე
ფიქრს მიეცა.


— გამოცალე, თორემ ეწყინება.
გულში ჩატანა იცის! — წასჩურჩულა
ამირანმა.

აკაკიმ შეუბღვირა. ამირანმა შეუბ-
ლი შეიკრა. ტუჩი ამოიბრიცა და თავი
გადაარხ-ვადმოარხია.

ბატონი აკაკი მწყურალად წასწვდა
ტიქას. მოიყუდა და სულმოუთქმელად
გამოცალა. „ესე მტერი დაეცალოს!“ —
ულიდამოდ დააყოლა.

„ეცლია მაგ დალოცვილს! საქები
სიტყვა უნდა მეთქვა, საგინებელი ხომ
არა! რა სადღეგრძელო ჩამიგდო! აფ-
სუს! კაცი ბუობდა, ღმერთი იცინოდაო.
მე რას ვფიქრობდი და რა დამეშართა!
ეპ! ბედი უნდა კაცსა!“ — დადარღია-
ნებულოყო.

გვერდით მჯდომები დარღს უქარვებ-
ღნენ, გაწბილება გაუარაფრეს. მართ-
ლაც არაფერი. სხვა ღროს მიეცემა
საშუალება გულში ნადების სათქმე-
ლად. ვიწრო წრეში მოხვდება და იქ
ეტყვის სათქმელ სადღეგრძელოს,
საამსუფროდ რომ ჰქონდა მომზადებუ-
ლი, კიდევ უფრო გაუღრმავებს, დახ-
ვეწს, გალამაზებს. აქ მართლაც უხერ-
ხული იყო, ამდენი კაცი ზის, ყველას
რომ ნახევარსაათიანი სიტყვა ათქმევი-
ნონ, ერთ კვირას ვერ მოათავებენ. თა-
მადის მერე რომ ეთქვა, მაშინ სხვა
იყო. ალავერდს არ გადასულან და რა



ქნას. არ გეგონოთ, თითქოს, პატივს არა სცემდნენ ხელმძღვანელები. ევროდოდ, ალექსანდრე მიხაილოვიჩი. აკაკიც ხომ მოჰყვება სადღეგრძელოში. აი, ნახავთ, თუ გამორჩეულად არ აღდგებადნენ თამადამაც და ბატონმა ალექსანდრემაც. როგორც ისინი მისცემენ გეხსა, სხვებიც ისე გაჰყვებიან, ზოგი მერე ჩაიქირქილოს თვალქუთაღს გივლამა, წელან რომ თავი ჩაელუნა და მხარმოფარებით კრეჭავდა კბილებს. განა ვერ შეამჩნია აკაკიმ. არც კი რცხვენია, მისი მამის ტოლი კაცია და პატარა ბავშვივით გაეხარდა აკაკის დანადგლიანება! სხვასაც რომ თვალს უქრავდა და აცინებდა?! ჰაი, თუ წავიბორძივდა ლიმონათის დირექტორის სკამი და ზურგზე ვაიშლართე, მერე ვნახოთ, ვინ იცინებს, შენა თუ აკაკი.

ალბათ, ამას ფიქრობდა მომხიარულებული ქრისტეფოროვიჩი.

თამადა ჯგუფურ სადღეგრძელოებზე გადავიდა. თხუთმეტ-ოც კაცს ერთად ადღეგრძელებდა. აი, იმ ჯგუფსაც მოუწია, სადაც აკაკი იყო გარეული. ორიოდ სიტყვით დაახასიათა თვითეული აკაკისაც შეხვდა ქება და უღრმესი მადლობა გადაუხადა თავდაკვრითა და გულზე ხელისდადებით.

ბატონმა ალექსანდრემაც ასწია ჭიქა, ორ-ორი, სამ-სამი სიტყვით გაახარა ვეხზე წამომდგარნი, სახელებით მიმართავდა, კარგს იტყოდა. აკაკიმდე რომ მივიდა. შეყოვნდა.

— იმ ამხანაგის გვარი დამავიწყდა! — ხნადაბლა უთხრა მეზობელს, მაგრამ აკაკის ყურამდეც მიაღწია და იწყინა, უხერხულად შეიმშუშნა.

— კოლერაშვილი, — უპასუხეს დაბლა ხმითვე.

— აა, გამახსენდა! — და ორიოდ სიტყვა იმისათვისაც გაათბო.

აკაკიმ მაინც დიდი მადლობა შესწირა.

ნაწყენი კი დარჩა. გვარიც კი დავიწყებიაო.

ეგეც არაფერია. ამ რაიონში ახალი მოსულია ბატონი ალექსანდრე და, რა

მოხდა, გამოჩნა. იქნებ სხვაშიც აერია. ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორი ტუპისცალივით ჭავს. შესაძლებელია, ანაზღად ვერ გავარჩია და იმიტომაც იციოთა გვარი.

კვლავ დაიარბენია გული და სიმხიარულეში ისევ აჰყვა მოქეიფებს.

ქეიფი გრძელდებოდა. აკაკისთან ალავერდები გაახშირეს. კარვად შექეიფიანებული სიამოვნებით პასუხობს ჭიქების კაყუნს, მაგრამ ყველას შემოთავაზებულს არა სვამს. ანგარიშში ვერ მოატყუებენ აკაკი ქრისტეფოროვიჩს. ამირანს კი ხასიათს არ გაუფუჭებს, მის მოთავაზებულს ბოლომდე სცლის. ეს დაიმსახურა ამირანმა აკაკისთან თავაზიანი მოპყრობითა და პატივისცემით, სწორედ მის საალავერდო ჭიქასა სცლიდა, როცა პატარა ბარათი გადასცეს. მყისვე გაშალა და ქურდულად წაიკითხა:

„ბატონო აკაკი, მაპატიე შეწუხებისათვის ერთი წუთითაც არ იფიქრო, თითქოს მე შენ მავიწყდებოდე. წელან რომ გვარი ვიკითხე, ეს სხვების თვალის ასახვევად იყო. მიმიხვები, ალბათ, ხომ იცი, რა ჭრელი ხალხია და ვერიდები, ეჭვი არ აღონ, რომ განსაკუთრებულ პატივსაც გცემ ჩემი სადღეგრძელო იმიტომ არ გათქმევიანე. ამ სიტყვების სემართლეში მალე დარწმუნდები, როცა თავისუფლად ვიტყვით ერთუთრთის სადღეგრძელოებს. ამაზე შემდეგ. ახლა კი ერთი სათხოვარი მაქვს: ვიცი სიმღერა გემარჯვება და ძალიან გთხოვ, ერთხელ მაინც გვასიამოვნო, საზოგადოების დაწყნარება ჩემზე იყოს.“

პატივისცემით
ალექსანდრე კახიშვილი“.

აკაკი ქრისტეფოროვიჩმა თვალს არ დაუჯერა. ერთხელ კიდევ გადაიკითხა გულდასმით და კმაყოფილების ნერწყვი გადაყლაპა. სიხარულის ფრთები გამოესხა. ვერ მოითმინა, მესამედაც ჩაიკითხა. რა მშვენიერი ხელწერა ჰქო-

გიორგი სოგუაშვილი
„უთამელი სადღეგრძელო“

ნიაო. დიდკაცებს ასეთი წითელი ფერით უყვართ წერაო. გაამყადა, სიგრძე-სიგანე მოემატა. მედიდურად გადასედა ახლო-მახლო მჯდომებს, ღრმად ამოიფშენინა. ამირანზე შეაჩერა მზერა, შეჰღიმა და თვალი ჩაუკრა. ამირანმა თავი მოიმიამიტა, ნიკაპი გააცანცარა, შეეკითხა: რა მოხდაო, აკაკიმ ვეღარ დამალა სიხარული, მოკეცილი წერილი გადააწოდა და ჩასჩურჩულა: თუ ემა ხარ, სხვას არ წააკითხოო! ამირანმა ცნობისმოყვარის იერი მიიღო და ზალულად წაიკითხა წერილი.

— სასიამოვნოა. ასეთი პატივი და ყურადღება აქ არავის ღირსებია!

— რას იტყვი, ვიმღერო?

— აბა, არაა?! — და წერილი დაუბრუნა.

აკაკიმ ერთხელ კიდევ მიმოავლო სუფრას დინჯი მზერა, დამცინავად გადახედა ჭუტალა გიგლას და როხროხა გრიშას და გუნებაში გაივლო: „აი, აი, თქვე საცოდავებო, ხომ ხედავთ, ძალადაც არ გაგდებენ“. მერე უფროსების მაგიდისკენ გაიხედა, ღიმილითა და კმაყოფილებით დაუბრუნა თავი. ეს დიდ მადლობასაც ნიშნავდა და სასიამოვნოდ მზადყოფნასაც.

რაკი კარგად შექეიფიანდნენ, ხმაურმა იმატა. თამადის ნათქვამი ინთქმებოდა თამამ სიმხიარულეში, მოქეიფეთა დაწყნარება გაჭირდა.

ალექსანდრე წამოდგა. წარბები მოილუშა, თვალეები მოიფიწროვა, წყენით მიმოიხედა და საყვედურით მიმართა:

— რას გავს აქაურობა, თავის შეკავება არ შეგიძლიათ?!

მოქეიფენი გაისუსნენ.

— მოვუსმინოთ ამხანაგებს! — თქვა და დაბრძანდა.

„ხალხი დამიწყნარა, რაღას ვუცდი!“ — გაუელვა აკაკი ქრისტეფოროვიჩს, ოღნავ ჩაახველა და სასიამოვნოდ მოიღერა ყელი. და დაიწყო კიდევ.

დარბაზში კვლავ აფხუჟუნდნენ.

ბატონმა ალექსანდრემ ქვედა ტუჩი ამობრიცა და უქმაყოფილოდ გააქნია თავი.

— მთვრალია, ალექსანდრე მისალოვიჩი, ეპატიება! — ბოდიშს ხდინდენ გვერდში მჯდომნი.

მომღერალი კი გულმოდგინედ განაგრძობდა:

„ოორი გუჟული მაქვს არ ვიცი, რომელს დავუდგე დარაჯააააა!“

— ბიჭო, შენს ენას რომ დაუდგე დარაჯად, ის არ გირჩევენია?! — გააწყვეტინა ბატონმა ალექსანდრემ.

მთელი დარბაზი ახარხარდა.

მომღერალს ენა დაუდუმდა. ვეღარც ავად იღებდა ხმას და ვეღარც კარგად მიწის ფერი დაედო. მიხვდა, რომ გააწბილეს ალექსანდრეს მაგიერ სხვამ მისწერა წერილი. ვინ იქნებოდა, ნეტავ! ეშმაკების ნათლული — ამირანი, ალბათ. ჰაი, დანამდვილებით ვიცოდე, წმ სავეე ბოთლს დაეწვდები და მეღრტ თავში ვთხლიშავ! მაგრამ იქნებ ის არ იყო. რა ვიცი, პატარძალივით წყნარად ზის და... — სავსე ჭიქას მიშტერებოდა აკაკი ქრისტეფოროვიჩი.

ამირანს კი დარბაისელი კაცის იერი მიელო. თითქოს იქ არაფერი მომხდარიყო, ყურადღებას არავის აქცევდათეთრი პურის ნაჭერი მოემარჯვებინა და შვე ხიზილალას აგლისავდა. ჯერ მარცხნივ გაიხედა ქურდულად, თავჩაქინდრულ აკაკის დაცქერდა, საუღვამეს კიდევებზე ირიბი ღიმილი დამჩნია, მერე მარჯვნივ მოიხედა, რაიმეწვეკომბინატის დირექტორზე შეაჩერა მზერა, ოქროს კბილი გამოიჩინა და თვალი ჩაუკრა.

— ჰი-ჰი-ჰი-ჰიიი! — წვრილი ხმით ჩაიკრუტუნა სქელ-სქელმა კაცმა.

მისი სიცილი ბევრს გადაედო.

თამაღა წამოიმართა, მრმდევნო საცლევტქელოსათვის ასწია სავეე სასმისი. წყრომის ღირსი კი იყო. იმას რომ თავიდანვე ჩრდილში არ მიეტოვებინა აკაკი ქრისტეფოროვიჩი, ამდენს ვერ გაუბედავდნენ ეშმაკისერთები, არც ბატონი ალექსანდრე აკადრებდა უხერხულ სიტყვას.

ხომ თავიდანვე ეთქვი, ბატონი ირაკლი სათამაღო კაცი არ არის-მეთქი.

●
დიდ, ცისფერ ბურთს
 ჰგავდა ბავშვობა...
და კიდევ იყო
 შარაგზა ერთი...
პატარა, თეთრი სკოლისაკენ
 გავრბოდიტ დილით,
მოგვტიროდნენ
 ლურჯთვალემა, ცელქი სიზმრები...
და ალბათ ჩვენი ბედნიერება
 თუ სურდათ ძლიერ,
იმ დიდ შარაზე
ცხენები
 განგებ
 კარგავდნენ ნალებს.

●
მთელი დამე
 ბიძაჩემი
 შფოთავდა
 ძილში...
ომში, მის გვერდით
 გასკდა ყუმბარა
და აი, უკვე
 ოცი წელია,
ტვინში ჩარჩენილ
 რკინის ნამსხვრევზე
ფეხს იტეხენ
 და ბორძიკობენ
 მისი
 სიზმრები...

●
ქალაქის ბაღში
ხელთათმანებს
 ქსოვდნენ დედები,
ბიჭები კი
 იჯდნენ სილაში
და აშენებდნენ
 ჩუმად გვირაბებს...



გაცემული ერთი გვირილა
 ცაში,
 როგორც ცისფერ სარკეში,
 მზესა ხედავდა...
 ...და ერთმა ბიჭმა
 იკითხა უცებ:
 „ნეტავ მერცხლებიც
 ნახულობენ
 საოცარ სიზმრებს?“

პატარები
 კითხვამ
 სულაც
 არ გააოცა

და თამაში
 მშვიდად
 განაგრძეს.

ოღონდ ერთი
 გაჩერდა.
 წუთით,

მზეს შეხედა
 და თქვა
 მეტად
 სერიოზულად
 და ნაღვლიანად:

„მერცხლებს
 სიზმრები
 რად უნდათ ნეტავ,
 ისინი ისეც
 ცაში
 ფრინავენ!“



თევზის პაჭარა



თევზის მალაზია „ცოცხლის“ პასუხისმგებელი გამყიდველი ჯანო კუხიანიძე თავის მეორე ნახევარს ესაუბრებოდა. მეორე ნახევარი ჭკუით, გამოცდილებითა და შესახედლობითაც სწორედ ისეთი დედაკაცი გახლდათ, როგორც შეეფერებოდა თევზის მალაზია „ცოცხლის“ გამყიდველს, — ჯანო კუხიანიძეს. ნუცა ჯანოსთვის მეორე მეორე ნახევარი იყო. პირველი მეორე ნახევარი ჯანოს ომში დაეკარგა. თევზისფერ ხალათში გამოწყობილი ჯანო დახლში იდგა და, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ცოლს ელაპარაკებოდა.

თევზის მალაზია „ცოცხალი“ თანამედროვე სარეკლამო სტანდარტების დონეზე იყო გაფორმებული. მინის ეიტრინებზე ათასგვარი ზომისა და ფორმის, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ერთნაირი სუნის, თევზი ეწყო. მწვანედშეღებილ აკვარიუმში ორი წითელი არსება საკმაოდ ზარმაცად დაცურავდა. აკვარიუმის გვერდით თევზით სავსე ორი დიდი კასრი იდგა. კასრში ყინულადქცეული თევზები ისე მჭიდროდ მიკვროდნენ ერთმანეთს, რომ მათი დაშორება თვით ჯანოსაც უჭირდა. ასე რომ, იგი თევზისმოყვარულ მუშტარს ზოგჯერ უბრალოდ მოიშო-

რება, „არ გირჩევ, არ ვარგაო“, ხოლო გაჯიუტებულ მყიდველს უხალისოდ უწონდა რკინის უროთი ჩამომტვრეულ თევზგარეულ ყინულს. ჯანოს ზურგს უკან, კედელზე, ორი წარწერა ეკიდა. პირველი: „თქვენ გემსახურებათ გამყიდველი ჯანო კუხიანიძე“ მეორე: „თევზი არ არის“. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიის ვიტრინები სავსე იყო თევზით, მომხმარებელს სავსებით აკმაყოფილებდა მეორე მოკლე და ლაკონური წარწერა. მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა — „თევზი არ არის“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისეთი თევზი არ იყო, როგორი თევზისთვისაც იგი მოვიდა. ბარემ აქვე ვამხებოდა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მომხმარებელი კარგ თევზს დაეძებს. ჯანო სწუხდა, რომ ვერაფრით ვერ ეხმარებოდა თავის მუშტრებს და ცრემლებს მალავდა, როცა მავანი და მავანი პატივცემული მოქალაქე ქალაქის თევზით მომარაგების მესვეურთა მისამართით ზრდილობიან საყვედურს გამოთქვამდა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. ჯანოს მაღაზიაში ზოგჯერ მოვიდოდა თევზი. „თევზი მოვიდა!“ ელვისისწრაფით მოედებოდა ეს სასიხარულო ცნობა „ცოცხლის“ მახლობლად ჩამწყვირებულ ორ და სამსართულიან სახლებს. მომხმარებლები გამობრბოდნენ ფლოსტებითა და პეჯამოებით, ორი დღის გაზეთებითა და თვითნაკეთი სათაგურებით ხელში. გამობრბოდნენ ისე და იქედან, როგორც და სადაც მოუსწროთ ცნობამ „თევზის მოსვლის“ შესახებ. აქლომინებული ბრბო ერთ წუთში გაავსებდა ჯანოს მაღაზიას, მაგრამ ახალი თევზის ნაცვლად მათ ხვდებოდა საბედისწერო წარწერა „თევზი არ არის“ და გულდაწყვეტილი გამყიდველი, რომელიც მონოტონურად იმეორებდა: „იყო... გათავდა“. ზოგჯერ აქ (და მხოლოდ აქ) ტყუილია ჯანო. ჯანო ერთ-ერთი უპატიოსნესი გამყიდველი იყო იმ მრავალრიცხოვან პატიოსან გამყიდველთაგან, რომელთა ნათელი სახეები კი-

დევ დიდხანს დაამშვენებენ ვაჭრობის დარგის მუშაკთა საპატიო დაფებს. ჯანო წონაში გრამს არ დაგაყლებდა, არასოდეს ცუდ თევზს არ შემოგატყუებდა. იგი სუფთა ხელფასზე ცხოვრობდა და თუ ზოგჯერ ცოტადენ თევზს გადაინახავდა, მხოლოდ იმათთვის, ვინც მისი ძველთაძველი მუშტარი იყო, ვინც თევზის სიყვარულში გამოცდილი და „წყლის დედოფლის“ თანმიმდევრული მომხმარებელი გახლდათ და რომ არ გავაზვიადოთ, ვისაც შეეძლო ეცხოვრა ბრინჯის ფაფისა და სიროფიანი წყლის გარეშე, მაგრამ უთევზოდ — არავითარ შემთხვევაში. აი, ვისთვის ინახავდა თევზს ჯანო კუხიანიძე. ინახავდა სრულიად უანგაროდ და უსასყიდლოდ.

შუაღლე იყო. ცხელოდა. სიციხე მთელი სისასტიკით უსვამდა ხაზს მაღაზიაში გამეფებულ თევზის სუნს. აქ ყველაფერს თევზის სუნი ასდიოდა. ფაქტურების შესანახ საქალაქისა და კედლის თერმომეტრსაც, რომელიც ყოველთვის $+15^{\circ}$ -ს უჩვენებდა. ჯანოსთვის თევზის სუნი სრულიად ბუნებრივი იყო, იგი წლების განმავლობაში ისე შეეჩვია ამ სუნს, რომ საპარიკმახეროში გული უწუხდა და სამმაგი ოდენალობით თვალეზამწვარი გულწრფელად მიმართავდა დალაქებს „აქ რა გაძლებინებთო“. ჯანოს მეორე ნახევარი ნუცა კი ვერა და ვერ შეეჩვია თევზის სუნს. იგი ქმრის მაღაზიაში შესვლისას პიტნის წყალში გავლებულ ცხვირსახოცს იფარებდა პირზე და მალე სტოვებდა გაყინული თევზების გამოფენას. ნუცას თევზი არ უყვარდა, მაგრამ უყვარდა ქმარი და, როგენსენებათ, ქმრის მოყვარული ქალები ზოგჯერ უფრო დიდ სიძნელეს არ უშინდებიან, ვიდრე მეთევზის ცოლობა გახლავთ. მაგრამ ახლა, გასაგეზი მიზეზის გამო, ნუცა ვერც კი გრძნობდა თევზის სუნს, იგი ვერც მაღაზიის მოშლილი ვენტილატორიდან მობერილ სულისშემხუთველ ნიავს გრძნობდა, ნუცა შემოფოთებული იყო. მისი ქმა-

რი, თევზის მალაზია „ცოცხლის“ სა-
ნიმუშო გამყიდველი, დამსახურებუ-
ლი დახლის მუშაკი, ჯანო კუხიანიძე,
რალაც უჩვეულოდ, ცოტა არ იყოს
არეულად და ყოველ შემთხვევაში ნუ-
ცასთვის სრულიად გაუგებრად ლაპა-
რაკობდა.

— აღარ შემიძლია, გელაპარაკები,
თავი მომბეზრდა გელაპარაკები, გე-
ლაპარაკები ხანდახან იმნაირ ჰქუაზე
ვარ, მოვეუქიდებ ცეცხლს და ვადავ-
წვავ ამ უპატრონო მალაზიას, — ისე-
თი ხმით ამბობდა ჯანო, რომ მისი ხმის
ამპლიტუდა ჩურჩულიდან ყვირილამ-
დე აღიოდა და მერე ისევ, თითქოს
ვიღაცას ნათქვამს უმაღავსო, გაბრა-
ზებულ, სისინისმსგავს ჩურჩულზე ჩა-
მოდოდა.

— რა მოგივიდა? — უკვე მერამდე-
ნედ, გაბზარული ხმით და გაოცებისა-
გან ფაფართოებული თვალებით ეკითხე-
ბოდა ნუცა.

— გელაპარაკები, სისულელეა ყვე-
ლაფერი. მთელი ცხოვრება სხვისი, ვი-
ღაცის მაგივრად მაქვს გატარებული.
გელაპარაკები, ყოველთვის ვიღაცის ად-
ვილს ვაძღვენ, გელაპარაკები და ჩემი
ადგილი ქე მაქვს უპატრონოდ მიგდებ-
ულო.

— რაი გაქვს მიგდებული?

— რაი და ჩემი ნიჭი და მოწოდე-
ბა.

— რასი მოწოდება?

— გელაპარაკები, ხანდახან ისე მო-
მაწვება ჯავრი გულზე, რომ ცრემლები
მომდის, გელაპარაკები, ვისვამ
თვალში თევზიან ხელებს, ხალხმა არ
გეიგოს-თქვა. რატომ უნდა მომსგლო-
და მე ასე. რალა მე უნდა შემქამოს ამ
აქოთებულმა თევზმა. ამას გოდოლუშენ-
და მომგონი.

— თქვი, კაცო, რა გინდა.

— რა მინდა და ბუის კვერცხები. შენ
ძან მიხედები რა მინდა. გელაპარაკე-
ბი, თუ მე ჩემს გემოს არ გავატარებ,
თუ მე, გელაპარაკები, ჩემს ჭიას არ გა-
ვხარებ, შავად ჩოუარია ყველაფერი.

— გაგიუდი, კაცო, შენ? — ცოტა

ხმამალა გამოუვიდა ნუცას, ცოტა
ხმამალა, თორემ ისე სრულიად, ლო-
გიკური კითხვა იყო, ხომ მართლა უც-
ნაურად ლაპარაკობდა ჯანო?

— გავგიუდი ხო, მოიტანე ბაწარი და
მიმაბი ხეზე. კი არ გავგიუდი, ქალო,
გელაპარაკები, დავლბი და ავყროლდი
კაცი, თევზი არაა ჩემი საქმე!

— აბა რა არის შენი საქმე? — ტი-
რილით ჰკითხა ნუცამ. ნუცას იმედი
რჩებოდა, შეიძლება მთლად დაღუბუ-
ლი არ ვარ, შეიძლება კიდევ მობრუნ-
დეს ამ ქვეყნისკენო.

— რა არი და არტისტობა.

— რაი?!

— არტისტი ვარ მე. გელაპარაკები,
ბავშვობიდან ამის ნიჭი დამყვა. ყო-
ველთვის ვატყობდი ჩემს თავს. მერე
ამერია ცხოვრება და სხვაგან გადამაგ-
დო იღბალმა. თვარა ვინ იყო შალვა
მეტრეველი. ან ვარლამ მეტურიაშვილი.
რას მოვიდოდა ჩემთან იპოლიტე ჩი-
ქვინიძე და პარმენიი მიქიაშვილი. კი-
თხე თუ გინდა.

— რა ვკითხო?

— რაი და ერთად გევიზარდეთ
ქვენ. მერე მაგენი თეატრში მივიდნენ
პირდაპირ და ხალხი გახდნენ. მე, გე-
ლაპარაკები, თევზის აქოთებული ბო-
ქვა დავიმხვე თავეზე და სანამ კისერში
არ ამომივიდა, არ გამხსენებია, რომ
ჩემი ადგილი სხვაგან იყო.

— რა არტისტობის ნიჭს ატყობ ამ-
ნაირს შენს თავს? — ჰკითხა ნუცამ.
(ამ შეკითხვას, ერთი შეხედვით, ჰუმო-
რული ხასიათი აქვს, მაგრამ რეალის-
ტის კეთილსინდისიერებას გეფიცებით,
ნუცა სრულიად სერიოზულად ეკითხე-
ბოდა).

— რას ვატყობ და გელაპარაკები,
ნახევარჯერ იქ ვარ ფიქრებით, სცენა-
ზე, ხომ ხედავ, თითო წარმოდგენას
ათჯერ ვნახულობ. ყველა როლი ზე-
პირად ვიცი. ხანდახან ვავალ უკან, სა-
წყობში და მონოლოგებს ვკითხულობ.

რევაზ მიწველაძე
მოთხრობები

მივაწყობ ერთმანეთზე ორ-სამ მონო-
ლოგს და შემოვბრუნდები ისევ. მერე
კაცი ვარ, ხასიათიც მეცვლება და ყვე-
ლაფერი მიხარია. ცოტა ხანში, გელა-
პარაკები, ისე მომიარს, გავალ სა-
წყობში და სანამ არ წავიკითხავ სა-
ოთხ მონოლოგს, სულს ვერ ვითქვამ.
იცი შენ ეს ამბავი? არ იცი, ვესმის
რამე შენ? მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

— რა ვქნათ აბა? — სასოწარკვეთი-
ლი ხმით ჰკითხა ნუცამ.

— რა ვქნათ და ხვარ მივაკლავ თავს.
აღარ შემიძლია, გამისკდა გული. ხვალ
ვანებებ თავს თევზეულობას და თე-
ატრში ვიწყებ მუშაობას.

— ვინ მიგიღებს?

— ქვეყანას ვიცნობ, რამედ ხომ მი-
იღებენ. შევედმერთები დირექტორს.
სცენის მუშად რაღა არ ვივარგებ,
ცოცხალ დეკორაციად რაღა არ ვივარ-
გებ. იქანა ვიქნები, იქანა ვიტრიალებ,
მერე ყველა დაინახავს ჩემს ნიჭს და
ყველა მომხედავს. ასე იწყებს სუყვე-
ლა.

— ჯანო, — ხელოვნებისადმი მსხვერ-
პლად შეწირული უდანაშაულო ქალის
შორეული ხმით ჩაილაპარაკა ნუცამ —
ჰამა? ხომ მოვკვდით მშვიერი.

— რასაც აქ მაძლევდნენ, იმდენს
იქაც ქე გამოვალ. მოპარვით, ხომ ხე-
დავ, არც აქანა მომიპარავს რამე. და
ზოგადად გელაპარაკები, ხომ მუშაობს
და ხომ ცოცხლობს თეატრში ხალხი.
ბოლოს და ბოლოს, ჰამა ხომ არაა მთა-
ვარი.

— ჰამა არაა მთავარი, მარა, დავ-
ფიქრდეთ ცოტა, ჯანო, მე ძალიან მე-
შინია ამ საქმის.

— ამ შიშმა მომკლა მე. გელაპარა-
კები, გამიმართლებს, ვატყობ ჩემს
თავს. ასე აღვილად ვერ გადამახტე-
ბიან. ჩემი ტანის კაცი, არ დაიკარგე-
ბა თეატრში.

...ძმომე ფიქრებში წასული ნუცა ისე
ფრთხილად აბიჯებდა ასფალტს, რომ
კაცს ეგონებოდა, თევზის გამყიდველის
უპრეტენზიო ცოლი მტვრიან ქუჩა-
ზე კი არა, მამაზეციერის ხორბლის-

ფერ ნოხზე მიაბიჯებსო განსაზღვრე-
ლის საკუთრებელისავენ. ქუჩა, სადაც
იყო ორივე სქესის მოქალაქეები,
რომლებიც ენერგიულად მიეშურებო-
დნენ იქით, საითკენაც სურდათ. ქუჩა-
ში შეხვდებოდით ჩიფჩიფით მიმავალ
ბებრებსაც, რომლებიც საპენსიო კო-
მისიაზე მიიჩქაროდნენ და გზაში მე-
რამდენედ იმეორებდნენ საკუთარ ავ-
ტობიოგრაფიას (რომ არ დაეწიწო-
დათ). ქუჩაში შეხვდებოდით საკბი-
ლისფხვნილო ინსტიტუტის სტუდენტ
ვაჟებსაც, რომელთაც მხარზე ხელი
გადაედოთ თავიანთი მომავალი მეო-
რე ნახევრებისთვის და ყვავილებდაპ-
ტკენილი პარკის იმ მოფარებული მერ-
ხისკენ მიიჩქაროდნენ, რომელიც თი-
თქმის ყოველთვის დაკავებული იყო
მათივე სულეირი კოლეგების მიერ.



„ჰამლეტის“ მეორე მოქმედების მე-
ორე სურათი საცაა დაიწყება.

დასის გამგემ აბესალომ კვირკველიამ
მსახიობთა მოსაცდელში ზარი ააქლა-
რუნა.

— ბატონო ვარლამ!

ვარლამი ფანჯარასთან დგას და პო-
ლონიუსს ჰკითხავს მარდალეიშვილის
ქელეხის ამბავს უწყება.

ვარლამი — არ აეწყო და არ
აეწყო სუფრა. რა მექნა მე, არ გამოვი-
და. ისე სხვამხრივ ყველაფერი კარგად,
ბედნიერად... მაგი, ხომ იცი, არ შეეშ-
ლებოდათ, მარა, არ აეწყო სუფრა და
რა მექნა მე?

პოლონიუს — შეავე იყო, ბიჭო,
ბუავე?

ვარლამ — წითელი კაბუსტო.

პოლონიუს — ფხალი იყო ბიჭო,
ფხალი?

ვარლამ — კევერა.

სასოწარკვეთილმა დასის გამგემ ზედ
ყურთან მიუტანა ზარი მოსაუბრეთ.

— რა იყო, ბიჭო? — ცოტა არ იყოს
ამრეზით ჰკითხა როზენკრანცმა.

— მესამე ზარია, ბატონო.

— რა გავა ახლა ამ სიცივეში, გოდოლშენდაყენ პატრონი!

— ვისზე ბრძანებთ, ხელმწიფეო?

— ვისზე და ხალხზე, რამ მეიყვანათ ამ თავსხმაში.

— სიცივე მართლა 'კია სცენაზე, — ჩაილაპარაკა პოლონიუსმა და ხუთ ადგილას დაკერებული შავი მანტია წელზე შემოიხვია.

— უბერავს სცენაზე, ხომ იცი შენ, — დაეთანხმა გილდენსტერნი.

— ალიოშა ტურძელაძე ძან ჩივა ჩვენს ფილტვებს.

— რა ქნას ალიოშამაც, — საუბარში ჩაერია მოახლოებული დედოფალი და სიცივისაგან მკლავზე წამოშლილ ბუსუსებს ხელისგულები აუსვჩამოუსვა.

— რა ქნას და უჩივლოს გათბობას, — დაიქუხა ხელმწიფემ.

— სად უჩივლოს?

— დამწვარ სუღში, რა ვიცი მე სად უჩივლოს, ავად რომ გავხდე და ჩაგწვე ლოგინში, მაგი მირჩენს ხუთ ზოვს? უპატრონოა ეს თეატრი, ხომ ვთქვი, არ ყავს თეატრს პატრონი, ამას ვიტყვი სადაც გინდა, თუ გამაგდებენ, გამაგდონ, — არც ისე ხმამალა თქვა ხელმწიფე-იმპერატორმა და თან ყოველშემთხვევისათვის მიიხედ-მოიხედა.

ხელმწიფე, დედოფალი, როზენკრანცი, გილდენსტერნი და ამაღა სცენაზე უკმაყოფილო ბუზღუნით განლაგდნენ.

ამასობაში კულისების რკინის მოაჯირს ზურგით მიყრდნობია ჯანო კუხინიძე და გულხელდაკრეფილი გაპყურებს ილუმინატორის შუქით და მტვრით გადათეთრებულ სცენას. ჯანო წამდაუწუმ იმეორებს:

„პოლონიუს

ხომ კარგად ბრძანდებით, ხელმწიფის შეილო?

ჰამლეტ

მადლობა ღმერთს, კარგად გახლავართ.

პოლონიუს

მე ვეღარ მცნობთ შეილო?

ჰამლეტ

ძალიან კარგადა გცნობ, შენ თევზის ეპიკარი ხარ.

პოლონიუს

არა, ბატონო.

ჰამლეტ

მაშ ნეტა იმისთანა პატიოსანი კაცი იყო“ — იმეორებს ამ სიტყვებს ჯანო და თანაც პროექტორის ჩამქრალ ხახაში ზოგჯერ თავისთავსაც შეათვალეირებს. კაცმა რომ თქვას, ძალიან მოუხდა ჰამლეტის გრიმი და სამოსი. არც ელოდა ჯერ ამხელა წარმატებას. პირველი მოქმედება სიცილ-ხარხარში წავიდა. მოსწონს ხალხს ჯანო და რა ქნას ჯანომაც. ცოტა უხერხულად კი გრძნობს თავს შალვა მეტრეველთან და ვარლამ მეტურიშვილთან, ვერც იპოლიტე ჩიქვინიძეს და ენვერ ქელბაქიანს უსწორებს თვალს, ასე მალე რომ წავიდა წინ და დამსახურებულ მსახიობებს თითქმის პირიდან რომ გამოაცალა მთავარი როლები, მაგრამ რა ქნას ჯანომაც. ეყო რაც ითმინა. ამხელა ნიჭის კაცი თექვსმეტი წელი თევზს ჰყიდდა; თექვსმეტი წელი ცოტა ჰგონიათ მაგათ?

სინათლის მწვანე წრეში პოლონიუსი შემოდის და მისთვის ჩვეული სიღინჯით ამბობს:

არ ვაზვიადებ, დედოფალო, ღმერთმა ხომ იცის —

ის ვიფი არის, თქმა არ უნდა, ეს მართალია და მართალია, რომ ეს მეტად სამწუხაროა და სამწუხარო არის ისიც, რომ მართალია...

მერე ხელმწიფე და დედოფალი ხელებს ასავსაებენ და საწოლი ოთახის კარებში დგებიან, ხელმწიფე ისეთ სერიოზულ სახეს ღებულობს, თითქოს შეწუხებულია ჰამლეტის ავადმყოფობის შეტყობით. სასახლეში, შანდლე-

რავა მიხვალაჟი მოთხრობები

ბის ირგვლივ, სქელი მტვრის ბრწყინვალე ბურთულები ირევინ. პოლონიუსმა მუხლებზე დაირტყა ხელი და ჯანო კუხიანიძე წიგნის კითხვით გავიდა სცენაზე.

პოლონიუს — როგორა ბრძანდებით, ხელმწიფის შვილო?

ჰამლეტ — მადლობა ღმერთს, კარგად გახლავართ.

პოლონიუს — მე ველარა მცნობთ, ხელმწიფის შვილო?

ჯანომ თავი აიღო. მისი არც თუ მაინც და მაინც მრავლისმეტყველი მზერა მიწვდა შალვა მეტრეველ-პოლონიუსის ძალად მოღუშულ სახეს და გაახსენდა, რომ პოლონიუსმა დღეს ადგილკომის საწვევოს გადახდაზე უარი თქვა, ექსკუსისაზე ვინც დაგყავთ, საწვევროც იმან იხადოსო. სინამდვილეში კი ჯანომ თავისი ყურით გაიგონა, რომ შალვა მეტრეველმა ექსკუსისაზე წასვლის უარი გუშინ თვითონ განაცხადა; სათაფლიაში ყოველ წელიწადს ხუთი ექსკუსისა სწორედაც ამოვიდა კისერშიო. ჰამლეტმა სცენის კუთხეში თვალი ჰკიდა პარმენ მიქიაშვილ-გილდენსტერნს, რომელმაც გუშინწინ გარდერობიდან ივანე დიდებულის („გაყრა“) ფრაკი უნებართვოდ წაიღო და ჯერაც არ დაუბრუნებია. ჯანოს მსახიობური ერთფეროვნებით უღიმის ქეთევან ლორთქიფანიძე — დედოფალი, რომელმაც თეატრშივე მეოთხე ქმარი გამოიცვალა და თავის ყოფილ ქმრებს ყოველთვის ერთნაირად, უბედობით გამწარებული ქალის წუწუნით ელაპარაკება. სწოლი ოთახის კარებში დგას ვარლამ მებურაშვილი — მეფე, რომელსაც სცივა, რადგანაც უბერავს. მეფეს ხუთი შვილი ჰყავს სარჩენი და მოხსნის ეშინია თორემ...

— მე ველარა მცნობთ, ხელმწიფის შვილო? — გაიმეორა პოლონიუსმა.

ჰამლეტი ხმას არ იღებს.

— ხელმწიფის შვილო, ველარა მცნობთ?! — თითქმის იყვირა პოლონიუსმა.

ჯანო ხმას არ იღებს. ჯანო გამოითი-

შა. ჰამლეტს ყველაფერი დაავიწყდა. იგი სცენის შუაგულში დგას და უნდა თოდ ათვალეერებს დეკორაციებს, რომ იცის, რომ მსახიობია, რომ ახლა პოლონიუსს რეპლიკაზე უნდა უპასუხოს, მაგრამ მას დაავიწყდა, რა სპექტაკლი მიდის და, რა თქმა უნდა, დაავიწყდა, ვის თამაშობს თვითონ. მაყურებლები იმშუშნებიან. სცენა გრილდება. დასის გამგე აბესალომ კვირკველია ლამის გაგიჟდეს.

— ხელმწიფის შვილო! — დააქუხა პოლონიუსმა.

— ბატონო! — პასუხობს ჰამლეტი. პოლონიუსი ადგილს მოწყდა, ჯანოს ორი ნახტომით მიუახლოვდა, ბეჭებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია.

პოლონიუს — მე ველარა მცნობთ, ხელმწიფის შვილო?!

ჯანო ხმას არ იღებს. შუბლზე დგარად ჩამოსდის ცივი ოფლი, რომელსაც ნელ-ნელა კისერში ჩააქვს ჰამლეტის აშვილდული წარბები და ცისფრად ამოღამებული თვალის ქუთუთოები.

— „ძალიან კარგადა გცნობ, შენ თევზის ვაჭარი ხარ!“ — ლამის არის მთელ დარბაზს გააგონოს მოკარნახემ.

ჯანო დუმს. ხელმწიფე, დედოფალი როზენკრანცი, გილდენსტერნი და ამაღა ჰამლეტს გარს შემოერტყნენ და ყველანი ერთად კითხულობენ:

— ძალიან კარგად გიცნობ.
— გიცნობ-თქვა.
— ნუ გეშინია, თქვი.
— აბა ჰე, შენ თევზის ვაჭარი ხარ-თქვა.

— ვაჭარი!
— თევზის!
— თევზის-თქვა!
— ამოიღე ხმა!
— ჰამლეტი ხარ, ხომ იცი.
— თევზი!
— თქვი რამე, შე უბატრონო. — ჰამლეტი ხმას ვერ იღებს.

სცენა გაცივდა. მაყურებელი დარბაზს ტოვებს. სიბრაზისგან გალურჯებული მსახი-

ობები კბილების ღრქიალით გადიან სცენიდან.

— ნუ წახვალთ, ცოტა მაცალეთ, დავიბენი და დამავიწყდა, რა მოხდა მერე, თქვენ არაფერი არ შეგშლიათ?

— შეშლის რომ გვეშინია, იმიტომ ვართ დასის გამგეები და თევზის ვაჭრები! იმიტომ ვეტყვით ჩვენ ჩვენს ადგილას! — ბლავის აბესალომ კვირკველია და პამლეტისაკენ უშველებელი ბუტაფორული ნაჯახით მორბის.

— არ დამარტყა! — იყვირა ჯანომ და თავი ლეიბის ქვეშ შეტენა.

— ჯანო, მე ვარ, აგერ ვარ, ნუ გეშინია! — გაჰყვირის სასოწარკვეთილი ნუცა და ლეიბის ქვეშიდან ქმრის გამოთრევას ცდილობს.

ეჭვი

ალექსანდრეს ბაღში დიდი ფორუმია. სამას ოთხმოცდაცხრამეტი წლის ჭადრის ჩრდილქვეშ თავი მოუყრიათ ნორვეგიელი მეცნიერის ტურ ჰეიერდალის „კონტიკით“ მოგზაურობაზე სრულიად განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანებს და საქმეს შედგომიან. საქმე კი (რომელსაც ისინი შედგომიან) საკმაოდ რთული და, თუ გამოჩაყლისებს მხედველობაში არ მივიღებთ, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა გახლავთ. სამას ოთხმოცდაცხრამეტი წლის ჭადრის ჩრდილქვეშ, ალექსანდრეს ბაღში, ბინის საკითხები წყდება. თუ საბინაო პრინციპით დავყოფთ, აქეთ მოეშურებიან ძირითადად ორი კატეგორიის ადამიანები: ბინიანნი — ესე იგი ისინი, ვისაც მათთვის სრულიად გარკვეული მიზეზის გამო, გადაუწყვეტილთ ბინის გაყიდვა, გაგირავება ან გაჭირავება და უბინაონი — ესე იგი ისინი, ვისაც ბინის ყიდვა, დაჭირავება ან დაგირავება განუზრახავს. ჩვენ შეგნებულად არ ვჩერდებით თვით ბინაზე, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველმა, რომელსაც ბინასთან ერთხელ მაინც ჰქონია საქმე,

მერე ყველაფერი მშვიდდება. მაშლები ყვირიან და ქმარი შიშისაგან გაქაღარავებულ ცოლს საშინელ სიზმარს უამბობს.

მეორე დღეს თევზისფერ ხალათში გამოწყობილი ჯანო დახლს დაყრდნობდა და სრულიად დაწყნარებული ძვლებით შესცქეროდა, მწვანედშელებილ აკვარიუმს, რომელშიც ორი წითელი არსება საკმაოზე უფრო ზარმაცად დაცურავდა. ჯანოს ზურგს უკან, კედელზე, ორი წარწერა ეკიდა. პირველი „თქვენ გემსახურებათ გამყიდველი ჯანო კუხიანიძე“, მეორე — „თევზი არ არის“..

მშვენივრად იცის, რომ ბინა ფასის მიხედვით სამგვარია: ძვირი, შეღავათფასიანი და იაფი. სინათლიანობის მიხედვით: მზიანი, ნახევრადბნელი და ბნელი, სივრცეში მდგომარეობის მიხედვით ლიფტისანი, ნახევრადსარდაფი და სარდაფი. ზოგიერთები ბინის კლასიფიკაციას ახდენენ აგრეთვე ჭერის სიმაღლისა და საცხოვრებელი ფართის მიხედვით, მაგრამ ჩვენ ასეთ ცალკეულ შემთხვევებზე არ შევჩერდებით, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ბევრი მკვლევარის მოსაზრება ამ საკითხში საკმაოდ მიგვაჩნია. თანაც კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ნოველის ავტორს პატივცემული მკითხველი ისეთ ადამიანად მიაჩნია, ვისაც, ერთხელ მაინც ჰქონია ბინასთან კავშირი, თორემ ასე რომ არ ვფიქრობდეთ, ხომ ყველას მოეხსენება ცნობილი არგენტინული ანდაზა: „ადამიანი თავშესაფრის გარეშე (და იმ სურვილის გარეშე, რომ თავშესაფარი იმოვოს) ნახევრად ცხოველია“. და ამგვარ

რეზა მისველაძე
მითხრობავი

არსებას კი, ასეთი საეჭვო მხატვრული ღირებულების კი არა, ყველაზე უკეთესად დაწერილი ნაწარმოებაც ვერ ააღელვებს.

ალექსანდრეს ბაღში, ბინის უშუალო მყიდველ-გამყიდველთა გარდა, არსებობს ადამიანთა მესამე კატეგორიაც. ისინი, შუახანს გადაცილებული, საკმაოდ ბუნდოვანი წარსულის მქონე მოქალაქენი, ფრიად კეთილშობილურ საქმიანობას ვაუტაცენია; სრულიად უსასყიდლოდ, წმინდა საქველმოქმედო ინტერესით ეხმარებიან ჭადრის ქვეშ შეკრებილთ. და საოცარი სწორედ ის არის, რომ ერთნაირი ხალისით ეხმარებიან ორივე მხარეს — ზინიანებს და უბინაოებს. ეს მათ ხელშია, ერთ, ორ, სამ და ოთხოთახიანი ბინები, — ლოჯიით თუ ულოჯიოდ, ბუხრით თუ უბუხროდ, ცალკე შესასვლელით თუ საერთო საშარეულოთი, ვაშლებიანი ბაღით თუ აუტანელი მენობლებით. ეს მათი უნაგარო მეცადინეობის შედეგია, რომ ადამიანები ყიდიან და ცვლიან ბინებს, აქირავებენ და აგირავებენ საკუთარი თუ საერთო სათავსოებით. ამ ჭარმაგ მოხუცებს სრულიად ახალგაზრდული სახელი „კამკვლევები“ ჰქვიათ. გზამკვლევებს ყოველთვის უამრავი საქმე აქვთ და ერთმანეთი ძალიან უყვართ.

შუაღლე გადასული იქნებოდა, როცა საბინაო ბირჟას საშუალოზე დაბალი ტანის, ჭრელ ბუკლეს პიჯაკსა და ღია ბწვანე შარვალში გამოწყობილი უცნობი მიუახლოვდა. უცნობმა აღმაცერად წასული, ყავისფრადგამოხუნებულ ჰალსტუხი შესწორა და შორიახლო გაჩერდა. მერე ისე უხალისოდ შეაკერდა მის წინ სექტასავით მორიალე ბრბოს, რომ დაკვირვებული კაცი მის თვალებში ამოიკითხავდა: გარემოება რომ არ მაიძულებდეს, აქ მომსვლელი არ ვიყავიო.

ცხელოდა. უცნობმა ჯიბიდან ალუმინისქეწკვინი პაპისეული საათი ამოიღო და საეჭვოდ დახედა. მეორე ჯიბიდან მოჭა-

დრაკული ცხვირსახოცი ამოიღო და კისერში გულმოდგინედ ჩაიფინა. არა, ნორმალურად გრძელი ცხვირი და ზედ უსაშველოდ ამოხული შავი ბალანი რომ არა, უცნობი არაფრით არ განსხვავდებოდა ჭადრის ძირში თავმოყრილი სრულიად ჩვეულებრივი ადამიანებისაგან.

უეცრად, უცნობმა, ხელის საეჭვო მოძრაობით, კისრიდან მოჭადრაკული, პოლურჯო-მომწვანო ცხვირსახოცი ამოიღო და მარჯვენა ჯიბისკენ გააქანა, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით მიმოიხედა, ჩაახველა და ბრბოს შეერიო. მის ყურს ერთბაშად მოასკდა ყოველი მხრიდან ნიაღვარივით წამოსული საბინაო დიალოგები:

- გაცვლა გაქვს?
- არა.
- აბა რა გაქვს?
- გაყიდვა.
- შორს არის?
- მეცამეტე მასივი, წახვალ?
- რა ფართობია?
- ორი ოთახი.
- მე სამი მინდა.
- მეცამეტე მასივში წახვალ?
- ვერა, შორია.
- ახლოს, აგერ მაქვს ვაკეში.
- რამდენიანი?
- სამიანი.
- ძვირია?
- ძალიან იაფი.
- არ მინდა.
- შენ ხომ სამიანი გინდოდა?
- არა, ორიანი.
- კაცო, ახლოს არ გინდოდა შენ სამიანი? ახლა არ თქვი, იმ წუთში?
- არა, რაც შეიძლება შორს მინდა, ძვირი და ერთიანი.

- გაცვლა გაქვს?
- გირაო.
- გაცვლა არა გაქვს?
- არა.
- „ატსტუპნოი“?
- არც „ატსტუპნოი“.
- ეგება გაქირავება გეგულება სადმე?

- არა.
- აბა რა გაქვს, კაცო, შენ?!
- გირაო.
- ...
- ქირით ხომ არ ეძებთ?
- კი.
- რამდენი ხართ?
- ორი.
- სტუდენტები ხართ?
- არა.
- აბა ვინ ხართ?
- სტუდენტები არ ვართ.
- მაშ ვერ მიგიღებთ.
- რატომ?

— მე ოთახს ვაქირავებ, მაგრამ ვეძებ ორ მდგმურს, თანაც სტუდენტები არ უნდა იყვნენ.

— ოო, ვეთქვა, შე კაცო, თავიდან.

...

უცნობი ხან ერთ ჯგუფს მიუახლოვდება და ხან მეორეს; ყურს უგდებს. როგორც კი კამათი მისთვის არასაინტერესო სახეს იღებს, საექვო ნაბიჯებით შორდება იმ ჯგუფს და სხვა ჯგუფთან მიდის. ეტყობა, უცნობი რაღაცას ეძებს, რაღაცით დაინტერესებულა. იგი საუბარში თითქმის არ ერევა, მაგრამ რადგანაც პაპისეული ალუმინისძეწვიანი საათი მუხანათური სისწრაფით მუშაობს, იგი თავს ანებებს პასიურ პრაქტიკას და ზედ ჭადრის ძირში, სამფეხა სკამზე მთვლემარე მოხუც გზამკვლევს ჯიქურ მიმართავს.

- ხომ არ აქირავებს ვინმე, რამეს?
- რას ხომ არ შვრება?
- ხომ არ აქირავებს.
- ვინ?
- ვინმე.
- რას?
- ოთახს.

გზამკვლევმა თავი ასწია. მას საფეთქლებზე შერჩენილი გაურკვეველი ფერის თმები აქვს და უბეებში ღრმად ჩამჯდარი, წვრილი და ჭროლა თვალები. იგი ერთხანს გამომცდელად შესცქერის უცნობს, მერე ერთბაშად

ზურგს შეაქცევს და კრილოხანს ნერვიულად მარცვლავს.

— ძია კაცო, მე თქვენ გკითხეთ, გაუბედავად ეკითხება უცნობი გზამკვლევს.

გზამკვლევით მობრუნდა.

— რა გკითხეთ?

— ბინას ხომ არავერს აქირავებს მეთქი.

— რომელ ბინას?

— ოთახს.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობმა საექვო მოძრაობით თავი მოიფხანა. გზამკვლევით ყოვლისმიმხედარი კაცის იერით წამოდგა, უცნობს გაუღიმა და ტბილად უთხრა:

— არ ვიცი გენაცვალე, მე არაფერი არ ვიცი, ხომ ხედავდი, ჩემთვის ვიჯექი, ვისვენებდი და ახლა წავალ სახლში. ჩვენნიარ ხალხს კი არ უნდა სდიოთ. აქ ჩვენ, საერთოდ, ა, რასაკვირველია, დავისვენე და ახლა წავალ ოჯახში. ორი შვილი მყავს, ერთი წელს ამთავრებს იურიდიულს. მე, ისე ვიჯექი, არაფერი საქმე არა მაქვს. ახლა მივდივარ სახლში, ჩემს ბინაში, კარგად მენახე, სულ კარგად და, რასაკვირველია, ჩვენნიარ ხალხს არ უნდა სდევნიდეთ.

გზამკვლევმა უბეებში ღრმად ჩამჯდარი წვრილი და ჭროლა თვალებით ერთხელ კიდევ აათვალიერა-ჩაათვალიერა უცნობი და თავისი კოლეგებისკენ გაიქცა, რათა მათთვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ეცნობებინა.

გახანგრძლივებული სწავლების ფაქულტეტის სტუდენტი მამია ხახალეიშვილი სახლის პატრონის მიერ ნათხოვებ მონჯდრეულ ტახტზე იწვა და შთაგონებული თვალებით ჭერს შესცქეროდა, როცა მასთან ქალბატონი ქეთევანი შევიდა და წიგნებისკარა-

რეზა მიშველაძე
მოთხრობები

დადგადაკეთებული ფანჯრის რაფასთან გაჩერდა.

— სახლში ხარ მამია, შვილო?

— სახლში ვარ, დეიდა ქეთევან, მობრძანდით.

მამიას ცოტა არ იყოს ეუცხოვა ქეთევანის სტუმრობა, რადგანაც ბინის ქირას იგი ყოველთვის დროზე იხდიდა და ამ სახლის მდგმურთა შორისაც შეგნებული დისციპლინით ყველასაგან გამოირჩეოდა.

— მამია, შვილო, — მეორე სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქალბატონმა ქეთევანმა. — შენ ცხრა წელიწადია ჩემთან ცხოვრობ.

— დიახ, დეიდა ქეთევან.

— მამია, შვილო, როდის ამთავრებ შენ, ახლა რამდენი დაგრჩა კიდევ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, დეიდა ქეთევან.

— რატომ ვერ მეტყვი, მამია, შვილო?

— რატომ და ხანდახან ვიტოვებ საგნებს. ზერელე ცოდნით არ მინდა გავიდე. ღრმად ვეუფლები და ამიტომ თითო კურსზე ორ-ორი წელი ვზივარ.

— მამია, შვილო, რახან ასეა, არ გეწყინოს დეიდა.

— რა უნდა მეწყინოს?

— რა, მამია, შვილო და, მეტს ვეღარ გაგაჩერებ დეიდა ჩემთან. კი ბიჭი ხარ, წესიერი, ზრდილობიანი, მარა დღესვე უნდა იქირავო ბინა და აწი სხვაგან უნდა გადახვიდე. სხვაგანაც იყავი ცოტა ხანს.

— რატომ დღესვე, დეიდა ქეთევან?

— რატომ, მამია, შვილო, და ჩემს ძმისშვილს ველოდები, დღეს ჩამოვა, ავერ ორ საათში და ის უნდა დავაყენო შენს ოთახში, რა ვქნა ძმისშვილია და ხელს ვერ ვკრავ, — იცრუა ქალბატონმა ქეთევანმა.

მამიას მეტი რა გზა ჰქონდა. მან სწრაფად შეკრა თავისი ბარგი-ბარხანა, სადარბაზო შესასვლელში დააწყობა და ოთახის დასაქირავებლად ალექსანდრეს ბაღისკენ გაიქცა.

რატომ მიიღო ქალბატონმა ქეთევან-

მა ასეთი უეცარი და უღმობელი გადაწყვეტილება? ამის შესახებ ქალბატონი ქეთევანის გარდა, კარგა ხანს არავინ არაფერი იცოდა. ხოლო ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, ქალბატონი ქეთევანი მამიას ყოფილ ოთახში ჩასახლებულ ახალ სტუდენტ მდგმურს ეუბნებოდა: „აჲ, შენამდე, ერთი ბიჭი ცხოვრობდა. ცოდვას ვერ ვიტყვი, კი ბიჭი იყო, წესიერი, მაგრამ არ დაადგა საშველი მის დამთავრებას. სულ ბავშვი იყო, რომ მოვიდა და ჩავვაბერდა კინალამ ხელში. მე ვთქვი, ეგებ ამ ოთახში ვერ მეცადინებო, როგორც თვითონ უნდა, და ეგებ სხვა ოთახში უფრო მუყაითად გაუხდეს საქმეს-მეთქი და ამიტომ დავითხოვე“. მამიას ყოფილ ოთახში ჩასახლებული ის ახალი მდგმური ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ და მან ვერ შეძლო ქვეყნისთვის დაემალა ქალბატონი ქეთევანის მიერ მამიას გასახლების თაობაზე მისთვის განდობილი საიდუმლო.

ახლა კი საშუალო ფანტაზიის მქონე მკითხველიც მიხვდება, რომ საბინაო ბირჟაზე მისული უცნობი სწორედ ის მამია ხანაღლიშვილი იყო, რომელსაც მისთვის სრულიად მოულოდნელად ოთახის დაცლის განაჩენი გამოუტანეს.

ჩვენთვის ცნობილმა გზამკვლევემა ელვის სისწრაფით ჩამოუარა სხვა (ჩვენთვის უცნობ) გზამკვლევებს, ყველას მამიასკენ შენიღბულად უთითებდა და ყურში უჩურჩულებდა: „ის არის, იქედან არის, მოერიდეთ“. განოცდილი და დამწყები გზამკვლევეები უსიტყვოდ უქნევდნენ თავს და ცდილობდნენ უცნობის არც ერთი საეჭვო მოძრაობა არ გამოჩვენოდათ.

მამია, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ ხვდებოდა. იგი, ქალბატონი ქეთევანის მიერ უდროოდ დროს გამოსახლებული, ერთ პატარა, ოცდაცამეტმანეთიან ოთახს ექებდა და თუნდაც ხატზე დაიფიცებდა, რომ ალექსანდრეს ბაღში

სხვა რამ ოდნავადაც არ აინტერესებდა.

— დაქირავება მინდა! — მიუბრუნდა იგი გზამკვლევს, რომელსაც ქუთუთოებს გრანდიოზული ქლავი წარბები უფარავდა.

— დაიქირავე მერე! — უპასუხა წარბებიანმა.

— სად დავიქირავო?

— სადაც შენ გაგებარდება.

— გეგულება შენ ოთახი სადმე?

— მე თუ გეგულება, ბიძია, კიდევ ეცხოვრობ შიგ. და საერთოდ, ვინ გგონივარ მე შენ! შენი ოთახის გულისთვის ბაღში კაცი ვერ უნდა დაჯდეს?!

მამიამ გადაწყვიტა წარბებიანთან ვერაფერს გაეაწყობო და სხვა გზამკვლევს მიმართა. ეს სხვა გზამკვლევი ინვალიდი უნდა ყოფილიყო, რაზედაც აშკარად მიუთითებდა იქვე გვერდით სავარძელსმოყუდებული ყავარჯენი და ხელჯოხი. ხოლო ყველა ინვალიდი, როგორც მოგეხსენებათ, ომის ვეტერანი როდი გახლავთ.

— ვერ დამეხმარებით? — შეევედრა მას მამია.

— როგორ ვერა, დაბრძანდით, — უპასუხა ინვალიდმა გზამკვლევმა.

— აგაშენათ ღმერთმა.

— რაში იყო საქმე? — ჰკითხა ინვალიდმა.

— ოთახი მინდა დავიქირავო.

— მერე? დაბრძანდით.

— მეტი არაფერი.

— რა გიშლით ხელს, დაბრძანდით.

— ოთახს ვერ ვშოულობ.

— აბა მაშინ როგორღა დავიქირავებ, დაბრძანდით.

— ამიტომ მინდა თქვენი დახმარება.

ინვალიდს გაეცინა.

— ჩემი? — ინვალიდს ისევ გაეცინა — ჩემი დახმარება? რა ჩემი დახმარება გინდა ახალგაზრდა, ჯანმრთელ კაცს?

— თქვენ გეცოდინებათ, თუ სადმე ქირავდება.

— მე მეცოდინება? — სიცილით მოკვდა ინვალიდი — მე საიდან მეცოდინება, მე თვითონ ხომ არასოდეს არ დამქირავებია, ისიც კი არ ვიცი, ახლა აქირავებენ თუ არა ოთახებს საერთოდ. ჩვენ დროს კი იყო, მახსოვს...

მამიამ თითქმის ყველა გზამკვლევს ჩამოუარა და ყველასგან ანალოგიური (ან თითქმის ანალოგიური) პასუხი მიიღო. — რა მოუვიდათ, თითქოს პირი შეჰკრესო. — ამბობდა დარღისაგან გალურჯებული მამია. ხოლო იქვე, მის გვერდით იყიდებოდა, გირავდებოდა და ქირავდებოდა ნაირნაირი ბინები. მამიას ერთადერთი იმედიღა დარჩა: ჰადარს მიყრდნობილი კიდევ ერთი გზამკვლევი ორი საათის განმავლობაში გახანგრძლივებული სწავლების ფაქულტეტის სტუდენტს შესცქეროდა და უღიმოდა. მამიამ მოურიდებლად გაარღვია ბრბო და ღიმილიან გზამკვლევს წინ დაუდგა.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა გზამკვლევმა.

— ცუდად. — უპასუხა მამიამ.

— დაილაღეთ? — ჰკითხა გზამკვლევმა და გაუღიმა.

— არა უშავს. — მიუგო მამიამ და ოფლი მოიწმინდა.

— გართულდა ცხოვრება. — უთხრა გზამკვლევმა და გაუღიმა.

— ოღონდაც, ოღონდაც. — დაეთანხმა მამია და თავის მხრივ მანაც გაუღიმა. მერე მამიამ ჩათვალა, რომ მოსინჯვა საქმარისი იყო და საქმეზე გადავიდა.

— რომელ ქუჩაზეა?

— რა? — ჰკითხა გზამკვლევმა.

— ოთახი.

— ოთახი რა არის? — ჰკითხა გზამკვლევმა და გაუღიმა.

აქ საუბარი უკვე დამთავრებული იყო.

რეზა მისველაძე
მოთხრობები

დალამდა. საბინაო ბირჟა დაცარი-
ელდა. გაიყიდა, დაგირავდა, გადაი-
ცვალა და გაქირავდა უამრავი ბინა,
მაგრამ ასევე უამრავი ბინა დარჩა ხვა-
ლისთვის გასაყიდი, დასაგირავებელი,
გადასაცვლელი და გასაქირავებელი.

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ,
ალექსანდრეს ბალის დარაჯმა ცალ-
თვალა პეპომ შენიშნა: **ქაღალციხის**
ლისფრადგანათებულ მერხზე კაცი იჯ-
და და ტიროდა.

პეპო არ დაინტერესებულა. პეპოს
თავისი საქმე აწუხებდა.

პორთფელიანი კაცი

ფილატელისტა და ნუმისმატთა
ძრავალათასიანი არმიის გვერდით არ-
სებობენ წიგნის მოყვარულნიც. მათ
მზის სისტემის თითქმის ყველა პლანე-
ტაზე შეხვდებით. წიგნის მოყვარულ-
ნი ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, ატა-
რებენ სხვადასხვა ზომის სათვალეს,
სხვადასხვა სიგრძის შარვლებს იცვა-
მენ და გულის ჯიბეშიც კი სხვადასხვა
ფერის ცხვირსახოცი უდევთ. მაშ, რი-
თი ჰგვანან ისინი ერთმანეთს? წიგ-
ნის მოყვარულნი შესვებიან სავაჭრო
პალატების უთვალავ სართულებს და
წიგნებს დაეძებენ. წიგნს იძენენ ყვე-
ლგან — ბუკინისტთა დახლებსა და სა-
ცალო ვაჭრობის ფარდულებში, წიგ-
ნის სახლებსა და მეტროს სადგურებ-
ზე... ყიდულობენ წიგნებს არა თვით
წიგნის მხატვრული ღირებულების მი-
ხედვით, არამედ მოყვარულთა გაქანე-
ბის, ფინანსური მდგომარეობის და გე-
მოვნების შესაბამისად. წიგნის მოყვა-
რულებს უყვართ ხატოვანი გამოთქმა:
„სანამ წავიკითხავდეთ, წიგნი ჩვენ-
თვის არის ნივთი თავისთავად, წაიკი-
თხვის შემდეგ კი შეიძლება იგი ჩვენ-
თვის იქცეს საინტერესოდ ან არასაინ-
ტერესოდ, ხოლო რომ წაიკითხო წიგნი,
იგი უნდა გქონდეს“. წიგნის მოყვარუ-
ლებს ეჩვენებათ, რომ ერთი წიგნის
ყიდვით ისინი დანაშაულს ჩადიან მე-
ორე წიგნის წინაშე და პირველისათ-
ვის უპირატესობის მინიჭებით ძალა-
უნებურად ამცირებენ მეორის ღირსე-
ბას. ამიტომ წიგნის მოყვარულებს
სურთ შეიძინონ ყველა წიგნი, რათა

საკუთარი თვლით და გონებით გაარ-
ჩიონ, რომელია მათ შორის განსაკუთ-
რებით საინტერესო და რომელია გან-
საკუთრებით არასაინტერესო. ისინი
ყოველთვის გულდაწყვეტილი ღიმი-
ლით შორდებიან ათასფერი წიგნით
სავსე მაღაზიის თაროებს. წიგნის მო-
ყვარულთათვის წიგნი ყველაზე ძვირ-
ფასი ნივთია. ისინი სიამოვნებით შეი-
ძენდნენ დედამიწის ყველა დროის ყვე-
ლა წიგნს, მაგრამ ორი რამ აფიქრებთ—
ბინის ფართობი და ფული. წიგნის
მოყვარულებს ბევრი ფული არა
აქვთ, იმ ადვილადმისახვედრი მიზეზის
გამო, რომ ისინი მხოლოდ წიგნის მო-
ყვარულები არიან, ხოლო წიგნის მო-
ყვარულები უმეტესწილად დაბალკე-
რიან შემცირებულფართობიან ბინებ-
ში ცხოვრობენ, რადგანაც ბევრი ფუ-
ლი არა აქვთ წიგნისადმი მათი ფანატი-
ური სიყვარულის გამო. წიგნის მო-
ყვარულთათვის უფულობის ბარიერი
ღმერთმა შესანიშნავად მოიგონა, თო-
რემ ყველა წიგნი ერთი მუჟა წიგნის
მოყვარულთა ხელში მოგროვდებოდა
და ჩვენ (წიგნის არაპროფესიონალ
მოყვარულებს) გავვიჭირდებოდა საჭი-
რო წიგნის ისე თავისუფლად შეძენა,
როგორც ამას დღეს ვახერხებთ ხოლმე.
შემოდგომის ერთ მოწყენილ დღეს,
წიგნის მოყვარულმა სპირიდონ ცირე-
კიძემ რომელიღაც მესამეხარისხოვანი
მწერლის ერთტომეული შეიძინა და
უზარმაზარ პორთფელში ჩაიდო ჩაწე-
რის „პლანკებისა“ და წყლის გადასა-
ხალის ქვითრების გვერდით. სპირიდონ



ცირეკიძე სახლმმართველობის თანამშრომელი გახლდათ და წიგნის სიყვარული რომ არა, იგი წიგნის მაღაზიაში არასოდეს არ შევიღიდა და ნერვებიც არასოდეს არ აეშლებოდა (რაც საბოლოო ჯამში საუკუნის მოხუცად ქცევის საბირიდონის ახირებულ სურვილს ერთ შანსს შეჰმატებდა).

სპირიდონი სახლში მისვლისთანავე დაინტერესდა საკითხით — საინტერესო იყო თუ არა მის მიერ შეძენილი ერთტომეული. რისთვისაც მან (როგორც ეს ახირებულ ჩვეულებად ჰქონდა), ახალშეძენილი წიგნი გადაშალა და პირველი გვერდიდანვე დაიწყო კითხვა. მეხუთე გვერდამდე ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. მეხუთე გვერდს, ლოგიკის ელემენტარული კანონის თანახმად, მეექვსე გვერდი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ერთტომეულში მეხუთე გვერდის შემდეგ რატომღაც ორასსამოცდამეცამეტე მოდიოდა. ორასსამოცდამეცამეტეს მოჰყვებოდა ორასსამოცდამეთოთხმეტე, ორასსამოცდამეთხუთმეტე, ორასსამოცდამეთექვსმეტე და ასე ორასოთხმოცდამერვემდე. უნდა გენახათ სპირიდონის გაოცება, როცა ორასოთხმოცდამერვე გვერდს უეცრად მეთექვსმეტე მოჰყვა. ხოლო მეთექვსმეტეს — ოცდამეშვიდე. გვერდების დარღვეულ ნუმერაციას კაცი კიდევ გაუძლებდა, მაგრამ სპირიდონი უფრო იმან გააბრაზა, რომ გვერდების აღრევა საგრძნობლად მოქმედებდა წიგნის შინაარსზეც და მას ძნელად აღსაქმელს ხდიდა. გაფითრებულმა სპირიდონმა წიგნი ისევ თავის უზარმაზარ პორთფელში ჩაიღო. იგი უკვე მიმხვდარი იყო, რომ მაღაზიაში მისთვის სტამბის წუნი შემოეტყუებინათ. სპირიდონი თავის გულში კიდევ აპირებდა განგებმოწყობილის კვალიფიკაცია მიეცა ამ ამბისათვის, მაგრამ როცა ღრმად დაფიქრდა, გაიხსენა, რომ იმ მაღაზიაში მან პირველად შეიძინა წიგნი. გამყიდველ ქალს ხომ არ ეცოდინებოდა, რომ ერთტომეული წუნი იყო, ფიქრობდა სპირიდონი და

ბოლოს გადაწყვიტა, მეორე დღესვე მისულოყო და პასუხისმგებელ გამყიდველისთვის ერთტომეულის გამოცვლა ეთხოვა.

წიგნის მაღაზია „ფერადი ბუშტების“ პასუხისმგებელი გამყიდველი, ოცდაათიოდე წლის ტანმძიმე ქალი, დახლში იდგა და წიგნის მოყვარულებს ბედნიერი სახით უმასპინძლებოდა. მის ზურგს უკან მაღალ თაროზე სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა სახელწოდების წიგნები ეწყო. იქვე უხვად ელაგა ჩვენი ნაცნობი, მესამეხარისხოვანი მსცოვანი მწერლის ერთტომეული. გამყიდველს ინისფერი თმა ჰქონდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ამ სერიოზული გამომეტყველების ადამიანს, დაბადებიდან სხვა ფერის თმა უნდა დაჰყოლოდა. თუმცა, ეს ვისი რა საქმე იყო. გამყიდველ ქალს ინისფერი თმა ძალიან უხდებოდა. იგი ბედნიერი სახით იდგა დახლში და წიგნის მოყვარულებს ღიმილითა და წიგნებით უმასპინძლებოდა.

შესვენებას სულ რაღაც ოციოდე წუთი აკლდა, როცა „ფერადი ბუშტების“ ნათელ სალონში სპირიდონ ცირეკიძე შემოვიდა. მან თავისი ყოვლისმომცველი პორთფელიდან ერთტომეული ამოაძვრინა და დაბეჯითებით აუწყა პასუხისმგებელ გამყიდველს:

— ქალბატონო, მე ეს წიგნი თქვენთან შევიძინე.

— ადვილი შესაძლებელია, — თავაზიანად დაეთანხმა გამყიდველი. და საცხებ შეეტყო, რომ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა შუახანსგადაცილებულ მომხმარებელთან დისპუტი გაემართა წიგნის შეძენის ადგილსა და დროზე.

— ეს ერთტომეული მე არ მომწონს.
— მაშინ სხვა ერთტომეული შეიძი-

რეზა მისხვალაძე
მოთხრობები

ნეთ. — ღიმილით ურჩია გამყიდველ-
მა.

— ეს ერთტომეული უნდა დაიბრუ-
ნოთ.

— პატივცემულო, ჩვენ აქ ბიბლიო-
თეკა როდი გვაქვს; წაიღოთ წიგნი, წა-
იკითხოთ და უკანვე მოგვიტანოთ. ეს
ერთტომეული ხომ გუშინ იყიდეთ, წა-
იკითხეთ ხომ? და არ მოგეწონათ. რა
ვქნა, მეც ბევრი რამ არ მომწონს. ახლა
ეს წიგნი თქვენია, შეგიძლიათ სხვას
აჩუქოთ და თქვენ სხვა წიგნი შეიძი-
როთ.

— აუცილებელია სხვა წიგნის შეძე-
ნა?

— ძალას არავენ გატანთ.

— თქვენ ვერ გამიგეთ, — აღელდა
სპირიდონი, — ეს წიგნი, რასაკვირვე-
ლია, ისეთი არ არის, როგორც უნდა
იყოს, ესე იგი, წასაკითხავად მოუხერ-
ხებელია. მე მწერალთან საქმე არა
მაქვს.

სპირიდონმა წიგნი გაშალა და გამ-
ყიდველს სრულიად ჩვეულებრივი
ფრაზებით აუხსნა, რომ წინამდებარე
ერთტომეული საგამომცემლო წუნს
წარმოადგენდა.

ინისფერთმიანმა, ტანშიმე გამყიდ-
ველმა ყურადღებით მოუსმინა. გაკვი-
რვებით კი არაფერი გაკვირვებია.

— ვიცი, პატივცემულო... გასაგებია
პატივცემულო... ხდება პატივცემუ-
ლო...

ხშირად ჩაურთავდა იგი და წამდაუ-
წუმ საათს დასცქეროდა. ჩვენ, მგონი,
სადღაც ზემოთ, გაკვრით აღვნიშნეთ,
რომ შესვენების წუთები ახლოვდებო-
და.

— მიხვდით, ქალბატონო, რაში ყო-
ფილა საქმე? — ჰკითხა ბოლოს სპი-
რიდონმა.

ინისფერმა თავი დაუქნია.

— რაკი მიხვდით, გამომიცვალეთ ეს
წიგნი და წავალ.

— კარგი პატივცემულო, მაგრამ ჩე-
მი ბრალია თქვენ რომ არეულგვერ-
დებანი წიგნი შეგხვდათ?

— მე არ ვამტიციებ, რომ თქვენი
ბრალია.

— მე დღეში ათას წიგნს ვყიდობ და
არ შემიძლია სათითოდ ვფურცლო და
ვათვალიერო.

— არ შეგიძლიათ.

— აბა რა გინდათ ჩემგან?

— არაფერი, ეს წიგნი შემიცვალეთ
და სხვა მომეცით.

— მერე ამ წიგნს რა ვუყო?

— სხვას მიეცით.

— რას ბრძანებთ, პატივცემულო,
წუნი შევატყუო სხვას?

— მე რა ვქნა, აბა?

— მე რა ვქნა. როცა თქვენ, პატივ-
ცემულო, ეს წიგნი მოგყიდეთ, მე ხომ
არ ვიცოდი, რომ იგი ასეთი იყო?

— არ იცოდით.

— ახლა ხომ ვიცი, რომ იგი უვარ-
გისია. და როცა ვიცი, ავდგე და სხვას
შევაჩქრო, ეს ხომ ბოროტება იქნება?

— სწორია.

— დავიჯერო ახლა ბოროტებისკენ
მიბიძგებთ თქვენ? ასეთი სერიოზული
და ჰარმაგი კაცი?

— არავითარ შემთხვევაში.


— რა ვქნათ აბა, მირჩიეთ, — წუხ-
და გამყიდველი.

— მისწერეთ გამომცემლობას, რომ
ზომები მიიღოს.

— რა ზომები უნდა მიიღოს, პატივ-
ცემულო, ხომ ხედავთ, სხვა წიგნი
ყველა ვარგისია. ასეთი რამ ათასში
ერთხელ ხდება. შეეშალა ვილაყას. რა
ვიცი, რა აწუხებდა მაშინ, დავახრჩოთ
ანისთვის?

— ვინ ახრჩობს? — ჩაილაპარაკა
სპირიდონმა და მას გულწრფელად
წვეცოდა სადღაც სტამბის მტკვრში
ამკინძავ მანქანასთან მდგარი, შავხა-
ლათიანი კაცი, რომელსაც ვინ იცის
რა აწუხებდა.

— კარგი, ვთქვათ, ჩვენ დავწერეთ,
პატივცემულო, მერე მოგვთხოვენ ამ
წიგნს, გავგზავნით, მერე დაიწყებენ
ქებნას; რომელ საამქროში, როდის აი-
კინძა ეს წიგნი. ღმერთმა იცის, გაიგე-
ბენ თუ არა, ვისი ბრალია, რომ ერთ-



ტომეულის მეხუთე გვერდს ორას-სამოცდამეხუთმეტე მოსდევს.

სპირიდონი ჩუმაღ იდგა და თავის უზარმაზარ პორთფელს დასცქეროდა.

— ვთქვით, იპოვეს დამნაშავე და ამ ერთადერთი, უნებლიე შეცდომისათვის დასაჯეს კაცი. თქვენ რა შედეგათი მოგეცემათ ამით, პატივცემულო? არ გეცოდებათ ადამიანი?

— მე არავის დასჯა არ მინდა, მე გთხოვეთ, ეს წიგნი გამომიცვალეთ და სხვა მომეცით მეთქი, — გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა სპირიდონმა.

— თქვენთვის ეს წიგნი უკვე შეჩვეული ჭირია, პატივცემულო, ვინ იცის რა ჰქუაზე დადგება ის უბედური მყიდველი, რომელსაც მე ხვალ იძულებული ვიქნები ეს ერთტომეული შევატყუო.

— შევინახეთ, სულ ნუ ვაპყიდით.

— საღ შევინახოთ, პატივცემულო, რა უფლება გვაქვს შენახვის, მოგვხსნიან. ეს ხომ წიგნის მალაზიაა.

— რა ვქნათ აბა? — სასოწარკვეთილი ხმით იკითხა სპირიდონმა. იგი, მართლაც, გადაუჭრელი დილემის წინაშე აღმოჩნდა. როგორც ინისფერთმიანი გამყიდველის საუბრიდან ჩანდა, — ამ ერთი უვარგისი წიგნის გამო ისჯებოდა სამი უდანაშაულო ადამიანი: ნერვები უნდა აშლოდა კიდევ ერთ წიგნის მოყვარულს, საადრიცხვო ბარათში შეტანილ საყვედური უნდა მიეღო საამკინძო საამქროს მოწინავე დაზგოსანს, და წიგნის გადამალვისათვის იქნებ სამსახურიდანაც კი მოეხსნათ „ფერადი ბუშტების“ ტანმძიმე გამყიდველი ქალი, რომელიც ვინ იცის, კიდევ როდის მოახერხებდა სხვაგან მოწყობას და რომელსაც იქნებ შინ ჩვილი უტიროდა. ამ ფიქრებიდან სპი-

რიდონი ერთბაშად გამოერყვა, მან თავისი ხვედრი ერთტომეულს ამოიღო, ლიავა და წიგნის მალაზიის შესწავლა გადაწყვეტილებით გავიდა.

პასუხისმგებელმა გამყიდველმა მოხუცი სახლმმართველი თანაგრძნობით აღსასვე თვალებით გააცილა.

შუალამის მეორე საათი დაწყებული იქნებოდა, როცა წითელ ხიდს წელში მოხრილი, პორტფელიანი კაცი მიადგა.

ხიდს ორივე მხრიდან მთვარით განათებული ქუჩა უერთდებოდა. ქუჩაზე კაციშვილი არ ჰქანებდა.

კაცმა აჩქარებული ნაბიჯით გაიარა ხიდის ნახევარი და ზუსტად იმ ადგილას შედგა, სადაც რიონის მთავარი დინება აქოჩრილ პოპორს მოავორებდა. ამ ადგილას წყალს ყოველთვის შემზარავი, შავი ფერი დაჰკრავდა.

კაცმა პირველი გადაიწერა და ამოიბოხრა. მან ირგვლივ ერთხელ კიდევ საეჭვოდ მიმოიხედა და წყალს ჩააშტერდა.

რა თქმა უნდა, ბნელოდა (რადგანაც შუალამე ახალგადაცილებული იყო).

უეცრად კაცმა თავისი გრანდიოზული, შავი პორტფელიდან წიგნი ამოიღო, თვალები დახუჭა და მოაჯირსგადაკიდებულმა ხელი გაუშვა.

აქაფებულმა რიონმა სწრაფად გადაყლაპა ერთტომეული. რიონისათვის იმწუთში სულერთი იყო, ვისი დაწერილი გახლდათ ის წიგნი, ან რა საგამომცემლო ნაკლი გააჩნდა მას.

...ცოტა ხნის შემდეგ აჩქარებული ლიღინით და მხნე ნაბიჯით შინ ბრუნდებოდა წელში ოდნავ მოხრილი, პორტფელიანი კაცი.





ტ რ ა ნ ზ ი ს ტ ო რ ი

ხარ ჩაჭედელი სადგურებს შორის, ქალაქებს შორის, შენობებს შორის,
 იბრძვი შეგნებით და ინერციით,
 შენ გესმის ღამით როგორ ბრდღვინავს დიდი ქალაქი,
 ფოლადისა და მინის მხეცვივით.
 არ გელირსება თავდავიწყება, გული ძილშიაც მკერდს ესხმება —
 გადადებული რეკავს ყურმილი...
 შენში ბობოქრობს მუდამ სურვილი, გაურკვეველი და გარკვეული
 და თვით სურვილის მძაფრი სურვილი.
 უყურებ მთვარეს, ღიანდაგებზე ფეხშიშველი რომ მიტანტალღებს?
 დამძიმებული მდინარის სხეულს, ჩაბნელებულ სასაფლაოებს,
 განათებულ ღამის კვარტალებს?
 უყურებ მუდამ შენს ფანჯარასთან როგორ დადიან ღამით ლანდები?
 შენი ხსოვნიდან და ქალაქიდან მათ ვერასოდეს ვეღარ განდევნი...
 არ გელირსება თავდავიწყება, შენ გახსოვს მუდამ რომელი თვეა,
 რომელი დღეა, რომელი წუთი...
 გესმის? შრიალებს ხმელი ფოთოლი — ტრანზისტორის პატარა ყუთი.
 გესმის? ვეშაპი ზღვის ნაპირებს ესახუნება და მოვარდნილი
 ზვირთი ეცემა,
 გესმის? ღრიალებს, კენესის და წივის ცა დაგლეჯილი
 მეგაჭერცებად.
 გესმის? ხრიალებს ტრანზისტორის პატარა ყუთი — სამყაროს მკერდზე
 მიდებული ფონედოსკოპი,
 ეს ლაპარაკობს ღამის რომი, ღამის ლონდონი, ღამის ვარშავა,
 ღამის მოსკოვი!..
 სიტყვით და ღვინით თვრება პარიზი და არჩევნების კონვენუსიით
 შეპყრობილია ლოს-ანჯელესი,
 მწუხრის ალერსით გაღვშილი ყვირის ჰამბურგი, სტის და ფართხალებს
 ლისაბონი ღამის ხელებში.
 ღამე მოვიდა და გიფართოებს გაოცებული თვალების ოვალს,
 შენი ოთახის კედლებს აწყდება ჩიტების სტვენა და ლოკატორებს
 გამოქცეული სიტყვების სროვა.
 ღამე მოვიდა და ტრანზისტორი ახლა ცალთვალა ციკლოპი,
 გუგა უთრთის და უკანკალავს,
 გესმის კივილი და ღრიანცელი? თითქოს ტრამვაის გაჩერებასთან
 ამუხრუჭებენ ავტომანქანებს.
 შენს საფეთქლებზე მირახრახებს უძილო ღამე — დაგორებული
 ვეება კასრი
 და მავთულებში ისევ ზუზუნებს ხან სისხლისაგან დაცლილი სიტყვა,
 ხან თაბაშირში ჩასმული აზრი.
 ცვივა ჰაერში დარხნული ბგერების ფერფლი, ფერფლით ივსება

შენი მაგიდა,



განათებული ქალაქები ამოტივტივდა მოქანცულობის

ბნელ წიალიდან.

გული ფართხალებს, გულის ფიცარი აღარ არის სანდო ჯებირი,
ვარსკვლავიანი ცის ნაფლეთები წყალში ტივტივებს

აგლეჯილი სამხრეებივით.

ზღვაში ჩაშვებულ ღუზასავით ჟღერიალებს სიტყვა, საბურავივით

სკდება სიტყვა, კენესის და ყვირის,

ღამე მოვიდა, ყური დაუგდე ნუნისმიერი, ხორხისმიერი,

ბაგისმიერი ბგერების ჯირითს.

ყური დაუგდე აგორებულ კენჭების ხრიალს, ზღვა ისე კივის,

როგორც ორსული,

ხან მშვიდია და ნებდება თვლემას, ვით მუთაქებზე თურქის

კონსული.

გესმის? ირევა მრავალი ერის მრავალი ენა, მრავალი ჰიმნი

და უპასუხოდ დარჩენილი მრავალი კითხვა,

დიქტორი სმენას როგორ გიფხაჭნის, თითქოს ცემენტის იატაკზე

გარბოდეს ვირთხა...

გესმის? როილს დაეწია ნელა ტრომბონი და მათ კივილით

გამოდგა ბოლოს საყვირი,

ან საქსაფონი ვით ჭიხვინებს, ბნელი თავლიდან თავდაღწეული

ცხრა ულაყვივით.

გესმის? ხვალინდელ დღეზე მლოცველი, მუხლმოდრეკილი ღამის ჩურჩული,

რომლის ლოცვასაც არღვევენ ძალით,

იგი შრიალებს ვით პენუარი სკამებს შორის მიმავალ ქალის...

ტრანზისტორს უზის დაქანცული შენი სხეული, შორს არის სული

და მიარღვევს ცისფერ განედებს,

შენ ტრანზისტორის მღვრიე ზვირთები თავბრუდახვეულს

მიგაქანებენ.

მუშაობს ყველა სააგენტოს ტელეტაიპი. ხვალის გაზეთში

წასაკითხად ისევ მოგელის:

უკანასკნელი ცნობები და რეპორტაჟები, განცხადებები,

ქრონიკები, ნეკროლოგები.

შენამდე აღწევს უსინათლო წვიმის ლულული, თითქოს ოთახის

კარი იღება.

შენ დაგირღვიეს ღამის დუმილი, ხვალ რომ გაზეთში დაიბეჭდება, იმ სახელებმა

და თარიღებმა,

დიქტორი ბნელში თავს იმხნევებს თითქოს საუბრით, ზიხარ და უსმენ იმის

საუბარს,

იგი აქვია, შენ ხედავ იმის ბაგეთა თრთოლვას და მოძრაობას.

ვინ ამბობს სიტყვას? ან ფულტონში, ან შაიოში, ან კვირინალის სასახლეში ვინ

ამბობს სიტყვას,

საროტაციო მანქანის ყბებში ვის ათავსებენ ნეტავ ამადამ,

ვის ახსენებენ, ან ვის სახელს იმეორებენ ან სხვათაშორის, ან სიძულვილით, ან

მორიდებით, ანდა ამაყად.

ღამის. სიჩუმე, მოქსოვილი ობობას ძაფით, ისე დაირღვა, რომ ნაბიჯი არ

გადაგიღამს,

თითქოს ძარცვავენ დაპყრობილ ქალაქს, კაფე-შანტანის დგას ღრიანცელი და

ღრიანცელში იძირება შენი მაგიდა.

წარსულს ჩაბარდა ძველი ევროპა, ნელა მიჰყვება ყავარჯენით ელსინორის
დამტკრეულ კიბეებს
დაფხავებული ფრეგატის ფსკერი ესახუნება წყალქვეშა რიფებს.
წარსულს ჩაბარდა, რასაც ახლა ჰქვია წარსული და სულთათანას შინაბერა
კლავესინები ათითათსავე უგალობებენ,
წარსულს ჩაბარდა ფარანდოლა და მენუეტი და პასტორალმა შეაფარა თავი
გობჭუნს.
შენამდე მოდის, შენამდე აღწევს აჟივლებული ბგერების გუნდით, ათრთოლებული
შუქის დერეფნით,
გზადაბნეული ჯვაროსნებივით როგორ მდერიან და ღრიალებენ კელტებისა და
საქსების ძენი და ვიკინგების ნაშიერები.
შფოთავს და მდერის ტრანზისტორი, ტირის და კვენისის ტრანზისტორი,
ტრანზისტორი განა ნივთია,
მართლმსაჯულების ნანგრევებზე ეს ზანგური სპირიჩუელს ვის ეკითხება: „საით
მივდივართ?“

„უფალო, ხალხი გადამირჩინე!“ — ვის ევედრება ბედშავი მოსე?
მართლა რა უნდათ? ვის აღმერთებენ? საით მიდიან? უშველეთ დროზე!
რა მირახრახებს ქვის კიბეებზე? ხომ არ დაგორდა ჟამთასვლის ეტლი?
ეს თოვლი მოდის თუ დედამიწის მხრებს ეფინება ჭუჭყი და ქერტილი?

ადექი ფეხზე! ადამიანის საკეთილდღეოდ რა გააკეთე! ადექი ფეხზე!.. მკაცრი
მსაჯული მოდის ჟამთასვლის...
იგი შენს სულში ჩაიხედება!.. ხედავ, სანთელი მოგიახლოვა და გაგინათებს, სულს
რომ გადახსნი!..
თქვი, დღევანდლამდე ხომ არ არწევ ცარიელ აკვანს, რა დარდი გაწვევს, რა
მაჯლაჯუნა!..
წმინდათაწმინდა რა არის შენთვის, ან რწმენას როგორ ემსახურები, ვის უჯერებ
და ვინ გყავს მსაჯულად?..
გესმის? სერთუკის ჯიბეებში ისტორია ძელებსა და ჩონჩხებს აჩხარუნებს ვით
გასაღებებს,
შენი თვალების ნაკვერჩხლებზე მიცოცავს მწუხრი, თქვი, რა გაწუხებს და რა
გაღელვებს...
თუ შეგიძლია, რომ ბოლომდე გაიღო მსხვერპლი, შენ უწმინდესი ფიქრით მოცულო,
ო, შენთვის ლოცვა არასოდეს უსწავლებიათ და თუ ლოცულობ, ვისთვის ლოცულობ!
იქნებ არ გახსოვს მოვალეობა, კისერზე ნებით შემბული თოკი, მტერით დაიფარა
შენი მაგიდა,
ხომ არასოდეს არ გიფიქრია, რომ შენს მაგივრად სხვა იბრძოლებდა და მოკვდებოდა
სხვა შენს მაგივრად!..

ადექი ფეხზე! ვინ ხარ? რას ფიქრობ? ან დღემდე რითი ცხოვრობდი, რითი?
ისევ იმძრევა მიწა ცოცხლად დამარხული ხალხის საფლავთან, უსმინე ბრინჯის
ყანების ქვეთინს!
ვიტრინებიდან გადმოსული მანეკენები და ღვთისმოსავი მიზანთროპები როდი
ცოცხლობენ ცით და ოცნებით,
დასჩლუნგებით გრძნობა სიკეთის და ნანგრევებზე დააბიჯებენ ეს ნანგრევების
ხურთმომძღვრები.
არც ვარსკვლავები არსებობს მათთვის და არც ჰენდელი არსებობს მათთვის, მათ
ველარაფერს ჩაუნერგავენ,

მათ ვედარავეინ ვედარ შეურხვეს დანაოჭებულ შუბლოს ჰერგამენტს.

ისინი მხოლოდ გზას იკვლევენ სისხლით და ტყვიით და გზას იკვლევენ მხოლოდ

სიცრულით

მათი სინდისის თხელი კედელი ისე ქანაობს, როგორც ფიცრული.

ქვის ნიადაგზე ეცემა თესლი და უნაყოფო ხედ ქცეულა იმათი ტანი, სმენა აქვთ, მაგრამ არიან ყრუნი, აქვთ მხედველობა — არიან ბრმანი.

აღექი ფეხზე! ჩამქრალია მრავალი სხივი, გათელილია პურის თაველი.

მრავალი სული გასრესილია გულგრილობის საბურავებით.

რომ არ წაგართვას წყალმა ნიჩაბი, ყოველი კაცის სულის ნაწილად

უნდა გადიქცე, ახლა არ კმარა მხოლოდ სიკვდილი და თავგანწირვა.

თურმე მრავალთა სულგრძელობა არ არის გრძელი და გულგრილობის დგანან

ყინულში,

მათ სურთ იხილონ ეს დედამიწა ორბიტიდან ამოვარდნილი — გალაქტიკაში

ჩაძირული „ნაუტილუსი“.

თუ თვალებიდან ნაპერწკლები არ გცვივა ისე, როგორც ტრამვაის სცვივა ბიგელებს,

შენს მრისხანებას ვერასოდეს დაინახავენ და შენს შეძახილს ვერასოდეს ვერ

გაიგებენ.

ჩვენ ალბათ მათი გულგრილობით გავიყინებით თუ ჩვენი სულის აბრიალებულ

კოცონებთან არ მივალთ ახლოს,

ზუზუნებს შენი ყოველი ნერვი — გადაჭიმული ვოლფრამის ძაფი და მას სურვილი

ანთებს და აქრობს.

შენ ვერასოდეს ვერ იქნები ვერსად გულგრილი ვერც კაცის რჩევით, ვერც წიგნის

რჩევით!

ხელები ზევით, გულგრილობავ, ხელები ზევით! ადამიანის გულგრილობავ, ხელები

ზევით!

შენ, ნებისყოფის ჯვარზე გაკრულო, სიცოცხლე უნდა გადაარჩინო, აი, ამ ქვეყნად

რისთვის მოხვედი,

აქ არის მხოლოდ შენი სამოთხე, შენი გოლგოთა და ჯოჯოხეთი!

ხარ უძლეველი შენი ფიქრით, შენი საქმით, შენი გონებით,

შენი ფილტვებით, არტერიით და ჰორმონებით.

შენი სინათლით ავსებულია თაროები ბიბლიოთეკის, დარბაზები მუზეუმების,

შენი სინათლე გაქვს უზარმაზარი, შენ ხარ მარტენის დიდი ღუმელი.

შენი გონება არ იძინებდა, იგი მისდევდა აზრის დინებას, დაულალავი თითქოს

სკაფანდრით

წყალმცენარეებს თავს არიდებდი და გაჭირვებით გზას იკაფავდი.

ქვეშარტებას შენს დიდ კარავში უახლოვებდი ანთებულ შანდალს,

რა შემზარავი იყო იგი, რა იდუმალი, რაც მიკროსკოპის ლინზაში ჩანდა!

შენ ყინულებში ჩაჭედული ამსხვრევდი გემბანს და აჩალებდი იმედის კოცონს,

არ მარცხდებოდი არც დამარცხებით,

სადღაც კუნძულზე იალქნები გესიზმრებოდა და მარტოდმარტო სულს იბრუნებდი

ლოკოკინებით და ხამანწკებით.

შენ თავს აღწევდი პირქუშ კედლებს, პირქუშ პორტალებს, მუდამ ოცნების იყავ

ოსტატი,

და მხოლოდ მაღლა და მხოლოდ ზევით მიგაქანებდა აეროსტატი.

მათ არ იციან ცა სად იწყება, ან შენი მზერა პიუპიტრზე როგორ კანკალებს,
ისინი მალე მზეს ჩააქრობენ, დააბნელებენ დღეს უანკარესს.
შენ თურმე თვალი არასოდეს უნდა მოხუტო, უნდა ფხიზლობდე შენს დიდ კარავში
და დაძაბული იყვე, როგორც რინგზე მოკრივე, ან ჯამბაზი — ტრაპეციაზე.

ან საწყობთან — ღამის დარაჯი.
ცნობისწადილით ხარ შეპყრობილი, შენ ვერაფერი გამოგასწორებს, დარჩები ასე
განსუკუნნავი,
უნდა ხომალდის ანძაზე იჯდე, რომ არაფერი გამოგეპაროს, შენი წიგნია დღიური
და გემის ჟურნალი.
ყოველი წამი არის ჩასახვა! ხარ შემოქმედი და სიცოცხლე შეუწყვეტელი გათრობს
ბალახის მზესზე ბიბინი,
შენ სიარული არ შეგიძლია, შენ გეჩქარება, უნდა მოასწრო, ფეხი გერევა, გინდა
სირბილი!

მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნება და სინდისია შენი საზომი
და თავდახრილი მაგიდაზე ეძებ ყოველ დღე შენ ოქროს საწმისს, ვით იაზონი.

გათენებიდან დაღამებამდე მზეს გადრეკილი და აღზნებული მიძიმე კასრივით რომ
მიავორებ,
დაემორჩილე ახლა ჩვენებას: მატარებელი გადადის ხიდზე, თავზე გრუხუნით
გამსხვრევს ვაგონებს.
თითქოს შედინარ კინოდარბაზში, გაურჩეველის გარჩევას ცდილობ, ბნელში
მიდინარ ხელის ცეცებით,
შევით ქანაობს ცარცისფერი სინათლის ზოლი, ეჯახები სკამებს და მუხლებს,
აჭრიალებულ სკამზე ეცემი.

სინათლე. ჩრდილი. ჩრდილი. სინათლე. თითქოს თოვლია უფანტელებო.
ფოთოლი როგორ ეცემა ზურგით! კომპინია თუ ფონტენებლო?

შენამდე აღწევს დიალოგი ნაწყვეტ-ნაწყვეტი. ვინ სტირის მწარედ და დაპალუპით?
გაორებული სულის წვალებით რომელი კვდება, ბოლოს სცენარი ვის ემუქრება
ნეტავ დალუპვით?

ვინ იღიმება მღვლეარების დასაფარავად, ვინ ვფარება უსუსურ ღიმოლს?
ვის ეკვრის ტანზე მარტოობის სველი ფოთოლი და ვინ ყიდულობს ცელოფანში
გასვეულ იმედს?

ანდა სიკვდილით უცებ შეწყვეტილ საუბარს ვისთან აგრძელებს ლანდი და ამ
ღამეში რომელთან მოდის?

ვინ უსმენს ახლა შემოდგომის ხშირი წვიმებით დაქანებული ფოთლების მოტივს?
ეს ვინ გადადის მდინარეში ჩაგდებულ ქვებზე — თანაგრძნობით გამთბარ
სიტყვებზე — სიკეთე ქვეყნად ჯერ არ გამქრალა!

ვინ ეფარება დუმილის სანგრებს და ვინ იცინის გუინპლენივით და ვის უბურღავს
სულს ბორმანქანა?

ვინ იგრძნო ახლა მძაფრი სურვილი, ამოუსხნელი და უდიდესი?
ვინ გაიგონა, ვიოლინო როგორ ქვითინებს ჯერარშობილი ბავშვის თითებში!

შენ არ შესულხარ კინოდარბაზში, ეს ტრანზისტორი შრიალებს ისევ, შენ
ვერასოდეს შენი ვნებებით,
შენი სტრიქონით, შენი ფიქრით ვერსად იქნები მხოლოდდამხოლოდ უმოქმედო
მაყურებელი.

რაზე მსჯელობენ და კამათობენ პარლამენტები და სენატები, ან მეჯლისები და
სეიმები,

შენ გსურს გაიგო მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობ მუდამ სვალის იმედით.
ვით ქვაფენილი, ისე გაწევა შენ დღევანდელი და გარდასული,
გალვიძებული შენი გონება მიძვრება აზრის ხარაჩოებზე, რომ იქ კითხვებზე
გასცეს კაცური მოთქმა

იბრძვის და ცდილობს, რომ მოერიოს ძღვევამოსილი სიტყვების ხანძარს
რომ გამოადგეს, ყოველ სიტყვას ებლაუჭება, ვით მეზღვაური — ასხლეტილ ანძას...
სად გადაუხვევს, რომელ ბუჩქთან დაიმალება, ფიქრი ჰგავს თოვლში გაქცეულ
კურდღელს,
ან ბაეშვს ფეხადგმულს, საით წავა, სად მიაწყდება, ოთახის რომელ კედელს და
კუთხეს?

შეუცნობელის წყვილიადიდან ამოგლეჯილი და მიგნებული ინტუიციით
შენ გესმის, სიტყვა დღის სინათლეზე, როგორ ტირის და როგორ იცინის.
პატიოსნება შენი შენობის საძირკველია და ქვაკუთხედი!
ემსახურები მხოლოდ სიმართლეს!

რომ არ გჯეროდეს, შენ ვერც ერთ სიტყვას
მზის სახილველად ვერ აკურთხებდი!

შენი წიგნია შენი ფიქრი და სიხარული, შენი წიგნია შენი ნაღველი,
ადამიანის ბედ-იღბალზე შემოფოთებული, ადამიანის მღელვარებით ნაკარნახევი!
ადამიანო! ნებისყოფის ჯვარზე გაკრულო,

ვერვინ ჩამოგხსნის, იყავ ფხიზელი,
რომ არ დამარხონ სტრონციუმის ვერცხლისფერ მტვერში კაცობრიობის ტკბილი
სიზმრები!
ამ მიწიერზე მიწიერ მიწას შენ ვერსად ნახავ, ვერსად მიაგნებ, მითხარ, სად არის
ანდა რომელი,


რომ არ დაკარგო, შენს გარშემო შემოიკრიბე პატიოსნების ქვეშევრდომები!
იყავ ძლიერი ჯურღმულიდან და წყვილიადიდან თავდაღწეული შენი გონებით
ისევ ფხიზლობენ დაუნგრეველი და დასანგრევი ქალაქების გარნიზონები!
კვლავ ცოცხლებიან წამებულნი და სიმძიმისილი აპირებს ცრემლად გადაქცევას...
თვალეში გეწვის...
ახლა მეოცე საუკუნეა და ჩვენ მრავალჯერ ადამიანში გვინახავს როგორ იღვიძებს
მხეცი!

შენ ხარ მაღალი, შენ ხარ დიადი, შენს თვალში როცა შემოქმედის ცეცხლი
იელვებს,
ეგ შენი რისხვა და ანათემა ცოცხალი აზრის მდინარეთა ბრაკონიერებს!
შენ გძულს იმათი უტიფრობა, მათი ურცხვობა, თვითკმაყოფილი სახეები, მათი
ფუსფუსი,

რაც შექმნილია შენი გონებით, რომ გადაჩეხონ უნდათ უფსკრულში!
შენ ბოროტების და სიკეთის ბრძოლის ველი ხარ,
შენი მხნეობა არა ბერდებთ,
შენ ვერ მოითმენ, თუკი ცოცხლებს ცოცხლად მარხავენ მიცვალებულთა
გასადმერთებლად!

უმანკობას თუ ახადეს მკერდზე საბანი, ყველას პასუხი უნდა მოჰკითხო,
შენ ყველგან ცხოვრობ და შენ ყველას გაუმკლავდები,
შენ ცოცხალი ხარ მუდამ
დონ-კიხოტ!

რას შესძლებ ახლა, იმას ელიან, რაც შესძელ, უკვე არავის უკვირს;
შენ თითქოს დილით გადაიხედე და დაინახე ეზოში თოვლი,
თვალეში გიდგას ისეთი შუქი...



მზის შემოსხედვით ალექილი და თავდახრილი შენი ფანჯრების სიხარული არ არის

ანდა ფოთოლი, ძილში ჩვილივით რომ იშმუშნება არ არის მუნჯი.

არც განწირული კაცის ყვირილი, არც ურო გრდემლზე დაცემული
არ არის მუნჯი.

ან სიხარულის ნაბიჯები ღამის დუმბილში რომ ახლოვდება,
არ არის მუნჯი.

მუნჯი არ არის იმედის ხიდი, უფსკრულებზე გადასროლილი,
ათრთოლებული სულის წერილი,
მეხსიერების ვრცელი მინდვრები, ჯერ დაუთხრელი დავიწყების
არტილერიით.

მუნჯი არ არის კაცის თითები, ნიკოტინით გაყვითლებული,
რომლითაც იგი ბავშვს ეფერება,

ვინც ვერც სიცოცხლეს და ვერც სიკვდილს ვერ უღალატა,
ან ვინც მიჰყვება ციხის დერეფანს.

მუნჯი არ არის, რაც ძვირფასია და რასაც თვალით
ვალერსები,

რაც არ გსურს, იყოს მიუწვდომელი და უხილავი ჰქონდეს
მესერი.

არ არის მუნჯი არც ვარსკვლავები, რომ აპნევიან ზღვას ქვირილივით,
მუნჯი არ არის შაშხანების პირამიდები, ბრინჯის ყანებში

ღამის ქვითინი.
მუნჯი არ არის ქალწულის თმები, რომ გაწეწილა რემინგტონის
შავი ლენტვიით

და პრეზიდენტის ბალდახინზე ათრთოლებული ტელევიზორის
ობიექტივი.

მიატყლაშუნებს ფარფლებს ზვიგენი, ბადეებს გლეჯენ სალამანდრები, არ არის
მუნჯი ზღვის პოლონეზი,

მუნჯი არ არის დაბზარული ტაძრების მესა, რომ მეორდება ცის კოლონებში.
არ არის მუნჯი და სიზმრებში ისევე ზრიალებს თვითმფრინავების ფუჭელაჟი,

და ალუმინი,
ყური დაუგდე! როგორ წყდება დუმბილის სიმი, გაწვრილებული
ისევე დუმბილით.

მუნჯი არ არის, რომ აწყდება ფანჯრებს მაჟორი
და დღე იწყება სიმფონიის ნაზი შესავლით,

ო, შენ საწოლზე ვერვინ დაგაკრავს ჰერბარიუმის
მცენარესავით...

გამეორდება ის ქუჩები, ის სახეები, ის ოთახები, ის დარეფნები,
მაგრამ ცხოვრება არ მეორდება, იგი არ არის ლექსის რეფრენი.

შენ აღარ გახსოვს უმიზეზო სევდის ასაკი და შენ ხარ ახლა შენზე უფროსი,
შენ დაინახე პრომეთეოსის თავთან არწივი ფრთებს რომ იქნევდა,
აზრი გაიგე ამ საწუთროსი.

შენთვის გვერდიდან შეგიხედავს ათიათასჯერ და ეგ სინდისი
გყავდა გამყოლად,

შენ გაგაწვალა გულისა და გონების დავამ, სულ რომ იბრძვიან
შენს გასაყოფად.

შენ ერიდები, როგორც ახლადშეღებულ კედლებს, რის გახსენებაც არის სასტიკი.

ის არის შენი სიტყბუკის დაბნეულობა, გსურს გადაუგდო

ზღვას ბალასტივით

შენ გინდა მხოლოდ შენი ჭიკით დალიო წყალი

და თეთრ ქაღალდთან დარჩენილმა დიდხანს იოშე

რომ ერთხელ თავი დაგედწია და გაჰქცეოდი

გაცვეთილ ფრაზებს და იდიომებს.

წიგნების კითხვა არის შენი დღესასწაული. სიმართლეს ყველგან

გაკვიდები.

მაშინ მოკვდები, როცა ვერვის მოეფერება შენი სტრიქონი, შენი თითები.

დიდი ქალაქი შენი ოთახის კედლებს აწყდება ისევ გნიასით,

შენ გინდა მხოლოდ გზა გაიკვლიო შენი ნათელი სულის წყვილიადში.

ხარ მეოცნებე: პატარა გოგოს მხარზე უზის უმანკო კრავი, — აი, რა არის შენთვის

ღრუბელი,

და ციმციმებენ, ციმციმებენ შორს ვარსკვლავები — შენი ოცნების გარეუბნები.

შენ გახსოვს, გახსოვს, ვინც ოდესღაც იდიმებოდა და სიბნელეში თავი ჩაქინდრა, ისინი მუდამ აქ იქნებიან და ვერასოდეს ვერ გაისტუმრებ ამ ოთახიდან,

ამ ქალაქიდან.

მზიან ქუჩებში რომ შეგხვედრიან, ან არასოდეს არ შეგხვედრიან, მაგრამ გიხმობენ

და გეძახიან,

ვინც გაგიხსენებს, ან არასდროს არ გაგიხსენებს, ან ვისაც იცნობ, ანდა არ იცნობ —

შენი თვალები მათი სახლია.

თავისუფალი ლანდები მათი, ხელფეხშეხსნილი ლანდები მათი მაგ შენი სულის უკიდურეს კონცხზე დასახლდნენ,

მათ არ მიუძღვით დანაშაული — შენ თვითონ აწვდი სულის გასაღებს.

ეგ შენი გული თითქოს იმათ ხელეში თრთოდა, ყოველი კაცის ხელისგულზე

სამსხვერპლოდ იდო,

და გსურდა მათთვის, გინდოდა მათთვის პატარა ლექსი — აღზნებული გონების

ჟილდო.

შენი ოცნება ტრანზისტორის სინათლის ჩქერში რომ ფარფატებდა და თამაშობდა, გამოიტანე დღის სინათლეზე! კვლავ უცოდველი დღე იბადება, გამოგდებული

ღამის საშოდან!

შენ არასოდეს გინახავს ღამე, ღამე არასდროს ყოფილა ღამე.

დღე ღამდებოდა ათიათასჯერ, შენთვის არასდროს ყოფილა ღამე.

იყო ბნელი და იყო უმთვარო, მაგრამ არასდროს ყოფილა ღამე.

თუ ღამის მერე დღე გათენდება, ღამე არასდროს არ არის ღამე!..

შენ თითქოს სტოვებ ნავსადგურში შემოსულ გემებს და შინ ბრუნდები, როგორც მიჩმანი.

შენ დაგესიზმრა უცხო ქუჩების და ქალაქების

თეთრი სიზმარი.

ესება მიწას განთიადი კურდღლის ტუჩებით, იღვიძებს მიწა ნაამბორალი,

უზარმაზარი ორღანის ნესტო სუნთქავს მგზნებარე ბახის ქორალით.

განთიადს ჰკოცნი რძიან თვალეზზე, ღამის ყვრიმალებს

აღარ ეხები,

რომ დაგაბრმავოს, მზე შენკენ მოდის გრძელი სხივების

ოჩოფენებით!

ისევ იღვიძებს სულში ფრინველი! თავდადწეული ბარბაცებს

სხივი.

აღდე იბადება! ყური დაუგდე ვაგზლის ბურუსში მშობიარე

ქალაქის კივილს...



მზისგან მოთენთილ მაცვლის ბუხუნა მარცვლებს წვენი დასდიოდა წურ-წურით. სიტკბოს ეტანებოდნენ რეტ-დასხმული თაფლისფერი ფუტკარები.

აგვისტოში მაცვალი არ იკმეზაო, გაახსენდებოდა აკოფელას და ფლარტუნით გამოჩნდებოდა შარაზე. წისქვილთან ჩამავალ გზას დაუყვებოდა და ხელიშურში გაფანტული ფერადი კენჭების ყურებით გაძლებოდა. დაიხრებოდა, ერთი ციციქნა პეშვიდან წყალს მოსვამდა, ქეცისგან შეკმულ თმას შეიგრილებდა და აღმართს აჰყვებოდა.

შემოვიდოდა სოფელში და ვაი, ამ

შემოსვლას. აცეტდებოდნენ ტლუ ბიჭები. ხვეწნას დაიწყებდა აკოფელა: — მომეცი ქული, ვადაი, მომეცი ჯონი!

არაფრით არ მოეშვებოდნენ.

— ვადაი, არ გრცხვენია ამხელა მუნტრუქს?!

ხორხოცი ატყდებოდა ამ სიტყვის გაგონებაზე.

ცრემლი მოერეოდა აკოფელას. ღრენას დაიწყებდნენ მოხუცები და მიყუჩდებოდა ბიჭ-ბუჭობა.

შორიდანვე დალანდავდა კლუბისა და კოოპერაციის აივნებს. გულს დაიი-

მედებდა, უბედურ სიცხეში კანტორაში ვინ იქნებაო. დაიიშვებდა და საბიჯელას ისე გადაალაჯებდა, დარაჯად დაბადებულ კოკლ მაიას სიტყვას არ ეტყუოდა.

— შე ტილიანო, შენი გამარჯობის ღირსიც აღარ ვარო? — დაუწრობინებდა მაია და კისერზე მღვრიე ძარღვი აუხტებოდა.

გამარჯობა რავე არ ვთქვი, ვადაი, მბრა ამ რადიოს ხმაში ვერ გეიგე აღბათო, — იტყოდა ცივ ტყუილს აკოფელა და ფერი არ შეეცვლებოდა.

დააკვირდებოდა კოკლი მაია მიმავალ აკოფელას და მოეჩვენებოდა, რომ მილიონჯერ ლამაზი სიარული იცოდა თვითონ. მერე აბრეშუმის ჭიისათვის დაყრილ ბჟოლის ფოთოლზე მიწვებოდა. უცნაური სიგრილე დაუვლიდა ტანში. ვნებით მილულავდა თვალებს და სულ დაეწმინდებოდა ის მღვრიე ძარღვი.

რამდენიმე სამოსახლოს გაივლიდა აკოფელა. გენადის კარმიდამოსთან შედგებოდა. მზეს მოიჩრდილებდა და ზოში მოტანტალე გოგოს გასძახებდა:

— ძალღი ხომ არ გყავთ, ვადაი, აშვებული?

გოგონა ვორაზე შემდგარ კაცს ამოხედავდა.

— ბეჩა, ჩინჩიბურე აკოფელა მოსულაო! — ტაშს შემოჰკრავდა და სადღაც გაძვრებოდა. გრილი პალატიდან ბიჭები გამოცვივდებოდნენ. აკოფელა უცნაური ღიმილით შეხედავდა ტყუბებს და მოუსვამდა. კაი დიდ გზას გაივლიდა, დაწყნარდებოდა.

გენადისთანა გადარეული ძალღი არავის ჰყავდა სოფელში. ყოველთვის, როცა ამ გზას ჩაუვლიდა, თვალწინ დაუდგებოდა უშველებელი დათვია და მარცხენა ფეხის კუნთზე საშინელ ჩხვლეტას იგრძნობდა. მერე ჩხვლეტას სხვაგანაც იგრძნობდა და ცალ თვალს მოქუტავდა უნებლიეთ.

ბოლო დაღმართსაც ჩაივლიდა და ქილეშის დუქანს მიადგებოდა. დუქანში ის ბურღანია დაუხვდებოდა, ხარი-

ვით ბიჭიო, შურით რომ ამბობდნენ კაცები და ეპრანჭებოდნენ აფუებულ გოგოები.

სანამ მზე არ წავიდოდა სხვაგან და სანამ ცა არ დაჰკარგავდა ცის ფერს, სანამ ორღობეში შემოსული საქონლის ბლავილს არ გაიგონებდა ბულღანია, დუქანს არ დაკეტავდა არაფრით. მერე ამხელა კაცი ადგებოდა და ბავშვივით დაუგდებდა ყურს დაჰქვილი ცურიდან ვეება ვედროში გადმოსულ ქათქათა, ცხიმიანი რძის სურსურს.

— სიცოცხლე ბულღანიასო!

— გამარჯობა შენო!

— საით გაგიწევია ამ გაგანია სიციხეში?

— არსად, პატარა საქმე მაქვს ქუთაისშიო.

— შენც გექნება ახლა საქმე, ვერ დეეგდები სახლშიო?

— მაქვს, ვადაი, მართლა მაქვს და რა გეყო, — იტყოდა აკოფელა და გაუკვირდებოდა ეს დეევიით კაცი ასე რამ დაამშვიდაო. მერე გზას გახედავდა და იკითხავდა:

— ახტობუსს არ ჩამოუვლია?

გაელიმებოდა ბულღანიას.

— ახტობუსს არა ჯერ, მალე ჩამევილის აღბათო.

მერე არ ჩამოვილიდა ავტობუსი მალე და ფეხით ჩავიდოდა აკოფელა ქუთაისში.

ისეთ კაბებს შეგიკერავ, ისეთ ჩუსტებს ჩაგაცემევო, ისე გასმევ, ისე გაქმევ, ისე მოგივლიო, ისე დაგივარცხნი ყოველ დილით მაგ წაბლისფერ თმასო, რომ შენზე უღარდელი, შენზე ბედნიერი, დაგენაცვლე, თავი რომ მოიკლა, დუნიაზე ვერვინ მონახოო.

წადი ახლა, იაკობ, და ხვალ არა და, მეორე ხვალ კიდე ჩამოდიო, — ეს უთხრა იმ გამურულმა ბოშა გოგომ და უღარუნით გაიქცა სხვაგან.

მავა ჯონაძე
მოთხრობები

ახლა ჭილეშის დუქნიდან აღმართს აუყვება მთვარიან ღამეში. აუყვება და გულისფანცქალით დაიწყებს ლოცვას: ე, ღმერთო! ისე ქენი, იმ გადარეულმა დათვიამ ვერ გეიგოს ჩემი დაბრუ-

ნებაო. დათვიაც, ვითომ ვერ გავიგეო გაიტრუნება.

მთლად დაიღევა შიშისგან და ჩივიდა: ცი და თითისწვერებზე შემდგარი გლოკილი ლეკვივით, ვინ იცის, მერამდენედ გალევს ამ დალოცვილ გზას.

ქატი პატარა ეზოლან

თბილისის მივარდნილი უბნის ეზოები ვაჭრილი ვაშლებივით წააგავს ერთმანეთს. კარგად თუ დაუვკვირდებით, მისი მშენებელი წარმოგვიდგება კაცად, რომელსაც გარკვეული, მშრალი პროექტის გარდა, რაღაც ამოუხსნელი საიდუმლოთი უსარგებლია. მერე ამ საიდუმლოს წყალობით, ოთხმხრივ აღუმატათავს ორსართულიანი შენობები და თითქმის დანათესავებულ მობინადრეთათვის ერთი ციკქნა მიწის ნაკვეთი გაუხსნია საერთო საკუთრებად.

ასეთ შეკრულ ეზოებში ხელისგულზე ცხოვრობს ყოველი ოჯახი. მათი კაცობა კი თოვზე გაფენილ თეთრეულის დარად, სააშკარაოზეა გამოტანილი. ამიტომაც, რომ ერთმანეთის ყველამ ყველაფერი იცის და არავის არაფერი უკვირს.

წლის ოთხივე დრო განსაკუთრებული სიმძაფრითა და სიცხადით დაეტყობა ხოლმე ასეთ ეზოებს.

გაზაფხულზე, თითქმის ერთდროულად, ჩუმად გამოპყოფენ თავს ეზოში მდგარი ხის კვირტები და კარებთან მომლოდინე სულწასული ბიჭები. მერე ერთბაშად, მწვანედ და ვარდისფრად გაიფითქება მთელი ეზო.

დილიდან საღამომდე „ომობანას“ თამაშით სიმყუდროეს დაურღვევენ მეზობლის ბიჭები სკამებით აშენებულ სახლებში შეყუყულ და დედოფლების ავადმყოფობით დადარდიანებულ პატარა „დედიკებს“.

მერე მოვა პაპაჩაქება ზაფხული. ცალკე მზის სიმხურვალე, ცალკე არაქათ-ვაცილი კაცის ოფლი და დარდი ჩაი-

ბუდებს ყველაფერში. ჩაიბუდებს და ვეება ქვაბში მოსახარშად ჩადებულ შეწირული ბატკნის დარად, რძისფერი ოხშივარი აუვა ყველაფერს.

ყველაზე სუსტი ფოთოლი მოწყდება პირველად. მერე ნელ-ნელა შემოდგომისფერი ფულებით ჯადოსნური სკვირივით აივსება ერთი-ციკქნა ეზო.

სისხამ დილით შემოიპარება მეეზოე. სკვივრს გაცლის და ერთბაშად გამდიდრდება.


ჩუმად, ფეხაკრეფით შემოვა ვნებიანი და მოსაწყენი ზამთარი.

გაუფრთხილებლად დაბრუნდა კაცი-ქალი კინალამ გაგიჟდა, სიხარულით ნეცხრე ცაზე ავიდა. სიბერე ან გულისტკივილი რას მიქეიას და იმხელა პურობა გადაიხადა, სულ გადარია ნაცნობ-უცნობები. გადარია და მეზობლები დააეჭვა კიდეც: ვაჰ, ქვრივ-უპატრონოს ამოტენა შეძლება საიდანაო.

მერე მთელი ზამთარი ისე გავიდა. ოთახს სიცივე არ გაჰკარებია. იჯდა სიტბოს დანატრებული კაცი ცხელ ოთახში. ზამთრის ფაფუკ ღამეებს აბუზული ბელურებივით აფრთხობდა და ესტუმრებდა. გარეთ გაუსვლელობა სულ არ აწუხებდა. აღარც თამრიკოს გათხოვება ენაღვლებოდა. კმაყოფილი მოხუცი კი ბავშვივით ტიტინებდა:

შენი თავი ვინ წამართვა, დედიკონა, შენი თავი ვინ ავგაროხმა მომტაცა...

კაცს სახე ებადრებოდა. ავგაროხის ხსენებაზე ბიჭობა თუ ელანდებოდა.



როცა დედა დაეკარგებოდა, შეწუხებული მეზობლის ქალს მიადგებოდა: ჩემი დედა სად წავიდაო?

მეზობლის შავი ქალი აწუწუნებოდა, კაი მართალი კაცივით ლოყაზე ხელს იტკიცავდა და შეიცხადებდა: უი, შენი დედა ორთვალამ თუ მოიტაცაო!

ბიჭი დაიძაბებოდა. გუგებგაფართოებული ერთბაშად წარმოიდგენდა, რა საშინელი იყო ის ორთვალა და ქრუანტელდავლილი ღრიალს მორთავდა.

სწორედ იმ წუთში, ზღურბლზე რაღაც სასწაულით, ორთვალას ტყვეობიდან დახსნილი მზეთუნახავი გამოჩნდებოდა. ცრემლებნაყლაპი ბიჭი გაქანდებოდა და ჩაეხუტებოდა. ერთბაშად გაუთბებოდა მეკრდი უღროოდ დაქვრივებულს.

ბიჭი იზრდებოდა და ეშინოდა დედას სითბო არ მიჰკლებოდა. ახლა უკვე ისე დიდი იყო, ესმოდა, თუ რა ცოდო და საშინოა უქმროდ დარჩენილი ლამაზი ქალი.

მერე მაინც გაბედა და თამრიკო ახსენა. თვალეტიმციმა და ცქვიტი თამრიკო. დედას გაელიმა. მერე მეორედ ახსენა, მერე ბევრჯერ.

დედა ახლა უკვე ბრაზობდა, ღელავდა და თუხთუხებდა: ეს კნაქა გოგო რა შესაყვარები იყო.

გოგო კი, თითქოს ჯინაზე, ყოველ საღამოს რეკავდა და რეკავდა. ბიჭი სახლში აღარ ჩერდებოდა.

გვიან დაბრუნებულს ქალი დაწოლილი ხვდებოდა. უსიტყვოდ კოცნიდა გრილ შუბლზე მიძინებულს. ამხელა კაცი ბავშვით ტყუედებოდა ისევ. დედა ქუთუთოებს და ღიმილს ძლივს იკავებდა. ძალიან უყვარდა ასეთი ტყუილები მზეთუნახავს.

ერთ მზიან დღეს უცნობი კაცები მოვიდნენ და კანონის ძალით ახალგაზრდა სტუდენტი თან გაიყოლიეს. ქალი დიდხანს ტიროდა, დარბოდა, გამწარებული, კრუხივით გაფოფრილი და გაანჩხლებული. მერე ვილაცას შეეცოდა და

დაამშვიდა: ჰოდა, თუ მასეა, თუ დანაშავე არ არის, ნუ გეშინია, მადლი გიბრუნდებაო. ის დღე და ის დღე წვივინდა ბიჭი დასაკარგავში და ერთად ერთი წერილის ამარა დატოვა ქალი.

წელათრევით, მიძიმედ გავიდა ცრემლით შეჩერებული ერთი, ორი, ხუთი წელი. მერე კიდევ ავდენი.

ერთ დღეს კაცი დაიბარეს და უთხრეს: წადი, დაბრუნდი, გამართლებული და თავისუფალიო.


კაცს გაეცინა და მიხვდა, რომ ახლა ის უკვე ცირკის მანეთზე გამოსული შაქარნაჭამი პატარა მხეცივით ბრძენი, უწყინარი და თვინიერი იყო.

მთელი გზა ფიქრობდა. ჩამოვიდა და თითქოს ჯინაზე ზამთრის მოწყენილი, ცულობინა ღამეები დაუხვდა. ფიქრს ვერ შეელია ვერაფრით.

მისი მოხუცი დედა მთლად გაფითრდა. დაჰკნა და დადარდიანდა, მომიკვდება შეილიო. ასე სულ სახლში ჯდომა სად გაგონილაო. ეცოდებოდა კაცი და ერთადერთ სიამოვნებაზე უარს ველარ ეუბნებოდა. კაციც სვამდა და სვამდა იისფერ არაყს. სვამდა და ლურჯდებოდა. უზომო სითხეს ღებულობდა და სულ მთლად შრებოდა, იფიტებოდა. ბოლოს გალოთდა. მზერა აემღვრა და თვალის გუგებზე წვრილად დაეტყო წითელი ბადე.

მოკითხვა დაუწყო დაყვლებილთვალეზა შიშმა. ხანდახან ისე დაფრთხებოდა (ფიქრი აღარ შემძლიაო), რომ საკუთარ გონებას აიძულებდა და ტკივილამდე შეაწუხებდა. კითხვა-პასუხს გამართავდა ჩუმად. დასკვნა სულ ერთი და იგივე ჰქონდა: იქ იმედით ცხოვრობდა. აქაურობაზე შეეძლო ფიქრი და ოცნება. სხვა თუ არაფერი, გულუბრყვილო ბიჭის მაჭარივით შუშუნა და დაუწმენდავი მომავალი ხომ მაინც ელანდებოდა. ჩამოვიდა და... თურმე რაღა დროის ბიჭობაა. უცებ დაიწმინდა ამდენი წლის ნადუღარი და ნაბუყბუყა-

მანა ჯონაძე
ნოთხრობაბი



რი მაქარი. ჰოდა, დაიწყო კაცმა თრობა. დაწმენდილი, დამდგარი და აშკარა ღვინით.

დაბერებულს მოსაგონარი აღარც კი დარჩენოდა. გახელდა და შეძენილი გულგრილობით დაუწყო ყველაფერს ყურება. ისწავლა საშინელი ირონია და ღვარძლიანი ცინიზმით დააფრთხო ადამიანები. გაბუსუნებული თხუნელას სიჩუმით შეუდგა სამაგიეროს გადახდას. ამით მიღწეა იმას, რომ ოთახში გამოკეტულს აღარ აწუხებდნენ და ერიდებოდნენ. მეზობლის ჭირვეულ ბავშვებს კი ჭამის დროს მისი სახელით ამინებდნენ. როგორც ყოველთვის, ახლაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ შარვალგამოხეული და მანქანიანი მამაკაცები, ყოველ დღით გადასარეგ გამარჯობას რომ ეუბნებოდნენ ერთმანეთს. გამარჯობაზე სიცილით კვდებოდა კაცი. არსებით განსხვავებას მათ შორის უკვე ვეღარ ხედავდა. ცოფიანი ძაღლივით დუქმორეული და გააფთრებული დასცინოდა ორივეს. კუნჭულში მიტენილი, ბრძენი ეზოპეს სარკაზმით ამხელდა ადამიანებს და თავი მოჰქონდა კიდეც ამით. წიგნის დანახვაზე გული ერეოდა. მწერლებს კი საკუთარი ბიოგრაფიით მოვაჭრე სპეკულანტებს უწოდებდა.

ერთი მეზობელი მამაკაცი უთენია დგებოდა და სულ სუფთა პერანგს იცვამდა. პერანგის დანახვაზე ლოთი სიცილით იჭაჭებოდა, რადგან მაშინვე, ჰუჰყიან ქათვი ჩაყრილი მსუბუქი ნაფოტებივით ამოტივტივდებოდა რეცხვისგან ტყავაცილი ყავისფერი ხელები. ერთ დროს ისინი კაცის ყვრიმალებს ეფერებოდნენ. ჰოდა, ამ პატიოსან, უწყინარ არსებას, გარყვნილი ცხოვრების გამო სენშეყრილი ქალივით ყავისფერი და აქერცლილი ხელები ჰქონდა. მის ჩია ქმარს კი გულით სწადდა სუფთა პერანგში გახვეული ამპარტავნული თავმოყვარეობის ვადარჩენა. დასცინოდა კაცი ოჯახის უბადრუკ და მონდომებულ სისუფთავეს.

მეზობლის გაჩხინკული ბიჭი მოშიე-

ბული ბრუნდებოდა სკოლიდან და ცარიელ კარადაში ხელებს აფრთხილებდა. ფიქრით გულგასიებული, შარვის მჭრელებზე გაღვიძებული კაცი ბილწად აგინებდა დედას საკუთარ ღლაპს.

ლოთის დამღრძვალ გონებას წამით ლობრი ეცქვენებოდა. ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი ახსენდებოდა სამოგზაუროდ წასულ სოფდაგარზე, ბრწყინვალე ქალაქები და სასახლეები რომ მოიარა. დათვრა მოფარფატე სეფე ქალების ბიბილოებზე ნაპკურები ნელსაცხებელთა სურნელებით. მერე კი შემთხვევით, მიყრუებულ სუნიან ოჯახში ღამის გასათევად გლეხის ცოლმა ლოგინი დაუგო და გადაიჩია კაცი ქალის მშვენებით.

როგორც ყველა, ისე იმ ზღაპარსაც კეთილი ბოლო ჰქონდა და ღამაზმა ქალმა უარი უთხრა სოფდაგარს ცოლობაზე. მისი ერთგულებით ძალამოცემულმა კეთილმა გლეხმა დაამარცხა მდიდარი და ბოროტი სტუმარი.

ბეირდებოდა კაცი ღამაზი ქალის ბრიყვულ სიკეთეზე და ტილიანი გლეხის გამარჯვებაზე.

თანდათან ცოცხლდებოდა დღე ეზოში ჩამოსული ბავშვებით, რომლებიც ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ და პირველყოფილი კაცუნებივით ერთად თამაშობდნენ, ერთად იბრძოდნენ. ყველაზე გრძელნაწნავიანი მეზობლის გოგო კი კერპად ჰყავდათ ამორჩეული.

მერე ღამდებოდა. უკან ბრუნდებოდნენ გეგბა ტვირთით დამძიმებული გამხდარი და მსუქან-მსუქანი მამაკაცები. შემოსვლისთანავე ეზოში „ერთობა“ იშლებოდა. თავთავიანთ ოთახებში აყუყუტულ გოგო-ბიჭებს კოცნიდა და ჯაგაბა წვერით ლოყები უვარდისფერდებოდათ.

ღრმად დაჯერებული ელოდა ლოთი იმ საშინელ დღეს, როცა უცებ, ერთ ღამეში შეცვლილი ბავშვი უხერხულობას შეიტანდა მოთამაშე გოგო-ბიჭებში. დასცინებდა, ფეხშიშველები რომ დადიოდნენ ანდა პირიქით, შემურდებოდა ღამაზი, ჭრელი გეტრები. შურსა და სი-

ხარბეს გაერიდებოდნენ დამფრთხალი ბავშვები. მაშინ კი გარიყული და გამწარებული მოშხამავდა ამდენი ხნის მეგობრობას.

დაბოხებული, შეცვლილი ხმით აღრიადებოდნენ გულნატკენი ბიჭები. უკანასკნელი, ალალი ცრემლით გამოფთხოვებოდნენ ბავშვობას უცებ დამწიფებული გოგონები. ეზოში ბავშვები აღარ ითამაშებდნენ.

ერთ მზიან დღეს კაცს გააქრჯოლა და შეამცივნა. ამდენი წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა ორთვალა. ლოთები ბავშვებით უცებ იწყებენ ტირილს. ზღურბლზე კი მაინც აღარ გამოჩნდა მზეთუნახავი.

ახლა იდგა და რატომღაც თავს იმართლებდა რაღაცის წინაშე. აკი უთხრეს კიდევ, მართალი და თავისუფალი ხარო.

და მაინც წამხდარი, ცამდე მართალი კაცი დასცინოდა ღმერთის წინაშე ყველა დანარჩენი კაცის სიმართლეს.

ოთახი საშინლად პატარა და ცივი იყო. ეზოში მომზირალ ლოთს ფანჯრის გაღებისა ეშინოდა...

უცებ ვეება, ჭრელი ბურთი უტოებში ავარდა. ბზრიალ-ბზრიალით დაბრუნებული, კარს მოხვდა და უხმაუროდ შე-

აღო. ერთბაშად დათბა. კაცმა იგრძნო, რომ მარტო აღარ იყო. ნელა მოტრიალდა. კარებში ყველაზე გამბედავი ბიჭი იდგა და ოფლში გახვითქულს დასწავდა. სუნთქავდა. კაცი ჯერ ბიჭს დააშტერდა, მერე ზანტად დაიხარა და ბურთი მიაწოდა. მადლიერი მზერა შეაგება ბავშვმა. კაცი მოლბა. ბიჭს კაკლის მურაბასავით ტკბილი და ლამაზი თვალები ჰქონდა. ამ აღმოჩენამ წახალისა. გათამამებულმა ბურთთან ერთად გაქცეულ ბიჭს ნაავადმყოფარი კაცის სიარულივით სუსტი და დაბორკილი მზერა დაადევნა. დაადევნა და ამდენი ხნის შემდეგ პირველად დასწყდა კაცურად გული. ამ წუთში მისგან მოკლემარვლიანი ადამიანი გარბოდა და სულ მარტოდმარტო სტოვებდა.

მწვანედ და ვარდისფრად გაფეთქილ ეზოში შუადღის მზეს ვეება კოცონი დაენთო.

ზევით, სულ ზევით, ისმოდა ხმაური, შუა ეზოში მოჩვენებასავით მდგარი სულ ახალგაზრდა კაცი უცაბედი აღმოჩენით დაბნეული, ქრუანტელდავლილი და აფორიაქებული ღიმილით მისდევდა ცისკენ გაქცეულ ციციქნა კვირტებს ასე სასაცილოდ, ფაციფუციითა და ბათქაბუთქით რომ სკდებოდნენ წამდაუწყუმ.



სუკვილი




ეზოში უმოწყალოდ არხევდნენ თუ-
თას და ნაყოფი სხაპასხუპით ცვიოდა
მიწაზე. ნემსისუფნივით წვრილ წინ-
წკლებს მოეჩითა ეზოს გულისპირი
და მარინეს გაბმული სიცილი თავდად-
მა დაკიდებული ჩანჩქერივით ჩხრია-
ლებდა. მისი ბიჭები ბაჭიებივით დარ-
ბოდნენ თუთებით დაგებულ მიწაზე
და მწიფე ნაყოფით იტენიდნენ პირს.
მარინეს თმებზე, წამწამებზე თუთის
ლიცლიცამარცკვლები ეკიდა და ხეზე გა-
სულ ფარნას სიცილგადალეული ხმით
ეძახდა. ფარნა ხელიკივით გამოჰყვა
ხის ტანს, ძირს ჩამოსრიალდა და შარ-
ვალი გაიფერტხა. მიწაზე დაგებულ

აუთას თვალი შეავლო, მერე მისგან
გამოხდილი არაყი წარმოიდგინა, ბოთ-
ლებში სათითაოდ ჩამოსახა. მერე არ-
ყისგან აწრიალებული, ამ ხესავით სამ-
კაულგაკრეფილი გიგოს სულიც დაი-
ხახა და სხეულში თბილი ქავლივით
ჩაედვარა ნეტარება. უცებ თვალში
მოხვდა მარინეს ბროწეულივით გახ-
ლეჩილი ღიმილი და წარბებით ჩამოი-
ქუფრა პირისახე.

— რა გაღიმებს, ქალო?

— რა ვიცი.

ფარნამ ხელი ჩაიქნია და ფართხუ-
ნით წავიდა სახლისაკენ. მარინე იდგა
შუა ეზოში ალვასავით ასხებილი,



წყენისა და ტკივილის ანაბარა დარჩენილი, ღომიღომიტიოვებული და ერდლიანი ყვავილის სიცოცხლესავით დამკნარო; ფარნას ციებასავით დამფრთხალი და ნოტიო ხელები ჰქონდა. ამ ხელებით თლიდა იგი ფანდურსა და სალამურს. თითებს ისე ამოძრავებდა, გეგონებოდა ქიყელები დაფუთფუთებენო. მაშინ მარინე თვალს ვერ უსწორებდა ფარნას და ქედწახრილი ვადიოდა ოთახიდან.

სალამობით შემოივლიდა გიგო. ფარნა ნეტარებით ჩაიხიჩხილებდა, ჰიქას სინათლეზე გახედავდა და არაყს ჩამოსახმდა. მერე, ვინ იცის უკვე მერამდენედ აყოლებდა გიგოს თავის ხელმოცარვის ამბავს.

გიგოს ხუთი წლის უკან წვნიკა ბიჭი მოუყვდა. ბავშვი სიცხიან თვალებს ჰაერმოწყურებულებით აბრიალებდა და გამშრალი ტუჩებით მამას ეძახდა. წლისთავზე მისი ცოლი სატირალში თვალშენავლებ ახმან კაცს ვაჰყვა. დარჩა გიგო შვილის სათამაშოებისა და ჩილიკა ჯოხის ამარა.

მოყოლისას ფარნა ჩაცებით ეკითხებოდა:

— მაინც როგორ მოკვდა?

— ცოლი ხომ არ გენატრება, ჰა?!

როცა გიგო ბედნიერი იყო, ბუღალტრად მუშაობდა კანტორაში. მას საფეთქლებს სტკენდა საანგარიშოს ჩხაყუნი. მუშაობის დაწყებისას ყურებს ბამბით დაიბუგავდა რგოლების ათვლა-ჩათვლას, მოჰყვებოდა, დავთრებს გულგადაღებული ჩაიკითხავდა და სიკვდილმისჯილებით აწერდა ხელს. გიგოს თვლაც კი არ უყვარდა თავისი პროფესიის გამო.

ერთხელ ბაწარივით გაბმული, რუსული ასოებით გამოსახული ქაღალდი ააფარეს თვალწინ. უთხრეს, რა ეწერა იქ და დასტურად ხელი მოაწერინეს. გიგო ხელმოწერაში არ იყო გაწაფული. ფაქიზი, მონდომებული ასოები გამოჰყავდა. ისე, როგორც დედაენაში, გაკვეთილის ბოლოს თვალსაჩინოებისათვის აღებუქდათ — საათი.

მერე გიგო ხორავით დამძიმებულ სუფრასთან მიიწვიეს და დამეწერი უშავესი ღვინით მისი ალალი კაცობისა და მართალი მარჯვენის სადღეგრძელო შესვეს. გიგო უმეცარი ბავშვივით ახამხამებდა თვალებს და ვერ გეგო, რატომ შეამჩნიეს მისი არსებობა.

შემოდგომაზე, თრობასმინდობილი ეუნება-განწყობისა და ქარვისფერი სიმწიფის თვეში, გიგოს მფლანგველობა დააბრალეს. ენადამორკილი კაცი, უმზაკვრო ასოებით რომ წერდა და ახალგაღვიძებულივით იცქირებოდა აქეთ-იქით. ციხეში გაისტუმრეს.

— მოგატყუეს, გაგლიტეს, არა?! — სიავე უელავდა თვალეში ფარნას.

— მაინც რამდენი გავაფლანგვის?

— დედასა, რას მოიხმარდნენ იმ ფულს!

გიგომ ორი უსინათლო წელი დაჰყო ციხეში. იქიდან როცა გამოვიდა, ფეხქვეშ მიწის გამძლეობა იგრძნო და ვაეხარდა, ბუღალტრობისაგან რომ განთავისუფლდა. მისი სახე ჰიებით დაკემსილ ვაკვითლებულ ფოთოლს ჰგავდა და ფეხათრეული მიჰყვებოდა გზას. უბრად ჩაუარა თავის დაყრუებულ სახლს და სკოლის ეზოში შევიდა. ზარი დაირეკა თუ არა, ბავშვები ადიდებული წყალივით მოაწყდნენ ეზოს და ერთმანეთს დაერივნენ. გიგო მზესმონატრებულებით უცქეროდა მათ და ნელ-ნელა მივიწყებული დიძილი ეპარებოდა. ყოველდღე აკითხავდა ბავშვებს და დღიური ლუკმით კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ.

ფარნა ისევ არ ასვენებდა და სალამობით არყისგან აბრიალებულ გიგოს ხელმომჭირნედ შხამავდა.

— შეილი მოგიკვდა, ცოლი გაგიოთხოვდა, მოგატყუეს, გაგამასხარავეს, რიდასი გჯერა?!

გიგო ამ დროს ჩასაფრებული შიშისგან იცლებოდა და შენდობასავით ამბობდა:

მანანა ავალიშვილი
წყუარვილი

რა ვიცი, მჯერა და.

— რისი, კაცო? — ახლა უკვე ხარ-
ხარებდა ფარნა და გიგოს ეჩვენებო-
და, რომ სახლის კედლები ირღვეო-
და.

შებინდებისას, როცა ფარნამ არაყი
გამზადა, ცოლმა ერთბაშად კარები
შემოგლიჯა და ყალყზე შემდგარი, გა-
ხელებული კვიცივით ერთ წუთს ვაი-
ტვრინა. თვალები ხანჯლისპირივით
ულაპლაპებდა და ფარნას პირისახე
აეწვა მისი სუსხიან მზერით.

— დაანებე თავი ფანდურების გა-
მოთლას. — წადი, ხბორები დაკალი
და გულო მოიოხე.

ფარნა მუშტივით შეიკრა, ოთახის
კუთხეში ჩაიკარგა ფერგაცრეცილი და
სურვილგამხელილი. მარმნე ახლა
ყელგადაჭრილივით ხრიალებდა.

— ოღონდ დაანებე მაგ საქმეს თა-
ვი.

ფარნამ ერთბაშად იგრძნო ამ ქალის
მძლე და მარადიული ჯიში. აღიარები-
სათვის დაფარული მისი სილამაზე და
საკუთარი არსებობის სიმძიმელი შე-
მოაწვა გულზე. მაგრამ ეს გრძობა
კალმახივით გაუსხლტა ხელიდან და
დარჩა ფარნა დაღრეჯილი სულით,
აკვაცობის გაუბედავ წყურვილთან ერ-
თად.





ფეხის გასწმენდა

გოგო როცა შემობრუნდა, მეზობლის ქალი სავარძელში იჯდა და პატარა ქლიბით გულმოდგინედ ისწორებდა ფრჩხილებს. კარის ჭრიალზე თავი ასწია, შემოსულს გაუღიმა. გოგოს თუ, იმ ტყემლის ტოტს, თან რომ შემოიტანა.

— ოჰო?! — თქვა ქალმა და ხელები კალთაში ჩაიწყო.

გოგო ზურგით კარებს მიეყრდნო, ქალის ხელებს დახედა და თქვა: — გაზაფხულდა.

— ჯერ ადრეა. — ქალმა ახლა ფეხი ფეხზე გადაიდო და ორივე ხელი ერთ მუხლზე დაიდო. — ჯერ სადა ხარ, ნა-

ხავ, როგორ დაუბერავს ნასესხები... ტყემლებს რომ მოჰყავდეს...

ლაპარაკობდა ქალი. წარბებს ათამაშებდა და თხელ ქვედა ტუჩს ენის წვერით ისველებდა. მთლად გაელოკა საღებავი.

გოგომ ერთხანს უყურა ქალის პატარა, დაჯირჯვალბულ ხელებს, მის გალეულ სახესა და ზომაზე მეტად შეთხელებულ თმას. „რასა ჰგავს, რა საცოდავი გარეგნობა აქვს“, მერე მაგიდასთან მივიდა, ლარნაკში წყალი ჩაასხა და ტოტი შიგ ჩადო.

ქალს არ გამოეპარა, როგორ ფრთხილად მიადო გოგომ აქეთ-იქიდან ორი-

ვე ხელისგული ყვაილებს; მერე დაიხარა და დაყნოსა.

ქალი ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხილა. ოთახი გაკაშკაშებული იყო და ნახევრად ბნელი ქუჩა კარგად არ ჩანდა, მაღალი აკაციები გაარჩია. იდგნენ, არც ერთი ტოტი არ უთრთოდათ.

— წყნარი ამინდია. — თქვა ქალმა.

— ჰო, კარგი ამინდია.

ქალმა ხელები მოფსხრიკულ თეძოებზე შემოიწყო. — ტელევიზორშიც ცუდი პროგრამაა, როგორ უნდა გაერთოს კაცი. — ფანჯრის რაფიდან პატარა ბოთლი აიღო, შემობრუნდა და სინათლეზე გახედა.

გოგო დაბალ სავარძელში იჯდა. იდაყვები მუხლებზე დაეწყო, ნიკაბით ხელისგულებს დაყრდნობოდა, თავი დახარა და ქვემოდან უყურებდა ქალს. — ფრჩხილების საღებავია, გაჩუქებ. — თქვა გოგომ.

— ეს ფერი არ მიყვარს. რაა, არც გამოჩნდება ფრჩხილზე.

ქალმა ისევ დადო ბოთლი. მერე გოგოს მიუბრუნდა. — იცი რა? საერთოდ, წითელი ფერი მიყვარდა ყოველთვის. — წავიდა და მაგიდას მკერდით გადააწვა. ლოყა ერთ მკლაზე დადო. მერე ხელის თითებს კი მორიგეობით უსვამდა მაგიდაზე. — მიხდებოდა წითელი ფერი. ერთი კაბა ახლაც მაქვს. ცოტა გამიგანირდა, მაგრამ მაინც მიხდება.

გოგო ჩუმად იჯდა.

ქალი ისევ მაგიდაზე იყო გადაწოლილი. ძალიან უნდოდა, რაიმე გაეხსენებია წარსულიდან. პირდაპირ კედელზე დიდი სარკე ეკიდა და ქალი მთლიანად ხედავდა შიგ მაგიდასაც და საკუთარ თავსაც.

გოგო ისევ ჩუმად იჯდა.

ქალს უნდოდა ეამხნა მისთვის ისეთი რამეები, რაც აუცილებლად სხვას უნდა მოუყვე, რათა შენ თვითონ კარგად აღიდგინო მეხსიერებაში. ცდილობდა გაეხსენებია ყველაზე კარგი, კარგი... სარკეში იყურებოდა. ხედავდა ძალიან ნაცნობ სახეს, რომლის

წინ, აფეთქებული ტყემლის ტოტით, ძალიან შორეული, ძნელად გასახსენებელი გაზაფხული იდო... და ვერაფერს ვერ იხსენებდა..

სიჩუმე იყო. გოგო ამჩნევდა, რომ ქალი აღარ იყო ის ცოტახნის წინანდელი ქალი. „ნეტავი, პირველად ნახა თავისთავი?“ სარკეში შეხედა ქალს.

— ახალგაზრდა რომ ვიყავი, — დაიწყო ქალმა, — მაშინ... — და ორი თითო ყვაილი შეაწყვიტა ტოტს, — თითქოს სხვაფერის თვალები მქონდა.

ყვაილი მოსრისა და ხელისგულზე დაიდო.

— რაფერის კაბასაც ჩავიცმევდი, თვალებიც იმფერი გამიხდებოდა, ახლაც კი აღარ.

ისევ შეაწყვიტა ყვაილი. თითქმის მოჰვლიჯა. ერთი, ორი, სამი...

— ნუ აფუჭებ, რა!.. — გოგო ფეხზე წამოდგა.

— რა მოხდა, ტყემალია, სხვა ხომ არაფერი...

— გთხოვ. — შეეხვეწა გოგო და ისიც გადააწვა მკერდით მაგიდას.

ქალმა გოგოს აღმაცურად გახედა. შუბლი შეიჭმუნა, ამპარტავენული სახე მიიღო და ისევ იკითხა: — შენ კი, გახსოვს. რამე წარსულიდან? არა მგონია.

— რა უნდა მახსოვდეს, მაინც?

— ბავშვობისა არაფერი დაგრჩა მოსავონლად?

— ბავშვობაში ჭინჭველების სახლების გაფუჭება მიყვარდა. კიდეც, დედა თევზის ქონს მასმევდა. რომ ვიგონებ, ზოგჯერ ახლაც ვგრძნობ პირში საზიზღარ გემოს.

— აბა, შენ რა გესმის. მეც გელაპარაკები...

ქალმა ხელი ჩაიჭნია. მერე სარკესთან ახლო მივიდა. თავის სახეს დააშტერდა. შუა თითი ცხვირიდან ყვრილისაყენ წასულ ნაოჭებს გადააყოლა და თქვა: — მე ამ ქუჩაზე, ერთ დროს ლამაზ ქალს მეძახდნენ.

მობრუნდა და გოგოს შეხედა.

გოგომ გაიცინა.



— შენ ალბათ ისიც არ გჯერა, რომ ახლაც მიხდება წითელი კაბა. ახლავე დაგარწმუნენ.

პაკუნით გავიდა ოთახიდან. დერეფანში ბნელოდა. — „ერთმანეთს უყუარებენ, ერთი ნათურის დაკიდება რა ვახდა“.

როცა დაბრუნდა, წითელი კაბა ეცვა. რაღაც სასწაულის მოლოდინით ავისილი თვალები მოავლო ოთახს. გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა. დაე, თვითონ გოგოს შეექო.

იდგა კარებთან და ელოდებოდა, როდის შეხედავდა გოგო, რომელსაც ლარნაკისათვის მკლავები მოეხვია, თავი მაგიდაზე დაედო და გაშლილი თმა მხრებიდან წინ ჩამოშლოდა.

ფეხაკრეფით წავიდა ქალი მაგიდისაკენ. იმ მხრიდან მოუარა. საითაც გოგოს სახე უჩანდა. იდგა და უყუარებდა. გოგოს მშვიდად ეძინა. ტუჩები ოდნავ დაეცილებინა ერთმანეთისათვის, თით-

ქოს ილიმებო. ლამაზი სახე ჰქონდა. სიჩუმე იდგა. მხოლოდ მაგიდის სასწაულის თი წიკწიკებდა დაგუბებულ სარწმუნეში.

ქალმა ახლა სარკეში გახედა თავის თავს, მძინარე გოგო და ტყემლის ტოტიც მოჩანდა. ქალი იდგა სარკეში... წითელი, დაქმუჭვნილი კაბა ეცვა. პატარა, სუსტი ქალი.

გოგოს მიუახლოვდა. ხელი წაიღო მისკენ, უნდოდა თავზე შეხებოდა და გაეღვიძებია. ისევ სარკეს გახედა. სწრაფად მიბრუნდა. გაშვებული ხელით ტოტს მიწვდა. ბლუჯად მიაგლიჯა ყვავილები. იქვე დაყარა მაგიდაზე და ფეხაკრეფით წავიდა კარებისაკენ. როდესაც გამოაღო, ჩაბნელებულ დერეფანში კარების მოპირდაპირე კედელი ფართო ზოლად განათდა, რომელზეც ქალის პატარა, შავი ჩრდილი დაიხატა. მერე სწრაფად გაქრა სინათლე და მასზე გამოკვეთილი სიშავეც დერეფნის სიბნელეს შეუერთდა.





გულზე თედიავილის ერთი გლა

მილიციის ზემდეგ თედიავილის დავა-
ლება ჰქონდა მიცემული. ერთი ზემო-
უბნელი ბიჭი წვრილმანი ხულიგნობი-
სათვის სახლიდან განყოფილებაში უნ-
და მიეყვანა.

უფროსმა ბიჭის მისამართი ჩააწე-
რინა.

თედიავილიც ნელა აუყვა აღმართს.
თბილი ზამთარი იდგა. შინელი და ჩექმა
არცთუ ძალიან სიამოვნებდა ზემდეგს.
მერე ეს აღმართიც აღარ მთავრდებოდა.
ნელ-ნელა იბოდმებოდა დამენათევი თე-
დიავილი უცნობ ბიჭზე.

„დაიჭირო და ყურები უნდა და-
ახიო!..“

შინელი მძიმე იყო, ჩექმები — ცხე-
ლი და დამეც უძილოდ გახლდათ გატა-
რებული.

„რა აჩხუბებთ მაგ ოხრებს... დაი-
ჭირო და ყურები უნდა დაახიო.“

ბოლოს შეჩერდა. მერე აქოშინებუ-
ლმა ქალაღის ნახევი ამოიღო, მისამა-
რთი შეამოწმა და სადარბაზოში შევიდა,
ზარი დარეკა.

— ჰოუ! — მოისმა ბინიდან, — რომე-
ლი ხარ?

— მე ვარ, — უბასუხა ზემდეგმა.

— ვინ შენ, კაცო?

— კარი გააღე, ბიჭო! — ხმას აუწია
თედიავილმა. ცოტა ხანში კარი გაიღო.

ჩაბნელებულ შესასვლელში ტრუსის ამარა ოცობდნენ წლის ბიჭი იდგა.

— ვინ ვნებავთ, ჩემო ბატონო?

— დიტო აქა ცხოვრობს?

— გიტო, ბატონო, — დაეთანხმა ბიჭი.

— შენ ხარ, არა?

— არა, იმას სძინავს, — მერე ბიჭმა ხმას დაუწია; — წუხანდელი ნაქეიფა-რია.

— ოო, აბა არ შეაწუხო და მერე შემოგივლით, — იხუმრა თედიაშვილმა და სანამ თავის მოსწრებულ სიტყვაზე ეღიმებოდა, ტრუსიანმა ბიჭმა „კაი, ბატონო“, და კარი მიუხურა.

ახლა კი გაბრაზდა ზემდეგი და კარს ხელი მიარტყა.

— გააღე, ბიჭო!

კარი გაიღო. თედიაშვილი ოთახში შევიდა. ორი ლოგინიდან ერთში კარგა მოსული ბიჭი იწვა, მეორე ალბათ იმ ტრუსეზიანს ეკუთვნოდა.

— მოისვენეთ, ბატონო, და ახლავე გავაღვიძებ.

ზემდეგმა ოთახი მოათვალიერა. ერთადერთ სკამზე ორივე ბიჭს ტანსაცმელი დაეწყო. ისევ ცარიელ ლოგინზე ჩამოჯდომა არჩია. ზამბარებმა გაიკრუსუნეს და თედიაშვილს სიამოვნებისაგან ტანში გააქრქოლა. თვალები მილულა.

„ერთი, ორი, საამიი“...

გაახილა თვალი.

„ეერთი, ორი, საამიი“.

კიდევ გაახილა.

მესამედ ორამდეც ვერ მივიდა და მშვიდად აფშვინდა.

მოსული ბიჭი ლოგინში გაიჭიმა და ამხანაგის საწოლისაკენ გაიხედა.

— სოსიკო! ბოშო, სად ხარ?! — წამოიყვინძრა შეშინებულმა.

თედიაშვილი უცებ გამოფხიზლდა.

— რა გაღრიალებს, ბიჭო, შენა?!

— ვინა ხარ, შენ?! — წამოხტა ბიჭი.

— ჩაიცი და წამოყევი.

— მილიციაში.

— სადა, კაცო?!

— ახლა იმისთანა ლექცია მაქვს, ვერ

გავაცდენ. რომ დავბრუნდები, წამოვალ,

— მერე ჩაფიქრდა ბიჭი, — რა მინდა, ბოშო, მილიციაში?

— რა ვაჩხუბებდა აბა გუშინ?

— მამა ნუ მომიკვდება, არ მიჩხუბია. თედიაშვილს გაელიმა. „ეს ბიჭი რა-კველი იქნება“. ზემდეგი კარგად იცნობდა რაჟველებს, — მისი ბინის ქვეშ ფურჩე იყო.

ოთახში ტრუსიანი ბიჭი შემოვიდა. თმა ისე დავეარცხნა, გეგონებოდათ, თითოეული ღერი ცალ-ცალკე დაუწყვიტაო.

— ჩაგძინებოდათ, ჩემო ბატონო. ისე ამის ვაღვიძებას რა უნდოდა აბა, — მიაკარა ბიჭმა.

„ეს კი იქნება იმერეთიდან ახალი ჩამოსული, იმსიგრძე ენა აქვს“.

— ისე რაზე შეწუხებულხართ?

— გუშინ ნაჩხუბარხარო, მეუბნება.

— მაგას მერე გავარკვევთ, ჩემო ბატონო, ახლა ლექციებზე გვეჩქარება.

— შენა, ბიჭო, გიყი ხომ არა ხარ?.. ჩაიცი, კაცო, — მიუბრუნდა მოსულ ბიჭს.

— ახლა მართლა არ მაჩხუბო, — გაცხარდა რაჟველი, — გეუბნები, ვერ გავაცდენ-თქვა იმ ლექციას. ოთხზე აქ ვიქნები... მომიცადე, მოვალ, შე კაცო.

— მოხვალ, მაშ? — ზემდეგმა ენაზე იკბინა, არ უნდა დამეთმოო. საწოლიც სასიამოვნო იყო.

ბიჭები რომ გავიდნენ, თედიაშვილმა ცოტა წაიძინა, მერე გარეთ გამოვიდა, განყოფილებაში შევატყობინებო.

— დიახ, უფროსო.

— თედიაშვილი ხარ? კაცო, შენთვის შეცდომით პარალელური ქუჩა მომიცია... ის უკვე მოიყვანეს...

— მე ოთხისთვის მყავს დაბარებულ... ისე, უფროსო, ესა გიტო იყო, თქვენა დიტოო...

— რაებს ლაპარაკობ, კაცო?... თე-

ბადრი ზოზონელიძე

ზამთარ თედიაშვილის ერთი დღე

დიაშვილი, გუშინ ბიჭის დაბადების დღე გქონია... გამოგვაპარე, არა?... ამ საღამოს კი მოვადგებით, იცოდე...

— მობრძანდით, უფროსო.

ტელეფონის ჯიხურიდან გამოსვლის მერე ზემდგეს ერთი ბავშვიანი სურვილი დაეხდა — მოპირდაპირე სურვილი ზოში დალოდებოდა ბიჭების გამოჩენას.

კ ლ ე ქ ს ე

ვენახს ერთი კიდევ გახედა. მერე თმაზე გადაივლო ხელი და დიდი, მოუხეშავი ნაბიჯით ჩაუყვია სახლისაკენ.

— პაპა!

— ჰოუ, პაპა გენაცვალოს.

— პა-პა, — მეტს ვერ ახერხებდა პატარა ალექსა.

— რაო, კაცო, რაო? — ჩაუტუტქლა შვილიშვილს დიდი ალექსა. ხელში აიტაცა. მარჯვენა მხარეს რაღაცამ გაჰკრა.

— ეჰე, ჰე, — ალექსამ მუცელი მოისინჯა. ხელის დადებითაც ეტკინა.

— ეი გიდი, — ბავშვი ფრთხილად დასვა.

— ალექს, აი, ალექს! — აივანზე ცოლი გადმომდგარიყო, — აღარ ამოხვალ? ეს შეკითხვები გულს ურევდა ალექსას. ახლაც შეუკურთხებდა, მაგრამ რომ სტიკოდა რაღაც მარჯვენა მხარეს.

ნელ-ნელა ავიდა კიბეზე.

— მაიტა, ქალო, მოვკვდი უჭმელი.

— დაიღალე, ალექს? — ცოლი სუფრას აწყობდა.

— დავიღალე, მაშ არა და...

— დაჯე, ალექს, დაჯე.

— დედა ჩემი სადღაა? — ალექსას რცხვენოდა კიდეც, სიტყვა დედას რომ ახსენებდა.

— კერავს ალბათ.

— ერთი დაუძახე ბებერსა.

მაღე გამოვიდა ოთახიდან ალექსას დედა.

— შენა გოგო, — მიუბრუნდა ცოლს.

— ჩადი; ბალღი ამოიყვა... აცივდა, — ცოლი რომ კიბეზე ჩადიოდა, ალექსამ დედას ხელი დაუქნია.

— აქ მო... აქა, მტკივა, კაცო, აი, — დედის ჩამიჩივით მარჯვენა აიღო და მუცელზე მიიღო.

— უი, უი, ქაა, — გააგრძელა დედა-ბერმა, — რათა, ალექს, პა?

— აბა მე რა ვიცი. ისე იმასთან არაფერი წამოგცდეს.

— იმასთანა? არა, ლექსოჯან... ექიმი... ექიმთან იყავი? — აჩიფრითა მოხუცი.

— ხვალაც თუ მეტკინა, მივალ.

— ჰო, შვილო, ჰო.

მაღე ამობრუნდა ცოლი პატარა ალექსათი.

— პაპა.

— ყველას ურჩევნია, ეს ღმერთგამწყრალი, ესა, — ცოლმა ლოყაზე აკოცა ბავშვს.

ალექსამაც ხელის გაწოდება დააპირა. მაგრამ ახლა კი მაგრად ეტკინა მარჯვენა მხარე და კბილები გააკრაჰუნა.

— ალექს! ალექს, კაცო!

— რა იყო, შვილო? მომხედე, აბა!

— პაპა, — ჩაიბურტყუნა ბავშვმა და ოთახში შევიდა. იქ ეტყობა რაღაცას წამოსდო ფეხი და იცოცხლეთ, პირი მოაღო. მისთვის არავის ეცალა.

ექიმმა ბევრი სინჯა ალექსა. ეს ანალიზებით, ეს — ისაო. ბოლოს დიაგნოზი დასვა:

— ინფექციური ჰეპატიტი.

— რაო? — დაინტერესდა ცოლი.

— უი, უი, — შეიცხადა დედამ, — როგორაო, შვილო?

— სიყვითლე, ბაბო.

— ეგ რაა შვილო?

„ეგ“ იყო იზოლაცია, იყო საავადმყოფო. ყოველდღე ნემსები. გლუკოზა ვენაში, გლუკოზა კანქვეშ, ვიტამინები და კიდევ ვინ იცის რა.

— თბილისში ჯობია, — თქვა ექიმმა.

— მიხა, — ჩაიბუტბუტა ცოლმა.
 — ჰო, ჩვენი მიხა, — გაახსენდა მო-
 ხუცსაც, — ალექსას ბიჭია. დუქანში
 დგას.
 — დუქანში დგა, რა ისაა, — ჩაე-
 რია ლაპარაკში ალექსა, — გასტრონო-
 მის გამგეა.
 — ბავშვი არ გააკაროთ, — დაარიგა
 ექიმმა, — ყველანი მოერიდეთ.
 მიხა მანქანით ამოვიდა. შეშინებული
 ჩანდა.
 — შვილო, შვილოო, — გადაეხვია
 დედა.
 — რა იყო, დედი, რა დაემართა?
 — მიხას გაუმარჯოს, — ბებია მ ხელი
 ჩამოართვა, — მიხასა.
 — რაო, ბაბო... აღარ იტყვიო, რაო?...
 საღამოსვე წაიყვანეს ალექსა თბილი-
 სში.
 ცისფერი პალატა. ოთხი საწოლი. ბა-
 დეაკრული დიდი ფანჯარა.
 იმავე პალატაში ერთი ჩემი ნაცნობი
 ბიჭი იწვა. მასაც სიყვიითლე სჭირდა. და
 არც მას აკლდა ნემსები.
 — დილა მშვიდობისა, — შემოდო-
 და შვიდ საათზე ექთანი. ათი წუთის შე-
 მდეგ იწერდა, ამას ამხელა სიცხე აქვს,
 იმას ამხელაო.
 — როგორაა საქმეები, ძია ალექსი?

— ხშირად ეკითხებოდა ჩვენი ნაცნობი
 ბიჭი.
 — გმადლობთ, შვილო, შენი როგორა?
 — მალე გავეწერები, ძია ალექსი.
 — ჰო, შვილო... რაღაც მე აღარ ვთე-
 თრდები და...
 — რა შედარებაა ძია ალექსი, რომ
 მოხვედით, იცით რა ყვიითელი იყავით.
 — ჰოო, — სარკეს აიღებდა ალექსა,
 — ცოტა კი აა?
 — კი, კაცო, კი.
 ყოველდღე ნაშუადღევს მოადგებო-
 დნენ ხოლმე ბადურიან ფანჯარას ალექ-
 სას ცოლი და ბიჭი.
 — აი, ალექს, — შემოსძახებდა მიხა.
 — დღეს პროფესორმა მნახა, — ამა-
 ყად ამბობს ალექსა.
 — პროფესორმა? — უკვირს ცოლს,
 — რაო, ალექს?
 — მალეო, მალეო...
 ცოლი ტუჩებზე იღებდა ხელს და
 თავს აქნევდა.
 — შენ, ნუ გეშინია, ალექს, მანდ და-
 უჯერე, რაც გითხრან. და აქედან მე
 ყველაფერს გაგიკეთებ, ყველაფერს, —
 ხმას უწევს მიხა.
 — რისი უნდა მეშინოდეს, — გაეღიმა
 ალექსას, — თქვენც რა პატარები მრჩე-
 ბით.



იოჰან პოლუგანგ გოეთე

●

უცნობი კაცის სალამს შეხვდი უცხო პატივით,
ძველი მეგობრის სალამივით იყოს ძვირფასი.
დასაველეთსა და აღმოსაველეთს შეაკავშირებს
მოკლედ ნათქვამი ორი სიტყვა: სალამი შენდა!
გავა წლები და გზა იქცევა გზაჯვარედინად,
მოულოდნელად იტყვით ასე ხალისიანად:
„ის არის! დიახ! ასე იყო!“ — თითქოს არ იდოს
თქვენს შორის ცხრა მთა, მზის მოქცევა, ზღვა და ხმელეთი.
გაცვლით საქონელს, შემოსავალს გაინაწილებთ
და ძველი ნდობა ახალ კავშირს შეადუღაბებს.
ათასებია ფასი პირველ მისალმებისა,
შენც მიესალმე, ვინც პირველად მოგცეს სალამი!

ჩემი მოძვარი, ჩემი მოძვარი

ჩემი მოძვარი, ჩემი მოძვარი,
ჩემი მოძვარი ამბობს გოდებით:
„ძმაო, დღეს მარხვა არ გამიტეხო,
რომ მოგიტეო შენი ცოდვები!“

ხოლო მარკიტა, ჩემი მარკიტა,
მარიგებს, მარხვა როგორ დავიცვა:
„სალამოს ვახშმად გამოდი ჩემთან,
ჯანდაბას შენი მოძვრის თავიცა!“

ბენიალური მიმოსვლა



ვაგორე ქვეყნად მარადის მკაცრი
დიოგენივით მეც ჩემი კასრი.
ხან მასხრობაა, ხან არის აზრი,
ხან სიყვარული, ხან ხმალი ბასრი,
ხან ფერფლია და ხან ენა ხანძრის,
ხან არარაა, ხან რაღაც არის.
ასე ვაგორე მარადის მკაცრი
დიოგენივით მეც ჩემი კასრი.

ღარღის სიამე

ნუ დაშრებით, ნუ დაშრებით წამითაც,
მარადიულ სიყვარულის ცრემლებო!
აჰ, ნახევრად დამშრალ თვალში ქვეყანა
რა მკვდარი და პარტახი ჩანს, ცრემლებო!
ნუ დაშრებით, ნუ დაშრებით წამითაც,
უბედური სიყვარულის ცრემლებო!

გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა.



ფ ე ღ რ ა

აი, კიდევ ერთი ტრაგედია, რომლის სიუჟეტიც ევროპადესგანაა აღებული: მიუხედავად იმისა, რომ ევროპიდესთან მოქმედება სულ სხვა მიმართულებით ვითარდება, მე მაინც ვერ შევძელი არ გადმომეტანა ჩემს პიესაშიც ამ ნაწარმოების სიმძიღრე და მომხიბველობა.

ფედრას ხასიათის საერთო იდეის გარდა, არაფრით რომ არ ვიყო დავალებული ევროპიდესგან, მაინც თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მისი წყალობაა, თუკი სცენისათვის რაღე გონიერული და ბრძნული მიმოცია. სრულებითაც არ მიკვირს, ამ სახესა და ხასიათს ასეთი დიდი წარმატება რომ ხვდა წილად ევროპიდეს დროში და ასევე კარგად რომ მიიღო ჩვენმა თანამედროვეობამაც. მას ყველა ის ღირსება გააჩნია, რომელსაც არისტოტელე მოითხოვდა ტრაგედიის გმირისაგან და რომელსაც თანაგრძობისა და შეშფოთების გამოწვევა შეუძლია. მართლაც, ფედრა არც მთლიანად დამნაშავეა, არც მთლიანად უდანაშაულო. იგი ბედმა და ღმერთებმა გაახვიეს ამ უკანონო ვნებაში და ამ ვნებამ ყველაზე ადრე თვითონ ფედრა შეაძრწუნა. თავისი ვნების დასაძლევად ფედრას მთელი ძალისხმევა დაჰაბუა უხდება და მის გამძლავებას ისევე სიკვდილი ურჩევნია. მაგრამ როდესაც იძულებულია, გამოაშკარავოს თავისი სიყვარული, ფედრას დაბნეულობაცა და მღელვარებაც აშკარად ადასტურებს, რომ მისი დანაშაული ღმერთების რისხვის შედეგია და არა საკუთარი სურვილისა. მე ისიც კი ვცადე, რომ ჩემი ფედრა ნაკლებად ამაზრზენი ყოფილიყო, ვიდრე ძველ ტრაგედიებშია, სადაც იგი თვითონვე გვევლინება იპოლიტის ბრალმდებლად. იმდენი ღვარძლი და სიმდაბლე დავინახე მე ამ ცილისწამებაში, რომ ვერ გავბედე დედოფლისთვის მეთქმევივნებინა, რადგან იგი სხვაგვარად სათნო და კეთილშობილია. ეს სიმდაბლე ძიძისათვის უფრო შესაფერი მეჩვენა; მას სხვა მონური მიდრეკილებებიც ახასიათებს და საკუთარი სიცოცხლისა და დედოფლის სახელის გადასარჩენად არც სიცრუეს არ მოერიდება. დაბნეულობასა და განგაშს იმდენად შეუბურია ფედრა, რომ აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ბოროტებას, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, იგი უკვე მზადაა, რათა დაიცვას და აღიაროს ჭეშმარიტება.

ევროპიდე და სენეკა მართლა აბრალებენ იპოლიტს დედინაცვლის გაუბატიურებას („ძალით დაიმორჩილა“). აქ კი მხოლოდ ამგვარი განზრახვა ედება ბრალად. მე მინდოდა შერცხვენისაგან გადამერჩინა თუხეცი, რათა მაყურებლის თვალში მომხიბველობა არ დაეკარგა.

რაც შეეხება იპოლიტის სახეს, ძველადაც საყვედურობდნენ ევროპიდეს მის ფილოსოფოსობასა და ყოველად უნაკლო ბუნებას, რის გამოც ახალგაზრდა გმირის სიკვდილი აღშფოთებას უფრო იწვევდა, ვიდრე სიბრალულს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, მიმეწერა მისთვის გარკვეული სისუსტე და მამის წინაშე, ასე თუ ისე, დამნაშავედ გამომეყვანა, მაგრამ არაფრით არ დამემცირებინა მისი სიდიადე და სულგრძელობა, რითაც ის ფედრას ღირსებას ინდობს და მსხვერპლად ეწირება. მე სისუსტეს ვეძახი იმ უნებურ ვნებას, რითაც გამსჭვალულია იგი მამამისის მოსისხლე მტრების ასულისა და დის მიმართ, არცია მე არ მომიგონია. ვირგილიუსი ამბობს, რომ იპოლიტმა, მას შემდეგ, რაც ესკულაპმა მკვდრეთით აღადგინა, ცოლად შეირთო არცია და მისგან ვეიცი ეყოლა. სხვა ავტორებშიც ადასტურებენ, რომ იპოლიტმა იქორწინა და იტალიაში წაიყვანა კეთილშობილი ახალგაზრდა ათენელი ქალი, რომელსაც არცია ერქვა და რომელმაც იტალიის ერთ-ერთ პატარა ქალაქს თავისი სახელიც მისცა.

ეს წყაროები იმიტომ მოვიშველიე, ხუსტად რომ მივყოლოდი და დამეცვა თქმულბა. მე არც თეზევის ამბავი არ შემიცვლია და ხუსტად ისევე ვაღმოვეცი, როგორც პლუტარქესთანაა. სწორედ ამ ისტორიკოსთან ვიპოვე საფუძველი იმ მოსაზრებისა, რომლის თანახმად თეზევი თითქოს ქვესკენელ ჩასულა პროზოპინეს მოსატაცებლად. სინამდვილეში ეს ყოფილა მისი მთავარი ზაურობა ეპირში, აქერონის სათავეებისკენ. პეირითოეს ეპირის მეფის ცოლის სლომეზა, მაგრამ ეპირის მეფეს პეირითოე მოუკვლევინებია, ხოლო თეზევის დაუტყვევებია. ამგვარად, მე ვცდილობდი, არც ისტორიული სინამდვილისთვის მელაატა და არც ამ მითვის სილომაზეს შევხებოდი, რაც ასე ამდიდრებს და ასაზრდოებს პოეტურ შთაგონებას. მხოლოდ თეზევის სიკვდილის ცნობამ, რომელიც ამ ლეგენდარულ მოგზაურობასთანაა დაკავშირებული, ვაბედინა ფედრას ის აღსარება, მერე უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რომ ექცა. და რომელსაც ვერასოდეს ვერ ვაბედავდა, ქმრის სიკვდილში ნამდვილად რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული. ჯერჯერობით შაინც ვერ ვაღიარებ, რომ ეს პიესა ჩემს ტრაგედიაში საუკეთესოა. ისევ მკითხველისთვის და დროისთვის მომინდვია მისი ღირსეული შეფასება. ერთს კი თამამად ვიტყვი: არცერთ ჩემს ტრაგედიაში არ ვამოჩენილა სათნოება ასე აშკარად, აქ პატარა შეცდომაც კი მკაცრად ისჯება. დანაშაულზე ფიქრიც დანაშაულოვით შემზარავია. სიყვარულის სისუსტე ქეშმარიტ სისუსტედ ითვლება. ვნებდა მხოლოდ იმიტომ შეღავნებებიან, თავიანთი დამანგრეველი ძალა რომ გვაჩვენონ და მანკიერებაც ისე მკვეთრადა გამოხატული, რომ გვაძულებს შევიგნოთ და შევიზიზლოთ მისი სიმახინჯე. კაცმა რომ თქვას, ესაა ერთადერთი მიზანიც ყველა შემოქმედისა, ვინც მაყურებელს ემსახურება. ძველი დროის საუკეთესო ტრაგიკოსი პოეტებიც მხოლოდ და მხოლოდ ამისკენ ისწრაფოდნენ. მათი თეატრიც სკოლა იყო, სადაც სიკეთე არ ისწავლებოდა ფილოსოფოსთა სკოლებზე ნაკლებად. თვითონ არისტოტელემაც ხომ იყარა დაეწერა წესდება დრამატული პოემისთვის და არც სოკრატე, უბრძენესი ფილოსოფოსთა შორის, არ თაკილობდა ევრიპიდეს ტრაგედიების მოშველიებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვინატრებდით, რომ ჩვენი ნაწარმოებებიც ყოფილიყვნენ მნიშვნელოვანი და დამრიგებლური იმ პოეტების ნაწარმოებთა მსგავსად. მაშინ კი ნამდვილად შესძლებდა ტრაგედია ბევრი ღვთისმოსავი გულის შემორიგებას, ამ ბოლო დროს რომ შემოსწყრომა, და მათ წყალობასაც დაიმსახურებდა, თუკი ავტორები მაყურებლის აღზრდაზედაც ისევე იზრუნებდნენ, როგორც მის გართობაზე ზრუნავენ და გამამართლებდნენ ტრაგედიის ქეშმარიტ დანიშნულებას.

უ. რასინი

მოკმედი გიორგო

- თ ე ზ ე ვ ს ი — ეგეოსის შვილი, ათენის მეფე
- ფ ე დ რ ა — თეზევისს მეუღლე, მინოსისა და პასიფაეს ასული
- ი პ ო ლ ი ტ ი — თეზევისა და ამორძალების დედოფლის, ანტიოპეს ვაჟიშვილი
- ა რ ი ც ი ა — ათენის სამეფო გვარის შთამომავალი
- ე ნ ო ნ ა — ფედრას ძიძა და მესაიდუმლე
- ტ ე რ ა მ ე ნ ი — იპოლიტის აღმზრდელი
- ი ს მ ე ნ ე — არიციას მესაიდუმლე
- პ ა ნ ო პ ე — ფედრას ერთ-ერთი მოახლე
- მ ც ვ ე ლ ე ბ ი
- მოქმედება ხდება პელოპონესის ქალაქ ტროიძენში


პ ი რ ვ ე ლ ი მ ო კ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

იპოლიტი, ტერამენი

ი პ ო ლ ი ტ ი ველარ ვერდები ტროიძენში, ჩემო ტერამენ, დღითიდღე უფრო მეუფლება მტანჯველი სევდა.

სიცოცხლე აღარ შემიძლია მე ამ ქალაქში,
სულს მიწრიალებს წინაგრძნობა... მეექვსე თვეა,
რაც მამაჩემი არ მინახავს და არც ის ვიცი
მატოურმა ბედმა სად გარიყა, რა შეამთხვია.



ტერამენი

სად გინდა მაინც, რომ ეძებო? შენმა წუხილმა,
შენმა გულწრფელმა მღელვარებამ და შეშფოთებამ
მეც მომატარა ორივე ზღვა, ვეძებე ყველგან
და რაც მე ვნახე, ალბათ, ქვეყნად ბევრს არ უნახავს.
აქერონამდეც მივალწოე, მისი ზვირთები,
მკვდართა ქვეყნისკენ მიმავალი, ვიხილე თავად.
ვნახე ელიდაც და ტენარიც. ის წყლებიც ვნახე,
ფრთებშეტრუსული იკაროსი სადაც ჩავარდა.
საღლა აპირებ ახლა წასვლას? ან არის სადმე
ის ბედნიერი კუთხე, მხარე, ანდა ქვეყანა,
რომ არ მომეველოს, არ მეძებნოს მეფე და მამა?
უფრო მეტს გეტყვი: სრულებითაც არ ცდილობს იგი
თავისი მყუდრო თავშესაფრის გამომჟღავნებას.
იქნებ არც უნდა, რომ ვეძებოთ მისი გზაკვალი?
ალბათ, გვიმალავს ახალ ტრფიალს და გატაცებას,
თვალახვეული სიყვარულის ნისლით თვითონაც.
ჩვენ კი აქ შიშით გვაკანკალებს.

იპოლიტი

კმარა, ტერამენ!
მას სათაქილო საქმე ვეღარ შეაფერხებდა.
აღარ აპყვება ახალგაზრდულ ცოუნებებს იგი,
ფედრამ დააცხრო ცვალებადი მისი ბუნება
და ვერც ვერავის წარმოიდგენს ფედრას მეტოქედ.
მე უნდა ვალი მოვიხადო მშობლის წინაშე
და მივატოვო ეს ქვეყანა, სადაც ცხოვრება
არ შემიძლია.

ტერამენი

როდის მერე შეგძულდა ასე
ქვეყანა შენთვის საყვარელი გაჩენის დღიდან?
განა შენ თვითონ არ არჩიე ეს წყნარი მხარე
ათენის მდიდრულ სასახლეთა ფუსფუსს და ბრწყინვას?
რას გაურბიხარ ამ ქვეყნიდან: ხიფათს თუ სევდას?

იპოლიტი

რაც იყო — გაქრა. და ცხოვრებაც გამოიცვალა,
როცა ასული მინოსის და პასიფეასი
ჩვენს სამეფოში გამოგზავნეს თვითონ ღმერთებმა.

ტერამენი

მე მესმის შენი. შენი სევდაც გასაგებია.
მართლაც ძნელია დედინაცვლის ჰერქვეშ ცხოვრება.
ის ხომ შენს მიმართ თავიდანვე განეწყო მტრულად,
შენს განდევნასაც მიადწია, მაგრამ თანდათან
ხომ დაცხრა მისი უსაფუძვლო ზიზღი და რისხვა?
დრომ გაანელა. ანდა რაღას უნდა ელოდე
მომაკვდავისგან, სიკვდილი რომ უნდა თვითონაც.
ის ავადაა. თუმცა მაღავეს ავადმყოფობას,
მაგრამ ამ სენმა ისე მწარედ დარია ხელი,



იპოლიტი

რომ აღარ შესწევს აღარც გული და აღარც ძალა
თავის ვერაგულ განზრახვათა აღსასრულებლად.
არა, მე ახლა მისი მტრობა სულ არ მაშინებს.
არც დაგიძლავ, ჩემი წასვლის მიზეზი სხვაა.
მე არიციას გავუბრუნებ, მან გამაძევა,
ჩვენი ოჯახის ძველთაძველი მტრების ასულმა.

ტერამენი

არ იმსახურებს, მეფის შვილო, შენს რისხვას იგი.
თუმცა მრავალჯერ გაგამწარეს პალანტიდებმა,
ძმების მაგივრად რატომ უნდა აგოს პასუხი?
ნუთუ შენ მტრობით უპასუხებ მის სათნოებას?

იპოლიტი

ასე რომ იყოს, არც გაქცევას არ ვეცდებოდი.


ტერამენი

მე აღარ ვიცი, როგორ ავხსნა შენი ქარაგმა.
ან იქნებ უკვე აღარა ხარ ის იპოლიტი,
მტერი რომ იყო სიყვარულის და იმ უღლისა
გმირი თეზევისი ასე ზმირად ქედს რომ უხრიდა.
იქნებ ქალღმერთმა შენი გულიც მოინადირა?
რომ გაამართლოს შეილის თვალში მამის ცხოვრება,
რომ ჩაგაყენოს ჩვეულებრივ მოკვდავთა რიგში
და გაიძულოს მოწიწება და ერთგულება?
გამოტყდი, ვინმე ხომ არ გიყვარს?

იპოლიტი

შენ მაინც იცი,
რომელი ღმერთი აირჩია შენმა გაზრდილმა
და განა შესძლებს, რომ უარყოს მან ძველი რწმენა?
მე სიამაყე შევიწოვე დედის ძუძუდან.
მე ამორძალმა გამაჩინა. მერე თვითონაც
ამ სიამაყით არაერთხელ აღვტაცებულვარ.
მერე შენთან ვარ, შენგან ვიცი, რაც ვიცი ახლა.
შენ მომიყევი მამაჩემის მთელი ცხოვრებაც.
და გახსოვს, ალბათ, მისი გზები და გმირობები,
როგორ ანთებდა და აწრთობდა ჩემს ჩვილ გონებას.
ჩემი არსება სამუდამოდ მოხიზლა გმირმა.
ის ხომ ჰერაკლეს შეენაცვლა ხალხის იმედად.
ახლა ისაა ავაზაკთა მეხი და რისხვა:

აჰა, ბუმბერაზ პერიფეტეს გაუპო კეფა,
აჰა, სინისის, სკირონის და პროკრუტეს სულმაც
სამარადისოდ მიაშურა ქვესკნელის წყვიდადს.
და აი, კრეტაც! მინოტავრის სისხლში მოსვრილი;
გამოდის გმირი აშმორებულ ლაბირინთიდან.
შენ ისიც გახსოვს, როგორ მკლავდა, როგორ მინდოდა,
რომ მოკლედ გეთქვა, ანდა ჩემთვის სულაც არ გეთქვა
იმ სიყვარულზე, ის რომ ყველგან ფლანგავდა უხვად.
როგორ მინდოდა, ამომეგდო მახსოვრობიდან
მიტოვებული არიადნეს უსახლვრო სევდა,
ანდა ელენეს გატაცება და მერე ფედრაც
და სხვაც მრავალი, თვითონაც რომ არ ახსოვს ახლა.
და ნუთუ უნდა გავეხვიო მეც იმ ბადეში?
ნუთუ ღმერთები ისურვებენ ჩემს დაკნინებას?



ვინ გაამართლებს ამ ჩემს გრძნობას, ვნებას და ცოდვას?
 ჩემი ცხოვრება მამაჩემის ცხოვრებას არ ჰგავს,
 მე არც ურჩხული არ მომიკლავს, არც ავაზაკი,
 არც უფლება მაქვს, რომ შევეცოდო თეზევის მსგავსად.
 მაგრამ რომ შეეძლო და დავთრგუნო ეს სიამაყე,
 როგორ ვეახლო არიციას, ძლეული მისგან?
 ან როგორ უნდა დავივიწყო, თუ გიყი არ ვარ,
 რომ ჩვენ არასდროს არ მოგვეცემენ ცოლქმრობის ნებას.
 ის ხომ თეზევსმა საშინელი წყევლით დაწყევლა
 და გათხოვებაც აუკრძალა, რომ სამუდამოდ
 ამოიკვეთოს პალანტადთა შთამომავლობა.
 განწირულია არიცია თეზევსის ხელში,
 ის ტყვეობაში გადაეგოს უნდა ქალწულად.
 ან იქნებ მირჩევ, ავუჯანყდე საკუთარ მამას,
 რომ ამის მერე ურჩობაში მომბაძონ სხვებმაც
 და ხელში მივცე სიყმაწვილე ლეონო ვნებას...
 თუ სიყვარულმა მოგაკითხა, ხელმწიფეე ჩემო,
 აზრი არა აქვს ამ სჯა-ბაასს, არ ისმენს ზეცა.
 შენ ხომ თვალეები აგიხილა თვითონ თეზევსმა
 და სასურველი გაგიხადა, რაც აგიკრძალა.
 ბოლოს და ბოლოს, რატომ გაკრთობს ეს სიყვარული?
 ან რატომ უნდა შეაქციო ზურგი ამ ბადავს?
 იქნებ პერაკლეს მაგალითმა შეგაყოყმანა?
 ვინ არ მიიღო ვენერასგან ეს ტკბილი ძღვენი,
 ან იპოლიტი ახლა თვითონ სად იქნებოდა,
 რომ სიყვარულის კეთილ ქალღმერთს ეს წმინდა გრძნობა
 მისის ამაყი ღედის გულშიც არ ჩაენერგა?
 მაგრამ ჩვენს კამათს ახლა მართლა არა აქვს აზრი:
 გამოტყედი, შენ ხომ უკვე სხვა ხარ?! ეს ბოლო დროა
 ყველას გაურბი, ერიდები და ძველებურად
 არ დააგლევებ ეტლს ტოლებში. შენი მარჯვენა
 აღარ აოკებს ველურ ცხენებს. ტყეს და ხეობას
 დიდიხანია ენატრება შენი ყიყინა.
 სულ სხვა ცეცხლია შენს თვალეებში და კარგად ვიცი,
 რაც ჰქვია ამ ცეცხლს, რისგან ჩნდება, რა შეუძლია.
 შენ უკვე ტყვე ხარ მშვენიერი არიციასი
 და მალავ, მაგრამ დამალული გაწამებს ვნება.
 დროა, ტერამენ, — მამაჩემი უნდა მოვნახო.
 ჩემო ხელმწიფეე, ალბათ, ფედრას მოინახულებ
 გამგზავრებამდე.

ტერამენი

იპოლიტი

ტერამენი

იპოლიტი

ენონა

გამოსვლა მერე

იპოლიტი, ტერამენი, ენონა

ენა ვერ იტყვის ჩემს გასაჭირს და მწუხარებას!
 მიკვდება ჩემი დედოფალი, თვალწინ მიკვდება.

თავზე ვადგივარ დღე და ღამე, მაგრამ ვერ ვშველი,
ან რას ვუშველი, ეზიზღება, საწყალს, ქვეყანა.
ვერ გამიგია, რა ცეცხლი სწევას, რა სატიკივარი,
ანდა რა ფიქრი უწრიალებს სულს და გონებას.
ველარც საწოლში ვერ ვაჩერებ, შეჭამა სევდამ
და შეშლილივით იწევს გარეთ, ვერ მოვრევივარ,
ან როგორ უნდა დავუშალო... ავერ, თვითონაც.

იპოლიტი ჩვენ კი, სჯობია, გავერიდოთ, რადგან დედოფალს
სიამოვნებას არ მოუტანს ჩემი დანახვა.

გამოსვლა მისამ

ფედრა, ენონა

- ფედრა აქ შევისვენოთ, მომიცადე, ჩემო ენონა.
სულს ველარ ვითქვამ, სიარული არ შემიძლია,
თვალეებიც მტკივა, დღის სინათლეს გადაჩვეული
და ვაი, ფეხებს აღარ ძალუძთ ჩემი ტარება.
(ჯდება)
- ენონა დიდო ღმერთებო, გადმოგვხედეთ, გვაკმარეთ ტანჯვა!
ფედრა ლამის დამახრჩოს ტანსაცემელმა და ეს ნაწნავიც
ჩემს სატანჯველად დამიგრაგნეს თავზე ამგვარად.
ყველა მტერია, ვეჯავრები ამ ქვეყნად ყველას.
- ენონა თავისთვის ებრძვის, აღარ იცის, რა ქნას, რა უნდა.
განა შენ თვითონ არ მთხოვ ხოლმე, რომ მოგართო ასე,
როდესაც სევდას და სატიკივარს ვერ მორევიხარ?
და ძველებურად მხიარული და აღზნებული
არ ჩქარობ ხოლმე, რომ ეჩვენო ისევ ქვეყანას?
მერე კი შიშით ეფარები ოთახის წყვილიადს
და სიძულვილით წყველი ხოლმე დღის სინათლესაც.
- ფედრა ბრწყინვალე მამავ, მე ვარ შენი შთამომავალი,
შენგან გამომყვა მწუხარებაც, სევდაც და ჭმუნვაც.
ახლა ჩემს გამო რომ გაწითლდი, ო, დიდო მზეო,
დღეს შენი სახე უნდა ვნახო უკანასკნელად.
- ენონა მაინც რით ველარ ამოიგდე ეგ მწარე ფიქრი?
ან დროზე ადრე რატომ უნდა აჩუქო მიწას
და რატომ უნდა შეაჭამო შენი მშვენება?
- ფედრა ღმერთებო! ისევ წამიყვანეთ უსიერ ტყეში.
როდისღა ვნახავ კეთილშობილ მტვერში გახვეულს
ბრწყინვალე ეტლის თავისუფალ და თამამ ქროლვას.
- ენონა როო? რას ამბობ?
ფედრა ოხ, ღმერთებო, სადა ვარ ახლა?
სად გამიტყუა მეოცნებე ჩემმა გონებამ?
თუმცა გონება აღარცა მაქვს, დავკარგე ისიც.
სიარტხვილის ცეცხლმა ამიღლეწა სახე, ენონა.
მინდოდა, მაგრამ ვერ დავმალე ჩემი შერცხვენა
და, მსურს თუ არა, თვალი მაინც ცრემლით მევსება.
- ენონა შენ მხოლოდ შენი სიჯიუტის უნდა გრცხვენოდეს,
ის გიორკეებს მწუხარებას, ტანჯვას და სევდას.

გონება მართლა დაგიბნელდა: თავს იკლავ ძალით,
აღარც მე მისმენ, ყველაფერი წყალში მეყრება,
ძალით სიკვდილი, მე თუ მკითხავ, სისულელეა,
მან უკეთ იცის, როდის მოვა და ვისთვის მოვა.
აგერ, მესამედ ესვენება უკვე მნათობი,
სამი ღამეა, რაც შენ თვალი არ მოგიხუტავს.
სამჯერ შეცვალა განთიადმა ღამის წყვდიადი,
მესამე დღეა, პირში ლუკმა არ ჩაგიდვია.
მაინც რა მოხდა, ვინ დაგწყევლა, რა უშუპურია,
ასე რომ გტანჯავს? ან ვინ მოგცა სიკვდილის ნება?
ნუ გავარისხებთ, თვითნებობა არ უყვართ ღმერთებს.
ნუ უღალატებ ქმარს და შვილებს, ეს დალატია!
ან როგორ უნდა გაიხარონ შენმა შვილებმა?
აბა, დაფიქრდი, დაუკვირდი: შენმა სიკვდილმა
შენი ტახტისკენ ხომ გაუხსნა ხელ-ფეხი ისევ
სკვითის ნაშიერს, ის ხომ შენი დიდი მტერია,
ის იპოლიტი...

ფ ე დ რ ა

ღმერთო ჩემო!

ე ნ ო ნ ა

ხომ მოგხვდა გულზე?

ფ ე დ რ ა

როგორ გაბედე, უბედურო, მისი ხსენება!

ე ნ ო ნ ა

ხედავ? სახელის გაგონებაც არ შეგიძლია.
მეც გამახარა შენმა რისხვამ და სიძულვილმა.
თუნდაც ამ დიდი ვალის გამო უნდა იცოცხლო,
სკვითი მხევალის ნაშიერი რომ არ დაუსვა
შენს შვილებს მეფედ და ბრწყინვალე მთელს ელადამი
არ დაამცირო თქვენი გვარის შნო და დიდება.
მაგრამ, იცოდე, ძვირფასია ყოველი წამი,
გახსენი სახე, დაიბრუნე ძველი მხნეობა
და მტერს მიხედე, სანამ შეგწყვეს გული და ღონე.
სანამ სიცოცხლე შენში სულმოთლად არ ჩაფერფლილა.

ფ ე დ რ ა

ისეც გრძელია სამარცხვინო დღეების რიგი.

ე ნ ო ნ ა

რომელ სირცხვილზე ლაპარაკობ? რა ცოდვა შენ გაქვს,
იქნებ ხელები დაგიმძიმა უმანკო სისხლმა?

ფ ე დ რ ა

არა, ცის მადლით ჯერ სუფთაა ჩემი ხელები.
ნეტავი, ასე უცოდველი სულიც მქონოდა.

ე ნ ო ნ ა

მე რას მიმაღავ, რა გაწუხებს, რა გკლავს ასეთი,
რომ ვერცკი გითქვამს, გაგაგიჟოს ღამის ნაღველმა.

ფ ე დ რ ა


რაც ითქვა, ითქვა! ნუღარაფერს ნუ მათქმევინებ,
ისევ სიკვდილი მირჩევნია ამ აღსარებას.

ე ნ ო ნ ა

კარგი, ნუ მეტყვი, თან წაიღე ეგ საიდუმლო!
მაგრამ იცოდე, არ ვიტირებ შენს სარეცელთან.
ბეწვზე ჰკილია თუმცა უკვე შენი სიცოცხლე,
ენონა ნახავს შენზე აღრე მკვდართა ქვეყანას.
ათასი გზაა მიმავალი იმ ქვეყნისაკენ
და მე მათ შორის უმოკლესის შევძლებ არჩევას.



ფ ე დ რ ა გულქვა ყოფილხარ! განა ასე უყვარდი ვინმეს?
 ე ნ ო ნ ა შენს იქით ცა არ დამინახავს, არც მიძებნია
 ფ ე დ რ ა და ესლა ერგო საფასურად ჩემს ერთგულებას?
 ე ნ ო ნ ა რატომ მაწვალე, ან რატომ მოხვო ასე ჯიუტად?
 ფ ე დ რ ა ჩემი ნათქვამი შეგაძრწუნებს სიკვდილზე მეტად.
 ე ნ ო ნ ა თვალწინ მიკვდები, ვერაფერი ვერ მიშველია, —
 ისეთს რას მეტყვი, რომ დაჩრდილოს ეს მწუხარება.
 ფ ე დ რ ა კარგი, გაგიმხელ, რახან ვკვდები, მაგრამ იცოდე,
 ე ნ ო ნ ა რომ მე ორმაგად დამნაშავე მოგკვდები ახლა.
 დაფიცებ შენთვის დაღვრილ ცრემლებს, შენს გამო
 დაღვრილს
 და ამ მითრთოლვარე მუხლებს, მე რომ ვეხვევი ახლა.
 ბოროტი ეჭვი მომაშორე, თუ შეგიძლია.
 ფ ე დ რ ა ადექი, გეტყვი.
 ე ნ ო ნ ა აჰა, გისმენ! მითხარი ჩქარა!
 ფ ე დ რ ა როგორ ვთქვა, ცაო, მომეხმარე, მაჩუქე სიტყვა.
 ე ნ ო ნ ა გული მომიკლა, რომ იცოდე შენმა ყოყმანმა.
 ფ ე დ რ ა დიდო ქალღმერთო! შენმა ძალამ და ბედისწერამ
 ე ნ ო ნ ა არც დედაჩემი არ დაინდო და შეარცხვინა.
 ნუ გავიხსენებთ იმ სიყვარულს. დე, სამუდამოდ
 დაფაროს იგი დუმლის და წყვდიადის ფარდამ.
 ფ ე დ რ ა ო, არიადნე! სიყვარულმა რა მოგიტანა
 ე ნ ო ნ ა ტანჯვის, შერცხვენის და საზარელ სიკვდილის გარდა.
 ნურც დას ახსენებ. დაასვენე. ან რისთვის გინდა
 მთელი ოჯახის განქიქება და შეგინება.
 ფ ე დ რ ა თურმე მე უნდა მოვმკვდარიყავ ყველაზე ბოლოს.
 ე ნ ო ნ ა უბედურიც და შერცხვენილიც ყველაზე მეტად.
 ფ ე დ რ ა შეყვარებული ხომ არა ხარ?
 ე ნ ო ნ ა უგონოდ მიყვარს!
 ე ნ ო ნ ა ვინ გიყვარს?
 ფ ე დ რ ა გეტყვი. შენც ყველაფერს გაიგებ ახლა.
 შემზარავია. მიყვარს. ვკვდები... არ შემიძლია.
 მიყვარს...
 ე ნ ო ნ ა მითხარი, ნუ მომკალი.
 ფ ე დ რ ა შენც იცნობ კარგად.
 ოი, ღმერთებო! ამორძალის შვილია იგი,
 მე რომ ვდეენიდი.
 ე ნ ო ნ ა იპოლიტი?
 ფ ე დ რ ა თქვი და გეყოფა!
 ე ნ ო ნ ა დიდო ღმერთებო, გამეყინა ძარღვებში სისხლი!
 ოხ, დაწყევლილო და ცოდვილო გვარო და მოდგმავ!
 ოხ, ბედისწერავ, გარდუვალო, ბრმაო და გულქვავ!
 ამ ვერავ ნაპირს ჩვენი ნავი რატომ მოადგა!
 ფ ე დ რ ა ძველია ჩემი სატკივარი. როცა თეზევსმა
 ცოლად შემირთო, მეც ვიფიქრე, რომ ჩემს ცხოვრებას
 ველარაფერი შეაქრთობდა და დაარღვევდა.
 ან რა ვიცოდი, თუ ათენში მიცდიდა მტერი:
 ვნახე და თავგზაც ამერია და იმის მერე



ველარ მიაგნო სიმყუდროვეს შემკრთალმა სულმა.
 თვალში სინათლე დამეკარგა, წამერთვა ენა,
 ჩაუქრობელი ცეცხლის ალი შიგნიდან მწვავდა.
 უკვე ვიცოდი, რას ნიშნავდა ვენერას წყევლა,
 ყველგან და მარად ჩვენს უბედურ ჯილაგს რომ სდევდა.
 მე მისი რისხვის შერბილება ვცადე ლოცვებით,
 დიდი ტაძარი ავუგე და მოვურთე თავად,
 მსხვერპლს ეუზიდავდი, არ გამშრალა მის ფერხთით
 სისხლი,

ვერ დავიბრუნე ვერც სიმშვიდე და ვერც გონება.
 ან რითი გინდა უმკურნალო დამლუბველ ვნებას!
 სულ ამაოა გუნდრუჟის და საკმევლის კმევაც!
 სიტყვებით ქალღმერთს მივმართავდი, მაგრამ ჩემს
 სულში

ის იდგა მხოლოდ, იპოლიტი, და ღმერთის დარად
 მე ყველაფერი მარტო მისთვის მიმქონდა მსხვერპლად.
 სახელს ვმალავდი, მაგრამ მისთვის ვიდექი ლოცვად.
 თავს ვარიდებდი, გავურბოდი... და ღმერთო ჩემო!
 მამის სახეშიც შეილს ვხედავდი, კვალდაკვალ მსდევდა.
 და ბოლოს ჩემს თავს ავუჩანყდი, ვიპოვე ძალა
 და მტრობით თავი მოვაბეზრე შეყვარებულმა.
 ვიხმარე ავი დედინაცვლის ყველა ხრიკები
 და გავაძევე, უბედური, მამის სახლიდან.
 ამოვისუნთქე ერთი წუთით და ჩემს ცხოვრებას
 კვლავ დაუბრუნდა ძველებური უცოდველობა.
 გულში ვმალავდი ჩემს სატკივარს, მაგრამ მეუღლის
 მოვალეობას ვუსრულებდი ჩემს ქმარს მორჩილად.
 მაგრამ მკაცრია ბედისწერა! და აი, თვითონ
 ჩამომიყვანა ამ ქალაქში მეუღლემ ჩემმა.
 ისიც აქ დამხვდა, ჩემი მტერი, ჩემგან დევნილი,
 და ისევ მალე განსნა პირი ძველმა იარამ.
 აღარ გიხგოვებს ჩემს მხურვალე ძარღვებში ცეცხლი,
 რადგან მთლიანად შემიწირა უკვე ვენერამ.
 მე ჩემმა ცოდვამ შემადრწუნა და დამიჯაბნა,
 მე ჩემი ვნების მეშინია და მძულს ქვეყანა.
 მსურდა სიკვდილით დამეფარა პატიოსნება
 და არავისთვის გამემხილა ეს ჩემი ვნება,
 მაგრამ მომტეხა შენმა რისხვამ და შენმა ცრემლმა
 და გაგიმხილე ყველაფერი, გულზეც მომეშვა,
 მაგრამ დავრწმუნდი, რომ სიკვდილი ხსნა არის მართლა
 საყვედურებით არ ამავსებ მომაკვდავს, ალბათ,
 და არც ეცდები ძველებურად და შენებურად
 ჩამქრალ სიცოცხლის დაბრუნებას და გაღვივებას.

გამოსვლა მეოთხე

ფედრა, ენონა, პანოპე

3 ა ნ ო პ ე

ცული ამბავი მოვუტანე მე ჩემს დედოფალს,
 თქმაც კი ძნელია, მაგრამ მაინც ვერ დაგიმალავთ:



სიკვდილს ჩაბარდა ყოვლისშემძლე თქვენი მეუღლე
და ეს ამბავი უკვე ყველამ იცის თქვენს გარდა.
გესმის, რას ამბობ?
იმას ვამბობ, რომ დედოფალი
უკვე ტყუილად ელოდება ქმრის დაბრუნებას.
დღეს ბევრი გემი შემოვიდა ჩვენს ნავსადგურში
და ეს ამბავი იპოლიტსაც იქ გაუგია.

ენონა
პანოპე

ფედრა
პანოპე

ოი, ღმერთებო!
ახალ მეფეს, ითხოვს ათენი.
ზოგს, დედოფალს, თქვენი შვილის მეფობა უნდა,
ზოგიც, ვინც უკვე დაივიწყა თქვენი კანონი,
მეფედ ველური ამორძალის ვაჟს ელოდება.
უფრო მეტს გეტყვით: ბევრმა ისე დაკარგა თავგზა,
რომ მოინდომა არიციას ტახტზე აყვანა.
ესეც ჩემს ვალად მივიჩნე და მოგახსენებთ,
რომ იპოლიტი ემზადება გასამგზავრებლად
და თუ გამოჩნდა აღელვებულ ათენში იგი,
შესძლებს კიდევაც უგნურ ხალხის გადაბირებას.
კმარა, პანოპე! დედოფალმა გაიგო კარგად
და უკეთ განსჭვრეტს ამ დიდ საქმეს მისი გონება.

ენონა

გამოსვლა მესამე

ფედრა, ენონა

ენონა

თავს ვანებებდი, დედოფალს, მე უკვე ბრძოლას.
ღაღამე კიდევაც, შევეგუე შენს მწუხარებას,
და მხოლოდ სიკვდილს ვაპირებდი მეც შენთან ერთად,
მაგრამ ამ ცნობამ ყველაფერი შეატრიალა.
და შენი ბედიც შეიცვალა მოულოდნელად.
ხელმწიფე მოკვდა და შენ უნდა შეცვალო იგი.
ხელმწიფე მოკვდა — შენ კი მისი შვილის დედა ხარ.
ნუ დაივიწყებ ამ უწმინდეს მოვალეობას:
შენს ხელში ისიც ხელმწიფეა, უშენოდ — მონა.
შენს მეტი ვინ ჰყავს, ვინ გაუწევს მას მფარველობას?
ვის შეუწუხებს მისი ცრემლი გულს და გონებას?
მკვდრებსაც მისწვდება უპატრონო ბავშვის ტირილი
და წინაპრები დაწყევლიან უგულო დედას.
უნდა იცოცხლო! ნუ გაწუხებს ნულარაფერი,
დანაშაული აღარ ჰქვია ახლა შენს ვნებას.
შენი ცოდვილი სიყვარულის კვანძი თუ ხლართი
თავის სიკვდილით გახსნა ბოლოს თვითონ თეზეესმა.
იპოლიტს უკვე შეგიძლია არ მოერიდო,
მიიღე კიდევ მეგობრულად, ჩვეულებრივად,
თორემ ვინ იცის, შენს მტრობაში დარწმუნებულმა,
შენს ტახტს და გვირგვინს აუჯანყოს მთელი ქვეყანა.
დაიახლოვე, აუხსენი, გადაარწმუნე,
მემკვიდრეობით ტროიძენი მართლა მისია,
მაგრამ ათენი შენს მემკვიდრეს ეკუთვნის მხოლოდ



და ეს, ძვირფასო, იპოლიტმაც იცოდეს უნდა.
 გაერთიანდით, თქვენ საერთო მტერი გყავთ ახლანდელსავე
 არიციას თქვენი მტერი, ებრძოლეთ ერთად.
 დე, ასე იყოს! დაუჭერებ შენს დარიგებას.
 იყოს სიცოცხლე, თუკი შეეძლებ მის დაბრუნებას
 და თუკი ჩემი დედობრივი მოვალეობა
 ჩემს ტანჯულ სულში მოიპოვებს ცეცხლსა და ძალას.

ფ ე ლ რ ა

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

არიცია, ისმენე

ა რ ი ც ი ა

იპოლიტს უნდა ჩემი ნახვა? მე მეძებს იგი?
 გამოთხოვება უნდა ჩემთან? არიციასთან?

ი ს მ ე ნ ე

გესმის, ისმენე? მართალს ამბობ? ხომ არ გეშლება?
 თეზევსის სიკვდილს სხვა ამბებიც მოჰყვება, ალბათ,
 ბევრი მნახველი გაუჩნდება შენს ბრწყინვალებას,
 ადრე თუ მოსვლას ვერ ბედავდა თეზევსის შიშით.
 მალე იხილავ შენს ფეხებთან მთელ ელადასაც.
 თავისუფლება მოგვითანა ჩვენ ამ სიკვდილმა.

ა რ ი ც ი ა

თუ ეს ამბავი მართალია და არა ჭორი,
 აღარ ვარ მონა და ჩემს მტერსაც მიწაში ძინავს.

ი ს მ ე ნ ე

დიახ, ღმერთებმა ჩვენც მოგვაპყრეს კეთილი თვალი,
 მკვდართა სამეფოს მიაშურა თეზევსის სულმაც.

ა რ ი ც ი ა

ი ს მ ე ნ ე

რითი მოკვდაო, რას ამბობენ, რამ მოკლა ნეტავ?
 ათასგვარ რამეს ამბობს ხალხი, როგორც ყოველთვის:
 ამბობენ თითქოს დაიხრჩოო, ზღვაში დამხრჩვალა,
 როდესაც იგი თავის მორიგ მსხვერპლს იტაცებდა.
 სხვები ამბობენ, თითქოს თავის ძმობილთან ერთად,
 გიჟურ განზრახვით შეპყრობილი ქვესკნელს ჩასულა,
 მიუღწევიათ კოციტოსის ნაპირებამდე,
 სულელებთან ერთად მოუვლიათ მკვდართა ქვეყანა.
 მაგრამ ვინც ერთხელ გადასცდება ჰადესის ზღუდეს,
 ვედარასოდეს ვერ იხილავს მზის ბრწყინვალებას.

ა რ ი ც ი ა

ვერ დავიჯერებ, რომ შეეძლოს ამ ქვეყნის მცხოვრებს,
 თუკი არ მოკვდა, მიწისქვეშა სამეფოს ხილვა.
 ან რის გულისთვის ჩავიდოდა თეზევსი ქვესკნელს?

ი ს მ ე ნ ე

ის აღარ არის, უკვე დროა რომ დაიჯერო.
 ათენი გლოვობს. ტროიძენიც დაუფარავად
 უკვე იპოლიტს ასახელებს თავის ხელმწიფედ.
 და დედოფალიც, შვილის ბედით შეწუხებული.
 მეგობრებისგან ელოდება რჩევას და შევლას.

ა რ ი ც ი ა

მაგრამ რა იცი, რომ მამაზე ღმობიერია,
 ვინც ტროიძენში გამეფდება თეზევსის ნაცვლად?
 მომხსნის ბორკილებს?

ი ს მ ე ნ ე

ა რ ი ც ი ა

რა თქმა უნდა. მე ასე მჯერა.
 ვითომ არ იცნობ იპოლიტის ამაყ ბუნებას.




რის იმედი გაქვს? პატივს რომ მცემს, რატომ გგონია? ის ხომ საერთოდ არ სცემს პატივს ქალების მოდგმას. პირიქით. როგორ გვერიდება შენც ამჩნევ, ალბათ, სადაც ჩვენა ვართ, იპოლიტი იქ არ იქნება. მეც ბევრი რამე გამიგია თეზევის შვილზე და ისიც ვიცი, ხალხში მასზე რასაც ჰყვებიან. ამიტომ მუდამ გულისყურით ვაკვირდებოდი და ის შევნიშნე, რაც არავის შეუმჩნევია. სხვა კაცი ვნახე შენს წინ მდგარი, სხვა იპოლიტი, მუხლი მოკვეთა, დააბნია შენმა დანახვამ, ცდილობდა აღარ შეეხედა, მაგრამ თვალები მთლად აურია იდუმალმა და დიდმა ვნებამ. მას ჯერ რცხვენია აღიაროს ეს სიყვარული, თუმცა თვალეზზე უკეთესად რას იტყვის სიტყვა.

ისმენე

არცია

ჩემო ისმენე, გამახარა შენმა ნათქვამმა, მაგრამ რამდენად მართალი ხარ, ვინ გვეტყვის ახლა... აბა, მითხარი, შემიძლია რომ დავევიწყო მარად ტანჯული, უკუღმართი ჩემი ცხოვრება და განვიცადო სიყვარულით თავდავიწყება? ჩვენს ოჯახიდან, ვისაც გვა ჰყავდა წინაპრად, მე გადავურჩი მხოლოდ ომის საშინელებას, ექვსი ძმა მყავდა, მიწაშია ახლა ექვსივე, დაიქცა ჩვენი დიდი გვარი და გადაშენდა. ბასრმა მახვილმა განუგმირა ექვსივეს მკერდი, შიწაც ტიროდა, ჩემი ძმების სისხლს რომ იწოვდა. არცკი აცალა გაციება გვამებს თეზევისმა, მეც დამატყვევა და რომ უფრო მშვიდად ეცხოვრა, კანონის ძალით ამიკრძალა დაქორწილება, რადგან იცოდა და შიშობდა, რომ ჩემი ვნება მისთვის საზარელ ძმათა ჯილაგს გააგრძელებდა. მე კი ზიზღს მეგვრიდა მისი შიში, შენც გახსოვს კარგად... უაზრო იყო მისი ექვიც და შეშფოთებაც. მე არ შემეძლო სიყვარული. და ეს ტყვეობა უფრო ნუგეში იყო ჩემთვის და არა ტანჯვა. მაშინ... ოხ, მაშინ არ მენახა ჯერ იპოლიტი! არა, მე მისმა სილამაზემ კი არ მომხიბლა, რითაც ის უხვად შეუმკვია თვითონ ბუნებას, რასაც თვითონაც დამცინავად უყურებს, ალბათ, და თვლის არაფრად, რადგან მართლაც არაფერია. მე მასში მიყვარს, რაც მამისგან კარგი გამოჰყვა, რაც მამისთვისაც საქებარი იყო ნამდვილად. მე მისი ლალი სული მიყვარს, თავისუფლება, ჯერ რომ უღელი არ დაუდგამს და არც დაიდგამს. დე, ისევ ფედრას უხაროდეს თეზევის ვნება. მე სხვანაირად ვარ ამაყი და სულ არ მინდა, მწყალობდეს იგი, ვინც ასევე წყალობდა სხვებსაც. არც გული მინდა, ყველასათვის თუკი ღიაა. ის, რაც არ ტყდება, გადატეხავს მას სიჯიუტე:



უგრძნობელ სულმა უნდა იგრძნოს მტანჯველი სევდა და სიყვარულის ბორკილებში ის უნდა გყავდეს, ვისაც არასდროს განუცდია ამგვარი გრძნობა. აი, რა მინდა, რა მწყურია, რა მენატრება! მაგრამ ჰერაკლეს უფრო ადრე დაეამარცხებდი, ვიდრე... რას ვამბობ?! ყველაფერი სისულელეა. ჩვენს შორის ბევრი კედელია, ბევრი თხრილია. და ჩემი გულიც, ალბათ, კიდევ დიდხანს იკვნესებს,— ის იპოლიტის სიამაყემ დაიმორჩილა. რა სასწაული უნდა მოხდეს მართლაც ისეთი რომ შევუყვარდე... თვითონ გეტყვის, ნუ იცეზინია.

ი ს მ ე ნ ე

გამოსვლა მთორა

იპოლიტი, არიცია, ისმენე

იპოლიტი

გამგზავრებამდე არ შემეძლო, რომ არ შენახეთ. ვალად ჩავთვალე მოვსულიყავ და მეტქვა თქვენთვის, რომ მამაჩემი აღარ არის. მე უფრო ადრეც მიგრძნობდა გული, რადგან კვალიც ვაქრა სრულიად. სიკვდილის გარდა ვის შეეძლო, რომ შეეწყვიტა მისი საქმენი სასახელო და საგმირონი. ის ჰადესშია. მიაშურა ქვესკნელის წყვილადს დიდი ჰერაკლეს თანამგზავრმა და მეგობარმა. მის სიდიადეს, რა თქმა უნდა, თქვენც აფასებდით. თქვენი მტრობის და სიძულვილის მიუხედავად. ერთი იმედი მიმსუბუქებს ამ მწუხარებას, რომ შეიცვლება თქვენი მწარე ხედრიც დღეიდან. აღარ არსებობს უკვე თქვენთვის მკაცრი კანონი და თქვენი თავის მბრძანებელი თქვენვე ხარო ახლა. ტროიძენში კი, რაც მე მერგო შემკვიდრეობით და სადაც მეფედ მალიარებს დღეიდან ყველა, თავისუფლებით ისარგებლებთ თქვენ ჩემზე მეტად.

არიცია

თქვენმა სიტყვებმა დამაბნია, ავლელდი კიდევ. კეთილშობილი ეს განზრახვა და გულუხვობა მავალდებულებს თქვენს წინაშე მე უფრო მეტად, ვიდრე კანონი, თქვენი ნებით დღეს რომ გაუქმდა.

იპოლიტი

ახლა ათენში კამათია: მეფეს ირჩევენ. თქვენი სახელიც გაიხსენა ისევ ათენმა.


არიცია

ჩემი სახელი?

იპოლიტი

მე ვერ ავალ ათენის ტახტზე. მე უცხოელი დედა მყავდა. მაგრამ მეტოქედ მარტო დედოფლის შვილს რომ ვთვლიდე, მე ჩემს უფლებას

დავყენებდი მაშინ ყველა კანონზე მაღლა. მოვალეობით შებორკილა ჩემი სიბრაზე: მე ტახტს თქვენ გითმობთ, უფრო სწორედ, უკან გიბრუნებთ.



თქვენვე გეკუთვნით სკიატრაც თქვენი დიდი წინაპრის,
 გემ რომ შობა, ის ამ სკიატრით მართავდა ათენს.
 ჰერე თეზევსი აღიარა მთელმა ათენმა
 და მორჩილებდა სახელოვან გმირსა და მეფეს.
 ხალხს დააეწყა თქვენი ძმების ძველი დიდება,
 მაგრამ დღეს უკან გეძახიან ტახტის მემკვიდრეს.
 დროა ათენმაც დაისვენოს, ეყოფა სისხლი,
 ის საკმარისად დაიღვარა უკვე მიწაზე.
 მე აქ დავრჩები, ტროიძენში, ხოლო კრეტაზე
 წესის თანახმად, ალბათ, ფედრას შვილი იმეფებს.
 მაგრამ ატიკა თქვენ გეკუთვნით. მეც იქ მივდივარ,
 თქვენს შესახებდრად მთელი ხალხი რომ გამოვიდეს.

არ იცი ა

გაოცებულმა აღარ ვიცი, რა გიპასუხოთ.
 ასე მგონია სიზმარში ვარ, ტკბილ სიზმარს ვხედავ.
 თუმცა სიზმარიც არ იქნება ასე კეთილი.
 თვითონ ღმერთებმა ჩაგაგონეს ეს ფიქრი, ალბათ.
 სიმართლე უთქვამთ ყველაფერი, რაც თქვენზე უთქვამთ,
 მაგრამ ყველაფერს ვერ გამოთქვამს მოკვდავის ენა.
 მტრობის მაგივრად მსხვერპლსაც მწირავთ, მე კი მეგონა,
 რომ თქვენს დიდ სულში სიძულვილიც ჰპოვებდა ბინას.

ი პო ლ ი ტ ი

თქვენს შეძლებას ვერასოდეს ვერ შევძლებ, ალბათ.
 და თუმცა ჩემზე ათასნაირ ზღაპარს ჰყვებიან, —
 მეც დედაკაცმა გამაჩინა და არა მხეცმა.
 თქვენს სილამაზეს ბარბაროსიც ქედს მოუხრიდა
 და ვერც მე შევძლებ გავუმკლავდე მშვენიერებას.
 რა თქვით?

არ იცი ა

ი პო ლ ი ტ ი

ბევრი ვთქვი, საკმარისად ბევრი ვთქვი უკვე.
 გულს დაუპყრია დაბნეული ჩემი გონება.
 აზრი არა აქვს ახლა დუმისს, გაგიმხელ კიდევ
 ჩემს საიდუმლოს, რის დამალვაც არ შემძლებია.
 დიახ, მე ვდგავარ შენს წინაშე, თეზევსის შვილი.
 ვინც სიყვარულსაც აუჯანყდა და ქედმაღლურად
 გადასცქეროდა ნაპირიდან ვენერას მონებს
 და მხოლოდ სევდის ღიმილს ჰფენდა მის პირქუს სახეს
 ზღვაში ჩამხრჩვალნი ნათი ვნება და აღტკინება.
 მაგრამ ამ კანონს ახლა ისიც ემორჩილება.
 თავი დაკარგა საკუთარი მან ამის ფასად.
 თვალს და ხელს შუა გაუფრინდა თავისუფლება.
 ერთ წამში იქცა მისი რწმენა არაზაობად.
 მრცხვენია, მაგრამ წელიწადი გახდება მალე,
 რაც გულით ჩუმად დავატარებ შხამიან ისარს.
 ამოდ ვებრძვი, გულთან ბრძოლა არ შემძლებია.
 როცა ჩემთან ხარ — გაგირბივარ, არ ხარ და გეძებ.
 ტყეთა წიაღშიც თვალწინ მიდგას შენი სახება
 და მეც ამოდ გავურბივარ შენს სილამაზეს,
 რითაც სავსეა ჩემი გული... მთელი ქვეყანა.
 არ ვიცი, სად ვარ, ჩემმა ვნებამ სად მომიყვანა,
 თავი დავკარგე და საკუთარ თავს ვეძებ ახლა.

არც ეტლი მახსოვს, აღარც შუბი და მშვილდისარი... აღარ ავიყებთ დოღის ცხენებს ჩემი ყიყინა და ტყეთა წიას ახლა ოხვრით ვაყრუებ მხოლოდ! ჩემი ველური სიყვარული შენც გაკრთობს, და, ალბათ, სული შეგიშფოთა ჩემმა სიტყვებმა, სიყვარულმა რომ ამომგლიჯა გულიდან ძალად. შენ მოგიძღვენი უცნაური ეს საჩუქარი: მე ამ ენაზე ვლაპარაკობ ახლა პირველად. უხეშად ჟღერენ, მაგრამ მაინც ენდე ამ სიტყვებს, რადგან ისინი იპოლიტმა შენგან ისწავლა.

გამოსვლა მისამ

იპოლიტი, არიცია, ტერამენი, ისმენე

- ტერამენი** ჩემო ხელმწიფე, შენი ნახვა უნდა დედოფალს. აქეთკენ მოდის.
- იპოლიტი** ჩემი ნახვა?
- ტერამენი** დიახ, მიბრძანა მომიძებნეო, საუბარი სწადია შენთან.
- იპოლიტი** საკვირველია, რა აქვს ჩემთან სათქმელი ფედრას?
- ტერამენი** ნუ ეტყვი უარს, შეასრულე რაც გევალება. ვიცი, რომ გიმძიმს, მაგრამ მაინც შენი ვალია, რომ თანაგრძნობით მოეკიდო მის მწუხარებას.
- იპოლიტი** (არიციას). უკვე მიდიხარ? სამწუხაროდ, მეც მალე წავალ და ვერ გავიგებ ჩემი ღმერთი რას ფიქრობს ჩემზე. იქნება რაღაც ვაწყენინე მას უნებურად?
- არიცია** კეთილშობილი აღისრულე გულის წადილი და დამიბრუნე ჩემი მიწა, ჩემი ატიკა. სიამოვნებით ვიღებ შენგან ყველა საჩუქარს, მაგრამ იცოდე, რომ ყველაზე ძვირფასი მაინც ამ საჩუქრებში არც სკიპტრია და არც ტანტი.

გამოსვლა მითხე

იპოლიტი, ტერამენი

- იპოლიტი** ხომ მზად ხართ უკვე? აგერ ფედრაც. წადი, აჩქარდი ხალხი ხომალდზე აიყვანე, მზად იყოს ყველა. შენ კი მაშინვე გამობრუნდი, ეს საუბარი რაც უფრო მალე დამთავრდება, უკეთესია.

გამოსვლა მისუთე

ფედრა, იპოლიტი, ენონა

- ფედრა** აქ არის... ღმერთო, გამეყინა ძარღვებში სისხლი და აღარ ვიცი, რის თქმა მსურდა, რამ მომიყვანა.
- ენონა** შვილი გახსოვდეს, შენ ზარ მისი იმედი ახლა.
- ფედრა** (იპოლიტს)

მიიხრეს ათენში აპირებსო, ვიცი, რომ ჩქარობთ, მაგრამ წუხილმა მაიძულა და მომიყვანა, რომ შეგავედროთ ჩემი შვილი, აღარ ჰყავს მამა, მალე დედასაც გამოსტაცებს სიკვდილი, ალბათ. თავი წამოყვეს უკვე მტრებმა, ის კი ბავშვია და მისი დაცვა ახლა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. მაგრამ მე მწარე სინანული სულს მიჩანავებს, რადგან თვითონ ვარ დამნაშავე, თუ თქვენი სმენა დღეს დახშულია მისი სუსტი ხმის მოსასმენად და თუ მასზედაც გავრცელდება ჩემი მიზეზით სამართლიანი თქვენი ზიზღი და მრისხანება.

იპოლიტი
ფედრა

მე, დედოფალო, არც ასეთი სულმდაბალი ვარ. ბუნებრივია, მე რომ გძულვარ, ვერც გაგამტყუნებ, მე ხომ გღვენიდი, გაძევებდი, გმტრობდი აშკარად, მაგრამ შენ ფსკერი არ გინახავს ჩემი სულისა. მე ხომ ყველაფერს ვაკეთებდი მხოლოდ იმიტომ, რომ არ შემეძლო ერთი ცისქვეშ შენთან ცხოვრება. ყველგან, ყველასთან გამტყუნებდი და გაგინებდი, აკრძალე კიდევ ჩემს წინაშე შენი ხსენება. მაგრამ ეს თუკი გულისთქმია და არა ცოდვა, თუ სიძულვილით პასუხობენ სიძულვილს მარად, მაშინ იცოდე, სიბრალულის ღირსი ვარ მხოლოდ და შენ ვერ დამსჯი, შენ არა გაქვს ამის უფლება.

იპოლიტი

არ შეიძლება, არ ზრუნავდეს შვილისთვის დედა, დედინაცვალს კი გერი გულზე არ ახატია. ასე ყოფილა ძველთაგანვე, ასეა ახლაც და ვინც არ უნდა მოეყვანა მამაჩემს ცოლად, ისიც თქვენსავით ეცდებოდა ჩემს დამცირებას.

ფედრა

ოხ, ღმერთებს ვფიცავ, რომ ამ ძველს დედასაერთო კანონს არ მორჩილებდა არასოდეს ჩემი ბუნება. მე სულ სხვა გრძნობა მაწამებდა და მაგვიებდა.

იპოლიტი


ნაადრევეია, იქნებ, თქვენთვის ეს მწუხარება: თქვენი მეუღლე, შეიძლება, კვლავ ცოცხალია. იქნებ ღმერთებმა შეგვიცოდონ და დაგვიბრუნონ, ის ხომ ყოველთვის თაყვანსცემდა ღმერთებს

ფედრა

გულწრფელად და არც ღმერთები არ აკლებდნენ მას მფარველობას. არა, არაინ არ ჩასულა სულეთში ორჯერ და ვერც ღმერთები ვერ შესძლებენ მის დაბრუნებას. თუშევსმა ნახა აქერონის შავი ზვირთები, ხოლო აქერონს არ სჩვევია მსხვერპლის გაშვება. თუმცა რას ვამბობ? რა თქმა უნდა, ის არ მომკვდარა, ის შენში ცოცხლობს, შენში სუნთქავს. მე კიდევ გხედავ.

იპოლიტი

მე ახლაც მასთან ვლაპარაკობ და ჩემი გული... მართლა გავგიჟდი! მომიტევე ეს აღელვება. სასწაულს ახდენს სიყვარული, თუ ნამდვილია.



ფედრა

თუმცა მეუღლე აღარა გყავთ, მაგრამ თქვენს გულში
 იმ სიყვარულის მწველი ცეცხლი ისევ ანთია. შენ მართალი ხარ. მე ნამდვილად მიყვარს თუ შენ.
 მაგრამ ის არა, ქვესკნელში რომ ჩავიდა ახლა:
 ვნების მფლანგველი და უაზრო ტრფიალის მონა,
 ვისაც ჰადესის სარეცელის წაბილწვაც სურდა.
 მე მიყვარს იგი უშიშარი და პირდაპირი,
 ამოუხსნელი რომ ანათებს ფიქრი და სევდა,
 როგორსაც ახლა მე ვუყურებ, შემცბარი ოდნავ;
 სირცხვილმა ასე შეუფაქლა ლაწვები მასაც,
 თეთრი აფრებით როცა იგი კრეტას მოადგა
 და მეფის ქალებს გაუჩინა ცრემლი და ოხვრა.
 სად იყავ მაშინ? ან რად იყავ ისე პატარა,
 რომ არ შეგექლო მოჰყოლოდი მამაშენს ჩვენთან?
 შენ განგმირავდი იმ საზარელ მინოტავს მაშინ
 და არიადნეც შენ მოგცემდა ძაფის გორგალსაც,
 გზა რომ გაგვენო ლაბირინთის ბნელ ტალანებში.
 ო, არა! მაშინ ჩემს დას, ალბათ, მე დაწასწრებდი,
 მოვიფიქრებდი მასზე ადრე ამ ეშმაკობას,
 ან შენს სიცოცხლეს ძაფის გორგალს როგორ ვანდობდი,
 მეც შეგყვებოდი ლაბირინთში და შენთან ერთად
 ან მოკვდებოდი ბედნიერი სიკვდილით მშვიდად,
 ან სამუდამოდ ავცდებოდი ამ ცეცხლს და ტანჯვას.

იპოლიტი

ოი, ღმერთებო! ეს რა მესმის! თუ დაგავიწყდა,
 რომ შენი ქმარი, გმირი ქმარი, ჩემი მამაა?!

ფედრა

მე ყველაფერი კარგად მახსოვს, მაგრამ არ ვიცი,
 რით ვიმსახურებ მე ამ რისხვას და დამცირობას.

იპოლიტი

ო, მომიტევე დედოფალო, თუ ჩემმა სმენამ
 შენი ნათქვამი უნებურად შეატრიალა.
 დამნაშავე ვარ. სირცხვილისგან თვალს ვერ გისწორებ.
 უნდა წავიდე...

ფედრა

უღმობლო! შენც იცი კარგად,
 რისი თქმაც მინდა, რასაც ვამბობ და რაც ვერ მითქვამს.
 აჰა, იხილე სიყვარულით შეშლილი ფედრა.
 დიახ, მიყვარხარ! მაგრამ მაინც ნუ გეგონება,
 თავს ვიმართლებდე შენს წინაშე ამ სიყვარულით,
 ან შეწყალებას ვთხოულობდე, არა და არა!
 შენი ჩემდამი სიძულვილი ვერც შეედრება
 იმ დიდ სიძულვილს, რითაც მე მძულს ჩემი ცხოვრება.
 იმ ღმერთებს ვფიცავ, ეს ცოდვა რომ ჩამიდეს გულში
 და სიყვარული მომივლინეს ცეცხლად და შხამად!



იმ ღმერთებს ვფიცავ, სასახელო საქმედ რომ თვლიან, თუ სათამაშოდ გაიხდიან საბრალო მოკვდავს! შენც გაიხსენე ყველაფერი: სანამ შემეძლო გებრძოდი კიდეც, გაძევებდი, გდევნიდი მაგრამ, რომ ჩამეთესა სიძულვილის თესლი შენს სულში და არ მქონოდა თანაგრძნობის იმედი შენგან. ამაოდ დავშვრი, არაფერი არ გამოვიდა. შენ გაძულდი, მე კი სიყვარულის ცეცხლი მეკიდა. ჩემს თვალში უფრო აგამაღლა უბედურებამ, გამაჩანავა, გამომფიტა ცრემლმა და სევდამ. თვალითაც უმალ შემატყობდი ყველაფერს. ალბათ, რომ გდომებოდა, ერთხელ მაინც რომ შეგეხედა. არა, არ მინდა, არასოდეს არც მდომებია, რომ მოგესმინა სამარცხვინო ეს აღსარება. მე შეილის ბედმა მომიყვანა, მან მაიძულა მეთხოვა შენთვის მფარველობა და შემწეობა. ვერ შეასრულა განზრახული შეშლილმა სულმა, ის უფრო დიდმა მწუხარებამ ალაპარაკა. რა გაეწყობა! შეუძლია დასაჯოს ახლა გმირის და მეფის ღირსეულმა შთამომავალმა. სახელოვანი გმირის სისხლი დუღს შენს ძარღვებში, ხოლო ჩემს გულში ურჩხული ზის, განგმირე ჩქარა! გადაარჩინე მარადიულ სირცხვილს ქვეყანა! მოკალი ფედრა — იპოლიტი რომ შეიყვარა! ჰა, ჩემი მკერდი, რაღას უცდი? შენც ხომ ეს გინდა? ჩამორეცხე ჩემი სისხლით ეს დამცირება. ან იქნებ ჩემთვის ეს სასჯელი გეცოტავენა? ან იქნებ არ გსურს მომანიჭო ეს ნეტარება? თუ მართლა არ გსურს გაისვარო ამ ბინძურ სისხლში, — ხმალი მომეცი!

ენონა

დედოფალო, რა მოგივიდა! წავიდეთ, მგონი ვილაც მოდის, წავიდეთ ჩქარა! რა საჭიროა, სხვებმაც ნახოს ჩვენი შერცხვენა.

გამოსვლა მეხმესი


იპოლიტი, ტერამენი

ტერამენი

ეს ხომ ფედრაა? რატომ მიჰყავთ? რა მოუვიდა? ხმალი რა უყავ? ანდა ასე რამ გაგაფთორა?

იპოლიტი

ჩქარა წავიდეთ, მეგობარო, საშინელებამ მუხლი მომკვეთა, ჩემი თავი ვეღარ მიცვნია. ოი, ღმერთებო! ფედრა! თუმცა ეს საიდუმლო გამომჟღავნებას ვერასოდეს ვერ ეღირსება.



ტერამენი აღარაფერი არ გვაყოფნებს, წასვლა თუ გვინდა, მაგრამ იცოდე, რომ ათენის საქმე გადაწყვეტილებულია, კენჭისყრის მერე თქვენს ძმას ერგო ათენის სამხედრო ნამდვილი მეფე, რა თქმა უნდა, ფედრა იქნება.

იპოლიტი ფედრა?

ტერამენი ასეა. ათენიდან მაცნე მოვიდა. რათა გადასცეს ჩვენს დედოფალს ხელისუფლება. ათენის მეფე ფედრას შვილია...

იპოლიტი სათნოებისთვის განადიდეს, ალბათ, ღმერთებმა.

ტერამენი მაგრამ ხმაც დადის, რომ თეზეუსი ცოცხალიაო, თითქოს ეპირში შეხვედრია კიდეც ვილაცას. მე კი ეპირიც მოვიარე და აღარ ვიცი...

იპოლიტი რახან ხმა დადის, შევამოწმოთ უნდა კიდეცა. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ჩვენ ამ ამბავსაც. მაგრამ რადგანაც ხელს არ გვიშლის გამგზავრებაში, ბარემ წავიდეთ ჩვენი ვალის შესასრულებლად. დე, ღირსეულმა დაიმკვიდროს სამეფო სკიპტრა!

გაგრძელება იქნება

თარგმნა ოთარ ვილაძემ.



მელაე ქახიძე

ნაირფერების საუფლოში

როგორც კი ქინვალს გადაუხვევთ და ფშავის გზას დაადგებით, ერთბაშად გეცემათ თვალში ველური იაქუფუნების, ჩის ფესვებისა და ქვებზე ფესვადგმული ხავსის სურნელება. გზას გადაუხვევთ თუ არა, ქართული მრავალკამიერებით ვაქცატური შემოაახილით შემოგვეგებება არაგვი.

მოდის არაგვი და სახრესავით უტყალმუნებს ტალღებს ქვიშაში მყვირთავ ლოდებს. მოდის და მთელ გზას ბუბუნად და ყიჟინდ ეღება მისი ხმაური.

თვალმისაწიერზე ვეებურთელა მთები გამოჩნდებიან და მერე ისევ ქორბულა ხეების უკან იმალებიან.

ჩაიკარგება პატარა ჭალაში არაგვი და მერე უცებ ძუ ვეფხევით გადმოვიტებთ კლდიდან, თანდათან მერე მორევებს იყვობს, უფრო ფიცხი და ქუხილიანი ხდება.

ამ გზამდე ჩამოდის ხოლმე სათევზაოდ გოგი თურმანაული.

მიხვალ თუ არა მდაროსკარში, შენს დაძახილზე თურმანაულის გოგო-ბიჭების სიცილი ტიშკრის ჭრილში აირევა. მერე თვითონ გოგიც გამოჩნდება — არაგვივით მოქნილი და შფოთიანი, არც შენ დავასვენებს, არც თვითონ დაისვენებს, ნაუცბათევედ კავთებულ ცხელცხელ ხინკალზე მიგიბატიყებს, მერე მხარზე ბადეს გადავდებს, არაგვს შეჰყვება და შენც შეგიყოლიებს; რამდენიმე საათის შემდეგ შარვალიაკა-პიწებული, მთლად გალუმული თურმანაული, მგლური ნაბიჯებით მიიბოტებს. უკან გუნდგუნდლად პატარა ბიჭების ლაშქარი მისდევს და ერთმანეთს კალმახებით სავეს კალათის წამოდებაზე მუჭლუგუნებით ეცილებიან. ბადის ასე ლამაზად მოქნევა, ისეთი კალმახების მწველი, როგორც გოგი თურმანაულია იცის, ისეთი მეთევზე, როგორც გოგი თურმანაულია, დმერთმა მრავლის საქართველოში. ერთხელ თურმანა-

ულიელ მორევში ვიდაცამ დინამიტი გადაავდო. იმ დღიდან მორევში კალმახის ჭაჭანებაც არ არის. თურმანაულმა ბრაზით ტუჩები დაიკენიტა, ჩემს სიცოცხლეში ქათამიც კი არ დამიკლავს, მაგრამ რომ წამეტანებია, ზედ დავკლავდიო არაგვს.

თურმანაული არაგვს თავის ძმას ეძახის და არაგვიც ნამდვილ ძმობას უწევს: რაც გინდ უდროო დროს წაივადეს სათევზაოდ, არაგვი ხელმოცარულს არასოდეს ისტუმრებს.

ათასი ლეგენდა და ლექსი იცის; ისე გიყვება კობალაზე, აგულა დევს ათასწლოვანი მუხა მიწის ბელტიანად რომ ესროლა, თვითონვე სჭერა ნაამბობისა, და როცა აღვიღოვც მიგანიშნებს, მრავალმნიშვნელოვნად იღიმება, შართალია, თითქოს თავისივე თვლით ენახოს. საქართველოში მასპინძლობით ვერაინ ვაგაკვირვებთ, მაგრამ თურმანაულმა მაინც სულ სხვა ლაზათიანი და დალოცვილი მასპინძლობა იცის. დიდი ასწლოვანი კაკლის ძირში სუფრა გაიშლება, ცხელი ხინკლით სავეს ხონჩები ჩამოლავდება და შემწვარი კალმახი და მოხარშული ცოცხალი სუფრას დაალაზათიანებს. თუ ფიხნული შეგხვდა, ხელში გეცემა, დამდგარი წყლის თევზიაო, უგემური ხორცი აქვსო და კალმახს შემოგაჩენებს. მერე ფშავლები ჩონგურზე წაუკაფიანებენ, ერთმანეთს საჭირდაოდ და გასაკილავად გაიმეტებენ და თვითონ ბუბუნს არაგვის გუგუნს შეუერთებენ. თურმანაული თავიდანაც პოეტია, მაგრამ თავის თავზე ლაპარაკს ერიდება. ეტყვი რამეს და სიტყვას ბანზე ავიგდებს და ზვარამზე ქალის ამბავს მოგიყვება...

ზვარამზე ერთი ვაყვანი უყვარდა, მშობლებმა სიყვარული აუგად ჩაუთვალეს და ვაჟის დანახვა დაანატრულეს. ერთხელ, ქალის ნახვას მოწყურებულმა ვაჟმა, ცხენი მისი კარის წინ ჩააჯირითა. ზვარამზე გამოენთო, ცხენის ნაულქვარი ქეჭვით შემოიღობა. მერე თურმანაუ-

ლი ხვარამზეს ლექსს იტყვის და თვალზეში ცეცხლს დანთებს, მართლაცდა, მადლიანი არაგვიტ მირონცხებულ ქალს თუ შეეძლო ასეთი ამბულეული სტრიქონები დაეწერა:

ვერცხლის თასადამც მაქცია,
რომ ღვინით აგვესებოდე,
დაფერილი მქნა წითლად,
შამშემედე, შაგერგებოდე.
ანა მქნა მოვის პერანგად,
ზედ გულზე დაგადნებოდე,
ანა მქნა...

ხვარამზეს ამბავს თადიურის ამბავი მოჰყვება... თადიური ფშავლებს თემიდან მოუყვებით, ვაჟკაცი საბნელოში ჩამდარა და სამხრო სანატრელი ვახდომია. თადიური გმირობით თუ დაიბრუნებდა დაკარგულ სახელს, მაგრამ რცხვენოდა გარეთ გამოსვლისა და საბნელოში იქდა.

თადიურს სოფელ გოგოლაურში ჰყავდა ძმადნაფიცო, საგმირო საქმეებით ცნობილი ბერიკა ლაღუბიშვილი.

ბერიკა ლაღუბიშვილი
ელვა თქვეს ჩამოშვებული,
ახადს ერთ მუხლად მვალის,
ხაზროშით გამომშვებული,
შვიდ ლიტრა რკინა ტანთ აცვა,
საყვლო გადაჯდებული.

სოფელ ახადში ქისტები თავს დასხმთან გოდერძის ციხეს და მისი უღამაზესი თამარი გაუტაცნიათ. ქისტებს მათურაზე ამოუვლიათ. ბერიკა წინ გადასდგომიათ და თამარი გამოუხსნია; თამარს ეინაობა უკითხავს, ბერიკას უთქვამს:— სოფელ მათურიდან ვარ, თადიური ვარ გვარადო, მაგრამ თუ ქალი ხარ, ნურაფერს იტყვი, ხალხისგან მოკვეთილი ვარ და არ მინდა ისევ ავაყაყანო. თადიურის გმირობა მეორე დღესვე მოედო ფშავს.

ასე აჩუქა სახელი ძმადნაფიცმა თემიდან მოკვეთილ მეგობარს. ამბობენ, თადიურმა დათმო საბნელო, დაღუბიშვილს მხარში ამოუდგა და თვდელშოგველად ებრძოდა მტრებს, ვიდრე მათმა ტყვეს არ იმსხვერპლო.

იმ ღამეს სკოლის აივანზე გავიშალეთ საძილე ტომრები. მთელ ღამეს თვალზე რული არ მომკარებია, ან კი რა დამძინებდა. მთელი ღამე არავე ბორგავდა. მე მისი ნათქვამი გულში ჩავიხვიე და დღემდე არავეისთვის მიიქვამს. რა თქვა არაგვმა, მე არ შემძლია სიტყვა დაეძრა ამაზე. ის მთელ ღამეს მიაშობდა და მიაშობდა... არც მე დამძინია და არც თვითონ დაუძინია.

რა თქვა არაგვმა? არაგვმა მიიხრა, არაგვიანი იმიტომ შემარტყეს, რომ არა-გვიანი ვარო, ფშა-

ვლები ჩემს მხებედაზე შესახებდნენ. ჩოლოქა „მხებულეთ, ქალას არა ჰგვისო“

ვისაც უნდა იცოდეს, რა შეგა უმცგავია ზაფხულზე, როცა ფშავის გზაზე კვირტებით დასკდებიან და მთების ფერდობებზე, როგორც საგუბარში, მზის მორევი დაგუბდება, როცა არაგვის დინებას ქვემოთ დაჰყვებიან კალმახები — წადით ფშავში, მუხლი შეაღელეთ მის აღმართებასა და დაღმართებს, მისთა და წვიმით აივით უბე-კალთები, არაგვის ქალაში თეთრად გაათენეთ მთვარიანი ღამე და უეჭველად გეტყვით არაგვი სათქმელს.

მაღალ მომთხოვნელობას კიროვი ანამებდა ადამიანებისადმი. გულისხმიერებასთან სამეურნეო მუშაკები მას ყოველთვის მიმართავდნენ მძიმე წუთებში, განსაკუთრებით თუ საქმე ეხებოდა სახალხო კომისარიატებს და მთავრობის სხვა ორგანოებს. კიროვი ბრაზობდა: „თქვენ ამხანაგებო, მე მომმარაგებელს მხდით. იმოქმედეთ დამოუკიდებლად“. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, სერგეი მირონის ძეს არ დავრეკა მოსკოვში, ანდა არ გავგზავნა დღეშა: „მღრმისკის ოლქს სჭირდება მილიონი ხუთასი ათასი მანეთი, ათი ათასი მეტრი ბრეზენტი, ორი ათასი წყვილი ფეხსაცმელი“. მურმანთევზის წარმომადგენელი მოსკოვიდან გახარებული ზრუნდებოდა: მივიღე ყველაფერი, რაც საჭირო იყო!

კიროვი ღიმილით ამხნევებდა: — ნახე! ხომ გულგნებოდა: იმოქმედე დამოუკიდებლად!

ასე ექცეოდა პირველ ხანებში ახალგაზრდა მუშაკებს, რათა შფაენერგა მათთვის საკუთარი ძალისადმი რწმენა.



სერგეი მირონის ძე ბევი ხელმძღვანელს მარტო მუშაობის მიხედვით როდი იცნობდა ის მათ პატივებდა თეატრში, მიდიოდა მათთან ბინაზე, აინტერესებდა რას კითხულობდნენ. შემდეგ სმოლნში, როცა შემთხვევა მოიტანდა, ამბობდა „ამხანაგი დროს ვერ უფროსნილდება“, ანდა: „როგორ დაიქანა ჩვენი პატივცემული რაკოვის მდივანი წიგნებს არ კითხულობს, კინოში არ დადის. ამბობს, შევასრულეთ ხუთწლედს და მაშინ კი... მაგრამ ხუთწლედზე ბევრი იქნება“

კიროვის მოღვაწეობაში ყოველთვის ვლინდებოდა ნამდვილად ლენინური დამოკიდებულება ადამიანისადმი მურმანსკში გემის დატვირთვის დროს მატროს ანდრეი ჩუხჩინს თვალი დაუშავდა ტრავმა ისეთი საშინო აღმოჩენდა, რომ მატროსი დაუყოვნებლოდ ლენინგრადს გაგზავნეს. ექიმებმა თქვეს: მძიმე შემთხვევაა, თვალის შველა შეუძლებელია. იმედგადაწურულმა მატროსმა კიროვის მისწერა. სერგეი მირონის ძემ მოითხოვა კონსილიუმის მოწვევა უმაღლეს დონეზე. თვალი ვადაარჩინეს. გამოჯანმრთლებული მატროსი ჩუხჩინი მურმანსკს დაბრუნდა.

ერთხელ სერგეი მირონის ძე თეატრში წაივიდა. სიჩქარეში დააეჩიყა მუდმივი საშვი. თეატრის შესასვლელში ის გააჩერეს როგორც „უბილეთო“. კიროვმა ვესტიბულიდან ტელეფონით დაურეკა თეატრის დირექტორის მობადილეს — ბოდიში მოიხდა და „შუამდგომლობა“ სთხოვა, დირექტორის მოადგილე ქვეითი ჩავიდა და გაუგებრობა კეთილსასურველად დამთავრდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კიროვმა შეიტყო, კონტროლიორი ქალი გაეთავისუფლებინათ სამუშაოდან, იმის გამო რომ მან გუშკოვის მდივანი ვერ იცნო. სერგეი მირონის ძემ კვლავ დაურეკა თეატრის ადმინისტრაციას და მოითხოვა გაუქმებინათ უკანონო განკარგულება.

ზრუნვა ადამიანებისათვის კიროვის შინაგანი მოთხოვნილება იყო. მას აინტერესებდა ყველაფერი — მუშების ზეღვასიც, მათი შრომის პირობებიც, სასურსათო მომარაგებაც. 1932 წ. პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე სერგეი მირონის ძე ამბობდა: „სამწუხაროდ... მუშათა მომარაგება, მძალდი თანამდებობის პირნიც კი ასე ეკიდებიან: მიდიხარ შენს 50 პროცენტით ბიუროკრატიულ საქმეებზე და ხელდაე — დგას რიგი, ერთხელ ჩაიარე — რიგია, მეორედ ჩაიარე — რიგია, ათ დღეს მიდიხარ ამ გზით — რიგია, და მაშინ აყენებს საეთხს... უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ამ შემთხვევაში მოეწყვიდით მსგებს, აღარა ვართ ისეთი მგრძობიარენი, როგორიც უნდა ვიყოთ მუშის საქაროებისადმი, მისი მომარაგებისა და ყოფა-ცხოვრებისადმი“.

უერნალისტებს, მოსამსახურეებს, სტამბის მუშებს სიყვარულით დაამახსოვრდათ, რა პატივისცემით ეპყრობოდა კიროვი მათ. მოსწავლე

ბიჭებსაც კი „თქვენობით“ მიმართავდა. ყველას სათითაოდ იცნობდა. უფასოდ იყენებდა თეატრის ბილეთებს. ვაოცებას იწვევდა მისი ახალი თანამშრომლის გულსხმირება. ეკითხებოდა მუშებს მათი ყოფა-ცხოვრების ამბებს და ხშირად ეხმარებოდა: ხან ასაუზმებდა, ხან ფულს ასესხებდა. თუ ვინმე ავად გახდებოდა, მისცემდა ბარათს და ნაცნობ ექიმთან გაგზავნიდა, რომ უფასოდ ემკურნალა. ყოველივე ამას სერგეი მირონის ძე აკეთებდა საკუთარი ნებით. სხვის თხოვნას, არ ელოდებოდა, თანაც ისე რომ ეს თელში არ მოგხვდებოდათ.

ან ავიღოთ მიხეილ ივანეს ძე კალინინის მუშაობა.

საერთო საყავშრო მამასახლისის (ასე შეარქვა მას ხალხმა), პოსტზე ყოფნისას, მის მისაღებად ოთახში შეიდ მილიონზე მეტი მოქალაქე მისულა. მიხეილ ივანეს ძეს უნარი ჰქონდა, მხარი დაეჭირა ადამიანისათვის, დახმარებოდა რჩევით. ამავე დროს იყო მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი; სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებებით და სიტყვითმშრომელთა წინაშე. კალინინის თითქმის ორნახევარი სთასი სტატია, მოხსენება და სიტყვაა დაბეჭდილი. ეს წარმოუდგენელი, ტიტანური შრომაა.

ზრუნვა ადამიანებზე, მათი ნდობის მოპოვება, თვითეული მუშაის წახალისება და ამავე დროს მაცადრად მოპყრობა ნაკლოვანებებისა და შეცდომებისათვის — აი, რას მოითხოვდა ფელქის ელმუნდის ძე ძეჩინსკი, მაგრამ დასჯის დროს იგი მუდამ ითვისწინებდა ერთს — ჩვენ ხომ ყველანი ვსწავლობთ.

პროფესორი ა. ნ. დოლტოვი უპარტიო იყო. როცა მას ამიერკავკასიაში მივლინებით აგზავნიდა, ფელქის ელმუნდის ძემ ასე დააროვა: „თავი გეჭირით როგორც სახალხო მურწნობის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილ და სრულუფლებიან წარმომადგენელს. თუ შესაძლებელი იქნება, თავი გაართვით საქმეს ჩემთვის ამა თუ იმ შეკითხვის გამოგზავნის გარეშე. გახსოვდეთ, რომ არ სცდებიან მხოლოდ ისინი, ვინც არაფერს აკეთებს. შეიძლება ასი შემთხვევიდან ხუთჯერ თქვენ სწორად არ მოიქცეთ და მე თქვენს აზრს არ დავთანხმობ: გამოგიძახებთ, პირდაპირ მოველაპარაკებთ. შეიძლება, შეგახუროთ, მაგრამ გარესამყაროს თვალში მე არ გავუფასურებ თქვენს გადაწყვეტილებებს“.

ამ რამდენიმე სტრიქონში ამოწურავად არის ჩამოყალიბებული ღრმად მოფიქრებული პოლიტიკა უპარტიო სპეციალისტების მიმართ. ძეჩინსკის მთელი ცხოვრება მავალითაა.

ფილიპე მახარაძე

პ. ი. ლენინი ორბანიშატორული მუშაობის შესახებ

უსაზღვრო ერთგულებისა. საქვეყნოდ ცნობი-
ლია მასი შესანიშნავი სიტყვები, რომელიც
ფილიპს ედმუნდის ძემ ციხეში ყოფნისას
დღიურში ჩაწერა: „მე ვხედავ ვეგებართვლა მზ-
სებს, რომლებიც ამოძრავდნენ და ძველ წყო-
ბილებს არყვევენ... მე ვამაყობ იმით, რომ მ-
ათათმ ერთად ვარ, რომ მე ვხედავ, ვგრძნობ,
მესმის და რომ მე თვითონ მათთან ერთად ბე-
ური ტანჯვა-წამება გამოვიძვლია. აქ, ციხეში,
ხშირად მიმე მღვთმარობაში ვართ, ხანდის-
ხან შიშიც კი მიპყრობს... და მიუხედავად ამი-
სა. ცხოვრება ახლად რომ დამეწყოს, მას დავი-
წყებდი, ისე როგორც დავიწყე“.

ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის საქმისა-
თვის თავდადებულ ბრძოლას მოახმარა მთელი
თავისი შესანიშნავი ცხოვრება სერგო ორჯო-
ნიკიძემ. იგი იმყოფებოდა მაღალ პარტიულ და
სახელმწიფოებრივ პოსტებზე, და არასოდეს
წყვეტდა მჭიდრო კავშირს მასებთან, მათთან
ურთიერთობაში იყო უბრალო და ახლანდელი.
ისტორიის ფურცლები მოგვითხრობენ:

ნოვოკუხნეცკში რომ ჩავიდა, სახკომმა, რო-
გორც ჩვეულებრივად ქარხნებში მისვლისას
იქცეოდა, ბევრი მუშის ბინა დაათვალიერა,
ესაუბრა მათ, მათ ცოლებსა და ბავშვებს; ეკი-
თხებოდა ცხოვრების პირობებზე; აინტერესებ-
და, რა ნორმით აძლევდნენ სურსათს, უხდე-
ბოდათ თუ არა რბეში ღვთა, როგორც ას-
წავლიან ბავშვებს. უყურადღებოდ არ ტო-
ვებდა ყოფაცხოვრების არც ერთ წვრილმანს.
ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში განლაგებული
იყო მილიციის განყოფილება. სახკომი გაუყრა:
„როგორ, საცხოვრებელს სახლში მილიცია?
აქ ხომ ლოთები, ხულიანები მოჰყავთ! და ყო-
ველივე ეს ბავშვების თვალწინ ხდება!“

ბრძანებაში, რომელიც აქვე, ნოვოკუხნეცკ-
ში დაიწერა, სახკომმა წინადადება მოსცა გაეყ-
ვანათ მილიცია და სხვა დაწესებულებანიც მუ-
შათა საცხოვრებელი სახლებიდან.

დირექტორი, სამაქროს უფროსი, ამბობდა
სერგო, მოვალენი არიან ზედმიწევნით იცნობ-
დნენ მუშების ყოფაცხოვრებას, იცნობდნენ არა
ცნობების, არა მოხსენებებით ბარათების მიხე-
დვით. თქვენ ხომ თქვენს მოვალეობად თვლით
ყოველდღე შემოიაროთ სამაქროები, დაათვა-
ლიეროთ მანქანები? სულ ცოტა, თვეში ერთ-
ხელ ასევე შემოიაროთ ბინები, რომლებშიც
ცხოვრობენ თქვენი მუშები და ინჟინრები, ყუ-
რადღებთ გაცნობთ მათს საჭიროებებს.

დირექტორი, მოითხოვდა სახკომი, პირადად
უნდა იცნობდეს უკიდურეს შემთხვევაში საწა-
რმოს მეთაურთა მთელ შემადგენლობას, ბრი-
გადირებისა და საუკეთესო დამკვერულების ჩათ-
ვლით და არა მარტო სახით და სახელით, არა-
მედ უნდა იცოდეს, რით ცხოვრობენ, როგორ
მუშაობენ.

იგონებენ ორჯონიკიძის ყოფნას გორკის ერთ-

ერთ მანქანათმშენებელ ქარხანაში. ამ საწარ-
მოს და მის დირექტორს კარგა სიხელი ჰქონ-
დათ: გვემას ასრულებდნენ, (ყუდი არ იყო
ხარისხის მაჩვენებლებიც. ქარხანათმშენებელი
ლი გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება კა-
რგი იყო; ქარხნის ტერიტორია თვალს გჭრი-
დათ სისუფთავით, გახარებდათ ყვავილნარი.

მაგრამ აი, სახკომი შევიდა სამაქროებში და
რაც უფრო ეცნობოდა წარმოებას, მით უფრო
სხე ელუშებოდა სამსახელო სამაქროში მან
დაინახა, რომ ქალები ხელით ასრულებდნენ
კოლხალ წომამტყვად ოპერაციებს. სერგო გა-
ფითრდა, ჩუმად გამობრუნდა გასასვლელისა-
კანს.

ერთი საათის შემდეგ ხელმოწერილი იყო
ბრძანება: ქარხნის დირექტორი შრომის პირო-
ბების უგულვებელყოფისათვის სამუშაოდან
მოიხსნა. მის შემცვლელს მიეცა ვადა წარმა-
ტევალი სამუშაოების მექანიზაციისათვის და
როცა ვადა მიიწურა, სახკომმა ქარხანაში გაა-
გზავნა კომისია, რათა შეემოწმებინა ბრძანების
შესრულება.

ცნობილი ასობით შემთხვევა, როცა რიგი-
თი შრომელების სიგნალებს საფუძველზე სა-
ხკომი ოპერატიულად ეხმარებოდა. წარმოებას.
1924 წელს ორჯონიკიძე ბაქოში ჩავიდა. ერთ-
ერთ სარეწეში მბურღილმა ოპერატორმა თ. ს.
ლიბინმა შესჩივლა მას, მარტუპოლის ქარხანა
უზარისხო მიღებს გავაწდისო. რამდენიმე
დღის შემდეგ სარეწეებში გაჩნდა ამ ქარხნის
დირექტორი და ადგილზე გაეცნო თავისი პრო-
დუქციის ნაკლოვანებებს. ნაკლი უმოკლეს ვა-
დაში გამოსწორდა.

ჩვენმა პარტიამ გამოაზარდა მრავალი შესა-
ნიშნავი ხელმძღვანელი, რომლებმაც თავი შე-
სწირეს კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, მათი
სახელი — ლენინოვა.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტე-
ტი თვითიული ხელმძღვანელისაგან მოითხოვს
დაუღალავად შეისწავლოს მუშაობის ლენინუ-
რი სტილი და მეთოდები.

ყოველთვის, ყველგან იარო ლენინის გზით,
მიბაძო ლენინურ მავალითებს — აი რას მოი-
თხოვდა და მოითხოვს ჩვენი პარტია ჩვენი ხე-
ლმძღვანელებისაგან.

იყო ხელმძღვანელი — ძნელია. კიდევ უფ-
რო ძნელია, იყო კომუნისტი. ეს არც თანამ-
დებობაა და არც პროფესია. ეს მოწოდებაა.
კომუნისტი მთელი სიცოცხლის მანძილზე
სწვება ემსახურება.

გამოჩენილ რევოლუციონერს როზა ლუქსემ-
ბურგს ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: „აღა-
მიანი უნდა ცხოვრობდეს როგორც სანთელი,
რომელიც ორივე მხრიდან ანთია“.

სწორედ ასე ცხოვრობდნენ ჩვენი დიდი პა-
რტიის სახელოვანი შვილები, რომლებიც ხალ-
ხის სამსახურში დაიფრთხლნენ.

ქართული დიქტიონარი პოეზიის პედაგოგიკაში

გასულ წელს გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-დიდაქტიური თხზულება „სათნობათა კიბე“.

ტექსტი გამოსაცემად სათანადო კომენტარებით, ლექსიკონითა და კრცელი მიმოხილვით მოამზადა ივანე ლოლაშვილმა.

იოანე პეტრიწი — ეროვნებით ქართველი, სამხრეთ საქართველოს მკვიდრი (სოფ. ჭიშვიში), დავით აღმაშენებლის თანამედროვე, გელათის აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და ხელმძღვანელი, საქართველოში ნეოპლატონიკური ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, ქართველი ერის ისტორიაში შევიდა როგორც დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

სწორედ იოანე პეტრიწის ტიტანური შრომა და ფილოსოფიური ჰერეტიკა დაედო საფუძვლად მე-11-13 საუკუნეების საქართველოს კულტურული სახის ჩამოყალიბებას.

ი. პეტრიწის „სათნობათა კიბე“ იამბიკურად ნაწერი დიდაქტიკური ლექსთა კრებულია. სადაც განხილულია მთელი რიგი ყოფითი საკითხებისა, რომლებიც ხვეწენ და ამადლებენ აღამიანს, როგორც მოქალაქესა და პიროვნებას.

ნაწარმოები ძირითადად მიძღვნილია მონაზონთადმი, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ „სათნობათა კიბე“ მარტო ეკლესიისა და ღმრთის მსახურთაღმია განკუთვნილი.

„სათნობათა კიბე“ არის ზოგჯერ აღამიანში სულიერი სიწმინდის, მაღალი ზნეობის და განათლებადმი ლტოლვისა. ნაწარმოების პირველსავე თავში პირდაპირია ვაცხადებული:

„სოფლით გამოსვლა სიჭაბუკისა ესმს
გისმს, მონაზონო, რამეთუ შეკრებილნი

მაშინ შრომანი სიბერესა გზრდიან შენ“-ო.
(სტრ. 11)

ამ სტროფით პეტრიწის შეგონება ნათელია; ახალგაზრდობაში დაგროვილი ცოდნა და შრომა საწინდარია სიბერის ესმს აღამიანის გონების შეუფერხებელი ზრდისა.

კიდევ უფრო ბევრის მოქმელია ფილოსოფოსის თავისუფალი აზროვნების წყალობით წარმოთქმული:

„არა რაი არს სოფლისა შინა მტკიცე,
ყოველივე მსწრაფლ წარმავლ არს
სრულიად:
არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაყე და
არცა დიდება! — არდილი და სიზმარი.
მოიძულე შენ ყოველი, მონაზონო!“
(სტრ. 21)

ზემოთხანულ სტროფში პირდაპირია აღიარებული: ძველანაზე უცვლელი არაფერია, რომ ყველაფერი ცვალებადია, წარმავლია; ასეთი აზრების ქადაგება კი თავისთავად ბევრის მოქმელია.

ნაწარმოების მე-4 თავში ი. პეტრიწი იძლევა სიზმრის კლასიფიკაციას და შეაგონებს:

„სამნი საქმენი სიზმართა გუჟყუებენ:
პირველი იგი წმინდათა არს უწყება,
ხოლო მეორე ეშმაკთა არს ბოროტი,
და მესამე არს ნახსოვნი-დღისისათა
საქმეთა ხსოვნა, რაიკი შეკმთხეთოდეს
ვის“-ო. (სტრ. 35)

სიზმრის ამ პეტრიწისეულ კლასიფიკაციას კვლავ მოსდევს თავისუფალი აზროვნების უკომპრომისო ვაცხადება:

„სიზმართ რომელი ირწმუნებდეს, მგზავსი
არს
კაცსა თვისისა ჩრდილისა მდევნელსა“-ო.
(სტრ. 36)

ორგინალურია ი. პეტრიწის გამონათქვამი სიკვილის, როგორც მოვლენის, შესახებ:

„სიკვილი ორად განიყოფის, იხედვ: ერთად — ბუნებით ყოველთად კაცთად ესე, ხოლო მეორედ — საქმეთაგან სიკვილად ხორციელებრთა სულისა განშორებით, ფილოსოფობა არს წუერთა ამისი მარად“, (სტრ. 64)

მართლაცდა, საბრალო პიროვნება, რომელიც ფიზიკურად დალოდავს დედაშიწაზე, ხოლო მისმა ბოროტმა ქცევამ და ნაშრომადარმა დიდი ხანია მოკლა იგი. მორალური სიკვილი-ლი ფიზიკურზე უარესია.

ი. პეტრიწის „სათნოებათა კიბის“ ერთ თავში, რომელსაც „ურისხველობისათვის“ ჰქვია, ფილოსოფოსი ერთმანეთს უპირისპირებს რისხვასა და ურისხველობას და ვასაგები, სასაუბრო ენით მოუწოდებს ადამიანებს:

„ურისხველობა არს ძლევა ბუნებისა უმტკივარობა გონებათა თავს-დებით, ყუედრებთა ზედა ქებათა ერთად ყოფა, ძაგებისა და ვნებისა მოთმინება, არ აღშფოთება, არცა ლაღობა მისთვის“ (სტრ. 83)

და შემდეგ:

„რისხვა არს აღძვრა, სიძულვილი ფარული, ძვირის — ხსენება უჩინო და გულარძული. ბოროტის ყოფა მარისხებელთა მიმართ, გამწარებადი ეშმაკებრი საცთური. ამას ერთედ, იოტე შენგან სრულად“. (სტრ. 85)

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. პეტრიწის სტროფები, რომლებიც გმობენ ვერცხლის მოყვარე ადამიანებს. „ვერცხლის მოყვარე სენდისსა დასორგუნავს“ (სტრ. 153) აცხადებს ფილოსოფოსი.

„სულით მდიდარი საფასითა გლახაკ არს, ხოლო მდიდარი, სულითა დაგლახაკენს“-ო. (სტრ. 158)

ან კიდევ:

„არა მოაკლდენ ზღვასა დევლანი დიდნი არცა მონასა ვერცხლისასა—წუხილინი“-ო. (სტრ. 165)

ამბობს ი. პეტრიწი და ამით აშიშვლებს ხარბი და გაუმადლარი, ფულის მოყვარე ადამიანის კაცუნა ბუნებას.

ი. პეტრიწის წარმოსახვაში გულფიცხი კა-

ცი ბრმა და სხვათა ხედვით იყურება, მას არა აქვს საკუთარი განსჯის უნარი:

„გული ფიცხელი — წინამძღუდნი ბრმათა სხვათა ხედვითა მასწავები უნადლო, იგი მკურნალი, თვით სწეული დაწყლული, სხვათა მრისხავი რისხვისათვის და თვისისა არა მრიდები ვნებისა გესლსა ამას“. (სტრ. 174)

ქვემარბიტა დიდაქტიკოსის შეგონება:

„უღმობელობა აძლიერებს მუცელსა, ხოლო დააქნობს სულისა ზნესა კარგასა“-ო. (სტრ. 176)

საერთოდ ბოროტი, პეტრიწის არ მიაჩნია რაღაც პერში გამოვიდულად. ბოროტება არაა შემთხვევითი, ამოუცნობი, არამედ „ბოროტი რტო არს ძირსა ბოროტისა“-ო (სტრ. 223) აცხადებს ფილოსოფოსი და ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბოროტის საფუძველს.

„სათნოებათა კიბის“ ბოლო ნაწილში ლაპარაკია დროის ფაქტორზე. ადამიანის ყოველი მოქმედება დროსთან უნდა იყოს შეხამებული. წინააღმდეგ შემთხვევაში კი:

„მრავალჯის ერთი წამალი განჰკურნებს და მეორე მოჰკლავს უჯამოდ მიღებული“-ო. (სტრ. 261)


იოანე პეტრიწის დიდაქტიკური ნაწარმოები მაღალ შეფასებას აძლევს სწავლასა და განათლებას:

„სწავლულება არს კეთილი მოგებული საუნჯე მრთელი, უმაღლესი სიყვარული“. (სტრ. 301)

სწავლა სიმდიდრეა! შთაგონებდა ი. პეტრიწი დავით აღმაშენებლის ძლიერი სამეფოს მკვიდრთ. ამ შეგონების ღვაწლისა და შრომის ნაყოფი დღეს უკვე ნათელია. სწავლას დაწვავებულმა ერმა ქვეყანას მისცა შ. რუსთაველი და ჩახრუხამე, გელათი და იყალთო, მოქალაქეობრივი მაღალი ზნეობა და ოპიზართა ნახელავი, დიდი თამარი და საოცარი ხელოვნებით შესრულებული ფრესკული მხატვრობა თუ მინაწქარი, ძლიერი სახელმწიფო ორგანიზმი და გზები, ხიდები, არხები და მრავალი სხვა.

ი. პეტრიწის „სათნოებათა კიბე“ ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველი ერის მაღალ სულიერ კულტურას, რითაც ამაყობს დავითის დროინდელი მოაზროვნის შთამომავლობა.





ქ. კეკელიძე და ძველი ქართული მხატვრობის მხაზვარული აზროვნების საკითხები

ქ. კეკელიძის მეცნიერული მემკვიდრეობიდან მნიშვნელოვანია ძიებანი, რომლებიც ძველი ქართული მხატვრული აზროვნების საკითხებს შეეხება. მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი პროფილით ქ. კეკელიძე მკვლევარი-ესთეტიკოსი არ ყოფილა. ამ შემთხვევაში, ვიტყვით ჩვენ, სასარგებლო დამთხვევა მოხდა: ქ. კეკელიძის, როგორც მკვლევრისა და მოაზროვნის თვისებანი დაემთხვა იმ მოთხოვნებს, რასაც ძველი ქართული მწერლობის შესწავლა აყენებდა მისი მოღვაწეობის პერიოდში. ვასათვალისწინებელია, რომ ქ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე ბევრი რამ გაკეთდა ძველ-ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში, მაგრამ არსებითად მაინც დაუძლეველი რჩებოდა ქართული სალიტერატურო ძეგლების პირველადი რეგისტრაციისა, თუ დაგროვების ან — ცაგარლის ტერმინოლოგიით — სტატისტიკური პერიოდი“ (ალ. ბარამიძე. იხ. კრ.: დიდი ქართველი მეცნიერი, გვ. 17). ამ პერიოდის დაძლევის შემდეგ კი უპირველესი იყო პრობლემათა ყოველმხრივი ფილოლოგიური დამუშავება, რამდენადაც პრობლემათა ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით დამუშავებამდე მეცნიერული ანაქრონიზშია ძველი ძეგლების ესთეტიკური თავისებურებათა წვდომის სურვილი. ქ. კეკელიძის სახელს დაუკავშირდა ისტორიულ-ლიტერატურულ საფუძველზე დამყარებული ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული კურსის შექმნა. ეს იყო მთელი ქართველოლოგიის ფრიალმნიშვნელოვანი მიღწევა და ქ. კეკელიძის უმთავრესი დამსახურება.

ასეთ საფუძველზე დამყარებით მივიდა იგი მხატვრული აზროვნების საკითხთა ძიებამდე. რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების შესწავლაც ხომ ჩვეულებრივ ასეთივე საფეხურების გავლას მოითხოვს: „სტატისტიკური“ ფაქტების დაგროვება, ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემათა განხილვა და ბოლოს — ესთეტიკური შეფასება (თითქოსდა ამ მეთოდოლოგიური პრინციპების კვალობაზე წარიმართა საზოგადოდ ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მეთოდთა ისტორიული განვითარება — თითქოსდა ონტოგენეზისმა გაიმეორა ფილოგენეზისი).

მხატვრული აზროვნების საკითხების შესწავლისას ამოსავალ საფუძველებს ქმნის ქრისტიანოლოგიის ის რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპები თუ კულტურულ-ისტორიული პრობლემები, რომლებიც ორგანული იყო ძველი ქართული მწერლობისათვის. ამიტომაც ქართული ეკლესიის აღმოსავლური წარმოშობის საკითხი ქ. კეკელიძეს აინტერესებდა არა მარტო თავისთავად მნიშვნელობით, არამედ მას უკავშირებდა ძველი ქართული მწერლობის განვითარების მრავალ პრობლემას. თავდაპირველად ჩვენში ლიტერატურული ურთიერთობა მყარდება სირია-პალესტინის კულტურულ ცენტრებთან, რაც აიხსნება ქართული ეკლესიის იერუსალიმურ-პალესტინური წარმოშობით. ამიტომაც პირველ ხანებში ქართული მწერლობა ძირითადად ქრისტიანობის ე. წ. აღმოსავლურ წრეს განეკუთვნებოდა. მაგრამ ქ. კეკელიძისავე ნაჩ-

ვენები აქვს, რომ რამდენადმე ადრეც და, განსაკუთრებით კი, X საუკუნედიან ჩვენში ხდება მთლიანი მობრუნება ბერძნული კულტურისაკენ. ადრე ამის გამოხატულება იყო დიოფიზიტური დოქტრინის მიღება. ამით ბოლომდე იქნა მიყვანილი უკვე III ს.-ის გასულიდან აღებული ორიენტაცია, რაც კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ნიშნავდა დასავლური კულტურისაკენ მისწრაფებას.

ეს მომენტები ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში ბევრი რამის ამხსნელი შეიძლება ვახდეს. საყურადღებოა კულტურის ისტორიის თვალსაზრისით თვით აღმოსავლურობის დაძლიების ტენდენციები, რომელიც თავისებურად ზემოაღნიშნულ ფაქტშიაც გამოიხატა. მაგრამ უკვე კანონზომიერების სახით წარმოგვიდგება, როცა ვაიხსენებთ მოგვიანებით თეიმურაზის სპარსოფილობისადმი არჩილის სკოლის დაპირისპირებას, რომელიც მოითხოვდა ლიტერატურაში ერთენული ელემენტის გაძლიერებას. ამ უკანასკნელი მომენტიაც იგი ემსახურება X ს.-ში მიმდინარე პროცესებს. სწორედ X საუკუნეშიაც აღმოსავლური ქრისტიანობიდან ჩამოშორებას ემთხვევა ჩვენს მწერლობაში ერთენული საწყისების გაძლიერება. კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ ამ დროს ნაციონალიზაცია შეეხო კულტურისა და მწერლობის თითქმის ყველა სფეროს; ეორტოლოგიური პრაქტიკა იქნება ეს თუ მიწეოლოგია; ეკლესიის ორგანიზაცია თუ პიშნორფაგია და ა. შ. ნიშანდობლივია სწორედ ამ დროს შექმნილი ტერმინები: „ქართული დავითნი“, „ქართული განგება“, „ქართული სათუალაოე“ (იხ. „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ ქართულ ლიტ.-ში, იტ. II). ეს არის საერთო პროცესის გამოვლინება, იმ პროცესისა, რომელიც გამოიხატა იონე საბანისის ერთენულ ქადაგებაში და მის არგუმენტებში, ეროვნულის განმანათლებლის იდეაში და შემდეგ: ეკლესიის ავტოკეფალიზაციისათვის ბრძოლა, ერთენულ ტრადიციათა გააზრება, ვიორგი მერჩულის ეროვნული მთლიანობის იდეა, ნაციონალურ რელიკვიათა და წმინდანთა კულტა, ღვთისმშობლის წიხვდომილობა, ქართული ენის მესიანისტური მნიშვნელობის ქადაგება, იზოთეოსის თეორია, კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ამ პროცესს ემთხვევა დიდი ამოცანა: ერთგვარად ამოწურონ მთელი იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა (ეს ცნება მაშინდელ წარმოდგენაში „ბერძნულ ლიტერატურას“ ემთხვეოდა). ამას ემსახურება ათონის ლიტერატურული სკოლა, ეთარცა ქართველთა წარმომადგენლობა იმდროინდელი მსოფლიო კულტურის სატახტო ქალაქთან. ვამოდის, რომ ლიტერატურის მთლიანი ნაციონალიზაცია ემთხვევა საქრისტიანო მწერლობის ერთიან გათვალისწინებას.

ეროვნული თეიმოფილადობის დაკვირვება აღმოსავლურობის დაძლივასთან შემდგომშიც მეორდება ბესიკის მოღვაწეობის მიმდევრობაში (როგორც ცნობილია, კ. კეკელიძის ცნობის პოეზიის უკავშირდება). კ. კეკელიძის სიტყვით, „მომხადიდებელია ბესიკის ლექსის (უფრო სამიჯნუროსი) მუსიკალობა, ამოწურვისა მხატვრული გამოხატვის საშუალებანი, სკოლაობა რიტმისა და სტროფის ნაირნაირობა, განსაკვიფრებელია მისი რიოზის სიმდიდრე“ („ქართული ლიტ. ისტ., II, გვ. 678). მაგრამ აღმოსავლურობისადმი ბესიკის დამოკიდებულების გამო მეცნიერი აღნიშნავდა: „ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, სინანულს გამოვთქვამთ, რომ ბესიკი თავის ბრწყინვალე ნიჟს იმისთვისაც არ იშურებდა, რათა ჩვენს მწერლობაში გაეძლიერებინა აზრული პოეზიის ტრადიციები და ქართულ ცხოვრებაში შემოეტანა აღმოსავლური ბაზრის მელოდიები“ (გვ. 677). ასეთი შეფასება შემდეგ თვალსაზრისს ემყარებოდა: „ეს ამოწურული „სპარსული ხმა“ არ იყო დამახასიათებელი წმინდა ქართული პოეზიისათვის“. ამიტომაც ვამბობდით ჩვენ, რომ კ. კეკელიძის შრომების მიხედვით, აღმოსავლურობა ჩვეულებრივ დასაძლიერი ხდება ხოლმე ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში: პირველად ეს გამოემტყუნა X ს.-ში, შემდეგ არჩილის დროს და ბოლოს ბესიკის მოღვაწეობის შემდეგ. სამივე შემთხვევაში აღმოსავლურობის დაძლივვა წარმოადგენდა ეროვნული საწყისების გაძლიერების ნიშნით.

ამრიგად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ კ. კეკელიძის მეცნიერული ძიებანი იმ აზრის დამაბეჭდებელია, რომ ძველი ქართული მწერლობა არსებითად კულტურის ე. წ. დასავლურ წრეს განეკუთვნება. ეს არ არის უბრალო სახელდებით დახასიათება: იგი დამაკვალიანებელია მისი თავისებურებების ამოსაცნობად. ასეთი მნიშვნელობა აქვს მას მხატვრული აზროვნების საკითხების კვლევისთვისაც. გასათვალისწინებელია ერთიც: რომელიმე მოკლენას დასავლურს რომ ეუწოდებთ, ეს არ ნიშნავს, რომ იგი მაინცადამაინც წარმოშობით იყოს დასავლური. ასე შეიძლება აღენიშნათ ის მოვლენები, რომლებიც ქართული ეროვნული ნიადაგის ნაყოფია, მაგრამ თავისი ხასიათით კულტურის დასავლურ ტიპს ემსგავსება. აღმოსავლურობის დაძლივვა ეროვნული სიწმინდის დაცვად რომ აღქმულიყო, ამას მხარს უჭერდა ქრისტიანობის ეროვნულ იდეოლოგიად, ანდა ეროვნული იდეალების გამოხატვის ერთადერთ ფორმად მიჩნევა, მაშინ როცა სპარსული ლიტერატურული აზროვნების წესი უმთავრესად მხოლოდ პოეზიის საშუალებით შემოდიოდა ჩვენში. ამით ხშირად მისი ასპარეზი, თუ შეიძლება



ითქვას, ერთგვარად შემოზღუდული იყო ესთეტიკურის სფეროთი.

ყოველივე ეს სრულიადაც არ უარყოფს, ჩვენ ვფიქრობთ, ადასტურებს კიდევაც აღმოსავლური ელემენტის დიდ მნიშვნელობას ძველი ქართული მწერლობისათვის. ამ მხრივ, მატერული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ კ. კეკელიძის გამოკვლევა: «Отражение восточного суфизма в древнегрузинской литературе». (ეჭ. II). აქ ნაჩვენებია, რომ ჩვენი მწერლობა სუფიზმის ოდენ ნაცნობობას კი არ ამჟღავნებს, — ცალკეულ შემთხვევაში იგი ორგანულად ერწყმის ძველ ქართულ მატერულ აზროვნებას. იგი მას იღებს როგორც გაკავალულ გზას ესთეტიკური შინაარსის გამოსახატავად. მნიშვნელოვან ელემენტად გვესახება იგი რუსთველის მიჯნურობის თეორიაში, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, მიუღწეველი სიყვარულის რაობას რუსთველი სუფიზმის მიხედვით განმარტავს. ოლონდ სადავო უნდა იყოს, კ. კეკელიძის შენიშვნა, რომ რუსთველი პოლემიკას აწარმოებს ასეთ სიყვარულთანაო (გვ. 282), რამდენადაც რუსთაველი სწორედ ამ სიყვარულის შესახებ ამბობდა: „იგია საქმე სახეო, მომცემი აღმაფრენათა“.

კ. კეკელიძე, ასე ვთქვათ, უშუალოდ მიადგა მატერული აზროვნების საკითხებს ქრისტიანული მწერლობის ისეთი დარგების კვლევისას, როგორცაა ეგზეგეტიკა და მისტიკა. 1920 წ. გამოაქვეყნა მიტროფანე მჭვრელის „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“, რომლის შესავალში მოცემული აქვს მსოფლიო ეგზეგეტიკური მწერლობის ვრცელი მიმოხილვა. აქვე ნაჩვენებია იყო მისი მნიშვნელობა მატერული აზროვნების განვითარებისათვის. ყერძოდ, დასახიათებულა „სახისმეტყველებითი“ თარგმანების მეთოდი, რომელიც ამკვიდრება ნაწარმოებთა შინაარსის აღგორიულ ვაზრებას. ქრისტიანულ მწერლობაში აღგორია ყოველთვის მატერული აზროვნების ფაქტს არ წარმოადგენს, მაგრამ არც გამორიცხავს მას და, ასეთ შემთხვევაში, „სახისმეტყველების“ თეორიის დამუშავებისას სიმბოლურ-აღგორიული გამოხატვის საკითხები თეორიულ რეფლექსიის საგანი ხდებოდა. ასე რომ, თვით ტერმინი „სახისმეტყველება“ მატერული აზროვნების ფაქტსაც აღნიშნავს.

მისტიკა შეიცავდა ქრისტიანობის ფილოსოფიას, საშუალო საუკუნეებში ესთეტიკის ზოგადფორიული საკითხებს გადაწყვეტა ხშირად სწორედ მისტიკის სფეროში ხდებოდა. აქ ესთეტიკა გაცილებით ფილოსოფიური იყო, ვიდრე ანტიკურ ხანაში, როცა თვით წმინდა ფილოსოფიური ნააზრებებიც კი თავისი ხასიათით ერთგვარად ესთეტიკურია (იხ. ი. ბოროდინის ფრიად საყურადღებო შესავალი წერილი ა. ლო-

სკვის წიგნში ანტიკური ესთეტიკის ისტორია). მისტიკურ დოგმატებში კონდენსირებულია არამარტო წინაურ მონაპოვარი აზროვნების, არამედ კონკრეტული კულტურულ-ისტორიული იდეალებიც კი. „ქრისტიანული დოგმები „მკვდარი და უსიცოცხლონი“ კი არ არიან, არამედ ამ დოგმების სამოსელში გახვეულია აზვითებული ტალღები პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრებისა რომსა და ბიზანტიის იმპერიაში, ამ დოგმების დადგინების ხანაში“ (ეჭ. III, გვ. 147). მასთან გათვალისწინებული ჩანს ავტორიტეტული სწავლება: «Революционная оппозиция против феодализма проходит через все средневековье. В зависимости от условий времени она выступает то в виде открытой ереси, то в виде вооруженного восстания» (ფ. ენგელსი). ამიტომაც ძველი „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ სხვა დარგებთან ერთად მონოგრაფიულადაა განხილული ასეტიკურ-მისტიკური მწერლობა და მისი შინაარსი. თუ როგორი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კონფესიონალურ დებულებებს მხატვრული აზროვნების განვითარებაში — ამას, მაგალითად, ასეთი საკითხიც გვიჩვენებდა: რამდენადაც დიოფიზიტური დოქტრინა ქრისტიკაში დვთავებრიობის გვერდით კაცობრივ საწყისსაც ხედავდა, საშუალება იქმნებოდა აგიოგრაფიაში აღამიანის ამქვეყნური ბუნებისადმი ინტერესების განვითარებისა, მისგან გამომდინარე ყველა მხატვრული შედეგებით, ეს იყო აუცილებელი გზა იმისათვის, რათა ბოლოს აზროვნება აღამიანის ბუნებაში ესთეტიკურის ძიებამდე მისულიყო.

ერთი სიტყვით, მეტად ფართო იყო ფუნდამენტალური საკითხების სფერო. რომელსაც კ. კეკელიძე განიხილავდა. მათზე დამყარებით, თუ როგორ განიმარტებოდა მხატვრული აზროვნების ცალკეული თავისებურებანი, ქვემოთ ვაჩვენებთ, როცა კონკრეტულ საკითხებს შევხებით: კ. კეკელიძის დეკორატივანი იმ პრინციპითა ღრმა ცოდნას ემყარებოდა, რომლებიც თვითონ იყო საყრდენი ძველი ქართული მწერლობისათვის.

როგორც აღინიშნა, კ. კეკელიძეს გამოძიებული და გათვალისწინებული აქვს მხატვრული აზროვნების საფუძვლები, როგორც იტყვიან, განვითარების მასტიმულირებული იდეები. მაგრამ ამასთანავე, კ. კეკელიძემ სპეციალური განმარგადებული გამოკვლევანი დაწერა იმ პრინცი-

რეზაზ სირაძე

კ. კეკელიძე და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები

პულ თეომათა თუ ცალკეულ ლიტერატურულ შეხედულებათა თაობაზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ ძველი ქართული მწერლობის განვითარებას, მხატვრული აზროვნების რეკლამენტურებას ახდენდნენ და მათი დაძლევა-განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამ მხრივ, საყურადღებოა: „შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ მწერლობაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით“ (ეტ. II) და „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარკელი ძველ ქართულ ლიტერატურაში“ (ეტ. IV). მაგალითად, თავის დროზე დასაძლევად ითვლებოდა თეორია ბერძენ-რომაელთა უპირატესობის თაობაზე ბარბაროსთა მიმართ. იგი მარტო ბერძნებს კი არა, „ბარბაროსებსაც“ სჯეროდათ. ამიტომ იყო, რომ ქართული ნაციონალური ღირსების მტკიცება ი. საბანისძემ ბერძნებისადმი დაპირისპირებით დაიწყო. მაგრამ ეს თეორია შემდეგაც მძლავრობდა. საკვირველია, რომ მსგავს აზრს იმეორებს თამარის ეპოქაში ყოფილი პატრიარქი, ნიკოლოზ გულაბერიძე სვეტიცხოვლის სადღესასწაულო სიტყვაში. ამ შეხედულებით, მწერლობა და ფილოსოფოსობა უპირველესად ბერძენთა ნიჭია. საწინააღმდეგო აზრს ამკვიდრებდნენ ი. საბანისძე და იოანე-ზოსიმე, გიორგი ათონელი თუ არსებულშიაიმის ძე, რომელიც წერდა: „ერო საზეპურო, ქართველთა სამეფუფო, არასადა უმრწემეს გყო ღმერთმან“. დავსძენდით, რომ იქნებ ამ თეორიისადმი დაპირისპირებასაც ითვალისწინებდა ტენდენცია ძველი ქართული მწერლობისა — უპირატესად მოეცა პოზიტიური იდეალები, ეჩვენებინა უმეტესად ქართული ხასიათის სიმძლავრე. ფაქტი ერთია: ახსნას მოითხოვს ის გარემოება, რომ მთელ ძველ ქართულ მწერლობაში არ მოგვეპოვევა თავისი მხატვრული სრულყოფილებით დადებითი გმირების ტოლფასი უარყოფითი სახეები.

კ. კეკელიძეს ზემოაღნიშნული თეორიის განვითარებად მიანიჭა ასეთი დასაბუთების ცდაც: მწერლობა უფლებამოსილია არსებობდეს მხოლოდ სამ ენაზე — ბერძნულად, რომაულად და ებრაულად, რამდენადაც ჟვარცმული ქრისტის ბრალდება ამ ენებზე შეადგინესო (ლ. 23, 38). როგორც ცნობილია, ამ თეორიამ უფრო დასავლეთში მოიკიდა ფეხი და დიდხანს ლათინური ითვლებოდა მწერლობისა და მეცნიერების ერთადერთ ღირსეულ ენად. აღმოსავლეთის საქრისტიანოში — მათ შორის, საქართველოსა და სომხეთში — იმთავითვე შეიქმნა ნაციონალური ანბანი და მწერლობა, თუმცა ამ თეორიამ ერთგვარად მანც დატოვა თავისი კვალი.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, მწერლობის ტემპმა, ერთ-ერთი შემანელებელი მიზეზი ყოფილა ჩვენში თავისებური თეორია „სიბრძნისა და

სისულელის“ შესახებ“. მას მხედველობაში აქვს „გრ. ხანძთელის ცხოვრების“ შესავალში გამოთქმული აზრი: „ბრძნად; მტყუველსა მცერცლო არს წმიდაჲ, ხოლც კლმელი, კჳრცა რჩეული“.

ასეთი შეხედულება სხვადასხვა დროის ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა გააზრებულყოფი. დღემდე განცდის თავისებურება გააზრებული იქვთ ჩახრუხაძესა და ბარათაშვილს, ტიუტჩევსა და მაღარგეს. მათთან ამ შემთხვევებში ნაგულისხმევია სათქმელის გამოხატვის სინდელე. გიორგი მერჩულისათვის კი დღემლია უმაღლესი სიბრძნე. განცდის უმაღლესი ფორმა დღემლიში განცდა, რამდენადაც ესაა სეკულარული სინდელის ყველაზე სრულყოფილი მსუღიერო მდგომარეობა. გამოთქმა ამ დაბლებს გრძნობასა და აზრს. ირკვევა, ამ დროს ეს არ ყოფილა მხოლოდ თეორიული განსჯის საკითხი. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ უთქმელობის განდიდება პრაქტიკული გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა მწერლობის განვითარებაზე: „უხადია, ასეთი კვალთფაცია მიმზიდველად ვერ გახდიდა, ყველას თვალში მანც, მწერლობის პროფესიისა და ბეგრს ვერ წააქეზებდა ხელი მოეცა მისთვის“ (ეტ. II, გვ. 211).

კ. კეკელიძე განიხილავდა არა მარტო სასულიერო და საერო მწერლობის კეთილისმყოფელ ურთიერთზეგავლენას, არამედ მათ შორის არსებულ დაპირისპირებულობასა და ურთიერთუარყოფას. გარკვეულ წრეებში აღიარებულ იქნა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის პრიმატი. მაგრამ მწერლობა მიჩნეული იყო მხოლოდ საეკლესიო იერარქიის წარმომადგენელთა, ე. ი. სამღვდელთების პრივილეგიად; საქმე ისაა, რომ ერისკაცს აკრძალული ჰქონდა სხვისი სარწმუნოებრივი სწავლება და დამოძღვრა, აქედან, მაშასადამე, საეკლესიო მწერლობაში მონაწილეობის მიღება. მეექვსე მსოფლიო კრების 64-ე კანონი ამბობს: არა ჯერ არს ერისკაცი ხალხის წინაშე წარმოსთქვამდეს სიტყვასაო (ეტ. II. 205). ესთეტიკურ შინაარსს ცვლიდა საღვთო შინაარსი. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ VI ცდილობდა ეფეზისტყაოსნის შინაარსად წარმოედგინა საღვთო აზრი, თავისთავად, განვითარების თვალსაზრისით, სასულიერო და საერო მწერლობას შორის დაპირისპირების არსებობა უარყოფითი ფაქტი არ იყო. ეს ნიშნავდა, რომ ქართული აზროვნების განვითარება არ მიმდინარეობდა „ერთიანი ნაკადით“. განსხვავებულ სტილთა არსებობა ლიტერატურულ აზროვნების მრავალფეროვნებას ადასტურებდა. უარყოფითი იყო სასულიერო მწერლობის ერთადერთ სწორ გზად მიჩნევა, რაც მხატვრული აზროვნების უნიფიცირებას გამოიწვევდა. საე-

რო მწერლობის წარმოშობა იყო ერთგვარი უარყოფა სასულიერო მწერლობისა, ანდა მისი ფუნქციების კატეგორიული შეზღუდვა. აღორძინების ხანაში იყო ცდა მათი გაერთმინებელი-ანებისა.

კ. კეკელიძეს სხვა მრავალი ფაქტორიცა აქვს განხილული, რომელთა გადალახვის საფუძველზე ხდებოდა ძველ ქართულ მწერლობაში მხატვრული აზროვნების თვითმყოფადი ბუნების გამოკვეთა.

* * *

რით უნდა დაიწყეთ საკუთრივ ძველი ქართული მხატვრული აზროვნების საკითხების კვლევა? განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა კ. კეკელიძის პოზიცია ამ კითხვაზე აგიოგრაფიის მიმართ: ამ მწერლობის მხატვრულ თვარეობებზეათა შესწავლისას ამოსავალი უნდა იყოს ზოგადი თეორიულ-თეოლოგიური პრინციპები, რომელსაც ის ემყარებოდა. ეს იმიტომ, რომ აგიოგრაფია ნორმას დამორჩილებული მწერლობაა. აქ ჩვეულებრივია, რომ ნაწარმოებები აგებულ იქნეს გაცნობიერებულ თეორიული პრინციპების მიხედვით. აი, ამ პრინციპების ამოცნობაა უპირველესად საჭირო. ამით გამოჩნდება მისი კანონიკური ხასიათი და შემოქმედებითი ბუნებაც. ამიტომაც კ. კეკელიძე იწყებს ზოგადი, ასე ვთქვათ, კანონიკური მნიშვნელობის პრინციპებიდან და მიდის შემოქმედებითი პროცესის ცალკეული ასპექტების გამოვლენებამდე. მართალია, კ. კეკელიძეს არ მოუხცია ინდივიდუალურ სტილთა მონოგრაფიული გამოკვლევანი და ამ გზით მოპოვებული განმარტავებელი დასკვნები, მაგრამ დასახა მასთან მისასვლელი გზები.

* * *

კ. კეკელიძის გამოკვლევებში ნათლად ჩანს უპირველესი მიზანი — ამოცნობილ იქნეს ის ლიტერატურული ფასეულობა, რომელიც ნაწარმოებს ჰქონდა თავისი დროისათვის. ამას იგი ნათელყოფდა უმთავრესად ისტორიულ-ლიტერატურული ასპექტების მხრივ, მაგრამ ამასთანავე, პირდაპირ თუ აპარატივად მკვლევარი მივითითებდა ლიტერატურული გამოვლების ისტორიული განვითარების ტენდენციებზე. ამას ემსახურებოდა, მაგალითად, კ. კეკელიძის ერთი თითქოსდა სასხვათაშორისო შენიშვნა, რომელიც მან „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ წარუშმდგარა იმ თავს, სადაც აგიოგრაფიული მწერლობაა განხილული. კ. კეკელიძე საყურადღებოდ თვლის იმ გარემოებას, რომ განვითარების პირველ პერიოდში ჩვენი მწერლობა ნაკლებ ყურადღებას იჩენს საისტორიო თხზულებების თარგმნისადმი. მაშინ როცა თითქმის ამომწყურავდა თარგმნილი აგიოგრაფია. კ. კეკელიძის აზრით, ეს წარმოდგენას გვაძლევს

აგიოგრაფიული მწერლობისადმი იმდროინდელი მკითხველის დამოკიდებულებაზე: „ქართული მწერლობის ისტორიული მწერლობიდან უფრო უკეთესად ბოდნენ ისეთი ძეგლებისა და მანერებისა ვიდრე მოზარგმნას, რანაც პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სარწმუნოებრივ-ხელობრივი წარმატებისა და ქრისტიანობის შინაარსის შეგნებისათვის. ამ მხრივ, უცხოელთა საისტორიო ლიტერატურა / მათ, შედარებით, ბევრს ვერაფერს მისცემდა. ამასთან იმათ ისტორიულ ცნობისმოყვარეობას რამდენადმე ის მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, რომელიც წარმოადგენს, საკუთრივ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგს და რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წმინდა ისტორიულ მწერლობას“. (გვ. 500-501). (ეს ერთ-ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ კ. კეკელიძე ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემატიზაციის დროსაც საერთო განვითარების ისტორიულ ტენდენციებს პოულობდა). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მაგალითად, V-VIII სს.-ში არც ორიგინალური საისტორიო მწერლობა განვითარებულა განსაკუთრებით, მაშინ როცა აგიოგრაფიაში უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს.

* * *

უპირველესად მხატვრული აზროვნების ისტორიის ინტერესების სფეროში შეგომდის კ. კეკელიძის დამახსოვრება მეტაფრასტიკის შესწავლის მხრივ.

ცნობილია, რომ X ს.-ში ბიზანტიაში ჩამოყალიბდა ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელმაც მიიღო ადრინდელი აგიოგრაფია გადაამუშავა (გადაამეტაფრასა) და შეუფარდა იგი ახალ ლიტერატურულ მოთხოვნებს. ძველ კანონიკურ აგიოგრაფიულ ძეგლთა ფაბულარული მხარე უცვლელად დატოვეს და ძირითადად მხატვრული აქსესუარის მხრივ „გარდავახმეს“ ისინი. ეს იყო დიდი ლიტერატურული მოვლენა საქრისტიანო მწერლობათა ისტორიაში. ასეთი შინაგანი განვითარება არ განუცლია აგიოგრაფიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ახალმა ლიტერატურულმა მოთხოვნილებებმა დაარღვია კანონიკური სიმყარე, აღმსარებლობით მიზნებთან ერთად საკუთრივ ლიტერატურული ამოსავალი გახდა საფუძველი განვითარებისა.

1910 წელს კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ეგრემ მცირის „მოსახსენებელი სემეონისათვის ლოლოთეტისა“, რომელიც მან გელათის ზღნაწყერებში აღმოაჩინა (ამას მოჰყვა იოანე ქსიფილი-

რამაზ სირაძე

კ. კეკელიძემ და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები



ნოსის ანდერძის პუბლიკაცია). ამ აღმოჩენებს, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა მეცნიერებაში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის. მათ გააჩვევს მეტაფრასტიკის, როგორც ლიტერატურული მიმართულების მანამდე უცნობი ბევრი არსებითი საკითხი. ამან მხატვრული აზროვნების თვალსაზრისითაც ახალი საკითხები წამოჭრა, რომელთა გარკვევა უნდა მოხდეს კ. კეკელიძის აღნიშნულ გამოკვლევაზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, ვერაერთობით არაა შესწავლილი და სპეციალურ კვლევას მოვლის ქართული მეტაფრასტული და წინარე (კომენტარი) აგიოგრაფიის ურთიერთმიმართების საკითხი მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით.

კ. კეკელიძემ არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ძველ ქართულ მწერლობის ტიპობრივ, დამახასიათებელ მოტივებს, მაგალითად, „სამიჯნუროთ ცთუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“, „ორი მოხეტიალე სიტუეტისათვის ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში“, „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები“, „კოდების“ ეპირა და „გლოვის წესი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში“, „ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ და სხვანი.

აქ აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ნაშრომებში კ. კეკელიძე ეხება უმთავრესად აგიოგრაფიულ მწერლობას. მაგრამ მასვე აქვს გამოკვლევითი აღორძინების ხანის მწერლობისათვის საერთო ლიტერატურული მოტივების, საყურადღებოა მისი დაკვირვებანი თეიმურაზ პირველისა და აღორძინების პერიოდის შემდგომი ხანის პოეტთა შემოქმედებაზე. მისი თვალსაზრისის მიხედვით, არჩილთან მოგვეპოვება მთლიანად თეიმურაზის შეხედულებათა განვითარება ამ საკითხში. არჩილის შესახებ კი მკვლევარი წერდა: არჩილის პესიმიზმს რომანტიკული ნიადაგი არა აქვსო (ქართული ლიტ. ისტ. II, გვ. 589). მაშასადამე, შევიძლია დავასკვნათ, რომ „სოფლის სამღერავის“ მოტივი პრინციპულად განსხვავდებოდა ბარათაშვილის „მსოფლიო სევდისაგან“. ამ საკითხებზე კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საშუალებას ქმნიან შემდეგი დასკვნების გამოტანისთვისაც: როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, თეიმურაზის „სოფლის სამღერავის“ გაგებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი რელიგიური ოპტიმიზმი. გამოდის, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეიმურაზის პესიმიზმი ორგვარია: „ამა სოფლის მიმართ“ იგ ბოლომდე პესიმიზტია, მაგრამ მხოლოდ „ამა სოფლისა“ მიმართ. მეორეს მხრივ, სინანულის განწყობილება ყოველთვის როდი ნიშნავს იგივეს. ბენიტენციალური ლექსები, სინა-

ნულის ჰიმნები შეიძლება აღმოცენებული იყოს თვით არსებობის ფაქტის გააზრებამ და შეიძლება მარადიული ბედნიერების სურვილს. აქ იგი არ გამოხატავს პესიმიზმს — მას საბოლოოდ რელიგიური ოპტიმიზმისაგან მიეყვართ, რამდენადაც ამ შემთხვევაში პიროვნებას ახლავს შინაგანი კმაყოფილება, რომ მისი „მე“ სინანულმა მოიცვა. პოეტი არ ვანიციდის სინანულის სიმწარეს, პირიქით, სინანული სულიერი პარაფრაზია, სინანული თვით მიიჩნევა ადამიანისათვის ყველაზე სრულყოფილ სულიერ მდგომარეობად — იგია სწომინდის ცხადყოფა. ასე რომ, ეს სინანული, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, არაა გამოწვეული „სოფლის სამღერავით“. მაგრამ არსებობს სულ სხვა გზაც: ზოგჯერ ამ სინანულს, ასეთ სევდას პოეტი მიჰყავს ჰედონიკასა და ეროტიკამდე. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში თეიმურაზისათვის „ჰედონიკა და ეროტიკა ეს ხელოვნური სიკვდილია, ღვინოსა და სიყვარულში ლამობს ის დაიფიქროს თავისი „მე“, განეშოროს ამ სინამდვილეს, წაეიდეს მისგან“ (იქვე, გვ. 569).

კ. კეკელიძე სწავლობდა სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვის თავისებურებებს ძველ ქართულ მწერლობაში. თუ დავალაგებთ ამ საკითხზე სხვადასხვა ადგილას გამოთქმულ მოსაზრებებს, ერთიან სურათს ვიღებთ გამოხატვას აღნიშნული ხეობის განვითარებისა მთელი ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მანძილზე. ნაშრომში „აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“ კ. კეკელიძე „ამოს წამებაში“ მყარ სიმბოლურ-ალეგორიულ ფორმათა თავისებურებებს შეეხო და აღნიშნა მათი სიახლოვე არეოპაიტულ სიმბოლიკასთან. აქ ბუნების ძალთა განცდას ემყარება ღვთაებობის განცდა. როგორც ცნობილია, აღრინულ საშუალო საუკუნეებში ლიტერატურაში (ასევე მხატვრობაშიც) არაა წინაწამოწეული ბუნება (იხ. ა. ბიზე, ბუნების გრძნობის ისტორიული განვითარება, რუსული თარგმანი). ასევე იყო ჩვენს მწერლობაშიც. თვით რუსეთისთვისაც მეორეხარისისთვის ელემენტარა ბუნების „სილამაზის გამოხატვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ არსებობდა ბუნების გრძნობა ძველ ქართულ ლიტერატურაში. იგი წარმოდგენილი იყო თავისებური ფორმით: აგიოგრაფიაში ბუნების სურათები შეიძლება იყოს არა მხატვრული სახის შინაარსი, არამედ სხვა შინაარსის ალეგორიული გამოხატვის საშუალება, როგორც იტყვიან, სახის მატერიალური სტრუქტურა. ამ გზით იკვლევდა გზას და მკვიდრდებოდა ჩვენს ლიტერატურაში ბუნების ესთეტიკა.

კ. კეკელიძე მიუთითებდა იმ ფაქტს, როცა

ალეგორიული სახეები თეორიული რეფლექსის სახანი გამხდარა. მხედველობაში გვაქვს „სახის-მეტყველების“ ედრემ მცირისეული განმარტება, რომელიც მან დავითნის კატენების შესავალში მოგვცა: რუსთველოლოგიურ შტუდიებში კ. კეკელიძე გვიჩვენებს, რომ პოეტი იყენებს ქრისტიანულ სიმბოლკას, თუმცა ზოგჯერ მასთან ფრაზეოლოგიური დამთხვევა არ უნდა ნიშნავდეს შინაარსის იგივეობასაც. თეიმურაზ პირველის პოეზიაში კი ალეგორია სპარსული პოეზიის არსენალიდან მომდინარედაა დასახული. როგორც ვთქვით, კ. კეკელიძე მის საფუძვლად სუფისტურ მსოფლმეტყვანებას მიიჩნევდა.

სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ ალეგორიული გამოხატვის თავისებურებას „დავითიანში“. ილიას დროს ფიქრობდნენ, რომ დ. გურამიშვილმა „თავი დააღწია ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ფიგურობასა და ალეგორიას“. ეს არსებითად სწორი იქნება, თუკი ვივლინებთ სპარსულ „ფიგურობასა და ალეგორიას“. მაგრამ კ. კეკელიძემ მიუთითა სხვა სახის ალეგორიულ გამოხატვაზე დ. გურამიშვილის შემოქმედებაში. მართლაც რომ, ძნელად გასაგები იყო ისეთი, მეტად სპეციფიკური აზროვნების ხასიათი, როცა ზუბოველი ქალის ხრტბაში ამოხაცნობა ქრისტეს სახე. პაჭკეშა ჩატუბდავ შეთხველს ეს შეიძლება პარადოქსალურად მოჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დ. გურამიშვილი მიუთითებს ასეთი ქვეტექსტის არსებობაზე თავის ნაწარმოებში. მაგრამ კ. კეკელიძემ სრული სიყბადით გვიჩვენა ასეთი გააზრების რეალურობა. მისი ძირები და მისი შემდგომი განვითარება. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვიტყვით, უფრო სიმბოლურ გამოხატვასთანა გვაქვს საქმე, რამდენადაც გამოხატვის წინა პლანი თავისთავად მნიშვნელობასაც შეიცავს — ზემომითითებულ ლექსის ქვეტექსტში ქრისტეა ამოსაცნობი, მაგრამ ზუბოველი ქალის სახე თავისთავად მნიშვნელობის მატარებელი მხატვრული სახეა. ასეთი ორბლანინობა კი უცხოა ალეგორიისათვის, რომელსაც იგავარაკული ენარის ნაწარმოებები შეიცავს.

მხატვრული აზროვნების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია კ. კეკელიძის თეორია ძველი ქართული საერო მწერლობის წარმოშობისა, რომელიც მან 1933 წელს წამოაყენა. იგი ასე შეჯამდა: „ძველი ქართული საერო მწერლობა დიალექტიკური განვითარებაა სასულიერო მწერლობისა და კანონზომიერად წარმოშობა მისი განა (ქართული ფეოდალური ლიტ. პერიოდიზაცია, გვ. 36). ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საერო მწერლობის წარმოშობის პროცესში მრავალმხრივი ლიტერატურული ურთიერთობანი და, მათ შო-

რის, სპარსულ მწერლობასთან კავშირის მნიშვნელოვანი როლი, აგრეთვე ის განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ატმოსფერო, რომელიც აყენებდა მოთხოვნას სოციალურ-ტექნიკური იდეალები ახლებურ სტილიურ ფორმებში შეეგარძნოთ.

კ. კეკელიძის მეცნიერული თეორიები წინასწარგანჩინებული თვალსაზრისით კი არ იქმნებოდა, არამედ მეცნიერულ საფუძველთა სკრუპულუზური ანალიზითა და მთელი ქართულილოგიის საერთო სამეცნიერო დონის გათვალისწინებით. ამიტომ გასაგები იყო, რომ ადრე ის იზიარებდა ნ. მარის თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის გავლენით წარმოშობის შესახებ. მაშინ არ იყო გამოვლინებული ძველი ქართული მწერლობიდან ყველა ის საფუძველი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია „დიალექტიკური განვითარებით საერო მწერლობის კანონზომიერი წარმოშობა“. ამ ვითარებაში ნ. მარის თეორიისათვის ანგარიშგაუწველობა ნიშნავდა უფრო მეტად სასურველ აზრისაკენ განუთხველ მისწრაფებას. კ. კეკელიძისათვის კი „სასურველი აზრი“ შეიძლება იყოს ყოფილიყო მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული აზრი. შემდგომში ასეთი საფუძველი გამოვლინებულ იქნა, იგი საკმარისი პირობა გახდა იმისათვის, რათა მათზე დაყრდნობით ახალი, ისტორიული და ლოგიკური თვალსაზრისით გამართლებული თეორია აგებულყო.

ამ თეორიის გამომდინარე მეცნიერული შედეგებიც უკონდა. იგი ძველ ქართულ მწერლობას (მწმმხვევაში, სასულიერო და საერო მწერლობათა ისტორიის) წარმოგვიდგენს ერთ მთლიან პროცესად. ვარდა ამისა, თუკი მისი ძირითადი წყარო სასულიერო მწერლობაშია — შემდგომ კვლევასაც ასეთი დაკვირვანება მიეცა: კვლავაც საჭიროდ ჩაითვალა ასეთ წყაროთა შემდგომი გამოვლინება. საერო მწერლობის უცხოურიდან მომდინარე წყაროების კვლევისას საჭირო გახდა იმის შემოწმება, თუ რამდენად ეგუებოდა იგი ადრეულ ლიტერატურულ ტრადიციას. რამდენადაც იგულისხმება, რომ ტიპოლოგიური მსგავსების დაღვენა ყოველთვის არ ნიშნავს, თითქოს მიგნებულია ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენის უშუალო წყარო. ყოველთვის ამისაგომ კ. კეკელიძის თეორია წარმოგვიდგება როგორც განვითარებადი თეორია: იგი თვითონვე ითვალისწინებს და შესაძლებლობასაც შეიცავს მისი ცალკეული ასპექტების შემდგომი დაზუსტება-განვითარებისათვის.

რეზიუმე სირაპე

კ. კეკელიძე და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები

ამის მაგალითი თვით კ. კეკელიძემ გვიჩვენა შემდგომში საკუთარი მეცნიერული გამოკვლევებით.

კერძოდ, გამოყოფთ ჩვენს მწერლობაში სარაინდო რომანის წარმოშობა-განვითარების პრობლემას, რომელიც, რასაკვირველია, მთლიანად არ ემთხვევა, მაგრამ შვიდროდ უკავშირდება ასეთ საკითხს: **ბიზანტიური აგიოგრაფიული რომანის მნიშვნელობა ქართული საერო მწერლობის წარმოშობისათვის.** კ. კეკელიძემ გვიჩვენა, რომ ლიტერატურული აზროვნების ას ფორმები, რომლებიც აგიოგრაფიულ მწერლობაში განვითარდა ე. წ. ანტიკურული რომანის მხატვრულ აქსესუარად გადაიქცა. ეს თვალსაზრისი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ შეიძლება აღინათვროს რომანის მხოლოდ და მხოლოდ სპარსულიდან მომდინარეობა თავისთავად ცხადად ჩათვლილიყო და მოხსნილიყო სხვა ელემენტის ძიების საჭიროება. აგიოგრაფიიდან კ. კეკელიძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ე. წ. „წმინდა“ მხედართა რომანები. მაგრამ კ. კეკელიძეს ნაჩვენები აქვს სხვაგვარი ურთიერთობანიც. მაგალითად, მან გამოჰყო ამ რომანებში აგიოგრაფიიდან შემოსული ოთხი კომპოზიციური ელემენტი. შეიძლება სადავო იყოს, არის თუ არა ეს ელემენტები მაინცადაშინც აგიოგრაფიაში აღმოცენებული ან მისი კუთვნილება, რამდენადაც იგივე შეიძლება გვეპოვა ქართულ ფოლკლორულ თხზულებებში ან, თუნდაც, სპარსულ ლიტერატურულ ძეგლებში. მიუხედავად ამისა, მაინც გამორიცხული ვერ იქნება, რომ ამ ელემენტების მიხედვით საერთო აქვთ სარაინდო და აგიოგრაფიული რომანებს. კ. კეკელიძე გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა გამოყენებული წმინდა მხედართა თვისებანი ადამიანის ახალი, რაინდული იდეალის გამომატველი მხატვრული სახის შესაქმნელად.

ნიშანდობლივია კ. კეკელიძის მითითებული შემდეგი ფაქტი: „წმინდა“ მხედართა რომანებზე „დღიერი მოთხოვნისა და დაბადებულა ჩვენში X საუკუნის აღმწერულიდან, განსაკუთრებით, XI-XII საუკუნეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი ფეოდალური მონარქია. ეს იქედან ჩანს, რომ დასახელებულ მხედართა ცხოვრება-მარტილობანი ითარგმნება სწორედ X ს.-ის გასულიდან მეთორმეტის მეორე ნახევრამდე (ცტ. II გვ. 6). შეიძლება უკვე ორიგინალური იქნება. ორიგინალურმა მწერლობამ კი მსგავსი იდეალები საერო მწერლობის ფორმით წარმოგვიდგინა. აქ საყურადღებოა რამდენიმე მხარე: ჯერ ერთი, საერო მწერლობის წარმოშობამდე — უკვე მათე საუკუნინანს, ისახება ისეთი ინტერესები, რომლებიც საბოლოოდ შესაძლებელია სრულყოფილად მხოლოდ საერო მწერლობამ დააკმაყოფილოს. თავდაპირველად ამ ახლებურ ლიტერატურულ ინტერესებს ნათარგმნი აგიოგრაფი-

ული რომანებით იკმაყოფილებდნენ — ასე იყო X-XI საუკუნეებში. ქართულად ასეთი ხასიათის ორიგინალური რომანები არ შექმნილეს (თუმცა ორიგინალურ აგიოგრაფიაში კი შექმნილა რომანული ელემენტები). როცა მთლიანად მომწიფდა ახალი ლიტერატურული გემოვნება, მას პირდაპირ საერო მწერლობის შექმნა მოჰყოლია. თანაც ეს გვესახება ისტორიულად აღვილობრივი ვითარებებით განპირობებულ მოვლენად — რასაკვირველია, შემთხვევითი არაა ამ ინტერესების განვითარება საზოგადოებაში საერო პირთა როლის განსაკუთრებულ გაზრდასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსდევდა გმირის იდეალიზების ახლებური პრინციპების წამოყენება. ლიტერატურა კი, როგორც ეს ხშირად ხდება, მას ახორციელებდა უკვე ჩამოყალიბებული მხატვრული ფორმებით.

სარაინდო რომანების კავშირს აგიოგრაფიათან კ. კეკელიძე იკვლევდა უმთავრესად ტიპობრივი პასაჟებისა და საერთო ლიტერატურულ მოტივებზე მითითებით. ეს მას ნაჩვენები აქვს მრავალი აგიოგრაფიული გმირის „რაინდულ“ სახისა და ქცევის მხატვრული განხორციელებას მაგალითზე, როგორებიც არიან: გიორგი კაპადოკიელი, დიმიტრი თესალონიკელი, მერკვილე, თეოდორე ტირონი, თეოდორე სტრატელატი, ანდრია ტრიბუნი, პროკოპი დუქსი და სხვანი.

მაგალითად, გიორგი კაპადოკიელისა და თეოდორე სტრატელატის „წამებულებანი“ ახალი ლიტერატურულ გემოვნებას მიესადაგებოდა თუნდაც ასეთი „გარეგნული“ ნიშნები: ლიტერატურული პორტრეტების, ასე ვთქვათ, თავისთავადი მნიშვნელობის დამკვიდრება; ფიზიკური მშენებრივების აღიცილებელი გონივრული ადამიანური სრულყოფილებისათვის; სინანულისა და გოდების ტრაგიზმი (აღრეული აგიოგრაფიისათვის იგი უმთავრესად გამორიცხული იყო); მოწამე გმირებს აშშვენებს ქალთა სიმპათია, თუმცა ჯერჯერობით მათი ღვთისმოსაობის გამო. ამ მოტივების ფასეულობას კ. კეკელიძე კლასიკური რომანის მიხედვით არ უყურებს, აგიოგრაფიის ფონზე კი სრულიად თავისებურად წარმოგვიდგება მათი მნიშვნელობა. კ. კეკელიძე გვიჩვენებს, რომ ამ მოტივების შემოტანა **განივითარების ტენდენციის გამომხატველი** ყოფილა; ეს რომანებიც კი, სადაც განსხვავდებიან ჩვეულებრივი აგიოგრაფიული ნაწარმოებებისაგან, უახლოვდებიან სწორედ ე. წ. სარაინდო რომანებს. კ. კეკელიძეს მოყვანილი აქვს მრავალი მაგალითი მათი შეხვედრების დასადასტურებლად „ამირანდარეჯანიანთან“ და „ვეფხისტყაოსანთან“. მაგრამ საერთო მომენტების აღნიშვნა ჩვენთვის ცხადყოფს ერთსაც: მათ შორის მეტია განსხვავება, ვიდრე, თუნდაც, „წმინდა მხედართა“ და შეუსაუკუნეების ევროპულ „წმინდა რაინდების“ რომანებს შორის.

აკად. ა. ვესელოვსკი სპეციალურად სწე-

ლობდა „ქრისტიანულ რომანს“. მან თვითონ დააფუძნა ეს ტერმინი და მისი შინაარსიც გაარკვია თავის „კლასიკურ შრომაში“ (როგორც მას კ. კეკელიძე აფასებდა) — „Из истории романа и повести“. მაგრამ ა. ვესელოვსკი მათში უფრო ელინისტური რომანის კვალს ეძებდა. კ. კეკელიძეს უმთავრესად ქართულ საერო მწერლობის წარმოშობის თვალსაზრისით აინტერესებდა ეს ნაწარმოებები. ამით მან ერთგვარად განაგრძო კიდევაც ა. ვესელოვსკის დაწყებული საქმე. რაც მთავარია, უფრო სრულად გაიჩვენა ლიტერატურის ისტორიაში ავთოგრაფიული რომანის ადგილი და მნიშვნელობა. იგი წარმოგვიდგარს როგორც განვითარების აუცილებელი რგოლი, ახალი ეტაპი ელინისტური რომანის შემდეგ და საერო მწერლობის საფუძვლების შემქმნელი. ეს დასკვნა, ცხადია, საყურადღებო იყო ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისითაც.

მაგრამ ცალკეული პარალელების დადგენა კ. კეკელიძეს ყოველთვის როდი მიაჩნდა უშუალო ნათესაობის დამადასტურებლად, ლიტერატურული მოტივების მიხედვით იქმნება ეს, თუ, საერთოდ, მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით. ამით მას მხოლოდ იმის ჩვენება სურს, რომ „ამის მსგავსი თხზულებანი (ავთოგრაფიული რომანები. რ. ს.) სასულიერო მწერლობისა ნაიადგას ამზადებდა ჩვენში საერო მხატვრული ლიტერატურის წარმოსაშობად და მასთან მკითხველის შესაგუებლად“ (ეც. II, გვ. 33).

კ. კეკელიძე ბრეტონის ციკლისა და მრავალი შვილის რაინდების რომანის ყიდის ავანტიურული რომანების კვალს ხედავს „სამთა ძმათა მიმოსვლაში“ მაკარი რომაელის ცხოვრებიდან (მისივე მსგავსია „ზოამის მიმოსვლა“), რომელსაც „ჩვენ თითქმის გამოყევართ საეკლესიოსასულიერო თხრობათა რკალიდან და შეეკავართ საერო ფანტასტიურ-ზღაპრული ნაწარმოების სფეროში, სადაც მთელი ფიზიკური ბუნება, — მისი მოვლენებით, ფლორითა და ფაუნით — განპიროვნებული და ადამიანის თანამგრძნობია“ (ეც. II, გვ. 49). თავის მხრივ, ეს რომანები ბევრს საერთოს ამქვეყნებენ „ამირანდარეჯანიანთან“. კ. კეკელიძე ამას ადასტურებს მრავალი საერთო მოტივის ჩვენებით (ბუნების მორჩილება გმირისადმი; რაინდს ახლავს ლომი თუ ირემი საგმირო საქმეთა თევზადასავალისას და ავტორები მას აძლევენ თითქმის დამოუკიდებელი ეპიზოდის გამოწვევას); სამიჯნურო ცთუნება სულიერი გამოცდის ერთ-ერთი სახე; მისტიფიკაცია სამოქმედო გარემოსი — იგი საშუალება ხდება ემოციურობის გასაძლიერებლად, თუმცა ამით ირდევია ავთოგრაფიის სამოქმედო გარემოს კონკრეტულობის პრინციპი. სარაინდო რომანთა ასეთი პასაჟებიც კი გვხვდება ავთოგრაფიულ რომანში: ჩვენებით ხილვა საკმარისი ხდება სიყვარულისათვის. და ა. შ.).

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი მაინც სხვა რამის აღნიშვნაა: ზემომოყვანილი პარალელებით კ. კეკელიძე ქართულ რომანდო რომანი მსოფლიო რომანის უმთავრესი წარმომადგენელია ჩართო. კ. კეკელიძემ „ამირანდარეჯანიანის“ მსგავსება დაგვანახვა მაკარი რომაელის „ცხოვრებასთან“. თავის მხრივ, მაკარი რომაელის ცხოვრება, ა. ვესელოვსკის გამოკვლევით, წარმოადგენს ფსევდოვალისთენის „ალექსანდრიანის“ ერთერთი ეპიზოდის გაქრისტიანებულ რედაქციას, აქედან კი ა. ვესელოვსკის ანალოგიები გაჰყავს სერბულ „ალექსანდრიანთან“ და ძველ ფრანგულ Aspremont-თან. ასე რომ, შეიქმნა კიდევ ერთი შესაძლებლობა ქართულ შეუსაყურებოებრივ რომანის პრობლემების განხილვისა მსოფლიო ლიტერატურის საკმაოდ ფართო არეალში.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ კ. კეკელიძისეული პოზიცია ქართული რენესანსის საკითხში. კ. კეკელიძეს ხშირად ახლდა სკვპსის არა მარტო სხვათა აზრის, არამედ საკუთარი შეხედულებების მიმართაც, თუკი იგი დაიკვევების შესაძლებლობას სტოვებდა. კ. კეკელიძე და შ. ნუცუბიძე სხვადასხვა მხრიდან აწონასწორებდნენ ქართულ აზროვნებას, ვითარცა მაღალაკადემიური სკვპსის და მეცნიერულ აღმოჩენას. მარტო თლია, ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა ქართული რენესანსის საკითხებზე კ. კეკელიძეს არ მოუცია, მაგრამ მინც შესაძლებელი ხდება ერთიან მწყობრ კონცეფციად დავალოთ ის შეხედულებანი, რომლებიც მას ამ პრობლემის ირგვლივ გამოუთქვამს. კ. კეკელიძის დასკვნით, „თვით სასულიერო მწერლობის ბატონობის ხანაშიაც საქართველოში არ იზიარებდნენ ულტრა-რიტუალურ და კონსერვატულ-რიგორისტულ ქრისტიანობას“ (ეც. IV, გვ. 111). ამიტომაც ქართულ მსოფლმხედველობისა და წმინდა ლიტერატურულ აზროვნებაში აღირიყვანე განვითარება ჰუმანიზმის ელემენტები, რომლებიც კლასიკურ ხანაში ერთიან ჰუმანიტურ მსოფლმხედვებაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე კ. კეკელიძე კლასიკური ხანის ქართულ აზროვნებაში არ ხედავს ისეთ დაპირისპირებულობას წარსულისადმი, როგორც ევროპულ რენესანსსა და წინარე ინკვიზიციური ეპოქებს შორის არსებობდა. კ. კეკელიძეს მართებულად არ მიაჩნია ქართულ სინამდვილეს მექანიკურად მოვარგოთ ევროპული აზროვნების განვითარების ასეთი მოდელი: ანტიკური აზროვნების დაცემა რელიგიის ბატონობის ხანაში; მეცნიერული აზროვნების იგნორირების ხანა; შემდეგ, ამ ეპოქის დაძლევა-უარყოფა და

რამაზ სირაძე

კ. კეკელიძე და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები

ანტიკის აღორძინება. კ. კეკელიძე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსთველთან ევროპულ რენესანსზე გაიღებოდა ადრე გვაქვს ჰუმანისტურ-რენესანსული იდეები, მაგრამ ქართული აზროვნება აქამდე მიდის განვითარების თავისებური გზით — წინაურ ეპოქების აზროვნებით მონაპოვარზე დაყრდნობით და მისი „დიალექტიკური განვითარებით“.

ფრიად მნიშვნელოვანია რუსთველის რელიგიური მსოფლმხედველობის კეკელიძისეული განმარტება. როგორც ცნობილია, მეტად თავისებურია რუსთველთან რელიგიური პრინციპების გამოხატვა. ეს ქმნიდა საფუძველს მისი დახასიათების სიძნელისათვის. ერთის მხრივ, თითქმის და, თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო რუსთველის ქრისტიანობა (მისი მსოფლმხედველობის ევროპულ საფუძველებზე აღმოცენება), მეორეს მხრივ კი, ეს არ მკლავნდება ისეთ ფორმებში, ანდა, ისეთი სიცხადით, რასაც ჩვეულებრივ მოვლიან იმ ეპოქის თხზულებებისაგან. ეს კი იწვევდა და იწვევს დიდ გაუგებრობებს. კ. კეკელიძემ რუსთველის რელიგიური მსოფლმხედველობა განსაზღვრა როგორც „ბიბლიური ქრისტიანობა“. ჩვენის ფიქრით, ამ ცნების შემოტანა უადრესად მნიშვნელოვანი იყო არამარტო სავრთოდ რუსთველური მსოფლმხედველობის დასახასიათებლად, არამედ, კერძოდ, რუსთველის მხატვრული აზროვნების შესწავლის თვალსაზრისითაც. კ. კეკელიძემ ასე ჩამოაყალიბა თავის შეხედულება: „რუსთველი წარმოადგენელია ე. წ. „ბიბლიური“ ქრისტიანობისა და თეოლოგიისა (ეს შედარებით ახალი დროის ტერმინია), მისთვის უცხოა დოგმატურ-

ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგ დროის სკოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აქრომატობაზე მისთვის უცხოა მთელი ის ბალანტი რაიმე ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ, საუკუნეთა განმავლობაში და რომელთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში გაბედული ხმა პირველად რეფორმაციის წინამორბედებმა XVI საუკუნეში ამოიღეს. ამიტომაც ის მოწინავე აღაშინა და პროგრესულად მოაზროვნე რელიგიურ სფეროშიაც კი“ (ქართული ლიტ. ისტ. II, 150, გვ.).

ჩვენ ვეღარ შევჩერდებით აქ ვეფხისტყაოსნისა თუ კლასიკური პერიოდის სხვა თხზულებათა საერთოდ მხატვრული აზროვნების თუ ცალკეული სახეების თავისებურებათა ძიებებზე. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ძიებებს, რომელსაც კ. კეკელიძე აწარმოებდა ძველ ქართულ მწერლობაში სხვადასხვა ლიტერატურულ მოვლენათა მნიშვნელობის დასადგენად.

შეიძლება აგრეთვე გავვეანალიზებინა ის დასკვნები, რომლებიც კ. კეკელიძემ მოგვაწოდა ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობის შესახებ ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ, XIX ს.-ის ქართული ლიტერატურისათვის. მაგრამ ზემოაღნიშნულითაც, ვფიქრობთ, ნათელია ძირითადი სათქმელი: კ. კეკელიძემ საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხების კვლევას და ამ მხრივ უადრესად ფართო იყო მისი მეცნიერული ინტერესები.



გეოგრაფიული გარემოს როლი კასოზიკოზის კავიგაღიზამაღელი ხანის ეპოლეუსიაში

გეოგრაფიული გარემოს როლის გაზრება კა-
ცობრიობის განვითარების თანამედროვე სტა-
დიაზე სიძნელეს არ წარმოადგენს. როგორც
ვიციტ, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებ-
ანი მხოლოდ აჩქარებს ან ანელებს საზოგადოე-
ბის ეკონომიური, სოციალური, სულიერი და
სხვ. განვითარების ტემპებს. თანამედროვე სა-
ზოგადოებთა შორის მკვეთრი განსხვავებუ-
ლობის ვადამწვევტი მიზეზი მდგომარეობს არა
გეოგრაფიული გარემოს განსხვავებულობაში,
არამედ საზოგადოებაში არსებული წარმოები-
თი ურთიერთობების სხვაობაში. არავინ დაიწ-
ყებს იმის სერიოზულად მტკიცებას, რომ აშშ-ის
მნიშვნელოვანი პროგრესი ბრაზილიასთან, ან
იაპონიისა ტალიანდთან შედარებით მდგომარე-
ობს ამ საზოგადოებების გარემომცველი ბუნე-
ბრივი პირობების განსხვავებულობაში. ბრაზი-
ლიის, ტალიანდის, აფრიკის კონტინენტის და
სხვ. ბუნებრივი რესურსები სავსებით საქმარო-
სია თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოე-
ბის არსებობისათვის. თუ ამას აქ არა აქვს ად-
ვილი, ეს აიხსნება ჩამორჩენილი წარმოებითი
ურთიერთობებით—გვაროვნული და ბატონყმე-
რი წარმოებითი ურთიერთობების მნიშვნელო-
ვანი გავრცელებისას აღნიშნული ქვეყნების ბუ-
ნებრივი რესურსების ათვისება ვერ ხდებდა.
აშშ-ში, ევროპაში, იაპონიაში და სხვ. კი კავი-
ტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ბა-
ტონობის პირობებში, კვალიფიციური მუშათა
კლასის, წარმოების ორგანიზატორთა კლასის
არსებობისას ხდებდა ამ ქვეყნების ბუნებრივი
რესურსების დიდი ნაწილის ათვისება და მისი
გადამწვევა საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძა-
ლებად.

ამრიგად, გასაგებია გეოგრაფიული გარემოს
როლი თანამედროვე საზოგადოების განვითარ-
ებაში: თუმცა იგი ამ განვითარების აუცილე-

ბელ ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს, მაგ-
რამ მისი განსხვავებულობანი ვერ იწვევს მნიშ-
ვნელოვან განსხვავებულობას საზოგადოებებს
შორის. თუ მაგალითად, ცალკეულ ქვეყანაში
არ არსებობს პირობები სოფლის მეურნეობის
ამა თუ იმ დარგისათვის, მომპოვებელი და გა-
დამამუშავებელი მრეწველობის რაიმე დარგი-
სათვის, თანამედროვე კომუნიკაციების მძლე-
რი საშუალებების, შრომის მსოფლიო დანაწი-
ლების პირობებში ეს მიწისი ანაზღაურებულობა.
ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზი უნდა ვეძე-
ბოთ ჩამორჩენილ წარმოებითი ურთიერთობებში.

მაგრამ როგორი იყო საქმის ვითარება კავი-
ტალიზმამდელ საზოგადოებებში? რა გავლენა
შეეძლო მოეხდინა გეოგრაფიული გარემოს სხვა-
დასხვაობას საზოგადოებების ბელზე იმ პირო-
ბებში, როცა ტექნიკა ძალზე ჩამორჩენილი იყო
(თანამედროვე თვალსაზრისით); მთელ რივ კონ-
ტინენტებს შორის არ არსებობდა კომუნიკა-
ციები, ხოლო თვით კონტინენტებზე გეოგრა-
ფიული გარემოს პირობები იმდენად მკაცრი
იყო, რომ მათი გადალახვა წარმოების იმ დო-
ნის პირობებში არ შეიძლებოდა? ამაზე პასუხი
ცხადზე უცხადვია: ძალიან მნიშვნელო-
ვანი. მართლაც, ყოველთვის აღნიშნავენ,
რომ რაც უფრო შორს მივიდვართ კაცობრიო-
ბის ისტორიის სიღრმეში, მით უფრო ძლიერია
გეოგრაფიული გარემოს გავლენა საზოგადოე-
ბზე, მაგრამ არ ყოფილა სერიოზული ცდა გაე-
ანალიზებინათ, რაში გამოიხატა კონკრეტულად
გეოგრაფიული გარემოს თვალსაჩინო როლი კა-
ცობრიობის განვითარების უწინდელ სტადიებ-
ზე.

აღნიშნული გარემოება მით უფრო შეუწ-
ყნარებელია, რომ კარლ მარქსი უკვე „გერმა-
ნულ იდულოგიაში“ (1845-46 წ.) აღნიშნავდა:
„...ეს ურთიერთობანი (გეოლოგიური, ოროპი-

დროგრაფიული, კლიმატური და სხვა უთიერთ-ობანი გ. ყ.) განაპირობებენ ადამიანთა არა მარტო თავდაპირველ ბუნებრივად აღმოცენებულ ორგანიზაციას, რასობრივ განსხვავებებს მათ შორის, არამედ ყველა მათს შემდგომ განვითარებასა და განუვითარებლობას დღემდე¹.

დავიწყეთ პირველყოფილი კომუნალიზმიდან. კაცობრიობის განვითარების ეს სტადია არსებობდა ხუთ კონტინენტზე — ანტარქტიდაში ისტორიული პროცესის დაწყება გამორიცხებული იყო. მისი აყვავება მოხდა მეურნეობის შემდგომი ფორმების — შემგროვებლობის, ნადირობისა და მეთევზეობის აყვავებისას. ამ დარგებისათვის ავსტრალია, ამერიკა, აფრიკა, აზია, ევროპა, როგორც გეოგრაფიული გარემო, სავსებით გამოსადეგი იყო. აღნიშნული კონტინენტების ფლორის, ფუნის, პილდოვარებისა და სხვ. განსხვავებულობა მხოლოდ რაოდენობრივ სხვაობას იწვევდა აქ დასახლებულ საზოგადოებებში.

უკვე პირველყოფილი კომუნისტური ფორმაციის განვითარების გვიან სტადიებზე აშკარად იჩინა თავი გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობამ საზოგადოების შემდგომი განვითარების ბედზე. ეკონომიკის შემდგომი პროგრესი მდგომარეობდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაზე გადასვლაში, ხოლო შრომის იარაღების პროგრესი, ძირითადად მიწათმოქმედებითი შრომის იარაღების განვითარებაში. მაგრამ ბუნება არ იძლეოდა საწარმოო ძალების ამ პროგრესის საფუძველს ყველა კონტინენტზე. კერძოდ, ავსტრალიაში არ იყო პირობები აღნიშნული პროგრესისათვის. მატერიკზე არ არსებობდა არც ერთი მოსაშინაურებლად ვარჯის ცხოველი, არც ერთი კულტივირებისათვის გამოსადეგი მარცვლეული კულტურა, — მცენარეული საკვებიდან კი მხოლოდ იგი იყო საკმაოდ ეფექტური, ბოსტნეული და ხილი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მიწათმოქმედების ძირითად პროდუქტებად. ამ უხილველ მინუსს დაემატა ის გარემოებაც, რომ სხვა კონტინენტებისაგან ავსტრალია ინდოეთისა და წყნარი ოკეანეებით იყო დაშორებული: ახლოს მცხოვრები მელანეზიელები ავსტრალიელ აბორიგენებზე ოდნავ თუ იყვნენ წინ წასული, მათ შორის კონტაქტი მხოლოდ გვიან საფეხურზე დაიწყო.

რა შედეგით გაეკეთებინათ ასეთ პირობებში ავსტრალიელ აბორიგენებს? მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლა მათ არ შეეძლოთ. ახალი

იარაღების გაკეთება მათ, მართალია, შეეძლოთ, რადგან თონი, ნამგალი, როდინი და სხვ. მათთვის სულაც არ წარმოადგენდა შეუძლებელ ტექნიკურ მიღწევებს. მაგრამ თვითვესტრალიის ბუნებაში არ არსებობდა რაიმე კონტინენტურ ტიპად აღნიშნული შრომითი იარაღების შექმნა ავსტრალიელებისა და ტასმანიელებისათვის უაზრობა იქნებოდა, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენდნენ პრაქტიკული საჭიროების საგნებს. ამრიგად, ამ ხალხებში არ მოხდა პროგრესი არც საზოგადოების ბუნებასთან დამოკიდებულებაში. ავსტრალიელებისა და ტასმანიელების დამოკიდებულება ბუნებასთან ასეთი იყო: წარმოების წესის შესაბამისად მათ ათთვისეს ტყეები და წაანეები, მდინარეები და ალაგალაგ ზღვის ნაპირებიც. სავანეებისა და ნახევარუდაბნოების ათვისება მეცხოველეობისათვის, ნიადაგისა — მიწათმოქმედებისათვის ამ ხალხებმა ვერ შეძლეს.

ამის გამო ავსტრალიელები და ტასმანიელები გაიყინენ განვითარების იმ დონეზე, ლ. მორგანი და ფრ. ენგელსი „ველურობის შუა საფეხურს“ რომ უწოდებდნენ. მიზეზი ამისა, როგორც აღნიშნეთ, უნდა ვეძებოთ ამ ხალხების გარემომცველ ბუნებაში, სახელდობრ — ფლორასა და ფუნაში. ამდენად, ტასმანიელებისა და ავსტრალიელების აბორიგენების ტრაგიკული ბედი განაპირობა, ერთი მხრივ, გეოგრაფიული გარემომ, მეორე მხრივ, კაპიტალიზმმა.

ავსტრალიასთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა ამერიკის კონტინენტის გეოგრაფიული გარემო. ამიტომაც აქ დასახლებულმა ინდიელებმა ავსტრალიელებთან და ტასმანიელებთან შედარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ. ეს უკვე აღნიშნული ჰქონდა ლ. მორგანს. იგივე ახსნა უყოყმანოდ გაიმეორა ფრ. ენგელსმა. იგი წერდა „აქამდე (ბარბაროსობის შუა საფეხურამდე გ. ყ.) ჩვენ შეგვეძლო განვითარების მსვლელობა განგვიხილა, როგორც სავსებით საყოველთაო მსვლელობა, რომელიც ძალაში რჩება გარკვეული პერიოდის ყველა ხალხისათვის, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა. მაგრამ ბარბაროსობის დაწყებასთან ერთად ჩვენ ისეთ საფეხურს მივადგინეთ, სადაც დღემისთვის ორივე დიდი კონტინენტის ბუნებრივი პირობების სხვაობა თავს იჩინს... ეს განსხვავებული ბუნებრივი პირობები იწვევს იმას, რომ ამიერიდან თვითველი ნახევარსფეროს მოსახლეობა თავისი განსაკუთრებული გზით ვითარდება და მიჯნები ცალკეული საფეხურების საზღვრებზე თვითველი მათგანისათვის განსხვავებულია“².

ამერიკის კონტინენტის ფლორა ადამიანებს შესაძლებლობას აძლევდა მოეშენებინათ საკვე-

² ფ. ენგელსი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. 1953. გვ. 29-30.

ბად გამოსადგვი მნიშვნელოვანი კულტურები — სიმინდი და კარტოფილი. ამას შედეგად მოჰყვა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა და სხვა სასოფლო კულტურების — ბოსტნეულისა და ხილულის ამოშენება. უფრო ნაკლებ „გულზე“ გამოდგა ამერიკის ფუნა. ინდიელებს მხოლოდ ლამასა და ალპაკის (ლამას მსგავსი ცხოველი) მოშინაურება შეეძლოთ, ისიც მაღალ და ცივ ადგილებში, ვინაიდან ცხოველთა ეს სახეები მხოლოდ შედარებით მაკრ კლიმატურ პირობებს ეგუებოდნენ (მსგავსად იაკისა აზიაში). ბუნებრივმა პირობებმა ინდიელებს ხელი შეუწყო მნიშვნელოვნად გაესწროთ ავსტრალიის მატერიკზე დასახლებული ხალხებისათვის. ინდიელების ერთ ნაწილში ხდებოდა გვირგვინი საზოგადოების აყვავება და მისი დამლის დაწყება, სოციალური სტრუქტურის გართულება, სახელმწიფოს ჩასახვა, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ კულტურულ მიღწევებს.

თუ ინდიელების გეოგრაფიული გარემო ავსტრალიელთა გეოგრაფიულ გარემოსთან შედარებით უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა საწარმოო წესის განვითარებისათვის, მისი უღარება აფრიკასა, აზიასა და ევროპასთან შედარებით სურათს იძლევა. აქ აღამაინებმა მოწინააღმდეგე მარცვლული კულტურებისა და ცხოველების მთელი რიგი სახეები. ამის გამო ამ კონტინენტებზე დასახლებული ხალხების (განსაკუთრებით აზიელებისა და ევროპელებისა) განვითარება უფრო დაჩქარდა.

ცხოველთა მოშინაურებას შედეგად მოჰყვა სტეპების, ტყე-სტეპებისა და ნახევარუდაბნოების, აგრეთვე ტუნდრის ათვისება. ქვესა და სპილენძის იარაღების არსებობისას ხალხებს არ შეეძლოთ ტყის დიდი მასივების საძოვრებად, და მდებარეობად და ამ ნიადაგზე შემთვისებელი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე ფართოდ გადასვლა. მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვა სტეპებში, სავანებში, ნახევარუდაბნოებში და სხვ. ადვილად მოხერხდა. გაშლილ საძოვრებზე მოხდა ცხოველთა მნიშვნელოვანი გამრავლება, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ტომების გაერთიანება, ექსპლოატაციისა და სახელმწიფოს გაჩენა. გეოგრაფიულად ეს მოხდა ცენტრალურ და წინა აზიაში, ევროპის კონტინენტზე კი — აღმოსავლეთ ნაწილში.

სოფლიოს ესტორიაში თოხური მიწათმოქმედების პირობებში, რკინის მეტალურგიის რამდენიმე თვალსაჩინოდ გავრცელებამდე 2-3 ათასი წლით ადრე ადგილი ჰქონდა პირველი ცივილიზაციების გაჩენას. უპირველესად ეს ეფუძნება მოხდა მეგობრულ, ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთში, ინდის ნაპირებზე. კითხვა ისმის: რა იყო მიზეზი იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ცივილიზაცია გაჩენდა რამდენიმე ათასი წლით ადრე, ვიდრე გე-

როპაში? ამის მიზეზი სულაც არ უნდა ვეძებოთ აღნიშნული ქვეყნების მკვიდრთა შორის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევით მდიდრობით განსხვავებულობაში.

ამ პერიოდის ევროპაშიც უკვე გაჩნდა შრომის ნეოლითური იარაღები, ადგილი ჰქონდა ცხოველების მოშინაურებასა და მთელი რიგი პურეული სახეების კულტივაციას, შრომითი ჩვევებისა და გამოცდილების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, მაგრამ წარმოების ასეთი მთავარი ელემენტების ერთობლიობის მიუხედავად, ევროპისა და აზიის აღნიშნული ქვეყნების ეკონომიურ, სოციალურ და ა. შ. განვითარებაში მივიღეთ ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავებულობა. აღნიშნულის მიზეზს სულაც ვერ ავხსნით რასის, ხალხების ნაციონალური ფსიქოლოგიისა და სხვ. ჩვენებით. მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ ბუნებრივი პირობების განსხვავებულობაში, რომლებშიც უხდებოდათ ცხოვრება ძველ ეგვიპტელებს, შუმერებს, ინდოელებს ერთი მხრივ, და ძველ ევროპელებს მეორე მხრივ. გარკვეული ხელსაყრელი გეოგრაფიული კომპონენტების წყალობით ეგვიპტელებმა, შუმერებმა, ძველმა ინდოელებმა, უდაბნოს ზოლი აყვავებულ მხარედ და ცივილიზაციის საშობლოდ აქციეს. მაშინ როდესაც ამ პერიოდში თითქოსდა უფრო ნაკლები დაბრკოლებების არსებობისას დასავლეთი ევროპა ბარბაროსულ სტადიაზე რჩებოდა. განვითარება ამას დაწვრილებით.

ერცული ტყის მასივების პირობებში, რკინის შრომითი იარაღების არარსებობისას, წარმოების შემდგომი თვისობრივი განვითარება დასავლეთ ევროპაში შეუძლებელი იყო. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფართო გავრცელებას აქ არ ჰქონია ადგილი: არ არსებობდა უტყეო და ალუვიალური მიწები ევროპის მდინარეთა დაბლობებში, არც ვრცელი სტეპები. მაშასადამე, ამ პერიოდის წარმოებისათვის ოპტიმალური პირობების არარსებობის პირობებში, ზედმეტი პროდუქციის წარმოება დასავლეთ ევროპის იმდროინდელ სინამდვილეში არ შეიძლებოდა. ამ მხრივ დასავლეთი ევროპა ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ ევროპასაც კი, სადაც ფართო სტეპები საძოვრების სახით საქონლის უსაზღვროდ გამრავლების, და ამით მოსახლეობის დიდი ზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. ამან სოციალური და პოლიტიკური შედეგებიც გამოიღო.

სავანთა სხვა მდგომარეობა იყო ძველ აზიაში. ცხელი სარტყლის დიდ მდინარეთა დაბ-

გურამ შორანაშვილი
გიომბრაფიული გარემოს როლი
კაცობრივობის კაცობრივობაზე
ხანის ემოლუციონა

ლობებში შრომის ნეოლითური იარაღების, ნიადაგის მაღალი ნაყოფიერების პირობებში, რაც შექმნილი იყო ამ მდინარეთა მონატანებოთა (наносы) და შლამით — საუკეთესო გამანაყოფრებელი მასალით — შესაძლებელი იყო მიწათმოქმედების გადაქცევა წარმოების მთავარ დარგად, ზედმეტი პროდუქციის მიღება. ამან შესაძლებელი გახადა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ძველ აღმოსავლეთში უკვე ნეოლითის ეპოქაში, 5-4 ათასი წლის წინათ.

ეგვიპტის, მესოპოტამიის, ძველი ინდოეთისა და ჩინეთის მაგალითი დამაჯერებლად ადასტურებს კ. შარქსი შემდეგ აზრს: «რაც უფრო ნაკლებია აბსოლუტურად დასამაყოფილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებათა რიცხვი, და რაც უფრო მეტია ნიადაგის ნაყოფიერება და ხელსაყრელი ჰავა, მით უფრო ნაკლებია სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მწარმოებლის სიცოცხლის შენარჩუნებისა და ეკლავწარმოქმნისათვის. მაშასადამე, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს მისი შრომის ნაშტი, რომელიც გაიყვამა სხვებისათვის, იმ შრომასთან შედარებით, რომელიც მას სჭირდება თავისთვის».²

აღნიშნული გარემოების გათვალისწინების შემდეგ შეუძლებელია დავეთანხმოთ ი. ი. სემიონოვს, რომლის თანახმადაც სპილენძისა და ბრინჯაოს ეპოქაში შეიძლებოდა ყოფილიყო კაბალურ-პრაფეოდალური საზოგადოება, ადრინდელ რკინის ხანაში — მონათმფლობელური, ხოლო საშუალო რკინის ხანაში — ფეო-

დალური. ი. ი. სემიონოვის მოსაზრება შეესაბამება გეოგრაფიულ გარემოს, როგორც მწარმოებლური ძალის, იგნორირებაშია, ისე, როგორც ეკონომიკურ ეპოქებში ან მესოპოტამიაში არსებობდა აბსოლუტური მონათმფლობელური ან დასავლეთ ევროპული ფეოდალური ტიპის საზოგადოება, სულაც არ აიხსნება ზემოაღნიშნულ ქვეყნებში რკინის არარსებობის მიზეზით, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ნეოლითური შრომის იარაღებით მიწის მაღალნაყოფიერებისა და ცხელი კლიმატის პირობებში ამ ქვეყნებში შეიძლება შესაძლებლობა ზედმეტი პროდუქციის წარმოებისა, რის რეალიზაციაც მოხდა ახალი, დიზიქური შრომისაგან თავისუფალი ფენების, ტარების, პირამიდების, სასახლეების და სხვა არსებობაში. მაგრამ აქ დასავლეთევროპული ფეოდალური ტიპის საზოგადოების გაჩენა ხელს უშლიდა გეოგრაფიული გარემოს თავისებურებანი, რამაც განაპირობა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის, მომთაბარე ხალხებისაგან თავდაცვის საჭიროებანი. ამ ფუნქციების შესრულებამ კი შედეგად გამოიღო შრომისაგან გათავისუფლებული ზედაფენის ადრე გაჩენა, გლეხების ექსპლოატაცია, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მუდმივი არსებობა.

ამრიგად, როგორც უწინ მოტანილი, ისე ნეოლითის ხანის აზიისა და ევროპის მაგალითები გვიჩვენებენ, რომ წარმოების წესის დაყვანა მარტო ტექნიკისა და ადამიანებზე, წარმოების პირობებისაგან გეოგრაფიული გარემოს გამო-რიცხვა და უთანასწორო განხილვა როგორც ნოლოდ გარეგანი ფაქტორისა, წარმოების მიმართ მცდარია. მართალია, საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში გეოგრაფიული გარემო განხილულია როგორც წარმოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მაგრამ როცა კი ხსნია-

3 ნახეთ Ю. И. Семенов. К вопросу о первой форме классового общества. Ученые записки, т. 9, вып. 1. Красноярский Гос. пед. ин-т, 1957. Проблема социально-экономического строя Древнего Востока. Народы Азии и Африки. 1965, № 4. Категория «Социальный организм и ее значение для исторической науки». Вопросы истории, 1966, № 8.

4 საშუალო მოსავლიანობა მესოპოტამიაში აღწევდა 11.5 ცენტნერს ერთ ჰექტარზე, ზღვაჯერ — 22 ცს. ეგვიპტეში მინიმალური მოსავალი ერთ ჰა-ზე იყო 13 ც. ხოლო ნორმალური — 22 ც. ნახეთ Очерки по истории техники Древнего Востока. Под ред. В. В. Струве М.-Л. შეგვიშნავთ, რომ მარცვლეულის (ხორბალი, ქერი) საშუალო მოსავლიანობა ანტიკურ საბერძნეთში 1 ტ. იყო, ხოლო იტალიაში უფრო ნაკლები. ეს მაშინ, როდესაც აგროტექნიკის დონე ამ ქვეყნებში შეუდარებლად მაღალი იყო.

1. ამ იარაღების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების დონეს გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი: აბილით (თოხი რკინის წვერით), ერთი ჰმაკაცი უახლესი ხანის ალტაელებში 1 ჰექტარ მიწას ამუშავებდა 110 დღეში, ე. ი. დღეში. 90 კვ. მეტრს. იხ. Л. Потапов. Классовые взаимоотношения у алтайцев до октября. Борьба классов. 1934, № 4. გვ. 51. მაგრამ უფრო პრიმიტიული ბოხით აზიის ნაყოფიერ დაბლობებში ბევრად უფრო დიდ ეფექტს აღწევდნენ (მით უმეტეს, მოსავლიანობის მხრივ). აქვე შეგვიშნავთ, რომ სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგის შემდეგაც, ნეოლითური იარაღები კიდევ დიდხანს იყო ხმარებაში ამ დაბლობებში, რბალი ნიადაგის არსებობისას ქვის სამიწათმოქმედლო იარაღები ისეთივე ეფექტური იყო, როგორც ბრინჯაოსი. გარდა ამისა, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღები ამ ქვეყნებში ძალზე ძვირი იყო, რადგან შესაბამისი ლითონის მადანი აქ არ არსებობდა.

2 კ. შარქსი. კაპიტალი. ტ. I. 1954, გვ. 646.

ადება წარმოების წესი, საწარმოო ძალები, გეოგრაფიული გარემო ამ კატეგორიის შინაარსის გარეშე რჩება. ეს მით უფრო დასაინანია, რომ ფრ. ენგელსსა და ვ. ვ. პლუხანოვს პირდაპირ ჰქონდათ გამოთქმული აზრი ამ მიმართულებით.

უნდა თქვას, რომ ისტორიული მეცნიერების ცალკეული წარმომადგენლები, ძველი ისტორიის მაგალითზე, უკვე მივიდნენ აღნიშნულ დასკვნამდე. მაგალითად, აკად. ა. ი. ტრუშენკევი წერდა: «И поскольку природная среда участвует таким образом в производственном процессе в качестве одной из составных его сторон (т. е. как элемент, производительных сил, г. е.), поскольку она может и должна влиять на производственные отношения между людьми, отражаясь вместе с тем и на характере данного общественного базиса»¹. გეოგრაფიულ გარემოს წარმოების აზიური წესის საფუძვლად თვლიდა ეგვიპტესა და შუამდინარეთში აკად. ვ. ვ. სტრუევი².

შეიძლება კიდევ გვემსჯელო გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ ძველი აზიური ტიპის საზოგადოების განვითარებაში. პირველი ცივილიზაციები აქ გაჩნდა დიდ მდინარეთა დაბლობების ვიწრო ზოლში. ასე, მაგალითად, ძველი ეგვიპტის მიერ დაკავებული ტერიტორია 25,6 ათას კმ-ს აღწევდა³; ხოლო ძველი ბაბილონეთისა 28-30 ათასი კმ². ცოტა მეტი იყო ძველი ინდოეთის ფართობი. ერთი რიტყვით, თვითეული ამ ცივილიზაციის მიერ დაკავებული ფართობი დაახლოებით თანამედროვე ბელგიის, ან სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფართობს უდრდა: მათი გავრცელება უფრო მეტ ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო.

ბევრად უფრო პრიმიტიულ პირობებში ცხოვრობდა ტროიკული და სუბტროპიკული ზონების აზიის მოსახლეობა. ინდოეთის დიდი ნაწილის, ჩინეთის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილების, ინდოჩინეთის, ინდონეზიის, იაპონიის, კორეის და სხვ. ტერიტორიების უმეტეს ნაწილებში ექვივალენტური ცივილიზაციები იქმნებოდა დაახლ. ახ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან, როდესაც რკინის მეტალურგიის ფართოდ განვითარებამ შესაძლებელი გახადა ამ

ტყიანი ტერიტორიების ათვისება. ნახევარუდაბნოებსა და სტეპებში ამ პერიოდში და კიდევ ღიბანს ამის შემდეგ მეურნეობის გირიჯად ღარგად რჩებოდა მესაქონლეობა! ამ შემთხვევაზე ხალხების მიერ შედარებით უფრო განვითარებული მიწათმოქმედი ქვეყნების დაპყრობა შეადგენს აზიის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ მომენტს. ეს, რასაკვირველია, გარკვეულად აფერხებდა აზიის ხალხების პროგრესს.

ამრიგად, ნეოლითის ხანაში წარმოებისათვის, თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, ოპტიმალური პირობები არსებობდა ცხელი კლიმატისა და ნაყოფიერი ნიადაგის პირობებში. პრაქტიკულად ასეთი პირობები არსებობდა ძველ ეგვიპტელებს, შუმერებთან, ინდუსებთან და ჩინელებთან. მაგრამ მათ გეოგრაფიულ პირობებს გაჩნდა მანუსი, რამაც გავლენა იქონია ამ ხალხების შემდგომ სოციალურ განვითარებაზე. ამ ხალხების მეურნეობა ძირითადად ნატურალური რჩებოდა: ფუფუნების სავენების წარმოება ქვეყნის წარმოების უმნიშვნელო წილს შეადგენდა. მეთემე გლეხის პროდუქტები არ შედიოდა გაცვლაში, ე. ი. არ იქცეოდა საქონლად. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი რჩებოდა თვით უშუალო მწარმოებელს უშუალო მოხმარებისათვის, ნაწილი კი გადასახადების სახით მიდიოდა საერთო მიზნების დასაკმაყოფილებლად, ზედაფენების შესახად. გეოგრაფიული გარემოს სხვა პირობების არსებობისას წარმოების განვითარების ამ დონეზე ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობა საერთო ფუნქციებით უზარბოა იქნებოდა. ასეთ პირობებში, თუკი ექსპლოატატორი კლასი არ იარსებებდა, უკარბო პროდუქტია დარჩებოდა სიმდიდრის დასაკრებლად, გაცვლის სასაფუძვლად, რაც გამოიწვევდა მონათმფლობელური ურთიერთობის განვითარებას. სახელდობრ, ასე მოხდა საბერძნეთსა და იტალიაში. ზემოაღნიშნულ ქვეყნებში უკარბო პროდუქტების მითვისებამ და მისმა გადასაწილებამ ექსპლოატატორთა ზედაფენისათვის განაპირობა სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის დაუნაწევრებლობა. ისეთ ხელოსნობებსაც კი, როგორცია ფეიქრობა, სატყაო და ფეხსაცმლებისა, მეთუ-

6 ნეს შენიშნა კ. მარქსმა. იგი წერდა: «У всех восточных племен можно проследить с самого начала истории общее соотношение между оседлостью одной части их и продолжающимися кочевничеством другой части». Письмо К. Маркса Фр. Энгельсу от 2 июня 1853 г. К. Маркс. Ф. Энгельс. Избранные письма. М., 1948. გვ. 73.

პურამ შორანაშვილი
გეოგრაფიული გარემოს როლი
კამოგრიოზის კაპიტალიზმადელი
ხანის ეპოქაში

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 39, 33-174.
² А. И. Тюменев. Передний Восток и Античность. Вопросы истории, 1957, № 6, 33-52—53.
³ В. В. Струве. «Понятие Азиатский способ производства». Народы Азии и Африки, 1965. № 1. გვ. 104—109.
⁴ Дж. Брэстед. История Египта, т. I, М., 1915 გვ. 5—6.
⁵ Очерки по истории техники... გვ. 12.

ნება, რომელთა დამოუკიდებელ არსებობას ბუნებრივი საფუძველი არ ეწინააღმდეგებოდა, ამ ქვეყნების სინამდვილეში არ მიუღიათ სასაქონლო ხასიათი.

ერთ-ერთი დაბრკოლება განსაკუთრებით ეგვიპტისა, ბაბილონეთისა და ძველი ინდოეთისათვის იყო ის გარემოება, რომ ეს ქვეყნები არსებობდნენ უდაბნოთა ზონის შედარებით მცირე ნაწილში. მათ ვარს ერტყათ უდაბნოთა ან ნახევარუდაბნოთა ზონები, სადაც მომთაბარებოდნენ მესაქონლე ტომები, თვით ამ ცივილიზებულ ხალხებს კი, დიდი მანძილით დამორბეულობის გამო ძალიან სუსტი კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთს შორის. ცხადია, ეს აფერხებდა მათ შექმნას ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას.

მაგრამ წინსვლისთვის მთავარი დაბრკოლება მდგომარეობდა შემდეგში: პროგრესისათვის ობტინალურ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენდა დიფერენცირებული გეოგრაფიული გარემო. ამის შესახებ კ. მარქსი ასე წერდა: „არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ — მიწის დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების სხვადასხვაფერადება შეადგენს შრომის სპეციფიკურ დანაწილებას ბუნებრივ საფუძველს და აძლევს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელშიც იგი მეურნეობას ეწევა, გამარჯვალფეროებისათვის საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები“¹

ქვეყნები კი, რომელთა შესახებ ჩვენ მსჯელობა გვაქვს, მდებარეობდნენ უდაბნოთა ზონაში, მდინარეთა მიერ შექმნილ დაბლობებზე. მათი ნიადაგებისა და რელიეფის ერთფეროვნება, ლითონის მადნების, ქვის, კირქვის, ტყეების, სამოყვებისა და მდელოების არარსებობა იწვევდა საზოგადოებაში შრომის ეკონომიური დანაწილების, საკუთრების ახალი ფორმების, ახალ მოთხოვნილებათა უმნიშვნელოდ არსებობას. ილუსტრირებას მოვახდენთ ძველი ეგვიპტის მგალობლებზე. ნიადაგი და რელიეფი ქვეყნის მთელ ფართობზე ერთგვაროვანი იყო. თხა,

1 ამ ზონების ნაწილობრივ ათვისებაში დიდი როლი ითამაშა აქლემის მოწინააღმდეგობა.

2 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1. 1954. გვ. 647. სხვა ადგილას კ. მარქსი წერდა: „სხვადასხვა თემი მიერ გარშემო არსებულ ბუნებაში წარმოებულ სხვადასხვა საშუალებას და სხვადასხვა საარსებო საშუალებას პოულობს. ამიტომ მათი წარმოების წესი, ცხოვრების წესი და პროდუქტები სხვადასხვაანაირია. აი ეს ბუნებრივად აღმოცენებული განსხვავება იწვევს სხვადასხვა თემის შეხვედრის დროს მათი პროდუქტების გაცვლას და, მამასადაძემ, ამ პროდუქტების თანდათან საქონლად გადაქცევას“² იგივე. გვ. 447

ლერწამი და ღლიბ — ხელოსნობათა მთავარი მასალა ამ ქვეყანაში იყო ყოველ ნომში (ადმინისტრაციული ერთეული), ყოველ რეგიონშიც, ნაღ, ამ თემებს და თუ გინდ ნომებს, არა ქვეყნით ისეთი პროდუქტი, რომელსაც ერთიმეორეს გაუცვლიდნენ. ამიტომ ათწიეული წლის მანძილზე მათი ეკონომიკა ნატურალური რჩებოდა, თემები არ იშლებოდა, წარმოადგენდა რა თავისებური სახელმწიფოებრივი ფორმის — აზიური დესპოტიის საფუძველს. იგივე ფაქტი გვიხსნის იმასაც, რომ ამ ქვეყნების დაპყრობა მომთაბარეთა მიერ იოლად ხდებოდა. თემების ინტერესებს ეს არ ეხებოდა, თუკი, რასაკვირველია, დაპყრობელი საერთო ფუნქციებს შეასრულებდნენ. ამ პირობების შესრულებასაც კი დაპყრობელთა ბატონობა ხანგრძლივი იყო.

ზემოაღნიშნული გარემოება გვიხსნის რა შრომის ეკონომიური დანაწილების, სასაქონლო წარმოების განუყოფლობას, გვიხსნის აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ძველი ცივილიზაციების ქვეყნებში მიწა არ გამხდარა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. ამიტომ მიწა რჩებოდა მფლობელობის და არა საკუთრების საგნად. სასაქონლო წარმოების განვითარებისათვის არსებობდა არა ხელსაყრელი პირობება აესებს ფრ. ენგელსის ცნობად აზრს იმის შესახებ, რომ „... მიწის საკუთრების არარსებობა მართლა გასაღებს წარმოადგენს მთელი აღმოსავლეთისათვის. ამასთან მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორიის ფაქტი. მაგრამ როგორ მოხდა, რომ აღმოსავლეთის ხალხებმა ვერ მიადრწეს მიწის საკუთრებას. ფეოდალურ საკუთრებასაც კი? მე გეფიქროს, რომ ეს აიხსნება უმთავრესად პაეისა და ნიადაგის ხასიათით, განსაკუთრებით უდაბნოთა იმ დიდი ზოლით, რომელიც საპაროდან დაწყებული, გვიღის არაბების, სპარსეთს, ინდოეთს და სათათრეთს აზიის უმდალესი მიწების მასივებზე. მიწათმოქმედების პირველ პირობის აქ ხელოვნური მორწყვა წარმოადგენს, ხოლო ეს შეადგენს ან სათემო საქმეს, ან პროვინციების, ან ცენტრალური მთავრობის საქმეს“⁴

განვითარების შემდგომ სტადიაზე აზიის ამ ქვეყნებში თანდათან ვრცელდებოდა ყმა-გლეხობა. მაგრამ ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობისას მსხვილი მემამულეები უძლურნი იყვნენ ხელისუფლების მიმართ. გარდა ამისა, ეს ხელისუფლება მაკირო იყო თვით ამ ზედაფენისათვის. ასე რომ, საბოლოოდ გეოგრაფიული გარემო იყო მიზეზი აზიისა და დასავლეთ ეკ-

3 ქვის საბადოები არსებობდნენ ამ ქვეყნის ზემო ნაწილში. მაგრამ ნეოლითური იარაღების პირობებში ქვის მოპოვება ძალზე ძნელი იყო, ამიტომაც ძვირი. იგი მოიხმარებოდა მხოლოდ ზედაფენის მიერ.

4 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. 1949. გვ. 75.

რომის ყმა-გლეხთა საზოგადოების სხვადასხვა პოლიტიკური სტრუქტურის ფორმირებისა. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაბარაკი ნეოლითური ეპოქის ევროპის განვითარებაზე, როგორც აღვნიშნეთ, შრომის ნეოლითური იარაღების პირობებში მკაფიო, შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი მიწების, დიდი ტყის მასივების არსებობისას, მიწათმოქმედება, — ევროპოდ, თხსური დამუშავება-მეურნეობის უმნიშვნელო დარგი იყო, ნადირობისა და მესაქონლეობის სუსტად განვითარების პირობებში ძალზე იშვიათი იყო მოსახლეობაც. ამიტომ მიხდა ამ კონტინენტის დასახლება აზიიდან მოსული ხალხებით. მაგრამ ამას ძირითადად აღვიღო ჰქონდა უკვე გვიან, როცა მესაქონლეობის აუცილებელ პირობად მიწათმოქმედება იქცა (საკვების წარმოება მინაფური საქონლისათვის). ერთი სიტყვით, ამ ხანის ევროპაში გეოგრაფიული ვარდენის არარაობიანობა პირობებში გამოაწვია კონტინენტის დიდი ჩამორჩენა აზიის ცხელი ზონის დიდ მდინარეთა ველების ქვეყნებთან შედარებით, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, შრომის ნაყოფიერება იმდენად მაღალი იყო, რომ საფუძვლად დაედო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, აქედან გამომდინარე შედეგებით.

მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დამდეგიდან. რკინის მეტალურგიის გავრცელებამ ევროპის კონტინენტის გეოგრაფიული გარემო აქცია წარმოების ოპტიმალურ პირობად. რკინის შრომითი იარაღების წყალობით ადამიანებმა საგრძნობი ნაბიჯი გადადგეს გარემომცველი ბუნების ასათვისებლად. ათვისებულ იქნა ტყეების დიდი ნაწილი სახნავ-სათესების, მდელოებისა და საძოვრებისათვის. გამოავლიდა ხალხთა მოსახლეობა. ნიადაგის მრავალფეროვნებამ, სისარგებლო წიაღისეულითა და ტყით სიმდიდრემ, განვითარების თანაბარ დონეზე მდგარი ხალხების მეზობლობამ ხელი შეუწყო ევროპაში გაცვლის განვითარებას, ქალაქურ ცივილიზაციას დასავლეთს, წარმოებაში ინდივიდუალური ინიციატივის როლის დომინირებას. ეს დაჩქარა აგრეთვე ზღვის არსებობამაც. I ზღვამ — ჯერ ხმელთაშუა და შავმა, შემდეგ ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებმა — გააიფხვა საქონლის გადაზიდვა, მოახდინა ხალხების დაახლოება, რაც აზიის პირობებში საქარავნო მემოსვლამ ძალზე გააძეწა.

დასასრულ, აზიის ძველი ხალხებისაგან ვა-

სხვავებით, ახალ პირობებში ევროპულმა ხალხებმა ბევრად უფრო ფართო ტერიტორია დაიკავეს.

მიწათმოქმედებაში გუთნურ სტადიურად სვლამ, რაც დაკავშირებული იყო რკინის კავთან, გუთანთან და გამწევე ძალად ხარების გამოყენებასთან, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში — ფინიკია, კართაგენი, საბერძნეთი, იტალია — დასაბამი მისცა მონობის განვითარებას. ექსპლოატაციის ეს ფორმა კლასიკურად განვითარდა სოფლის მეურნეობის, მსხვილი ხელოსნობისა და ვაჭრობის მაღალი განვითარების პირობებში. აქ ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე: თუმცა რკინის მეტალურგია გავრცელდა ევროპის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ მოხდა უთანაბრო განვითარება ევროპის სამხრეთ და სხვა რაიონებს შორის. გერმანელმა და სლავმა ხალხებმა ისტორიულ განვითარება დაიწყეს ფეოდალურ გზით, მაშინ როდესაც ანტიკური ხალხების განვითარება მონათმფლობელობის გზით წავიდა. ამ ფაქტის მიზეზს სულაც არ წარმოადგენს კლიმატი გეოგრაფიული გარემოს როლი ამ შემთხვევაში აღნიშნულის გარდა, იმაზე მდგომარეობს, რომ ანტიკური ქვეყნები გეოგრაფიულად დაკავშირებული იყვნენ წინა აზიასა და ეგვიპტის ცივილიზაციებთან, საიდანაც შერთვისეს მთელი რიგი მატერიალური და სულიერი მიღწევანი, ამ ხანის ცენტრალური და

2 გამომუშავების დღიური ნორმა ხენაში რომაელებთან და გერმანელებთან შეადგენდა I იუგერს, მორგენს, რაც ჰექტარის ერთ მეოთხედს უდრიდა. შრომის ნაყოფიერება მეურნეობის ამ უმთავრეს დარგში ამ ხალხებში დაახლოებით 29-ჯერ მეტა იყო, ვიდრე ხაკასებთან თიხის პირობებში. თუ ამას მივუმატებთ მოსავლიანობის ვაზრდას ხენის მაღალი თვისების გამო, ეს შეფარდება კიდევ უფრო გაიზარდება პირველი მხარის სისარგებლოდ.

3 ჩვენ არ ვეთანხმებით, ნ. თ. კოლენსიკის, რომლის მიხედვით მონობის განვითარება სამხრეთ ევროპაში, ხოლო ყმაგლეხობისა ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში კლიმატის სხვადასხვაობის გამო მოხდა. ამას ავტორი უკავშირებს აუცილებელი პირობების შედარებით სიმცირეს ევროპის სამხრეთში, „ხოლო მის შედარებით სიდიდეს ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში. იხ. მისი სტატია «О некоторых типичных и специфических чертах раннеклассовых обществ». Вопросы истории, 1966; № 7.

გუარამ შორანაშვილი
ბაიბრავილი ბარამოს როლი
კაცობრიობის კაპიტალიზმამდე
ხანის მშობლმციაში

1 ზღვის დიდ როლზე საზოგადოების განვითარებაში მიუთითა ჰეგელმა თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“. სხვათა შორის, იგვეს მიუთითებდა პლატონი. სახელმწიფო მოღვაწეთაგან აღნიშნული გარემოება კარგად შენიშნა პეტრე პირველმა.

ჩრდილოეთი ევროპა კი იზოლირებული იყო აღნიშნული ცივილიზაციებისაგან.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, წარმოების დიფერენცირებულ ბუნებრივ პირობებში და შესაბამის ისტორიულ გარემოში ანტიკურ ხალხებში მონობა კლასიკურად განვითარდა. ამის უახლოესი მაგალითი იყო ანტიკური საზოგადოების პროგრესი ბუნებასთან დამოკიდებულებაში, ხოლო შემდეგ სტაგნაცია და უქუსულა ბუნების ძალების ათვისებაში.

თითქმის მსგავს გეოგრაფიულ გარემოში, მაგრამ სულ სხვა ისტორიულ სიტუაციაში გერმანელებმა და სლავებმა განვითარება დაიწყეს ფეოდალიზმის ხაზით.

უკიდურეს ჩრდილოეთში მეურნეობის ძირითადი დარგი გახდა ზღვის მცეცხე — სელაპზე, ლომევეპაზე, ზღვის წავზე. თეთრ დათვზე და სხვა ნადირობა. მეურნეობის სხვა, განვითარების ამ საფეხტურზე შესაძლებელი დარგებს ბუნებრივი პირობების გამო აქ არ შეეძლოთ გავრცელება. სულ სხვა რამეს ჰქონდა ადგილი ტროიკულ, განსაკუთრებით აფრიკის ტროიკულ ზონაში. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, „მეტისმეტად გულუხვი ბუნება ადამიანს, როგორც ბავშვს, ხელთ ატარებს. იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად“¹. ტროიკულ მცხოვრებლებს არ ჰქონდათ ისეთი იმპულსი განვითარებისათვის, როგორც სხვა ზონის მცხოვრებთ. აქ შეიძლებოდა ტანსაცმლისა — ყოველ შემთხვევაში მისი საკუთრება უმნიშვნელო იყო — და ფესვადმის გარეშე ცხოვრება, ცხოვრება რამდენადმე მტკიცე ბირის გარეშე. ზედმეტი იყო აგრეთვე საწვავზე ზრუნვა. დასასრულ, ადამიანს შედარებით ნაკლები საკვები და შრომითი იარაღები ჰქონებოდა მატერიალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ყველა ამ პირობის შექმნისათვის ბუნება საკმაოდ „გაისარჩავა“: წლის ყველა დროის მანძილზე იგი თანაბრად უნაწილებდა საარსებო საშუალებებს ადამიანს, მოთხოვნილებათა ნაწილს კი თვითონ უქმყოფილებდა. ცხადია, ასეთი იმპულსების არსებობა ტროიკული ზონის მცხოვრებთ არ უმიჯნავდა განვითარებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰარმონია, წინააღმდეგობის არარსებობა, ტროიკულ ბუნებასა და აქ მცხოვრებ ადამიანებს შორის ვერ იქცა განვითარების წყაროდ.

მეორე მხრივ, ბუნების ისეთი სიმკაცრე, როგორც ჩრდილოეთშია, ისეთი დიდი წინააღმდეგობა, როგორც აქ არსებობს ბუნებასა და საზოგადოების შორის, სულაც არ შეიძლება და ყოფილიყო იმპულსი განვითარებისათვის.

ამ წინააღმდეგობის გადალახვა უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებს საკუთარ ძალებით არ შეეძლოთ. გამოირიცხებოდა სხვა გუნებრივი პირობები, რომლის მეშვეობითაც ამ ხალხებს შეეძლოთ წინააღმდეგობათა გადალახვა, და ამდენად, ისინი არც გაბატონებულან გარემომცველ ბუნებაზე. საზოგადოების განვითარებას უფრო ტროიკულ ზონაში ჰქონდა ადგილი. აქ მოსახლეობის ზრდამ და სხვა ხელშეწყობმა პირობებმა გამოიწვია შემდგომი პროგრესი, თუმცა განვითარების მხრივ ეს მოსახლეობა ძალზე ჩამორჩა ზომიერი ზონის მოსახლეობას.

ახლა შევეცდებით გავარკვიოთ გეოგრაფიული გარემოს როლი ფეოდალური ევროპის განვითარებაში.

წარმოების მიღწეულ დონეზე ნიადაგისა და რელიეფის შედარებით ერთგვაროვნების პირობებში ევროპის დიდი ნაწილის ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ერთტიპიური საზოგადოება. აქ ადგილი ჰქონდა გეოგრაფიული გარემოს როგორც დამაჩქარებელ, ისე შემაწებელ როლს საზოგადოების განვითარებაში. ყველაზე სწრაფად ფეოდალიზმის განვითარება ხდებოდა საფრანგეთში, სადაც გეოგრაფიული გარემოს ერთგვაროვნების პირობებში ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი საზოგადოებაც. გერმანიის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის და სხვა ნაწილების ათვისება ვერ მოხდა ჭაობების არსებობის გამო. შეინიშნებოდა ჩამორჩენა და ერთგვაროვნების არარსებობა ესპანეთის საზოგადოებისა. 2 ტუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში ნიადაგის სიმწირეც განაპირობა თემური წყობილების შენარჩუნება.

მაგრამ ფეოდალიზმის ხანაში ევროპის ერთ ნაწილში გეოგრაფიულმა გარემომ უფრო მეტი როლი ითამაშა, ვიდრე ამას გულისხმობს სიტყვები „შენელება“ ან „დაჩქარება“. ასე, მაგალითად, როგვეგიაში მკაცრი კლიმატის, მთის ლანდშაფტის, უნაყოფო მიწების გამო მიწათმოქმედება უმნიშვნელო მასშტაბით განვითარდა. მეურნეობაში ძირითადი იყო მესაქონლეობა, ხოლო ტყეებისა და ტუნდრის ზონაში მებრძობა და ნადირობა. ზღვის სანაპირო ზონებში კი მთავარ დარგად მეთევზეობა და ზღვის მხეცებზე ნადირობა ითვლებოდა. საარსებო საშუალებათა მოპოვების სიძნელის გამო დასახლებათა ძირითადი ტიპი იყო ხეტორები.³

2 ესპანეთის მიმართ ეს აღნიშნა კ. მარქსმა. ნახეთ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 10. გვ. 432.

3 გეოგრაფიული გარემოს როლი ნორვეგიის საზოგადოების განვითარებაში შესანიშნავად აქვს ახსნილი ა. ი. გურვეიჩს. იხ. История средних веков, т. I. М. 1966. გვ. 422—425, 428.

1 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1, გვ. 647.

ბუნებრივი პირობების ასეთი არახელსაყრლობა ნორვეგიისა და შვეციის დიდ ნაწილში — დანია ამ მხრივ განსვავდებოდა მათგან — ნორმანებს უბიძგებდა გარეშე ექსპანსიასკენ. უფრო მკაცრი პირობები არსებობდა ისლანდიაში, სადაც მეურნეობის შესაძლებელ დარგებს წარმოდაგენდა მეთევზეობა და მეცხვარეობა. უკანასკნელს ადგილი ჰქონდა მხოლოდ სანაპირო ზონაში. ასევე თითქმის გრენლანდის იმ მცირე მონაკვეთის შესახებ, სადაც სკანდინავები ცხოვრობდნენ. შვეიცარიაში მიწათმოქმედების განვითარებისათვის მთავარი დაბრკოლება იყო რელიეფი: მიწათმოქმედება მხოლოდ ალაპების დაბლობებში ვაგრცელდა. ქვეყნის უმეტეს ნაწილში კი მეურნეობის მთავარი დარგი იყო მესაქონლეობა.

აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების ასეთი დაბალი დონე საფუძვლად დაედო გვაროვნული წყობილების არსებობას. ფეოდალიზმი აქ მცირე ტერიტორიებზე განვითარდა, სახელდობრ, იქ, სადაც მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა კავკასიის მაგალითიც: მიუხედავად ბარის მოსახლეობის გადასვლისა მიწათმოქმედებაზე და ამ საქმიანობის ძირითად დარგად ქცევისა, მთაში მეურნეობის უმთავრეს დარგად რჩებოდა მესაქონლეობა შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით. ამ გარემოებაში კი განსაზღვრა გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთების არსებობა.

ზემოთ ჩვენ უკვე შევხებთ ზღვის დიდ როლს ანტიკური ხალხების ისტორიაში. იგივეს ჰქონდა ადგილი შუასაუკუნეების ევროპაშიც. ასე მაგალითად, იტალია (მდებარე ხმელთაშუაზღვის აუზში) ვახდა შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების განმსახიერებელი. ამ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა უთანაბრობის გაჩენას მის სანაპირო და ზღვისაგან მოშორებულ ნაწილებს შორის. იტალიის შემდგომი დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ეპრობის გადანაცვლება ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ინგლისელების, ჰოლანდიელებისა და ფრანგების წამოწყების კაცობრიობის ევოლუციის წინა რიგებში.

შეხედულება ზღვებისა და ატლანტის ოკეანის დიდ როლზე ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის ევროპაში ეკუთვნის ფრ. ენგელსს. იგი წერდა: «Буржуазная цивилизация распространилась вдоль морских берегов и по течению больших рек. Земли же, лежащие далеко от моря, и особенно неплодородные и труднопроходимые горные местности, оставались убежищем вар-

варства и феодализма. Это варварство отсродоточивалось особенно в южногерманских и южнославянских странах, отдаленных от моря»¹.

ლაბარაკობდა რა გერმანიის ეკონომიკის ჩამორჩენილობაზე ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანებში, ფრ. ენგელსი პირველ რიგში აღნიშნავდა ამ ქვეყნის არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, მის დაშორებულობას ატლანტის ოკეანისაგან, რომელიც ამ ხანისათვის გადაიქცა დიდ გზად მსოფლიო ეპრობისათვის².

რა თქმა უნდა, დიდი განსვავებაა ენგელსის ამ მტკიცებასა და ლ. ი. მენჩიკოვის მტკიცებას შორის ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანეზე, როგორც ევრობის საზოგადოების განვითარების მთავარ მიზეზზე. ხმელთაშუა ზღვი და ატლანტის ოკეანე არსებობდა ადრეც, მაგრამ წმინდა მიწათმოქმედური ევროპისათვის ისინი არ წარმოადგენდნენ საწარმოო ძალას. ასეთებად იქცნენ ფეოდალური წარმოების განვითარების განსაზღვრული საფეხურიდან. იგივე ითქმის ხმელთაშუა ზღვის როლზე ანტიკური ქვეყნების ისტორიაში. ასეთი წინამძღვრის არარსებობა ამ გამოიწვია შემდგომი პროგრესის შეფერხება ყვეთელი ან იაპონიის ზღვის, ანდა წყნარი ოკეანის აუზში აზიის დამოუკიდებელი განვითარების ხანაში. ერთი სიტყვით, როცა ვმსჯელობთ ზღვის ან ოკეანის დიდ როლზე საზოგადოების განვითარებაში, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო მათი როლი, არამედ თვით ეკონომიკის როლიც ზღვისა და ოკეანის ასეთ დამაჩქარებელ ფაქტორებად ქცევაში. აქ ადგილი ჰქონდა ურთიერთმოქმედებას ამ მხარეებს შორის, სადაც აქტიური მხარე მაინც წარმოება იყო.

კაპიტალიზმის პირობებში მიღწეული უდიდესი მატერიალური პროგრესის წყალობით, საზოგადოების ბატონობა ბუნებაზე არნახულად გაიზარდა. თუმცა აქაც გამოჩნდა მისი შემანელებელი ან დამაჩქარებელი როლი ცალკეული ქვეყნების განვითარებაში. ასე, მაგალითად, ქვანახშირის საბადოებით ინგლისისა და გერმანიის სიმდიდრემ დააჩქარა ამ ქვეყნების განვითარება საფრანგეთთან და იტალიას-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, 33. 472.

² Сочинения, т. 8, 33. 8—9.

³ იხ. მისი წიგნი «Цивилизация и большие исторические реки»..

ზურაგ შორანაშვილი

ვიკიპედიაში გასწავლილი კაცობრიობის კაპიტალიზმადმი ხანის ევოლუციონიზმი

თან შედარებით და სხვ. მაგრამ ის დიდი როლი, რასაც თამაშობდა განსხვავებულობა გეოგრაფიულ გარემოში განვითარების უწინდელ სტადიებზე უკვე დაიკარგა, თუმცა, რასაკვირველია, ეს გარემო საზოგადოების არსებობისათვის ახლაც ისევე აუცილებელია, როგორც უწინ.

ახლა ძალზე მოკლედ შევაჯამოთ ჩვენი სტატიის შინაარსი: საზოგადოების საწარმოო ძალების დაყვანა მხოლოდ ადამიანებამდე, ტექნიკამდე და შრომის საგნებამდე არ ასახავს მთლიანად საქმის ვითარებას. კ. მარქსის თანახმად, საწარმოო ძალების დონე მაჩვენებელი იყო საზოგადოების დამოკიდებულებისა ბუნებასთან. ამდენად, გარკვეული ბუნებრივი რესურსებიც შედის საწარმოო ძალებში. მართალია, „ბუნება თავისთავად“ იქცეოდა „ბუნებად ადამიანისათვის“ უკანასკნელთა შრომითი აქტივობის წყალობით, მაგრამ ეს გადაქცევა ხდებოდა მხოლოდ ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას ადგილი არა ჰქონდა. ამით ნათელი ხდება გეოგრაფიული გარემოს როლი კაპიტალიზმამდე ფორმაციებში. ავსტრალიელ აბორიგენ-

თა წარმოების წესის ჩამორჩენილობის მიზეზი იყო არახელსაყრელი ფლორა და ფაუნა. გეოგრაფიული გარემოს იგივე ელემენტები გახდა მიზეზი ინდიელების ჩამორჩენილობისა. უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხების წამოყვანა ჩამორჩენა განსაზღვრა მკაცრმა კლიმატმა, ხოლო ზანგებოცა პირიქით — ხელსაყრელმა კლიმატმა. ნოყიერი ნიადაგები და ცხელი კლიმატი საფუძვლად დაედო პირველ ცივილიზაციებს, ხოლო მათი შემდგომი განუვითარებლობა გამოწვეული იყო ნაკლებად დიფერენცირებული შრომის ბუნებრივი პირობებით. ასევე იყო ოკეანეთში. მთიანი მხარეების ხალხების ჩამორჩენილობის მიზეზი გახდა არახელსაყრელი რელიეფი, ხოლო ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას ადგილი ჰქონდა წარმოების დიფერენცირებული ბუნებრივი პირობებისა და ზომიერი კლიმატის არსებობისას. მანქანური წარმოების, კომუნიკაციების მქონე საშუალებებისა და შრომის მსოფლიო დანაწილების პირობებში გეოგრაფიული გარემოს განსხვავებულობის დიდი როლი საზოგადოების შემდგომი განვითარების ბედზე უკვე გაქრა.





ბორის პასკერანიკი

წერილები ქართულ მეზობრებს

ბ. პასკ. პ. ტაბიკაძეს

13. XII. 31.

ძვირფასო ტიციან ტაბიკე და ნინო ალექსანდრეს ასული, ორივეს გულითად სალამს გიძღვნი. სალამს გიძღვნი და წინასწარ გლოცავთ საბინაო ფონტზე გამარჯვებას! ძვირფასო ტიციან, თუმცა თქვენი სიხარული ჩემს გულსაც ახარებს (თქვენ ხომ ასე გენატრებოდით თქვენიანები და ტფილისი), მაგრამ უთქვენოდ მოგვეწყვინა. გიორგი ივ. ჩულკოვი! ე. ე. ლანსერესთან² აპირებს ჩამოსვლას და თქვენი მისამართი მთხოვა; თქვენდა დაუითხავად მიეცე. ალბათ მოგინახულებთ და ჩვენს მოკითხვასაც გადმოგცემთ. ტაგერი, ელ. მის. ვითვლით: ორივემ, განსაკუთრებით კი თქვენ (მე პაოლოს ქებაც კი წამოვიწყე), პეტერბურგელები ისე მოხიბლეთ, ის საღამოც და თქვენც დიდხანს ემახსოვრებითო. თქვენი წასვლის შემდეგ ლენინგრადში ქართული პოეზიის კვირეულის მსგავსი რამ მოეწყვა. თქვენი შემოქმედება გაიგეს და დააფასეს. შევამოწმე ჩემი თქვენდამი სიყვარულით, — სწორად დაგახსიათეს. ასევე ის მოხსენების გამო გამართული კამათისას პაოლომ ყველზე თამამი, ბრწყინვალე სიტყვა წამოთქვა. ეს საერთო აზრია. დამაგვიანდა, მოხსენების ბოლოსდა მივესწარ. პირველი სიტყვა მე შემომთავაზეს. შეგცდი, რომ დავეთანხმე. თქვენ კი არ გგავდით, არამედ იმ ტიციანს, ნიტოჩკა,⁴ რომ ბაძაეს ხოლმე. ვერაფერი გაიგეს, ტაში კი მაინც დამიკრეს, შემინდეს. კვლავ კამათის გასაგრძელებლად მივდივართ. იმედი მაქვს, ახლა მაინც პირს არ შევირცხვენ. გულში ვიკრავთ. მომიკითხეთ ყველა.

ზინან მოკითხვას ვითვლით, ჰკოცნის ნ. ა.-ს და ნიტას.

პ. იაშვილს

30. VII. 32.

ჩემო საყვარელო, ძვირფასო პაოლო!
კვირა კვირას მისდევს, გადის თვეები... და თუ ასე გაგრძელდა, ვერასოდეს შეიტყობთ, რომ აქ, ტბის პირას დაებინავდით თუ არა, მაშინვე შევედებო წერილების წერას. რამდენიმე წერილი დავიწყე, მაგრამ მერე თავი მივანებე, რადგან ძალზე ვრცლად ვწერდი. ხან ურალის ისტორიის ნარკვევი გამომდიოდა, ხანაც თითქოს იმას ეცდილობდი, თქვენთვის (!) ამეხსნა, რა არის საქართველო.

საგულისხმოა, დაებინავდით თუ არა, მაშინვე ხელახლა განვიცადით თქვენთან ერთად გატარებული ზაფხულის მომხიბლაობა. ასე სრულად, ასე ძალუმაღ ამგვარი რამ პირველად შევიგრძენით. პირველივე დილა თითქოს ნაცნობი იყო. გაიღვიძეთ სამოთახიან, აივნიან სააგარაკო სახლში, პარტიის ურალის ოლქკომმა რომ დაგვიმოძო. ტბისკენ გავწიეთ. გაღმა ნაპირზე თვალუწვდენელი ტყე გადაიშალა. აქეთ ფიჭვები და არყები იდგა, მოჩანდა ტბის დაბინდული ზედაპირი, ძველი სასაფლაო, რუხი ღრუბლები, ჩვეულებრივი ჩრდილოური გამა. შედარება არ დაგვიწყია. თითქოს პირი შეუცრავთო, იხე შეეძახეთ: აგერ კოკორო! მერე თანდათან ვავიხსენეთ ტფილისი, ოქროყანა, ქობულეთი, წალკერი, ბაკურიანი და სხვა ადგილები. ხან ტეზიკი და თამარ ალექსანდრეს ასული დაგვიდგებოდა თვალწინ, ხან სხვები. გული სიამით მეგვება იმის გამო, რომ ახლა თქვენ მანდა ხართ, ყრველივე თქვენს ირგვლივა და შეგიძლიათ, ყველა მოინახულოთ.

ეგ არ არის მარტო სამხრეთი და კავკასია;

ანუ მარად უსასრულო და ამფორიქებელი სილამაზე; ეგ არ არის მხოლოდ ტიციანი და შანშიაშვილი, ნადირაძე და მიწისშვილი, გაფრინდამშვილი და ლვონიძე, ადამიანები, რომელნიც ყველგან შესანიშნავი იქნებოდნენ; მათ არაფრითან შედარება არ სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ შეუდარებელი არიან. ეგ უფრო დიდი რამეა, თანაც ისეთი რამ, რაც ახლა იშვიათობად არის ქვეყნულ მთელ ქვეყანაზე. რადგან (რომ არაფერი ვთქვათ მის ზღაპარულ თავისთავადობაზე) უფრო ზოგადი თვალსაზრისითაც კი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც, ჩვენდა განსაცდევრებლად, არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, ახლაც მყარად დგას მიწაზე და აბსტრაქციის სფეროს არ შერთვია. ეს არის ქვეყანა მარადიული ფერებისა და ყოველდღიური სინამდვილისა, რაგინდ დიდი არ უნდა იყოს მისი დღევანდელი გასაჭირი.

სწორედ ამ სახით წარმოგვიდგა ახლა საქართველო და ყველაფერმა, რაც თქვენთან ერთად განვიცადეთ, კვლავ ლეგენდასავით განგვაკვიფრა. ოპ, გული ალბათ ამას მიგრძნობდა, როცა მ. ს. ჯავახიშვილს ვესაუბრებოდი საქართველოზე, როგორც ფორმაზე, მაგრამ სიტყვა არ შემორჩილებოდა და აზრს თავს ვერ ვაბამდი... ახლა კი ყველაფერი ნათელია. ეს ქალაქი (ტფილისი) იმათთან ერთად, ვინც მანდ ენახე, იმასთან ერთად, რისთვისაც მანდელად ვბრუნდებოდი და რაც მანდ მომჭონდა, ჩემთვის იგივე იქნება, რაც იყო შობენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე, — ერთი თავი „მფარველობის სიგელისა“, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ მომდევს, ერთი იმ არც თუ მრავალრიცხოვან თავთავანი, უმოკლეს დროში რომ უნდა დავასრულო „ქიქნება“-მეთქი ვამბობ, რადგანაც მწერალი ვარ და ყველაფერი საქმედ უნდა ვაქციო, უნდა გამოვხატო. „ქიქნება“-მეთქი ვამბობ, რადგან ჩემთვის უკვე ექვა იმაღ, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

ამიტომაც წერილს წერილზე გწერთ და ერთ-ერთორის მიყოლებით ვსვობ. ეს უკვე უბრალო მიმოწერის საგანი აღარ არის. მე მოგონებათა ტყვეობაში ვარ: როგორც ტიციანი იტყოდა, ეს მოგონებანი თვითონ მწერენ, დამოუკიდებელ, მზამზარეულად მიგნებულ განცდად მიქცენ, მსგავსად აუვავებული მცენარისა, რომელსაც შეუძლია ისარბროს იმით, რასაც განვიციდო და რაც უნდა განვიცადო მომავალში. და ვიღერე ეს მოგონებანი არ შეუძელია იმავე რიგის სხვა რომელიმე ცენტრს, ე. ი. ტოლფასოვანს სკრიაბინისა, რილკეს, ვენეციისა და თბილისისა, მათ ასაზრდოებს ჟამთა სვლისაგან თანდათანობით მოქარბებულ წვენი მიწისა. აი მაგალითიც: ამჟამად ვგრძნობ, ურალსაც ამისთვის ვეწვიე, თბილისის გამო. მაგრამ ყველაფრის მოწერა

ძალზე ძნელია, თუნდაც მეცხეთე წერილს წერდე. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, წერილი ვერ დაიტევს. ახლა რასაც ვერ უნდა მოვიკიდო ხელი, საქართველოს გვერდს ვერ ვეშვა. ყველაფერმა (სახელდობრ რომ ძნელია განსაქვევრტია) თქვენი საოცარი სამშობლოს ირგვლივ უნდა მოიყაროს თავი, ისე როგორც მიაიკოპსკის უკავშირდება ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი.

ამის შემდეგ განა საჭიროა დავძინო, თუ რაირგ მიჭირს მთელი ადამიანური ძალით რეალიზება თქვენდამი და ყოველივე თქვენულისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, მისი განაწილება და გამოგზავნა თქვენთან და ტიციანთან, ნადირაძესთან და გაფრინდამშვილთან! ვგრძნობ, რომ ასეთი მიმოწერა ჩემს ახალ მოწოდებად უნდა იქცეს. ეს აზრი არ მცოდნება. და თუ გულისთქმას მივინდობოდი, ამ მიმოწერას ბოლო არც ექნებოდა. გრძნობას აყოლილი მივწერდი არა მარტო თამარ გიორგის ასულს და ნინო ალექსანდრეს ასულს, არა მარტო ნიტოჩკას და მედვას, 7 არამედ ქუჩებს, სადაც ისინი დადიან, ქადრებს, რომელთა ჩრდილი მათ ეფინება... ო, არა: თქვენ ხომ მათ გულისტკივილსაც იწვევთ... მაშინ ამ გულისტკივილისთვისაც უნდა მომეწერა.

დამიკონეთ ყველა და გადაეცით ყველა კუთხეს, ყველა ადგილს: დედამიწის ზურგზე არ მეგულება მათზე ძვირფასი რამ. ერთ იმ ადგილთაგანს გადაეცით, რომ დღე-ღამეზე პროზას უნდა ჩაუქვდეს, ჩრდილოეთზე, სამხედრო-სამოქალაქო ამბებზე უნდა ვწერო. ცოტათი მაინც მჭერა, მიზანს მივალწვე... მხოლოდ იმიტომ, რომ ურალის შესახებ წერისას ფიქრით რქოყანაში ვიქნები. ეს ჩემი ნაწარმოავს თავის კვალს დააჩნევს.

ჩემს მისამართს განზრახ არ ვატყობინებთ. ძალიან მინდა ვიცოდეს, თქვენ და თქვენი უახლოესი მეგობრები როგორა ხართ, რას აკეთებთ. მაგრამ თქვენ არ მომწერთ, და რაც ხანი გავა, ეს უფრო მეტად შეგაწუხებთ. დაე, ნუ გეცოდინება, სად უნდა მომწეროთ. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ. შემოდგომაზე მოსკოვს თუ არ ჩამოხვალთ, მაშინ განვაახლოთ მიმოწერა.

საოცარია, წარსულ ზაფხულთან დაკავშირებულ ჩემს განცდებში ერთი მხარეა, რასაც ყველაზე იოლად ვაიგებდა ერთი კაცი, მაშინ ჩვენთან რომ არ იყო, — რობაქიძე. მე არ შემძლია ვადმოვეცე ვანცილის მხოლოდ არსი, გამართლებელი დეტალების გარეშე, მაგრამ ამ თავისებურებას იქნებ თქვენ და ტიციანიც ჩასწვდეთ.

გულში გიყრავთ. ნახევარი წერილი ზინას დაწერილია. ხშირად აღვიკვ იხსენებს ხოლმე კაკასიას. „კალამის წვერი, კალამის წვერი“ მგე-

უბნები და იგი უცებ გაიბადრება, ბაქურიანის
კოკისპირულ წვიმას იხსენებს.

ნახვამდის.

ბ. პ.

ბ. დ. ქლენტს

6. X. 33.

ძვირფასო ამხ. ქლენტო!

შევუღდე თანამედროვე ქართველი პოეტების თარგმნას. წერილთან ერთად გიგზავნით 4 თარგმნას (სამს ტ. ტაბიდიდან და ერთს პ. იაშვილიდან), იქნებ გამოვადგეთ თქვენი ქურნალისათვის „ლიტერატურა“ ი ი (სკუსტეო) ზ (აუკავზია)“. თუ რაიმე ჰონორარი მერგება, ტიციანს გაუგზავნეთ. ორი წელია მისი ათასი მანეთი მმართვეს. პაოლოსი უფრო მეტი მმართვეს, იმას თანდათან გადაუხდი შემდეგი პუბლიკაციების ჰონორარით. ამხ. ბესო! თუ ჩიქოვანის ლექსები სვანეთზე (მათ შორის ერთი პოემა) თარგმნა არ არის, სთხოვეთ, მომიზნალოს სათარგმნელად. ტიციანი აუხსნის, ბჭყარედი როგორ გააკეთოს (მხვილები დაუსვას). ეს თხოვნა მარტო ჩიქოვანს არ ეხება. მასალა სხვა პოეტებზეც მოამზადონ. პოეტების სია ტიციანთან და ჩიქოვანთან ერთად შეადგინეთ. კრებული 2000 სტრიქონამდე იქნება. წიგნი ვაჟა ფშაველას პოემით დაიწყება. 1000 სტრიქონს მარტო ეს პოემა დაიჭერს. ვაჟა ფშაველას თარგმნა ახლახან დავიწყეთან ვთარგმნი და თან საკუთარ პროზაზე ვმუშაობ. აქ ყველას აინტერესებს ეს კრებული. ტიციანმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა გორკის აღმანახის „XVI წლის“ რედაქციაში. ამ აღმანახში მისი ლექსები დაიბეჭდებოდა. მოთხვარე: „ეს რა პოეტი აღმოგვიჩინეთ“. პაოლოს ლექსი განსაკვირვებელია. ლენინის სიკვდილზე ამაზე უფრო ცოცხალი და ძლიერი რამ ჯერ არ წამიკითხავს. მაგრად ვართმევთ ხელს. კარგად იყავით. მომიკითხეთ მეგობრები. პასუხი მალე გამოგიგზავნეთ.

თქვენი ბ. პასტერნაკი.

ბ. ტაბიძეს

12. X. 33.

ძვირფასო ტიციან!

თქვენი აზრი ჩემს თარგმანებზე პაოლომ და ელუფთერმალი ვადმოძიეს. მაღლობელი ვარ. მგონია მივხვდი, თქვენი ნათქვამი ასე შორი გზით რატომ უნდა მოსულიყო ჩემამდე. მაღლობას გიხდით დელიკატური მოპყრობისათვის.

მართლა მოგეწონათ ჩემი თარგმანები? მე კი მემეკება: ყოველგვარი თარგმანი, უხეიროც და კარგიც, ერთგვარი ძალადობაა დედნის მიმართ. ჩემი თარგმანი პირველთა რიგს უფრო მიეკუთვნება. ალბათ დაგიმახინჯეთ ლექსები; ყოველ მხატვარს მუშაობისას სიტყვის წონას-

წირობის საკუთარი იდეა უყალიბდება. ჩემი იდეა კი ტლანჯია: მასში ბლომად არის ცხოვრებასთან უხეიროდ შერწყმული დილიტერატურა. ბინალურობით იგი არც ისე შორსაა იმისგან, რასაც „ნაღსონოგშინისა“, „სამუსტიკოეშინისა“ ან „ესენინშინისა“ ეძახიან, როცა ამ პოეტების ყველაზე სუსტ მხარეს გულისხმობენ სხვათა ნაკლის ხაზგასმულად. ყოველივეს კარგად ვგრძობ, მაგრამ ეს ნაკლი მხოლოდ პაოლოსა და შენი ლექსების თარგმნას კი არა, მთელ ერთტომეულსა აქვს.

რაც შეეხება ამ ნაშრომში ჩემს მიერ დამუშავებულ უზუსტობას, ალბათ ცოდვა ცოტათი შემისულბუქდება, თუ კრებულს დაეარქმევ: „ქართული პოეტებიდან“. ამით მახვილი სისრულეთი ვადმოძიეს პოეტებისადმი გადაიხვევს მიითებელი წყაროსადენ, რთაც მე ვისარგებლე. მოკრძალებული სათაური ნებას მომცემს პირნათლად წარვსდგე თქვენს წინაშე. ანენსკის აქვს თარგმანი ჰაინეს ლექსისა „Ich grolle nicht“. იქნებ ჰაინე სხვებს უფრო უზუსტოდ უთარგმნიათ, მაგრამ ჩემს სმენას ეს თარგმანი ატკობს და ზუსტადაც მეჩვენება, რადგან მიყვარს. ანენსკის თარგმანი ცოცხალი ორგანიზმით სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია და სწორედ ამით ჰვავს ჰაინესეულ დედანს.

ასეა თუ ისე, აქ თქვენ ძალიან მოგწონეთ და აღმნახ „XVI წლის“ № 3-ში დაიბეჭდებით. პაოლოს ლექსები ჯერ არ ჩამიბარებია. ხვალ დეკარტულზე. ორიოდ ადგილი კარგად ვერ გავიგე, მაგრამ პაოლოს განმარტებას ვეღარ დავილოდები. გუშინ და დღეს ბუერს ვეცადე, მაგრამ ტელეფონით ვერ დავუკავშირდი. ალბათ ქლენტსაც აქვთ რედაქციასაც მის ლექსებს შემოსვენებული ბუნდოვანი ადგილებითვე გავუგზავნი, მერე გავასწორებ ანაწიკოში. თუ ქლენტს ნახათ, გადაეცით, რომ კორექტურა ალბათ დამჭირდება.

ტიციან, ნუ გაგაკვირვებთ ერთგვარი წინააღმდეგობა აღრინდელსა და ამ წერილს შორის. მათში სხვაობა არ არის. მაღლობების მოზღვაება ჩემს გულში რომ გამოიწვიეთ, ჯერაც არ დამშრეტია. ცხოვრების სასწაული ძალას არ კარგავს, წუთითაც არ ქრება და მთელი არსებით მავაგვირებს თქვენთან და ნინო ალექსანდრეს ასულთან. წერილი ვოლხონკაზე გამოგიგზავნეთ. მომწერეთ თქვენი აზრი თარგმანებზე. მე და პაოლომ ღვეთქვით, ამ თვის ბოლოს ერთად ჩამოვსულიყავით, მაგრამ მეშინია, გზაზე არ გავცივდეთ, და ალბათ ვერ ჩამოვალ.

თქვენი ბ. პ.

ზორის პასტერნაკი

წერილები მართლველ მიმობრუნებს

მეორეაზი აზ. ფოლიანსი!

თქვენმა წერილმა ძალზე გამახარა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეშინია, იმედი არ გავცურათო. ასე მალე საქმეს ვერ მოვიყვებ. თუმცა-ღა, თქვენ ბრალი ოდნავადაც არ მიგიძლიეთ, რადგან, ალბათ, არაფერი შეგიტყვიათ.

ჩვენს დროში კაცის სიკვდილის ამბავს რომ გავიგებთ, გვეჩვენება, გარდაცვლილის ცხოვრებაში თითქოს რაღაც შედარებითი ცვლილება მოხდა მხოლოდ. და ამასაც კი მიცვალებულის მიმართ მოწყალებად ვთვლით. სხვა რამ ჩვენს გულს არ ეკარება, თვით მეგობრის გულსაც კი.

საქმე ისაა, რომ თავის დროზე ნიკოლო მიწიშვილს და, მგონი, გ. ვ. ბებუთოვსაც¹² მივწერე ამ სიურპრიზზე, რაც ტფილისიდან დამბრუნების შემდეგ შინ მელოდა. მაგრამ როგორც ჩანს, მათ არაფერს არაფერი უთქვამთ. ბავშვებმა წითელა, ქუნთრუსა და ჩუტყავილა მოიხადეს. ბიჭები სხვადასხვა საავადმყოფოში დააწვიეს. ბინას ღებინებდნენ გაუკეთეს. იანვრის დასაწყისში ცოტა დრო მომეცა და ვოლკევის¹³ მოტანილ რამდენიმე ბეჭარედს ერთად ჩაუტყეკი.

როცა ანდრეი ბელი¹⁴ მოკვდა, მე არ შემძლო უარი შეთქვა და უშუალო მონაწილეობა მივიღე დაკრძალვის ორგანიზაციაში და სხვა საქმიანობის მოვარებაში. ეს ჩემს განწყობილებასაც ეთანხმებოდა. იანვრის დამლევს ორგანიზაციებმა მიიღო დეგემა ქართველ მწერალთა ბრიგადის გამომგზავრების შესახებ. ისევ ეს მოლოდინი, სამწუხაროდ, ამაო მოლოდინი (არ ჩამოვიდნენ)... იმ დღეებში ვანივი ჭრილით, ღია სანგრის მეთოდით მოსიკობის მეტროს საჭირბრუნბისათვის დაიწყეს იმ ორსართულიანი სახლის აფეთქება, სადაც მე ვცხოვრობ. ახალგაზრდა მღუშები სასწაულებს ახდენდნენ, ჩემს ნაცნობ ეზოს თანდათანობით ამგვანბდნენ რაღაც საშუალოს გერმანულ ენესა და ბერძნულ ტარტარს შორის. თავდაპირველად ამ სასწაულებსაგან ისე ვიყავი აღტაცებული, თვალზე ძილი არ მეკარებოდა. მაგრამ მალე საქმე სხვაგვარად შემობრუნდა. მათადარიგო გასასვლელი ჩაეკეტეს, სხვენზე გასასვლელი კიბე ჩამოანგრეს და ჩემი ბინა მეზობლებმა გასასვლელად ვახსადეს. თემცა ისინი უარეს დღეში იყვნენ. მე შემეძლო მომეზიზუებინა, სახლი ჩამოგვეგრევა-მეთქო და ბინა მომეთხოვა, თანაც ცოტა იმედო მქონდა, რომ ოდესმე მივიღებდი. მეზობლებს კი ჩემთვის რომ მოგებაათ, ვერაფერს ვახდებოდნენ. მხოლოდ ფოლკლორს თუ გაამდიდრებდნენ ზეპირმეტყველების უანგარო ნიმუშებით. რაც პრაქტიკულად არაფერი გამოადგებოდათ. ბინის გამო ამ გაწამაწამაში ვიყავი. მდგომარეობა არც ისე გამოუვალი იყო, მაგ-

რამ ვეა ფშველას თარგმანს ერთი სტრიქონიც ვერ წაუშავებ. სწორედ ამ დროს, ჩემი და გასახარად, ჩამოვიდნენ ტაბიძის¹⁵ და მიწიშვილის ოჯახები (ტ. ტ. გრიბოიტი, როსი სავანა და სხვალ თუ წამოდგება). ამას გარდა, ორიოდე დღის წინ ცოლი გამიხდა ავად. მე მგონი (ექიმს ჯერ არ დაუდგენია), ფილტვების ანთება უნდა ჰქონდეს.

ეს ყველაფერი განზრახ მოგწერეთ, რათა შემდეგ შეთქვა, რომ უქმად მსხდართა და სნეულთა გარდა, გონიერების საწინააღმდეგოდ, სტიქიის ჯიბრზე მთელს რესპუბლიკებში ვმუშაობთ მხოლოდ: 1. მეტროს მუშები, 2. მე და 3. გაფრინდაშვილი.

მისი ბეჭარედები საუცხოოა, და, ამას გარდა, თავადაც შესანიშნავი პოეტია. სამწუხაროდ, დრო არა მაქვს თვითონ მას მივწერო. ბ. ი. კორნეევისთვისაც¹⁵ მინდოდა მიმეწერა. მაგრამ ეს დიდ დროს წამართმევდა. ამიტომ სხვა გზა აღარა მაქვს. უნდა ვწერო კომპინირებული წერილები საქმეზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. თანაც იმ იმედით ვწერ, რომ ჩემი წერილები მხოლოდ ადრესატთა კუთვნილება არ იქნება, არამედ მისალმებათა და შემონათავალთა ტალღად წარიმართება იმათენ, ვისაც მოკითხვას ვუთვლი. თუმცა, ყველა საქმიანთა დატვირთული. მიწიშვილს ვერ ვუსაყვედურებ... იმდენი მოვალეობა აქვს, თავბრუ აქვს დასვეული. რასაც ვეკითხები, ვეგზავნი, მაგრამ მოუცელელობის გამო ჩემი ხელნაწერები, ეტყობა, პორნოგრაფიული ღია ბარათებით სადღაც უდევს და არავის აჩვენებს. ამგვარად ვთარგმნი ჩემთვის ორი ლექსი და აბაშიძე, თუ „ნარტყევის“ გამოადგება. შეუძლებელი დაბეჭდონ. მაგრამ არ ვიცი, ამ ამბავმა ბ. ი.-მდე და გ. ვ.-მდე მიადგია თუ არა.

რახან ველარ იომენი, გულით მწაღია, პასუხად მოგწეროთ, ვეა ფშველას ჯერ არ ჩვეჯდომივარ-მეთქი. დიდად ეწუხვარ, მაგრამ ეს სიამოვნება ჩემს თავს უნდა მოვაკლო. საქმე ისაა, რომ ნადირაძის, გრიშაშვილის, გაფრინდაშვილის და მიწიშვილის რამდენიმე ლექსის გარდა (ჩემთვისისა და აბაშიძის ლექსთა ზემოხსენებული თარგმანების ჩაუთვლელად) „გველისმჭამელის“ 200-300 სტრიქონიც ვთარგმნი.

ოლონდ აქედან ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელ 350 სტრიქონი მექნება ნათარგმნი, ზეგ კი 400. ამას ალბათ მაშინ შეეძლებდი, თუ თბილისელ მილიციელთა რაზმს გამომიგზავნიდით და ისინი ტელეფონის ხაზებს გადაჭრიდნენ, ჩემი ოთახის კარს უდარჩებდნენ, ბავშვებისთვის რძეს მომიტანდნენ და სხვ. თქვენ გინდათ, ვეაჟს გამოცემა ყრილობამდე მოასწეროთ, მაგრამ თანამედროვე ანთოლოგიის

გამომცემელნიც ასეთივე საქმეები სურვილი-
ებით აზიან შეპყრობილნი. მირჩევნ, ვაჟა-
ფშაველა დროებით გადავლო იმავე ყრილო-
ბის გამო და თანამედროვეებს მივხედო.
მაგრამ არც იმათ და არც თქვენ არ გსურთ
გაითვალისწინოთ, რომ ყრილობისთვის არა-
ნაკლები გულმოდგინებით ემზადება ცხოვრე-
ბის მრავალი მხარე, ყველაზე მეტად კი —
მიკრობები და ბაქტერიები, რომლებიც იმე-
დოვნებენ, სწორედ ყრილობამდე, და არა ყრი-
ლობის მერე, მომიღონ ბოლო და იმ ქვეყანას
გაისტუმრონ ჩემი ახლობლებიც.

მე ყველაფერს ერთად ვაკეთებ, არსად გავ-
დივარ, წიგნებს არ ვკითხულობ, ორი თვეა,
არ მინახავს შვილი, ჩემგან ოცი წუთის სა-
ნაღზე რომ ცხოვრობს. სხვა რაღა შემიძლია
გვაკეთო. თქვენთვის და გუღიაშვილისთვის?
დიდად გამახარა იმ ამბავმა, რომ მას წიგნი
დასურათებდა უქსრივს. გადავიცით ჩემი გული-
თადი სალამი. მეტს ვეღარაფერს გეტყვი.
მაგრად ვართმევთ ხელს. ბარაქლა გაფრინ-
დაშვილს ისე მომეწონა, რომ ვფიქრობ, ეს
ორთვე ნახევარი ალბათ ჩემსავით თავუღებ-
ლედ მუშაობდა-მეთქი.

გდავიცით ჩემი გულითადი სალამი ჩვენს
საერთო მეგობრებს. გისურვებთ ჯანმრთე-
ლობას.

თქვენი გულწრფელად პატივისმცემელი ბ.
პასტერნაკი

უპირჩილესად გთხოვთ, რასაც გწერთ, ნაწი-
ლობრივ მაინც გადასცეთ იმათ, ვინც მიყვარს,
ვისი მეგობრობაც ჩემთვის ძალზე ძვირფასია.
ძალზე ვწუხვარ, რომ წერილების მიწერას ვერ
ვახერხებ.

ბ. ლა ნ. ა. ტაბიძეებს

8. XII. 34.

ჩემი ძვირფასებო, ნინო ალექსანდრეს ასუ-
ლო და ტიციანი!

მივიღე ის სურათი, სუფრასთან რომ გადა-
ვიღეთ იმ საღამოს, და ზედიზედ რამდენიმე
წერილი მოგწერეთ. ოჰ, რა ახლობლნი ხართ
ორივენი. მომავალში კიდევ რამდენი რამ
გვექმნება საერთო, კიდევ მრავალჯერ რა ძა-
ლმად ვიგარძნობთ, რომ ერთმანეთით ვცოცხ-
ლობთ. ხომ მართალია? მამ რიდას მაქნისია ეს
მიმოწერა?

ნეტა ერთი პროზას მონობისგან გავთავი-
სუფლდებოდე. რატომ შეუღდექი პროზას,
ძნელი სათქმელია.

თქვენი რომ ახლობლებს, შინაურებს, სული-
ერ მეგობრებს გიწოდებთ, ეს არ არის ლიტო-
ნი, უქმი სიტყვები. აი, ჩამოხვალთ და პეი-
თხაზე კლავდია ნიკოლოზის ასულს.¹⁶

გამოუგზავნელ წერილებში ჩემს თავზე
გწერდით, სულის სიღრმეში თითქოს მკვრივი
წებოთი საესე ბოთლის მსგავსი რაღაც მიღვას,
სადაც შედგებულა ყოველივე საუკეთესო,

რაც კი ოდესმე განმიცლია-მეთქი. მოუყვირ და
ჩამოგივალეთ რასთანაც გაკავშირებთ: რა-
ლანთან, ჩემს უფროს დასთან, ახლანდელ
რევოლუციურ გერმანიასთან, რილკეს ბუნებ-
რივ გაგრძელებად რომ მეჩვენებდა და ა. შ.
ჰოდა, უცებ გამახსენდა: ნინო, თქვენთვის გა-
ნა უტახთა გულის ასეთი წყობა? თქვენს
გვერდით ხომ ასეთივე ცოცხალი ბოთლია —
ტიციანი; ტიციანი კი, რაც არ უნდა იყოს,
უძლიერესია ლირიკოსთა შორის. მე ეს აღრეც
ვიცოდი. მაგრამ იგი ძალზე ახლობელია და
როგორც საკუთარ თავზე, ისე ტიციანზეც ვერ
ვებღადვი, თუნდაც გულში გაიმეტარებინა ეს
აზრი. ხანდახან ტიციანსაც ისევე გავიმეტებდი
ხოლმე, როგორც საკუთარ თავს. შეგიძლიათ
მიმოხედეთ? ნეტავი გენახათ, რა ხდებოდა დარ-
ბაში, როცა მის ლექსებზე გადაველიო თქვენს
პატარა ძაღლებზე,¹⁷ ნინო! ტიციანი მოსკოვური
გამოცემის სული და გული იქნება, იგი გაღაარ-
ჩენს წიგნს.

მაგრამ კმარა, კმარა, თორემ ამ წერილსაც
ველარ გამოგიგზავნი.

„ველისმქამელი“ წიგნად გამოსული რომ
გნახე, გული შემეკუმშა. ახლოს ისეთი არაფერ
იყო, რომ მეთქვა, ამ წიგნის გამოცემას ვის
უნდა ეუმადლოდე. ეს [ფეშია] ალექსანდრეს
ასულისთვის!¹⁸ უნდა მეთქვა.

დაგბრუნდი მოსკოვში და პირველ თვეს
ტფილისის ყოველი კუთხე, მანდ გატარებულ
ყოველი წამი მახსოვდა. ჩემს მაგივრად ისინი
მუშაობდნენ. ე. ა. კი მათი ფრთაშესხმული
სახე იყო.

ნუ ეტყვი, რასაც გწერთ. ეს მან ისედაც
კარგად იცის, მაგრამ ისევე, როგორც ყოველ-
თვის, ყველაფერი იცის ზინამ, თუმცა არაფერი
არ გაუგება.

სულ სხვა სამყაროს, სულ სხვა სტილისა
და ცხოვრების ყიდის ვაგება, ეს არ არის რა-
მელიმე კუთხე ანდა ამ კუთხეში გატარებულ
წამები, არ არის თვით ტფილისიც კი, იქნებ
არც მთელი ქვეყნიერებაა. ეს შემთხვევაა
მომადლებული უფლებაა ისტორიის საქმეთა
თანაზიარებისა, ეს მისი მომავლის გაზიარე-
ბაა; გრცელი, ზღვარდაუღები რომანია რამდე-
ნიმე ბედნიერისა, ერთი ცის ქვეშ ერთსა და
იმავე ეპოს რომ დამკვიდრებულან. ეს ის წე-
ბია, რომლის შესანებაც ზემოთ მოგახსენეთ;
ეს თქვენა ხართ, ეს მე ვარ, ეს ჩვენი გადაჰ-
დობილი ხელებია.

გიგზავნი ჩემს სურათს, ამ ზაფხულს ერთმა
ოლოვესკელმა მასწავლებელმა გადაამიღო. მისი
არ მერღებოდა და ამიტომაც კარგად გამო-
ვიღი.

გულში გიკრავთ, ტიციანი.

თქვენი ბ.

პორის პასტერნაკი

წარიღევი პარტივილ მეგობრებს

მვირფასო ტიცინა!

ამ დილას 8 საათზე გამეღვიძა. ზინამ მითხრა, შენს ადგილას რომ ვიყო, ტიცინას მაინც გავაცილებდით. თავადაც ვაპირებდი. ცხრა საათზე პირდაუხანელმა და ჩაუცმელმა ქანგოს დაუვრკე, რომ გამეგო, ზუსტად როდის და რომელი ვოვზლიდან გადიოდა სოქის მატარებელი. მიპასუხა, 10.30-ზე გადისო. მე კი პირი უნდა დამებანა და დილის ყველა პირობითობა შემსრულებინა. იოლად შეღურივდი იმ აზრს, რომ ვერა გავაცილებდი: 1) თქვენ ეს არ გსურდათ; 2) ჩემს ცნობებებზემ ვერ ისევ აქ იყავით, ჯერ არ გამგზავრებულყავით და, ამიტომ ფაქტთან შერიგება გამიადვილდა.

მერე კი ყველაფერი ძალზე სულელურად აეწყო. მთელი წელია, ასე ნაღვლიანად, ასე უქმად დღე არ გამიტარებია. საქმეს მიუტყევი, მაგრამ ხელი მომეცრა, თავი ვერაფერს მოვაბი. რალაც უმიზეზო ნაღველმა ძილი მომგვარა, მგონი, მაგიდასთან წამთელიმა კიდეც. წამოვწექი, ერთ საათს ვიტრიალე, მაგრამ ვერ დავიძინე. მერე ქალაქში გავიდი საქმეზე. ნიკოლსკიაზე პაოლო შემხვდა. მითხრა მატარებელი 11.30-ზე გავიდაო. მაშ შემეძლო, კიდეც მენახე და ორიოდ წუთი დილის სუფთა ჰაერზე თქვენთან ერთად გამეტარებინა! ამ ამბავმა გუნება ოდნავადაც ვერ გამოიკეთა. „გოხლ“-იდან ევგ. ვლ.¹⁹ შეეუარე. ჩემზე ნაწყენია და უსიამოვნო ლაპარაკი გვქონდა. ტვერის ბულვარზე გავიდი. საათს შევხედე: ორი საათი სრულდებოდა. ჯერ მხოლოდ ჩრდილოური, რუხი შუადღე იღვა. სევდის მომგვრელი გარემოება კი იმდენი შემხვდა, თითქოს უნდა შედამებულიყო კიდეც. მაგრამ დღე არა და არ ილეოდა.

შინ დავისვენე და ისევ შევეცადე, წერას შევდგომოდი. მაგრამ ვერაფერს გახვდი. თითქოს წერა საერთოდ ვადამევიწყდა. ასე არასოდეს გამოვფიტულვარ. მაშინდა მივხვდი, რომ თქვენ აქ აღარ იყავით, დღეს ვეღარ დაგირეკავდით, ვეღარ ვნახავდით.

ტიციან, თქვენ გეგონათ, ხელს მიშლიდით. გეგონათ, თითქოს თქვენს აქ ყოფნაში მუშაობას მოვუტყლი. რომ იცოდეთ, ვიღაც მოსკოვში იყავით, როგორ ვმუშაობდი!!! და უტეც თითქოს ყველაფერმა აზრი დაკარგა, რუხი, დამამაბუნებელი სიციარეფე დამეფულა.

როგორღა უნდა ვიმუშაო, ხვალაც ისეთი რამ თუ დამეშართა? ტიცინა, ერთი სათხოვარი მაქვს: იქნებ ამირიში ცოტა დრო გამოვნახო. იმ დროისთვის გამზაღდეთ და გამომიგზავნეთ რამდენიმე ყველაზე უფრო ლირიკული ბჭკარედი, იმგვარი, რაც ვთარგმნი, ბუნებაზე, მეტაფორებიანი. გავიხსენათ წარსული და კვლავ დავებქლოთ „ნიუესტაში“ და „კრასნაია ნოვში“. შემსრულებუ თხოვნა, დაებარუნეთ გარდასული დღეები. მინდა, ცოტა ხანს ძველებურად ჩაუტყდ

პაოლოს და თქვენს ლექსებს. ნუ გეწყენებთ რომ ამას ვთხოვთ, თუმცა ზოგიერთი თქვენი ბჭკარედი ჯერ არ გამოიყენებია. ვთხოვთ ყოველგვარი ლოგის გარეშე: იქნებ სწორედ იმ ბჭკარედებიდან ვთარგმნო რაიმე სწორი სიყუარო ბოზიციით გამოწვეული საყვედურების ზეგავლენით ცოტა არ იყოს შეეფიქრანდი, როცა თქვენს ბჭკარედებს თვალი გადავაყლუ. შემაკრთო ლექსთა უმეტესობის შეუფარველმა სიღრმემ და სირთულემ. ტიცინა, გამიზაღდეთ ბჭკარედი. ანდა ნუ გამიშაღდებთ. როგორც გენებოთ.

უთქვენოდ ყოფნა ძალზე გამიჭირდებოდა. ალბათ დიდი ხანი ვაივლის, ვიდრე უთქვენობას კვლავ მივეჩვევი.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო. დამიხოცნე ნინო და ნიტა. ვიცი, რომ ხანდახან გამიხსენებთ: თავს ძალას ნუ დაატანთ და ნუ მომწერთ. ვიცი, მწერალს როგორ უჭირს წერილების წერა. გულში გიკრავთ.

თქვენი ბ.

ბ. ლა ნ. ა. ტაბიძის 8. IV. 36


ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ტიცინა და ნინო! კვირაზე მეტ ხანს ჯიბით ვატარებდი თქვენთვის გამოსაზღან უნახეს დეპეშას. მაგრამ ტელეგრაფში ვერ მიმქონდა, მრცხვეოდა. ტელეგრაფის მორიგეს სად სცალა ჩემი გრძნობებისთვის. მინდოდა, უფრო მშრალი და საქმიანი დეპეშით შემეცალა. ბოლოს, რაახან დიდად რო იყო გასული ქუარი ვთქვი ამაზეც.

ტიციან, რა ვაფერხებთ, რატომ არ ჩამოდიხართ? იმ დეპეშაში სიყვარულს და ერთგულებას კი არ გეფიცებოდით. ეს თქვენ ისეც იცით და კარგა ხანია მოგებურდით. მინდოდა შემომეცალა, რომ საკუთარი თავის რწმენა გქონოდათ, გული არ გატეხოდათ, გამაგვრებულყავით, დროებით გაუგებრობას დიდად არ შეეწუხებინეთ. როგორ გამახარა ტელეფონის ზარმა! ნინოც კი მოვიდა აპარატთან, გმადლობთ! საუბარი ვაგვიძინელა. თქვენი ხმა მშვენიერად მესმოდა, მაგრამ მე ვერაფერს ვაგებინებდით.

ამასწინანდელ დავიდარაბაში ბევრი რამ იყო მოჩვენებითი, გაურკვეველი. მე მაშინვე ვიგრძენი ეს...²⁰

ამდენ ნაბეჭდსა და ნალაპარაკეში თუ არის რაიმე სიმართლე, მხოლოდ ის თუ იქნება, რაც ემთხვევა ეპოქის უფართოესი ხედის ისტორიულ უსასრულობას. როგორ შეიძლება უსასრულობა იყოს ნაწილი, და ისიც ისეთი უღრმური მთელისა, როგორც ის კრიტიკული ფაფა იყო, ასე გულისამაჩუყებლად რომ თქვლევდნენ მთელი თვე? აი პასუხიც: ამ სიმართლეს უბადრუკი ხსნარის სახით ვთავაზობდნენ.

ნუ ენდობით ხსნარებს, ტიცინა! ენდეთ მხოლოდ ამ ხასს: მიზყვეით რეგოლეციურ პატრი-



ოტიზმს, ენდეთ საკუთარ თავს, ტიციან ტაბი-
ძეს. დედაშვიის ზურგზე არაფერია ისეთი, რა-
საც თქვენი ყადის ქიმიკა ვერ გახსნიდა. თანაც
ვახსნის უფრო მაღალ გრადუსზე, ვიდრე „ლი-
ტერატურკებსა“ და „ეკონომკებსა“ მიღებული.
კიდევ რომ არ გინდოდეთ, ჩვენს პოეზიაში უფ-
რო მძაფრად იგრძნობა არსი რევოლუციისა,
ვიდრე იმ ხსნარში, სადისკუსიო ონკანიდან რომ
მოყოფავდა. ნუ გვეჩვენებთ იმედს საზოგადოების
ქველმოქმედებისა, ჩემო მეგობარო, მხოლოდ
საკუთარ თავს დაენდეთ! შეუპოვრად, უღმობე-
ლად ჩაუშვით ბურლი საკუთარ სულში, მხოლოდ
საკუთარ სულში, და თუ იქ ვერ იპოვით ხალხს,
მიწას და ცას, მაშინ ნელარაოდ ეცებთ, ველარ
იპოვით. ეს ცხადია, თუნდაც თვალში არ გვეა-
ვდნენ ისინი, ვინც სხვა გზას მიჰყვება. განა
ცოტაა ასეთი? მათი შრომის ნაყოფს ხომ აშკა-
რად ვხედავთ.

გული დაიშვიდეთ. განა მართო მე მჯერა
თქვენი, განა მართო მე ვიცი თქვენი ფასი! ნუ
ენდობით ხსნარებს. ენდეთ რევოლუციის არსს,
ბედისწერას, საკუთარ გულსხმას, ცხოვრების
სანახაობას, და არა მწერალთა კავშირის კონ-
სტრუქციას; თვალის დახამხამებასაც ვერ მოას-
წერებთ, უცხად ისე შეცვლიან. ენდეთ სთუკუნეს
და არა ფორმალისტის ვიკირეულს.

მთელი თვეა, თავს მშვენივრად ვგრძნობ, მხო-
ლოდ სამ დღეს შემაწუხა ცოტათი გრიპმა. ძა-
ლიან გამახარა პაოლოს ნახვამ. ნამდვილი ჰირო-
ვეული ბავშვია, დაუდგრომელი. ქადაგებს რა-
ღაცას თავაწყვეტილად, გინდა, რომ შეეკამათო
და უცებ გაჭრილი ვაშლივით დამეგვანება მე-
დეას (საოცარი მსგავსება!), მეც გული ამიჩუ-
ყდება და ველარაფერს ეუბნები.

მალე ჩამოვლით. იშვიათად ვყოფილვარ ასე
მშვიდად, თანაც იოტის ოდენადაც არ შეეცე-
ლილვარ. მხოლოდ იმ უხეირო ლექსს, მინსკა-
მდე რომ დაწვერე და ამ დღეებში „ზნამიში“
უნდა გამოქვეყნდეს, ლეონიძისადმი მიძღვნა
მოვუშალე. მეშინოდა, უსიამოვნება არ შემთ-
ხვებოდა, ლექსის თავისებური შინაარსის გამო.

ეს კია, დასრულდა რაღაც პერიოდი საერთო
ლიტერატურულ ცხოვრებაშიც და პირადად ჩე-
მთვისაც. ჩემთვის იგი უფრო ადრე დასრულდა.
პროზას თავი ვერ გავართვი, სულის სიმშვიდე
დავკარგე, ვთარგმნიდი. ვიცი თუ არა, როგორ
უნდა მოვიტყუე ვიცი. მაგრამ არაის არ ვერტყ-
ვი. იქნებ მხოლოდ თქვენ ვითხრობთ. ისიც დი-
დად ხაიღუმლოდ. მაგრამ ეს სულ სხვა რამ იქ-
ნება, ვიდრე ის აბაღუბდა „ზნამიში“. იქ მხო-
ლოდ მოჩვენებითი აფეთქება იყო, სიტყვის კო-
რიანტელი, შემფოთების გამოვლენა.

მაგრამ მუშაობას შემოდგომიდან შევეუდგე-
ბი, თუ ჟანმა არ მიმტყუნა.

მოკითხვა ყველას. დამიოცნე ნიტა და ნინო.
სიყვარულით გიყრავთ გულში. მაპატიეთ, ასეთი
სულელური ტონით რომ გწერთ. მიზეზი: სა-

შინლად მტკიცეა კბილი. გული კი მხიარულია
და სურს, სისულელეები ჩამადენინოს, ჩამოვლი!

ბ. და ნ. ა. ტაბიძეებს I. X. 36.

ძვირფასო ტიციან და ნინო, როგორ გვანებივ-
რებთ! გწერთ პერდელეციონიდან (ალბათ აქ გა-
მოიზამთრებთ). — სოფიო ანდრიას ასული! ჰ
ჭერ არ მინახავს.

კვლავ რა სიუხვით აგვავსეთ! ხეხილის მთელი
ბაღი და ორი ასაკის ღვინო: ყრმობის ასაკისა
და დაჯეკაცებული! არ ვიცი, როგორ გადავი-
ხადოთ მაღლობა!

ალბათ ვერც კი მოასწრებდით კალათის ჩალა-
გებას და საყვარელი, უზადლო ს. ა-სთვის ვო-
გზალში გატანას, რომ კარს მოგადგებოდით ვი-
ტია გოლცევი და გეტყოდით: დატკბით, ნახეთ,
თქვენი ბორია რა უნიჭო ტიტინს მოჰყვია.


არა, სერიოზულად გეკითხებით, ამისი მსგავ-
სი რამ გინახავთ? ზინდა, აგრეთვე ეგვ. ვლად-
მხოლოდ თავი ვაღიქვინებს, არ დაიფერებს, რომ
დასაბუქდად წავიდებდი.

ნინო, ნინო! ტიციან, ჩემო ძვირფასო, რა მე-
მართება, ჩემო კარგებო? რამ დამაწერინა ეს
წყალწყალა, მოსაწყენი, უსულგულო, სულელუ-
რი სტრუქტურები? ნუთუ მხოლოდ მე ვარ დამწა-
შავე? თავი მხოლოდ იმით შემოიღია გავიძო-
რთო, რომ ლექსების წერას აღარ ვაპირებდი მა-
ნამდე, სანამ ჩემს გამათავისუფლებელ, სულის
მთხებელ პროზას არ დაეძღვედი. ახლა ლექ-
სებიდან შორსა ვარ, ძალზე შორს. მაგრამ რას
იზამ! ეს ავეუსენი ვიქტორს. ჰკუთავონება არ
აქლია, თანაც მეგობარია. თუმცა რა, კედელს
ცერციე შეაყარე!

დამშვიდებას ნუ დამიწყებთ, ისევ მე დავამ-
შვიდებთ. ტიციან და ნინო, ნუ გეგონებთ, რომ
ხელი საბოლოოდ მომიცერა და ვერაფრის გა-
კეთებას ველარ შეეძლებ. ნახეთ, პროზას და-
ეპარულზე. ორი დღეა, რაც ხელახლა ჩავეუჭეძე.
ერთი რამ ვიცი, პროზა ცოცხალი იქნება. სწო-
რედ აქ აისახება ცხოვრების ის ნაკვალევი, რაც
თითქოს „მეორედ დაბადების“ შემდეგ დავკა-
რებ.

კი, მაგრამ რამ გამომაგზავნინა ის სამშუხლე-
დი, ჩიტის ერთი რაღაც უზნო ტი-ტი-ტი საქა-
რთველოვანი? რა საძაგლობაა, განა პაოლოზე ასე
ცოტა რამ უნდა მეუთქო? თქვენ ისევ ძველებუ-
რად მეგობრობთ? ოპ, როგორ მინდა, რომ ეს
ასე იყოს! ამ გართმული სისულელის გამოგზა-
ვნის შემდეგ მთელ საღამოებს პაოლოზე ფიქრ-
ში ვატარებდი. მახსენდებოდა, რა დიდსულოვ-
ნებას იჩენდა ჩემს მიმართ, როცა უმძიმესი წუ-
თები დამიდებოდა. როგორი უზადო გამჭრი-

ბორის პასტერნაკი
წერილები ძარბივალ მებობრებს



ზობის უნარი აქვს ამ დიდებულებოვან, ფართო პორიონტის მქონე დიდებულ კაცს. განა შემიწოდოს ასეთ მსუბუქ სტრიქონებს (უღდი არაფერი დამიწერია, მაგრამ განა ამ კაცზე ასე უნდა წერო?), განა შემინდობს წლევანდელ მითქმა-მოთქმაში გარეგანს? ოჰ, რა წვრილიანი პოზიციიდან დავიწყებ მისი განსჯას! „პოზიციას“ არ მაქვს სანანებლად. საყოველთაოდ მიღებული პოზიციაც არ არის მსხვილმანი. მაგრამ როგორ გაბედე მისი განსჯა ასეთი არაფრისმითქმელი წერილმანით. მე არ გამოვეცილივარ. ვიცი, რომ რევოლუტია არც „ლიტერატურკაა“, არც ლიტორგანიაზაცია, არც მხლდასა შევინობი, იგი უზოგადესი მონახაზია და ჯერჯერობით მხოლოდ ცენტრალურ პიროვნებებში, უმთავრეს მოვლენებში ვლინდება. სიძნელეებიც აქედან მომდინარეობს: რევოლუტია ცხოვრებად მაშინ იქცევა, როცა წვრილმანებშიც გამოვლინდება. და ეს რა თქმა უნდა, ასეც იქნება.

ვამბობ, არ გამოვეცილივარ-მეთქი, მაგრამ უცებ თვალწინ დამიდგა პაოლო და ვედარ გამიგია, ამ ზამთარს რა დამემართა, ვინ მომცა ნება, რომ ასე უსაფუძვლოდ მივაწერე, შეიცვალა-მეთქი. მაშინ იმ წყეულმა დისკუსიამ დამაბრმავა. კულტურულ-საგამანათლებლო ზანგმა უცებ დამიფიქსა, რომ იგი მიყვარს.

თქვენ რას იტყვი, ტიციან? წარმოვიდგენია, რა განიცადეთ, როცა წაიკითხეთ ჩანჩქერის შესახებ და ასე შემდეგ! თანაც მაშინ, როცა თქვენი წიგნი გამოსვლით ლიტერატურაში სუფთა პაერი შემოიჭრა, გავახსენა პოეზია, ვაფახსენა, რომ ოდესღაც იყო ასეთი ხალხი — პოეტები. პოდა, დაუჭერებელი კია, მაგრამ ერთი პოეტი მაინც შემოგვჩენია, ერთი პოეტი მთელ კავშირში. გეფიცებით, ამ სიხარულს სწორედ ამგვარად გამოთქვამენ.

9. X. 36.

რამდენი ხანია, ეს წერილი ასე მიღვეს. არ ვიცი, რატომ ვერ გამომიგზავნია. ქალაქში ვიყავი, ს. ა.-ს დაუბრუნე, მაგრამ შინ არ დამხვდა. ვთხოვე, მადლობა გადაეცათ. ამ წერილში მრავალი აბლაბუდაა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. მას შემდეგ სხვა მრავალი მღელვარება განვიცადე და ერთმა დარღმა შეორე დამიფიქსა. გკოცნით ორივეს, დამიკოცნეთ ნიტა.

თქვენი ბ.

თ. ზ. იაშვილი²² 28. VIII. 37.

ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო თამარ გიორგის ასულო, ეს რა მომხდარა! მთელი თვე ისე გავიდა, არაფერი გამიგია. მხოლოდ ათი დღეა, რაც შევიტყვე. მას შერე წერილის გამოგზავნის ვაპირებ. ვწერ და ისეც ვხევ. ჩემმა არსებობამ აზრი დაკარგა, სანუგეშებელი თაად შევიქენ. არ ვიცი, რა მოგწეროთ, წყალწყალა იღე-

ლიზმად და მაღალფარდოვან ფარისევლოვად რომ არ მოგეჩვენოთ.

პიოველად რომ მითხრეს, არც დავიწყებე, ავგისტოს ქალაქში ვიყავი და დამაწუხებეს; მართალიაო. ხანგვატოხებიც გაქრა. ამ ამბავმა გული ჩამწყვიტა და აქამდე გონს ვერ მოვსულვარაო, ამ შეუსაზრებმა ფაქტმა რაც თავს დამატეხა, ყველაფერი მომავდიდებელი არ არის.

მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი, რომ ვედარასოდეს ვიხილავ მის საოცარ სახეს; მის ძაღალ, ზეშთავონებულ შებლს, მოცინარ თვლებს, ველარასოდეს გავიგოვებ მის მომხიბლავ ხმას, ელერაზეც რომ ეტუბოზდა ანთის დღე-ღამეებში. გტერი, ვბოგავ, მწუხარებისაგან ადგილი ვერ ძიბოვია. მახსენდება ათასნაირი წვრილმანი. თვალწინ მიდგას ის ადვილები, სადაც ერთად ვყოფილვართ: სხვადასხვა ქალაქის ქუჩები, მთები, ზღვა, თქვენი და ჩვენი სახლები, ყრილობათა პრეზიდენტები და ტრინეტები. მოგონებები გულს მისვრავს, დანაყლისებო შეგარჩნებამ ლამის გამაგიგოს. რა დავაძვეე, ბედმარისთვის დამსჯა ამ სამარადისო განშორებით?

მაგრამ პირველივე დღეს, 17-ში, ამ ამბის უსაშველობამ თითქოს დამაწყინარა და ელემენტარულად ცხადი განწყობილება შემეჩინა, როგორც ბავშვობისას ხდება ხოლმე, ტირილისა და დაოსებულს უცბად რომ მოგვიდებდა, ან ძილი მოგვრევა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ უცებ ვადამტუორცნა შორს, განმავორა ყოველივე ქალაქურს, უსაფუძვლოდ მქუხარეს, ნაძალადედად გართულებულს, დამბულად გულგრილს, მჭევრმეტყველურად უშინაისათ. „რა სისულელეა“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს. პაოლო? ის პაოლო, ვისაც ისე ვიცნობდი, რომ არც კი დაფიქრებულვარ, როგორ მიყვარდა. პაოლო, ჩემი სიხარული! პოდა, ამ დროს სერიოზული გამომეტყველებით ვამცნობს ამ ამბავს ვილაე უჩინარი კაცი, „ა“ ან „ბ“, რომლის სახე ერთი უფუთის შემდეგ აღარც გემახსოვრება. თუმცა, ეს ყველაფერი მომავლის კუთვნილებაა... სიკვდილი ყველას გვიწერია და ყოველთვის რაიმე განსაზღვრულ ვითარებაში ვკვდებით. პოდა, იტყვიან: შთამომავლობისათვის დაუვიწყარი სიკაცობა 37 წლის ზაფხულში შეწყდაო. თანაც გაიხსენებენ ამ დროისათვის დამახასიათებელ ამბებს, რითაც ცხოვრობდა საზოგადოება, ვიხსენებენ გაზეთებს, ნაცნობთა სახელებს, ისევე როგორც სხვა საუკუნის ამბებზე საუბრისას ახსენებენ პარიკებს, ეპოებს, ანდა ქორ-მიმინოებით ნაღრობას.

ამ ფიქრებით გულდამძიმებული პერლეციონის საღებურზე ჩამოვედი. ვგარძნობდი, როგორც კი ზინას ერთ სიტყვას ვეტყვოდი, ხმა ჩამიწყუდებოდა და ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. მანამდე კი, ვხად მიმავალი, მთელი არსებით ვიძლეოდი მწუხარების განმწმენდ ძალას.

ბანაობა მომინდა. დარღდილულ ხეგში ნაბი-

რზე წამოვწყეტი. მღელვარებამ თანდათან გამოი-
რა. ირგვლვე მიმოვიხედე და განსვენებულთან
მრავალი საოცარი მსგავსება შევნიშნე. ყველა-
ფერი პაოლოს მახსენებდა. მე ზნედავდი მისი
სულისა და სტილის ნაწილს. თვალწინ მიდგა მი-
სი წყალი, მისი ბალახი, შემოდგომის ჩამავალი
მზე, მისი მყუდროება, მინათიე და იღუმალე-
ბა. სწორედ ასე იტყოდა იგი, ყოველივე ისე
ბრწყინავდა და მჭრქალღებოდა, ციმციმებდა
და ქრებოდა. დაისი თითქოს მას ბაჰავდა, ანდა
ინსენებდა.

ახლა სულ სხვაგვარი აზრები გამიჩნდა პაო-
ლოზე. ყოველთვის აღტაცებული ვიყავი მისი
ნიჭით, მშვენიერების აქქმის უბადლო აღლოთი,
რაც იშვიათია არა მარტო ქართულ, არა მარტო
ჩვენს მთლიან, თანამედროვე მწერლობაში, არა-
შედეგ ფასდაუდებია ყველა დროისა და ყველა
ქვეყნის ლიტერატურაში. იგი ყოველთვის მაც-
ლიურებდა. ბევრისთვის მიმიწერია, რა მიუწყ-
დომელ სიმძლავრე ვაყენებდი მას. ახლა პირვე-
ლად დაფიქრდი პაოლოზე იმ გრძნობათა გარე-
შე, რასაც მის მიმართ განვიციდიდი. ძალზე დიდ
საგანს მხოლოდ მაშინ დანიხავ, თუ შორიდან
შეხედავ. სწორედ ასევე, დანაკლისის სახედის-
წერო მანძილიდან გამოიკვეთა მისი აბსოლუტუ-
რი მონახულობა: როგორც იყო უჩვენოდ, ტი-
ციანის, გოგასა და ჩემს გარეშე. მარტო მაშინ
კი არა, როცა ცდილობდა, ჩვენი აღტაცება გა-
მოეწვივა, როცა ჩვენს სურვილს აქმაყოფილებ-
და და გამარჯვებულად მოგვევლინებოდა ხოლ-
მე, არამედ როცა ჩვენს სიყვარულს წინ აღუდ-
გებოდა და მარტო რჩებოდა წყლის, ტყის,
ღვთისა და მომავლის წინაშე.

რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? იმისი ძიება, თუ
ვინ იქნება ქართველი მთაიკოსი რამდენიმე
წლის შემდეგ, ან ვის ნიშნებზე განვითარდება
ახლაგაზრდა ლიტერატურა, თუკი განვითარება
უჭერია? სიკვდილის შემდგომი ამბები არასო-
დეს მათფიქრებდა. მე სხვა რამით ვარ განცვიფ-
რებული, თემცა გამოთქმა მიჭირს. საოცარია,
რა უხვად უწილადა საკუთარი სული ყველა-
ფერს, რასაც შეეხო, რასაც სახელი მისცა: დრო-
ვამს, ყვევილებსა და ცხოველებს, ამწვანებულ
ტყეს, შემოდგომის ცას. ჩვენ კი არ ვიცოდით,
რა ძალით ფლობდა იგი ჩვენს არსებას და ახ-
ლაც როგორ ბრძანებლობს ჩვენზე.

ძვირფასო თამარ გიორგის ასული, მამატიეთ,
თქვენთვის ასეთი წერილი არ უნდა მომეწერა.
პოეზია, თანაც უხვირო პოეზია, ამ ამბისათვის
შეუფერებელია. მაგრამ ამ წერილს მაინც გა-
მოვიგზავნი. მაშ როდისდა ვითხრათ სანუგე-
შო სიტყვა, გულის სიღრმიდან რომ მოიწვეს
თქვენკენ და საყვარელი, უძვირფასესი მედას-
კენ? თუმცა მეგობრები მრავლად გყავთ და არც
შემოგაკლდებით არასოდეს, მეც მათ შორის მი-
გულო. ბოლო დროს ცხოვრება ძალზე გამიძ-
ნელდა. მაგრამ თქვენთვის ყველაფერს გაგაყე-

თებ. ტიციანს და ნინოს ვთხოვ, ჩემს მაგივრად
გულში ჩაგიკრან და თქვენთან ერთად იტყვიან
კიდევ ერთხელ პატივებს გთხოვთ. სულიერი
უნებო წერილისათვის. მაგრამ მე შინააღსა-
ფერი ვიცი. იქნებ მერე, როცა შეიძლება, წე-
რილი მომწეროთ?

სულით და გულით თქვენი ზ. პ.

კიდევ გთხოვთ პატივებს, თქვენი თქვენი უბე-
ღურება არ გეყოფათ, ჩემს მწუხარებაზე რომ
არ გელაპარაკოთ? რა უტაქტობა, დაწვრილე-
ბით რომ მოგიყვივით, როგორ ვბრუნდებოდი შინ
და რას ვფიქრობდი...

ნ. პ. ტაბიძის

(1935)

ნინო, რომ იცოდეთ, როგორ მოაქნარეთ,
როგორ მიმძიმს განშორება თქვენთან, ნიტას-
თან, იმ გარემოსთან, სადაც თქვენა ხართ. რო-
გორ მენატრება თქვენთან საუბარი. ისე მენატ-
რებით, როგორც 15 წლის უნახავი ჩემი დები
და მშობლები.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ტიციანი მიყ-
ვარდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ჩემს ცხოვრება-
ში ასეთი დიდი ადგილი ეკავა, ჩემდა უნებუ-
რად, შეუძნებლად. მე ეს მხოლოდ გრძნობა
მეგონა, მაგრამ რა ვიცოდი, თურმე ზღაპრული
ფაქტი ყოფილა.

რამდენჯერ გავვიმართავს ლბინი, ერთმანე-
თისთვის ერთგულების ფიცი მივაცლია (რა თქმა
უნდა, საბრალო პ-საც ვგულისხმობ), ხომ არ
გგონიათ, რომ ოდესმე დავივიწყებ! ყველაფერს
ვახეიადებდით, ოჩოფხებზე ვდგებოდი! რამ-
დენი საფუძველი გვექონდა, გვენებოდა, რომ
ჩვენს ნათქვამში არაფერი იქნებოდა ნამდვილი.
და თურმე ყოველივე რა მათფრი, რა სისხლბორ-
ცეული ყოფილა!

რა მოკრძალებული სახელებით ვნათლავდით
ყველაფერს და რა უჩვეულო ყოფილა ნამდვი-
ლი ძალა ამ მარადიული, ყოველსამოცეული,
გეჟური კავშირისა.

ხშირად მესიზმრებოდა. ხან თქვენ, ხან ყველა-
ნი, ხანც ჩემიანებთან ერთად იმ ადგილებში
დავხეტიალობ, სადაც თქვენ გიტარებივართ. გა-
სულ ზამთარში ეს მხოლოდ ტანჯვას მგვრიდა.
ზოგჯერ თვალცრემლიანი ვიღვიძებდი და ვფიქ-
რობდი, რომ საკუთარი ტყვილი კი არ მაწუ-
ხებდა, არამედ თქვენი ტანჯვის მონაწილე გე-
ხდი, თვით თქვენს ნაწილად ღიქევი და ასე უზ-
ომოდ ამიტომ ვიტანჯებოდი. ამ სიგიჟის ახსნა
ძალიან მიჭირს.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა ამ ტყვილმა
გამიარა. არაფერს არ გეკითხებით. თქვენზე ბე-
ერად ნაკლები ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, ისიც
ქმარა, რომ იმედი არ დავკარგო. ვიცი, რომ რა-

ბორის პასტერნაკი

წერილები ქართულ მეგობრებს

ლაც განგებით ჩენი მომავალი, სიმწრით მო-
პოვებული, დროებით ვადავადაწეული თავშეყ-
რის ყოველი წერილმანი წინასწარ განსაზღვ-
რულია. ჩენი ვალია, არ დავაბუნდეთ, გავძ-
ლოთ ამ შეხვედრამდე. მე შემძლია, დაუსრულ-
ვებლად ვწერო ამაზე, მაგრამ ეს რას გვიშვე-
ლის.

სხოვრება ცოტა გამძინელა. ამაში მხოლოდ
თავად ვარ დამნაშავე. აღფრთოვანებას საერ-
თოდ ძნელად ვახერხებდი. ბოლო ორ წელს კი
ამისი ძალი აღარ შემწევს. ეს გასაგებია.

ახალი წლის დამღევს ბივი შემეძინა. ზინამ
შესტად 12 საათზე შობა.

მინდოდა პავლე²³ დამეგრძეო (ეს კაცი ჩემს
გულსა და გონებას არ სცილდება. განასაქიროა,
ეს თქვენ ვიმტკიცოთ?), მაგრამ ზინა ატირდა,
ისე შეაერთო სიმწარის, მწუხარებისა და იდუმ-
ლებით მოცული დასასრულის ხატებასთან სიახ-
ლოვემ. რა უნდა მექნა, დავუთმე უახლოეს ად-
ამიანს და მაიმამის ჩაბრუნებამდე შეიღოს ლეო-
ნიდი დავარქვი.

დანარჩენს ვიტია ვიამბობთ. ქება-დიდება მის
კაცობას, თქვენთან მოსვლა რომ თავს იღვია. შე-
გიძლიათ ჩემი ნათქვამი უთხრათ.

ერთ რამეს ვოცნებობ: დიდი ხელშეკრულება
დამიდონ, ავანსი მომცენ, გამოვფრინდე და ერ-
თი დღე თქვენთან ვაგატარო. მთელ დღეს ვის-
მინოთ, ცოტა რამ მეც ვიამბოთ და კვლავ უკან
გამოვფრინდე. მაგრამ დიდ ხელშეკრულებებს
მე არ მიღებენ. ამას გარდა, ჩემი ჩამოსვლა ხომ
არაფერს განებდათ? არ ვიცო, თქვენს პირო-
ბებში რა იქნება სასარგებლო და რა საზიანო,
რა შეიძლება და რა არა.

იქნებ ბედმა თქვენ და ნიტა აქეთ, ჩვენთან,
ლაერუშინის შესახვევში, № 17/19, ბინა 72-ში
გდმოვცისროლოთ! რა ბედნიერება იქნება, რომ
მომწეროთ.

გიკოცნით ხელებს.
თუ თამარ გიორგის ასულს ნახავთ, ყველაფე-
რი მოუყევით.

თქვენი ბორია

დან ახალი წელი მომილოცეს. რა გისურვებ?
დაე, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლა,
სიბერე ნუმე ვაგვარებოდეთ. თქვენს ქართულ
ყვა, თქვენი სახელის ხსენება საკმაოდ მძინ-
რომ კვლავ თვალწინ დამიდგეს სოლოლაკის
შედმართი, ზამთრის საღამო, ტანადი ხეები და
ევროპული სტილი ნაგები სახლები, პეტერბუ-
რგივით რომ მალეღვებს ხოლმე. კი არ მჯაღოებს,
იღუმალი ძალით მაფო-
რიქებს, თითქოს ვცდილობ, რაღაც მოთხრო-
ბის აზრს ჩაეწვდეთ და ვერ კი ჩაეწვდომიერ: აქ
საღდაც, ერთი სარკმლის იქით (რა შუაშია აქ
ქუჩა, რა შუაშია ხეები?) ახალგაზრდა კაცი ჯი-
ქურ იჭრებო ისტორიაში. იგი მხოლოდ პოეტია,
მხოლოდ კარგი პოეტი კი არა, რაღაც უფრო მე-
ტია. იგი ოდესღაც გაგონილი ზღაპრის პერსო-
ნაჟივით არ ასვენებს ჩემს გონებას.

ფარ-ხმალს არ ვყრი, მაგრამ გვრძნობ, დღი-
თი დღე როგორ მაკლდება ჩანი და ძალა.
მრცხვენი ხოლმე, როცა მაგონდება, თუ როგორ
მიგახიბთ თქვენ და ჩაქოვანი პერეფიკინოში.
კარგა ხანია, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საღ-
დაც სხენზე განმარტობით ეცხოვრობდე, მაგ-
რამ ამაზე არას ვამბობ. იმ აუტანელი სირცხვი-
ლისა და მწუხარების დღეებში მრცხვენოდა იმ-
ისა, რომ ჩვენ დავდიოდი, ესაუბრობდით და
ვიღიმებოდი კიდევ.

ვაკვივ, იანვრის ბოლოსთვის აპირებთ თურ-
მე ჩამოსვლას. კარგი იქნება!

გულში გიკრავთ, გოგლა, ხელზე ვკოცნი ვემ-
შია ალექსანდრეს ასულს. გისურვებთ ჯანმრ-
თელობას და ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვე-
ნი გოგონების შემწე.

თქვენი ბ. პასტერნაკი

რამდენ სისულელეს მოვეყევი! მეგონა, რაიმე
კვიკინურს მოგწერდით, მაგრამ თავი ველარ მო-
ვამი. ალბათ იმიტომ, რომ თქვენზე ფიქრი ყო-
ველთვის ფანტაზიას მიღვიძებს. ასე წარმომიდ-
გებით ხოლმე თვალწინ.

ბ. ნ. ლ. ა. ლეონიძეებს 12. I. 39.

ძვირფასო გოგლა და ეფემია ალექსანდრეს
ასულს!

დიდად გამიხარეთ გული, ახალი წელი რომ
მომილოცეთ, — გვადლობთ! მაშინვე ვერ გიბა-
სუხეთ. ჩემს ადგილას ყველა წესიერი კაცი ასე
მოიქცეოდა. ლოგინში ვიწევი ავადმყოფი, შინ
კი არავინ მყავდა. ახლა კარგავა ვარ და არდა-
დგევიდან დაბრუნებული შინაურების ხმაურში
გწერთ ბასუსს. რა მოგწეროთ?

მე თქვენს სახლს, მის წესსა და რიგს ყოველ-
თვის ზეაწეულად, ზღაპარივით აღვიქვამდი. ეს
იცით თქვენ. მე ისევე ავლელი. როცა ამ სიმ-
ლოიერის, სილაზიასა და ბედნიერების სამყარო-

ბ. ა. ტაბიძეს (1939-1940)

ძვირფასო ნინო!

მაბატით, რომ თქვენ წყნით. ალბათ არ უნდა
შემეფოთებინეთ. ახლახანს, სულ ზღაპრის, ჩე-
მამდე ხმამ მოაღწია, თითქოს ტიციანი ცოცხ-
ლი აღარ იყოს. ალბათ წარმოიდგენთ, რა დამე-
მართებოდა. მაგრამ რამდენიმე საათის წინ მით-
ხრეს, ეს მცდარი ვარაუდია და საწინააღმდეგო
საბუთებიც არსებობსო. შინ დავბრუნდი. გზა-
ში სიხარულისაგან ვაბრბაცებდი. გწერთ წე-
რილს და რწმენა თანდათან მიმტკიცდება. ოღ-
ონდ დამიდასტურეთ. მითხარით, რომ ცოცხა-
ლია, მიღებამეთ ან მომწერეთ.

ნინო, ნინო, აი, რას ვიხივოთ! რაც არ უნდა
მოხდეს, თავს რაც არ უნდა დავატყედეს, იყო-

დეთ, გახსოვდეთ, რომ მე, ჩემი სიცოცხლე, ჩემი გონება თქვენ და ნიტას გვეუთვნით. სამდღეს, სამ დაწყველილ დღეს ვცდილობდი, საშინელი ამბავი დამეჭვრებინა და დაგრწმუნდი: ეს ჩემთვის უხომო მწუხარება კი არ იქნებოდა, მთელ ჩემს ცხოვრებას ისე შევიტყობოდა, ვეღარაფერი გამახარებდა, რადგან სიხარულს ველარავის გავუზიარებდი. სიამეს მგერიდა ის ახარი, რომ მისთვის ვცხოვრობდი, ის კი ჩემთვის ცხოვრობდა... და თუ უბედურება მართლა მოხდებოდა, მომავალი აზრს დაკარგავდა. ნინო, არ ვიცო, რას გწერთ, მაგრამ იმდღეს არ ეკარგავ.

თქვენი ბორია

ნ. ა. ტაბიძის

24. XI. 40.

მომიტყვეთ, ძვირფასო ნინო, რომ ამდენ ხანს ვერაფერი მოგწერეთ. 14-ში დაწყებული წერილი ისევ მაგიდაზე მიდევს, მაგრამ ახალ წერილს ვიწყებ. ამას გარდა, დამნაშავე ვარ, უკანასკნელი წერილისათვის მადლობა რომ ვერ გადაგიხადეთ. დია ბარათით მიხეზი გაცნობეთ: კარგა ხანს არ ვიცოდი, რომ ანდრონიკოვები²⁴ ჩამოვადენენ და თქვენი წერილი ჩამოიტანეს.

ახლა წერილის თაობაზე. გული მეტკინა, ნინო, ტყუილ-უბრალოდ თავს რატომ იწვლებთ. ჩემთან გამოსაგზავნე წერილებს რატომ ხეეთ და ხელახლა წერთ, რა მიზანს ისახავთ? რატომ არ ემყარებოდით იმი, რასაც თავდაპირველად დაწერეთ. თქვენისთანა ახლობელი ხომ თითქმის არავინა მყავს, ასეთი უბრალო დამოკიდებულება ხომ არავისთანა მყავს. მწუხარება და სიამეც სამუდამოდ დაგაკავშირა ერთმანეთთან.

სიმონი და მარიკა დიდი ხანია აქ არიან, რამდენჯერმე შეხვდით ერთმანეთს. ორივე საუცხოო ადამიანია, ორივე მიყვარს. გონიერნი არიან, დაკვირვებულნი, და თუ მოსურვეს, ბევრი რამ შეუძლიათ ვიამბონ ჩემზე, ზინაზე, ლიტერატურულ ცხოვრებაზე, საერთოდ ცხოვრებაზე და ა. შ. სიმონმა აქ საღამო გამართა და დიდი წარმატებაც ჰქონდა. უთხარი, რომ ეს ამბავი მოგწერეთ, ესამოგებთ. მათ დამისახურეს თქვენი ყურადღება.

თქვენთან მოკითხვის გარდა ვანზრას არაფერს დავაბარებ, რომ მათ მონათხრობს გეზი მე არ მიცევ. კარგად იციან, რომ ტიციანზე და თქვენზე ძვირფასი ქვეყნად არავინა მყავს.

ერთი სული მაქვს, მათთან და ვიტყვითან ერთად წამოვიდე და მოვიხალხო. მაგრამ არ შემიძლია. ჰამლეტი უკვე ჩაებარე (სამხატვრო თეატრში დადგამენ) და თეატრს ყოველ წუთას შეიძლება დაეპირდე. თანაც, თქვენ ხომ ჩამოსვლას აპირებთ!

მომიტყვეთ, რომ წერილს ასე ვთხანნი. ხელი არ მემორჩილება, ბოლო დღეებში ძალიან მოუხშირე სტუმრად სიარულს (ამაზეც შეგიძლიათ ილაპარაკოთ ჩიჭოვანთან). ამას წინათ სი-

მონს გოლცეთან შეხვდით. უთხარი, რომ იგი, სიმონი, აქ ახლა მოდამია. ძვირფასო ნინო, შინა სასაცილო რაიმე მოგწერეთ და ვაგამხარულოთ, მაგრამ თავი მტკივა და ვერ ვაჭერებ ჩამოდით, აუცილებლად ჩამოდით! რომ იცოდეთ, რამდენი რამ მაქვს სათქმელი.

კარგად იყავით, ჩემო ზეგობარო, გოცნით. ასე მგონია, თქვენ და ტიციანს არ დაგშორებთ და თავი უნდა შევიკავო, რომ ჩემი წერილი სასაცილო, სასიყვარულო ბარათს არ დაემგვანოს. ნახვამდის, ძვირფასო მეგობარო.

P. S როცა ჩ. და ვიტყვი²⁵ ჩემს ამბავს მოგიყვებიან, ამაყად შეხედეთ და უთხარი, ყველაფერი ვიცი, წერილს ყოველდღე მწერს-თქო. დამიკოცნეთ ნიტა. სიცოცხლეს არ დავიშურებდი, ოღონდ თქვენ კარგად იყოთ. გაღმერთებთ!

თქვენი ბ. პ.

ნ. ა. ტაბიძის

27. XII. 40.

ნინო, გილოცავთ ახალ წელს! უსახლგროდ მიყვარხართ, და როცა ჩემს წერილში სიყვარულის კვალს ვერ ნახავთ, იცოდეთ, წერილს თვით დალილობა ან სასოწარკვეთილება წერდა, ანდა, უბრალოდ, ნაჩქარევად მოგწერათ. ძალზე ვნანობ, რომ ამას წინათ წერილი ნაუცბათევად გამოგიგზავნეთ.

ქალაქიდან ახლახან დაბრუნდი. ისე ვარ დალილი, ლამის ჩამთვლიმოს. მაგრამ მაინც სულ თვალწინ მიდგახართ. ნინო, თქვენ ისე ძვირფასი ხართ ჩემთვის, ზოგჯერ მგონია, ზინა იმიტომ მიყვარს, რომ თქვენ მომეციო ამის უფლება.

ქალაქში თანდათან ყველაფერი წესრიგდება. მე ვერ კიდევ ბევრი წიკბურტი მომხვდება, მაგრამ საერთოდ კარგად მეტყობიან და, რასაკვირველია, თავს ძალზე ბედნიერად გვტყობიან.

ამას იმიტომ გწერთ, რომ ვიცი, ოდესმე ბედნიერებას თქვენ და ტ-ს გვიზიარებთ. ერთხელაც იქნება, ოთხივენი, ჰირგადახდილნი, სუფრას შემოფუსხდებით სტუმრებთან ერთად. გემრიელად, ლაზთიანად მოვილხნეთ მთელ ღამეს ან რამდენიმე ღამეს და წარსულს გავისხენებთ. ერთმანეთს ვესტუმრებით ბედნიერნი, მხიარულნი.

ტიციანი ცოცხალია, სადღაც ახლოს არის და ალბათ სულ მალე დაგვიბრუნდება. იგი ბურჯია ჩემი ცხოვრებისა, ჩემი ღვთაებაა, ბერძნული და მითოლოგიური გაგებით. ალბათ ასე ბედნიერი არ ვიქნებოდი, ასე არ მეყვარებოდით, ესაა სელას ამხელა დროს არ წავართმევდი, ასეთი იმედი არ მექნებოდა მომავლისა, რომ ტ-ს არ მოველოდე.

მომიტყვეთ, ნინო, კანდიერად რომ ვლაპარაკებ იმაზე, რაც ასე წმიდათაწმიდაა, ასე

ბორის პასტერნაკი

წერილები ძარბოვალ მემგობრებს

სისხლბორცეულია ჩვენს ცხადსა და არა სიზმრულ ცხოვრებაში. ქარაფშუტობას ნუ დამწამებთ, გეფიცებით, თვალცრემლიანი გწერთ.

მაშ ჩემი გულისტკივილიც შეუერთეთ იმ სევტას, თქვენ და თქვენს მეგობრებს ახალი წლის ღამესაც რომ არ გცილდებოდით. იფიქრეთ, თუნდაც მინდ გყოფილიყავი.

თქვენი და ნიტას უერთგულესი მეგობარი ბ. პ. P. S აი, ნახავთ, 1941 წელს საქმე გამოკეთდება.

ბ. ბ. ტაბიძის

6. II. 41.

ძვირფასო ნიტა!

ნეტავი ახლა თქვენთვის შემახვდა. ალბათ ვერც გაცნობდით. დღღათქვენის წერილიდან დავსაკვინი, რომ გულს გიტეხთ მომავლის ბუნდოვანება და დღევანდელი დღის ერთფეროვნების მოჩვენებითი სიცარილე. იქნებ ვცდები და ეს ასე არ არის, მაშინ მომიტყვევთ. ჩემს უფროს შვილსაც ემართება ხოლმე ასეთი რამ. ჩემთვის უცხო არ არის ეს განწყობილება და ამიტომ გადავწყვიტე მომიწერა. ნუ გამიწყურებით.

ნიტა, თქვენ იძულებით მოგაცილეს მამა, თანაც ასეთი მამა! თქვენ გაზარდეთ, არ დაღუბულხართ. ზნეობრივად თითქმის გმირი ხართ, გმირული ისტორიის ნაწილი, გმირობის ნაყოფი. სასოწარკვეთას თქვენთან რა ხელი აქვს? ამჟამინდელი ნაკლებობა ასწილად აგინახლავურდებთ. რაც მთავარია: ყველას გვწამს, უპირველესი სიხარული, რაც მოგვლით, მამათქვენის დაბრუნება და მასთან შეხვედრა იქნება. განალა ღირს სხვა რამეზე ლაპარაკი?

ერთი რამ იცოდეთ. ჩვენ, დაქანტულებს და მობერებულებს, მხოლოდ ის გეასულდგმულებს, მხოლოდ ის გვაიძულებს, ცხოვრების ყოველნაირ ფორმას შევებულოთ, რომ იმედი გვაქვს, ნაწილობრივ მაინც მოვესწრებით თქვენს ბრწყინვალე მომავალს. — ცხოველყოფელ, მრავალფეროვან, ზნეობრივად გამართლებულ, შთაგონებით აღსავსე მომავალს. რაც არ უნდა შორს იყოს ის დრო, ბოლოს მაინც დავდგება, რადგანაც ყოველივე შორეული თანდათან ახლოვდება.

თქვენი ბ. პ.

ბ. ბ. ტაბიძის

21. III. 41.

...ალბათ გაგიკვირდებათ, გაფრინდამვილის სიყვდილის გამო ერთი სიტყვაც რომ ვერ მოგაწვდინეთ. მაგრამ ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. როცა მასზე ვფიქრობ, ასე მგონია, საკუთარ თავზე ვფიქრობდე, თუმცა ის საბრალე ქვეყნად აღარ არის, მე კი ცოცხალი ვარ და ვცდილობ, ჩემი სკანდალური ცხოვრება შევალამაზო. თითქოს ერთმანეთს არა ვგავდით, მაგრამ ორივე

ერთნაირად ვცირებდით სულიერ ძალებს, ორივეს კვრეტის ერთნაირი სიღრმე გვქონდა, გარდა მის ასახვის ერთნაირი უნარი და სურვილი გვაქონებდებოდა, და ბოლოს, ორივემ ვეცდით, ერთად ვატარებდით ცხოვრებას..

ნინო, ერთი სათხოვარი მაქვს: ამ წაფხულს თქვენი რუსული თეატრიდან შრომდნენ ჩემთან და ჰამლეტის ტექსტი გამომართვეს, დადგმას ამირებდნენ. იქნებ როგორმე გავიგოთ, ეს საქმე რატომ ჩაეშალათ (რამეს რომ აკეთებდნენ, აქამდე შევიტყობდი).

როგორც კი რაიმეს შეიტყობთ, მომწერეთ, ნუ დამზოვავთ.

ნინო, უნდაწი წერილსა გწერთ, არა? დაფიქრდით, სანამ მომწერდეთ. დასამშვიდებლად ნურაფერს მომწერთ, მაგრამ თუ რაიმეს ფიქრობთ ამ ამბის თაობაზე, აუცილებლად გამიზიარეთ. გვაცნით.

თქვენი ბორია.

ბ. ბ. ტაბიძის

9. V. 41.

ძვირფასო ნინო!

ახლახანს მივიღე თქვენი წერილი. უღრმესი მაღლობა. გაფრინდამვილის ქვრივის გადაცეით, რომ სონეტმა დიდად გამახარა. ჰკითხეთ, ასლი დარჩა თუ არა? თუ არ დარჩენია და სჭირდება, მაშინ გადავწერ და ავტოგრაფს დავებრუნებ, თუმცა გულით მწაიდა, რომ დავიტოვებ. პირდაპირ გეტყვით, სონეტის დასაწყისი შესანიშნავია, მეტი კი ამ ფორმისთვის დამახასიათებელი რიტმული პირობითობის კვალი ადევს, რაც თვით ბალმონტმაკი ვერ დაძლია. მაშ ერთხელ კიდევ გადაცეით ჩემი გულწრფელი სამძიმარა გაფრინდამვილის ქვრივის და უთხარით, რომ დიდად მაღლოველი ვარ.

ნინო, ჩვენ ლეონიძეები ვნახეთ. აი, ეს როგორ მოხდა. მე არ ვიცოდი, თუ ეფემია ალექსანდრეს ასული მოსკოვში იყო, თანაც მეგონა, რომ გოგლა აქ კიდევ დიდხანს დარჩებოდა. ძალზე საჩქარო საქმე მქონდა და ბოლო ხანს მლამობითაც ვმუშავებდი. როცა საქმეს მოვრჩი. საღამოთი მოსკოვში ჩავედი და შევიტყე, რომ ლეონიძეები დამის 12 საათზე „არაგვი“ გამოსათხოვარ ბანკეტს მართავდნენ და მეორე დღეს წასვლას აპირებდნენ. ჰოდა, ბანკეტზე შევხვდით ერთმანეთს. დიდი ხანია, მათთან ერთად ასე ლაღად, ასე მხიარულად, ასე გულხალღათად დრო არ გამიტარებია. ვახშამი ალბათ რამდენიმე ათასი დაუჯდათ. მაგრამ მგონი, მაინც ვერ გამხიარულდნენ. მე თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საკუთარ სახლში ვიყავი, და ძალზე თავხედურად ვიქცეოდი. ყველაფერს ვამბობდი, რაც ენაზე მომიდგებოდა... გოგლასთან ყოფნა უსაზღვრო სიამეს მგვრიდა. მას ძალზე უბრალოდ, ბუნებრივად ეჭირა თავი, მე კი უზომოდ ბედნიერებას ვგრძნობდი. ის განწყობილება დამიბრუნდა, შარშან შემოდგომაზე რომ მქონდა. აუცი-

ლებლად ჩაეუჯღღები საყუთარ ნაწიერებს და სხვა რაიეს ხელს აღარ მოვიკიდებ. რაღაც უნატიფესი სიმები (ხელოვნებასა და ცხოვრებას რომ ესიტყვება) კვლავ აუღერდა ჩემს სულში. თქვენ ამგვარ რაიეს ვერ შემამჩნევდით, რადგან ასეთი ვიყავ მანამდე, ვიდრე პირველ ცოლს შევიერთავდი. მომიკითხეთ ლეონიძეები. ძალიან მინდა მათი ნახვა. ალბათ მალე შევხვდებით.

ნინო, მწერთ, ლექსები გამოგიგზავნეო. რა ლექსებს გულისხმობთ? მე მხოლოდ რჩეული თარგმანის კრებული გამოვეცი და გამოგიგზავნეთ. ამ წიგნში მხოლოდ ის განყოფილებაა ყურადღების მისაქცევი, სადაც გადმოკეთებული ლექსებია დაბეჭდილი. დანარჩენი აღრიხდელი ნაშუაგერებია (პრ. გამბურგის 1918 წ. პრის საქის 1919, ცალკე წიგნად გამოცემული „დამსხვრეული სურა“ კი 1914 წ.)

ნინო, წელს აუცილებლად ჩამოვლი ჩვენთან დასასვენებლად. როგორც კი თქვენს სახელს ვახსენებთ, ლიონიჩკა მამინვე გვეკითხება: „რომელი ნინო, ჩემიო?“ (ფედინის ნინოსაგან განსახვედებლად). სულ ამას იმეორებს: „ჩემი ნინო“ და „გენაცვალეო“. გიგზავნით სურათს. აჩვენეთ ნიტას და მომიკითხეთ. გამოჯანმრთელდით თუ არა? გკოცნით. ადიკს ოპერაციას არ უკეთებენ, ძალიან ვახდა.

თქვენი ბორია

ბ. ნ. ლეონიძის

20. V. 41.

ძვირფასო გოგლა!
ფეშმა ალექსანდრეს ასულს თვალის ტკივილია არ გაუარა? საერთოდ, თავს როგორ გრძნობს?

ამ ბოლო დროს თქვენზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. რამდენიმე დღის წინ ზინა საგარეოდ ჩამოვიდა და თქვენს მიერ როსტოვიდან გამოგზავნილი დებეშა ჩამოიტანა. იქნებ დებეშის გამოგზავნა სწორედ მაშინ მოვივლიდათ აზრად, როცა ნინოს ვწერდი წერილს და, ალბათ, თქვენთან შეხვედრის ამბავს ვუყვებოდი (მახსოვს, რომ ამის მიწერას ვაპირებდი)..

მთელი სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენ და თქვენს ოჯახს. მე გგონი, თქვენც ისეთივე ამინდი მოგიხდებათ, როგორი ამინდიც მე მრგებს. გისურვებთ, რომ ეს ზაფხული წიგნით გადამგფურცლოთ და მთელი სამყარო, თვით დასაბამიდან, ხელახლა შეგვეგრძნოთ. მეც და თქვენც მრავალი საყვარელი, ღირსეული მეგობარი გყავს, მაგრამ მათ შორის მხატვრები თითქმის არ ურევიათ.

მაგრად გართმევთ ხელს.
თქვენი ბ. პასტერნაკი.

ბ. ა. ტაბიძის

20. III. 42.

ძვირფასო ნინო! თქვენთან მიმოწერა რომ გინვახლუ, ასე მგონია, მოსკოვში დაებრუნდი, თი-

ქოს საყუთარ სრულ ცხოვრებას დაეუბრუნდი მისი უმნიშვნელო ნაწილიდან. და ეს აღსრულდება კიდევ!

სადა ხართ, როგორ ხართ? სად არის თქვენი ცოცხალი თუ არა დედათქვენი, ტიციანის რისის? იცი თუ არა, რომ მოსკოვში დეკემბერიდან ტიციანის დღეშია ჰენრიხ გუსტავის ძე. ადიკის სანატორიუმი ურალზე, ნიენი უფალეშია. სექტემბრის მეფე იქა წესს. ჩისტობოლს რკინიგზა არ უდგება და ადიკთან წასვლას ვერ ვახერხებთ. ძალზე ავად არის. ხერხემლის ტუბერკულოზი დაემართა. ფეხი ისეთ დღეში აქვს, ალბათ მოკვება დასჭირდება. მაგრამ, ვინ იცის, ფეხის მოკვება კი გადაარჩენს? ზინას ეს არა სჭირა. მეც, ზინასაც და სხვებსაც ადიკ ცხარე კრემლს გვადგვრევენებს. კარგი იქნება, თუ წერილს მისწერთ. თქვენი წერილი უზომოდ გაახარებს. ბევრი ნაცნობი სწერს აქედან, მოსკოვიდან, ტაშკენტიდან. ძალიან შეიცვალა. ჩაფიქრებული, გულწათხრობილი ვახდა, საუცხოო წერილებს გვწერს. რა თქმა უნდა, სიმართლეს, რასაც მე ვწერთ, შეუფარებლად ნუ გაუმედავენებთ. ისე კი, დაახლოვებით, თავდაც იცის.

მე და ზინა ვახფხულზე ვაპირებთ მასთან ჩასვლას. ალბათ მოსკოვში წასვლაც მომიწევს. სად უფრო ადრე წავალ, ჯერ არ ვიცი. მისი მისამართია: ჩელნაბინსკის ოლქი, ნიენი უფალეი, სანატორიუმი „წითელი ვარდი“, ანდრია ნეიგაუსი.

ზინა ლიტონდის საბავშვო სახლში დიასახლისად მუშაობს. ლიონიჩკა იმავე საბავშვო სახლშია. სტასიკი იქვეა, უფროსი ასაკის ბავშვთა ინტერნატში. აქ, ჩისტობოლში, ჩვენთან ერთად არიან ფედინი და ლეონოვი. უფრო ადრე, ზაფხულში აქ გადმოვიდნენ ასევე და ტრენიოვი. შემოდგომაზე, მეზობელ ქალაქ ვლახუგაში, კამაზე, თავი ჩამოიხრჩო მარინა ცვეტაევამ. ერთ თვეს კიდევ რომ გაემყო, მე და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჩავიდოდით და საარსებო წყაროს გამოვუძენინდით... ისიც ჩვენთან რად იმეშავენდა, ლიტერატურულ კრებებში მონაწილეობას მიიღებდა და ჩისტობოლში იცხოვრებდა, სადაც ცდილობდა ჩაწერილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. უნდათ თავი დაეღწია მიყრუებული ელახუგაში (სხვათა შორის, ოლესლაც, 1915 წელს, თავადაც იქ ვცხოვრობდი. იქ არის ჩემი კამა, ჩემი ურალი) ალბათ ვერასოდეს შევიტყობ, გასაქირს თავი რატომ ვერ დააღწია, როცა იქვე იყვნენ ტრენიოვი და ასევე და ყველაფერს საყუთარი თვალით ხედდადნენ. ლაურეატები არიან, პრემიები აქვთ მიღებული, ვაგლენიანი ხალხია, თანაც ორივენი პატივსა სცემდნენ მარინა ცვეტაევას. მარინა გენიალური შესაძლებლობის პოეტი იყო. მე ისე ახლოს ვიცნობდი და ისე მიყვარდა, ისე მ-

ბორის პასტერნაკი
წერილები ძმართველ მიგზობრებს

წუხებდა მისი ბედ-იბადალი, რომ თუმცა მოსკოვში ვიყავი, ეს ამბავი კი აქ, კამაზე მოხდა და არაფერი ვიცოდი, მაინც დანაშაული მხოლოდ მე მიმიძღვის, ასე დაუდევრად რომ მოეპყრნენ.

აფინოგენოვის²⁶ სიკვდილის ამბავი შეიტყუეთ? ის და მისი ცოლი ინფორმბიტროში მუშაობდნენ და უკანასკნელ წუთამდე მოსკოვში იყვნენ, მერე სამსახურთან ერთად კუბინშევში გადავიდნენ. ორივეს ოჯახითურთ ამერიკაში აგზავნიდნენ რადიოსამსახურში. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ნოემბერში კუბინშევიდან მოსკოვს გაფრინდა ამერიკაში გასამგზავრებლად, საჭირო საბუთების ჩამოსატანად. როცა შევიდა იმ სახლში, სადაც მისი საბუთები ჰქონდათ, სახლს ფუტკასური ბომბი დაეცა და მიწასთან გაასწორა. ა. ნ. დაიღუპა. არ გახსოვთ? ახალგაზრდა, ნიჭიერი, ლამაზი! მათ ხომ ყველაფერი წინა ჰქონდათ.

ერთი თვის შემდეგ, თუ სწორად ვანგარიშობ, შევიძიებ ცოტათუნი ფული გამოგიგზავნოთ. მაგრამ თუ ძალიან გვიპირთ, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ და ახლაც გამოგიგზავნი. გკოცნით. დამიკოცნეთ ნიტა. რამდენს ვფიქრობდი თქვენზე, ვიდრე წერილის წერას შევუდგებოდი!

თქვენი ბორია.

ჩემი მისამართი: თათრეთის ასსრ, ქ. ჩისტობოლი, ვოლოდარსკის ქ. 75, ვავილოვების ბინა.

5. ა. ტაბიძის

10. XII. 48.

ძვირფასო ნინო!

თუ ამ წერილმა ახალ წლამდე მოგიწვროთ, გისურვებთ, რომ ახალ წელს ჯანმრთელნი და ბედნიერნი შეხვდეთ. სიყვითე გქონდეთ თქვენცა და ნიტას ოჯახსაც.

თავს ვერ ვაბატებ, რომ აქამდე მაღლობა ვერ გადავიხადეთ ამოდენა ვაშლის მეურნეობისთვის. რა არის ეს, ნინო! რაღაც კაპიკებს ვაწვდით... პაპიროსის საყიდლად რომ გეყოფათ. თუ ისევ ეწვევით... თქვენ კი ორი ათასის შაფრანს მიგზავნი.

შემოდგომის დამდეგს თქვენგან ერთგვერდიანი წერილი მივიღე. მერე ფრონტზე წავედი. მგონი, დღეშემა გამოგიგზავნიათ, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია. ასეთი რომ მოულოდნელი არც არის, რადგან რამდენიმე თვეა მე, ზინა, ლიონჩიკა და სტასიკი სხვადასხვა მხარესა ვართ და თანაც ადგილს ვიცვლით. მაგალითად, ზინა ჯერ პოგოლინებთან იყო შეხიზნული და მერე ტრენიოვებთან, მე კი ჯერ ქმასთან, ალ. ლეონიდის ქმასთან, და ბოლო 2-3 თვეს ასმუსებთან ვცხოვრობდი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ლავრუშინის შესახვევში ბინა აკლებული დაგვიჩნდა. ბინის ნახევარი მეზენიტეებს დაეკავებინათ... როგორ გავგიძინებდა იმათი გასახლება! ახლა ზინა ერთ თვეზე მეტია იქა ცხოვრობს (ბინის ქვედა ნაწი-

ლში), რამდენიმე დღეში ტელეფონს დაუკავშირდა და მეც გადავალო.

ფრონტიდან რომ დაებრუნდი, ზინა მოსკოვში არ დაშვდა. სვერდლოვსკში წასუტყავე სტასიკის ჩამოსაყვანად. მოსკ. ტუბ. ვაშტატი²⁷ ვაწვინეთ. თქვენი გამოგზავნილი ვაშლი მათი ჩამოსვლის წინა დღეს მოგვივიდა და სულ იმ საბრალოს ერთი. საწყალს ცალი ფეხი მოჰკვეთეს. ძალზე გაბხვინდა. ხერხემლის ტუბერკულოზი სჭირს და გამოუძეებით ჩაჩირქებები უჩნდება. ხშირად სჭირდება ჩაჩირქებათა გაკვეთა, სისხლის გადასხმა. ზინა მისმა დარდმა საშინლად ჩამოახმო და დააბერა.

ეგტ. ვლ. და ქენია ჩამოვიდნენ. ქენია ლეიტენანტი, სამხ. აქადემიაში. ტანკმშენებლობას სწავლობს და კარგი სახელიცა აქვს.

...ნინიკო, გოგლას უთხარი, რომ „ბრავდიდან“ ორჯერ მთხოვეს, მისი ლექსები მეთარგმნა. პირველი არ მომეწონა. მეორე ძალიან კარგია, მაგრამ თუ კვლავ თარგმნას მოვიცილე ხელი, უნდა კიდევ დავთმო დამოუკიდებელი პოზიცია. ახლა არსებობისთვის ისეთი ვამწვავებული ბროძოლა და ისეთ საყოფაცხოვრებო პირობებში ვარ, მთარგმნელობა მხოლოდ ზინას მომიტანს, რომ არა ვთქვა, დამღუპავს-მეთქი. მომიტეოს გიორგი ნიკოლოზის ძემ და ირწმუნოს, თუ დმერთმა გვაცოცხლა, წინანდებურად ყურადღებამა და სიყვარულს არ მოვავლებ.

ახლა თქვენს შესახებ. მომწერეთ წერილი, ნინიკო. რა თქმა უნდა, ეგოსტურად მიინდა, რომ ჯანმრთელი იყო და დიდხანს იცოცხლოთ. თავადაც ამასვე ვეცილობ და მსურს, ერთი და იგივე სახრუნავი გვექონდეს. ამას გარდა, იმდენი რამ გადავიტანეთ, ენით არ გამოითქმის. ვანუზომელი სიხარული, ცხოვრების მრავალი გამოცანა, ტრავმები და გაუგებრობანი, რაც წინა დღეებზეა, კუთვნილობაა ხალხისა, მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობისა, ვისგანაც ოდესმე შეეცოცხობთ იმას, რაც არ ვუწყობით, ეისაც უთმრავი რამ უნდა ვუამბოთ. ნინო, მანამდე უთუოდ უნდა გაგძლოთ.

მე თქვენ საკუთარი ოჯახის წევრების თანაბრად მიყვარხართ. რა თქმა უნდა, თუ დაგაქმნაყოფილებთ ეს გათანაბრება. ჩემი ოჯახის წევრად ვთვლით. ამიტომ არ მეპატიება, თქვენზე რომ არ ვზრუნავ. კიდევ გილოცავთ ახალ წელს. გკოცნით. დამიკოცნეთ ნიტა.

თქვენი ბორიხი.

5. ა. ტაბიძის

30. III. 44

ჩემო ძვირფასო მეგობარო ნინო, გკოცნით, გკოცნით. ამასწინანდელ წერალოში გულწრფელად გთხოვდით, გეპატიებინათ ჩემთვის, რომ თქვენგან შორსა ვარ და ამ ვაკირეების ქაშის მხარში ვერ ამოვიდებოდი. თქვენც კიდევ იმას ცდილობთ, ჩვენი გულისთვის ხარჯი გასწოთ, თანაც ისე გულუხვად, როგორცა



გჩვევით. ეს ფიქრადაც არ უნდა გავივლოთ. ასე გარეგნობდა... ამ დროს კი თქვენგან გამოგზავნილი საჩუქრების მთელი ქაზავანი მივიღე. ძლივს მოვასწარი სულის მობრუნება და ახლა ჩაით, მთელი ფული ყურძნით და შამპანურით დატვირთული შვიკივი მომადგა კარს. სკადრი-სი პატივი ვერც მივეუხედე იმ კეთილშობილ ადამიანს, ამოდენა ტიპით რომ ჩამოიტანა მოსკოვში ასეთი მოუგვარებელი მიმოსვლის პირობებში. თქვენს ბარათში პროფესორის გვარი გაუტყვევლად ეწერა. არც სასტუმროს შვიკივი იცნობდა მისი ვინაობა. პროფესორი ჩემზე ალბათ იფიქრებდა, ეს რა უმადური და უხეში ვინმე ყოფილა. არც ვერიკო ანჯაფარიძეს დარჩებოდა კარგი შთაბეჭდილება. ერთხელ თეატრში გვერდი-გვერდ მოვხვდით. ბოლო დროს ძალზე ბევრს ვმუშაობ (ამიტომაც წერილის მოწერას ვეღარ ვახერხებ), ხანდახან ისე გადავივლები, მოხუცებულს დავემგვანები და გულისყურიც მეფანტება. ალბათ ამ დღეში ვიყავი, როცა ვერიკომ მნახა. ჯერ ვერ ვიცანი. მერე თითქოს მეცნო, მაგრამ ვერ გავიხსენე, ვინ იყო და რა ერქვა. წარმომიდგენია, რა სასაცილო ვეჩვენებოდა. ამ ამბავს რომ მოგიყვებოდა, სრული უფლება აქვს, ცოტა გააზვიადოს კიდევ.

ნება მომეცით, არ დადგრო ჩემი ეგოიზმი. ამის უფლება მაქვს. ტიციანი სარკეა ჩემი სულისა, ჩემი მიმართება მიწისა და პოეზიისადმი, უბედნიერესი სიზმარია. რაც თქვენთვის არის ტიციანი, ჩემთვისაც ისაა. როცა თქვენი წერილიდან შევიტყე, რომ ტიციანი ცოცხალი ყოფილა, უნდა გამოგიტყდეთ, ვერ დავიჯერე ეს ბედნიერება. ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი ზამთრობით, ამ საშინელი ომის ყამს, მეჩვენებოდა, თითქოს ერთ დიდ შენობაში ვცხოვრობდი, სამყაროს რომ უწოდებენ და იქ ტიციანი აღარ იყო. ამ აზრს შევეგუე და ცხოვრება სულ სხვანაირი მეჩვენება. სწორედ ეს არის მიზეზი იმ ცვლილებისა, რაც ალბათ შემამჩნია ვერიკომ. უფრო კუშტი, ფხიზელი, მკაცრი შევიქნე. მაგრამ ამას კარგი მხარეცა აქვს. მწუხარებამ შინაგანად მომწესრიგა. კაცასიელი რომ იყო, ვიცნოდე. შურისძიების სურვილმა სახე დამიღარა და სიმკაცრის კვალი დამაჩინა-მეთქი. მაგრამ მე ისეთ საქმეს ვადგევარ, გულს მუდმივად სათნობა მიღობს და ყველაფრის მიტოვებას მკარანახობს. ამ დანაკლისთან შეგუებამ ჩემს ზნეობრივ სიმალღეს რამდენიმე გოჯი შეჰმატა და სიტყვათქმულ გამრჯე კაცად მაქცია, საქმით ვართულ, პირქულ „მოწყალების ძმას“ დამამსგავსა.

თუ იმას, რასაც თქვენ მწერთ, რაიმე საფუძველი მაინც აქვს, მაშინ ბედნიერება, ღვთის წყალობა, ისედაც ყოველ ნაბიჯზე რომ მაცვიფრებს, კიდევ უფრო უსაზღვრო ყოფილა. ამ ბედნიერებას იოლად ვერ შევეგუები, საამისოდ მზად არა ვარ.

წინა, საყვარელო, მამატივთ, რომ ყოველივე

ამას თქვენ გწერთ. ეს ალბათ მკრებელთავე ნაშრომი კუთარი ხორციის გლეჯაა — თქვენე ჩემი დროის მდენადმე მისიც. შემზარავია ისიც, რომ ასე იოლად, სხვათაშორის ვლამაჯავობ ამ უბედურებაზე. მაგრამ, სულ ერთია, მისი და თქვენი ცხოვრება, ბუნებასა და ისტორიაში დაკავებული ადგილის მიხედვით, ყველაფერი, რაც შექმნილი და რაც გამოაღვინეთ, — პოემაა. ყოველვარიანტში, ყოველგვარ პირობებში! ასევე ჩემი ცხოვრებაც! იგი ცრემლითაა გაზანაწილი, ბედნიერებისაა ეს ცრემლი, თუ მწუხარებისა — სულ ერთია. მომტივთ, მაგრად გიკრავთ გულში. თქვენი ბორია.

ბ. ი. ჩიქოვანი

12. VIII. 44.

ძვირფასო სიმონ! ხითაროვამ გადმომცა თქვენი მშვენიერი ლექსები: „იუვი“, „გვანცა“, „მერცხლის ბუდე“ და „აუა ფშველას ბუხართან“. მინდა, ვთარგმნო. როცა გამოვხახავ დროს და გავამზადებ, შეგატყობინებთ.

იცით, მე უარს არ ვიტყვადი თქვენთან ჩამოსვლაზე, მაგრამ ასე თვენახევრის შემდეგ, ნოემბრისთვის. თბილისში კი არა, სადმე სხვაგან... ეთქვათ, წინანდალში, ან ლიკანში... თანაც აუცილებლად ზინასთან და ლიონიჩასთან ერთად. ხედავთ, რა პრეტენზიები მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ამ ნატურას ასრულება არ უწერია და ეს მიმშვიდებს სინდისს. ალბათ მეცა და ზინასაც საოჯახო თუ სხვა საქმეები დაგვაბრკოლებს და დროს ვერ გამოვხახავთ. ყოველ შემთხვევაში გოცნებობ, თუ მოახერხებ, ხითაროვას ბჭკარელების თარგმნის შემდეგ ჩამოვიდე, თქვენს სიახლოვეს მთელი თვე გავატარო, ვწერო რაიმე საკუთარი, ანდა მხოლოდ წიგნი ვიკითხო და სხვა არაფერი ვაკეთო... ერთხელ კიდევ გიხდით დიდ მადლობას თქვენცა და მარიასაც ყველაფრისთვის. დამიკოცნეთ წინა, გიორგი ნიკოლოზის ძე და ეფემია ალექსანდრეს ასული. გრიშაშვილს და პიპინაძეს, გეთყავა, ჩემი მადლობა გადაეცით: მივიღე მათი საუცხოო წიგნები და ჰონორარი გრიშაშვილის თარგმნისათვის.

მაგრად გიკრავთ გულში, თქვენი ბ. პ.

ბ. ი. ჩიქოვანი

3. VIII. 45.

ძვირფასო სიმონ! ეს წერილი მარცხენა ხელით არის ნაცოდელიარი. მინდა გავავიწოვოთ, თორემ, მადლობა ღმერთს, მარჯვენა თითქმის აღარ მაწუხებს. ეს ეს არის შვად დავასრულე პენრიხი 27. ვენრიხზე მუშაობა რაც დავიწყე, ხელი მტკივა და ამიტომ თითქმის სულ მარცხენა ხელით ვწერდი. ახლა უნდა გა-

ბორის პასტერნაკი
წერილები ძარბიველ მიგმობრებს



დავათვრო (ჩემი შავად ნამუშევარს და გადათვრებული ტექსტი არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს, სულ სხვადასხვაა). ამ საქმეს კიდევ ორ კვირას მოვანდომებ და მერე მხოლოდ ბარათაშვილებზე ვიმუშავებ. თქვენი აკადემიკოსების ერთბაჟეფმა ძალზე ამაღლებული, ქებით ვასე დემეშა გამოიგზავნა, რაც არ დამიხასტრებია. თანაც კეთილშობილური მოკრძალება გამოუჩენიათ და დემეშისთვის ხელი არ მოუწერიათ. თქვენ ალბათ იცით მათი ვინაობა. ჩემს მაგივრად სულთა და გულით გადაუხადეთ მადლობა ასეთი პატივისცემისათვის. ზინა აღფრთოვანებული გაიძახოდა: „აი რაინდები! აი დიდსულოვნებო!“ ძვირფასო სიმონ, თუმცა ზინა მოწადინებულია, ჩემთან და ბავშვებთან ერთად გეწვიოთ, მაგრამ მეუბნება, რომ წამოსვლა შეუძლოთ. ის კი არა, ხელი კიდევაც რომ არ მომირჩეს (ახლა ისე აღარ მაწუხებს), მაშინაც კი ვერ ჩამოვლ წყალტუბოში, თუნდაც მარტო. ძალიან მიჭირს ადგილიდან დაძვრა და დროს ვაცდენა. ძალზე ბევრი გადაუღებელი საქმე დამიგროვდა: სამუშაო, ათასი საზრუნავი. ძალა კი აღარ მომდევს. საქართველოში ჩამოსვლა ჩემს შემოქმედებას არტახებს შეხსნის, თქვენსკენ გამოგზავრება ჩემთვის საკუთარ სულში მოგზაურობაა. ეს ჩემი, როგორც მხატვრის, სანუკვარი ოცნებაა და ამ ოცნების განხორციელებაზე უარს არასოდეს ვიტყვი. მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, მანდ ჩამოსვლა ერთი წლით კიდევ უნდა გადავდო.

გეთყავა, თუ შესაძლებელია და არ შეწუხდებით, ჩემი მინდობილობით „ზაკვიზს“ დაუღოთ ხელშეკრულება ბარათაშვილის თარგმანზე და აიღოთ ავანსად 25%. ნახევარი, რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, ნინო ტაბიკის შეაპარეთ ისე, რომ ვერც მიხედეს, ვისგან იღებს ამ ფულს. ნახევარი კი ფოსტით ან დემეშით ჩვენ გამოგვიგზავნეთ... მაპატიეთ, სიმონ, უსინდისობაა, რომ გაწუხებთ, მაგრამ თქვენ უკვე იცით, ეს უხეირო თვისება რომ მაქვს და თქვენს თვალში მეტად აღარ დავმადლებდი. თუ ჩემი თხოვნის შესრულება შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა ის პუნქტი დაცავით განსაკუთრებული მონდომებით. რაც ნინოს შეეხება. დიდი მადლობა წინასწარი შენიშვნებისათვის, ბარათაშვილის თაობაზე რომ გამოიგზავნეთ. მე სწორედ ეს მჭირდებოდა. გკოცნით. დამიკოცნეთ მარჩია. მომიკითხეთ ნინო, კირა,²⁹ ნიტა და ნატალია გიორგის ასული!³⁰ თავს კვლავინდებურად კარგად ვგრძნობ, საუცხოო გუნებაზე ვარ. დამიკოცნეთ ლუონიძე, გულითადი სალამი ეფემია ალექსანდრეს ასულს.

მარად თქვენი ბ. ბ.

ბ. ბ. ჩიქოვანს

ძვირფასო სიმონ!
 მივიღე თქვენი დემეშა ფურცლის თარგმანები და შეგაწუხებდით, მაგრამ მართლა გამიჭირდა. პენრიხზე მუშაობა ახლახანს მოვათავსე (ხელი მომირჩა), ვთარგმნე შეფენკოს ორი ლექსი და ორი დღეა, რაც ბარათაშვილს ჩაუტყეპი. უკვე ვატყობ, რომ დავძლევ.

გადავათავსიერე სპასკის, ლოზინსკის და სხვათა აღრინდელი თარგმანები ბარათაშვილის ლექსებისა (მოსკ. და ლენინგრ. გამოცემები). სხვათა შორის, გამოირჩევა გაფრინდაშვილი — ბარაქალა! ბუქარელის ყველა სიტყვით რიტმული კომბინაციის შექმნა უკვე სცადეს სხვებმა და ამის გამოვრება არ ღირს. რუსული ლექსები უნდა გავმართო, ისევე, როგორ შექსნირის, შეფენკოს, ვერლენის და სხვათა თარგმანისა ვაცეთებდი. ეს არის ჩემი მიზანი. თუ შეეძელი, მინდა შეექმნა რაღაც ახალი, მსუბუქი, მუხუბლუდავი. ვიცო, ბევრი გამოიმედავება. იტყვიან, ბარათაშვილი ძალზე თავისუფლად უთარგმნიათ, მაგრამ ეს არ მაშინებს.

რამდენიმე დღეა, თარგმნა დავიწყე და კმაყოფილი ვარ ჩემი ნამუშევრით: ბოლო წლებში არჩეული წერის სტილის შეცვლა არ დამპირებია, პირიქით, ბარათაშვილის წყალობით რამდენიმე ნახაჯი კიდევ გადავდგი იმავე მიმართულებით. მალე დავამთავრებ. მიყოლებით ვთარგმნი ყველა ლექსს. მინდოდა, ვითი კვირის შემდეგ თქვენთვის კრებულის ნახევარი გამოგზავნა, მაგრამ ქუჩაში ბალაშოვის ცოლი, მ. თ. მალაშკინა შემეზღა და წიფის პირველი მ გვერდი გამოვტანე. ბათუმში მორიან და ელენტი ჩამოვტანენ. ელენტი კი თქვენ გადამოგეშთ. ეს მ გვერდი შეინახეთ, დანარჩენსაც თანდათან გამოგზავნით „ზაკვიზისთვის“.

იქნებ ეს თარგმანები სათუბილუოდ რუსულ გაზეთებშიც გამოაქვეყნოთ?

ნახვამდის, სიმონ, გკოცნით. მომიკითხეთ მარჩია, ნინო, გოგლა. ეფემია ალექსანდრეს ასული და სხვები.

თქვენი ბ. ბ.

ბ. ბ. ჩიქოვანს

ძვირფასო სიმონ! რაღაც არ გიგზავნებთ დღეს: ბარათაშვილს დახვეწილი წერილით, დემეშის ამის შესახებ და, აი, ამ ღია ბარათს. ახლა გაიფიქრე, მოსკოვში გამოცემული „ბელი ქართლისა“ ძალზე კარგაა-მეთოთ. განსვენებულ ვალერიანის თარგმანი ლექსთწყობით „კავკასიის ტყეეს“ და „ბახჩისარაის შადრევანს“ მაგონებს. ჩვენთან ამას ვერავინ შეძლებდა. თარგმანს ანტოკოლსკის³¹ კარგი წინასიტყვაობა აქვს დართული. ვანა საჭიროა ხელახლა თარგმნა? რამდენი დრო და შრომა დამეხარჯება... იქნებ ძვე-

ლი თარგმანით დაცემყოფილდეთ. დაუყოვნებ-
ლოვ მიდებუებით, რას ფიქრობთ.

თქვენი ბ. პ.

ნ. ა. ტაბიძის

1. XI. 45.

ძვირფასო ნინიო! ხომ ხედავთ, როგორი
ძუნწი ვარ, — ტიციანის ქალღმერთს არ გწერთ.
თავს დამნაშავედ ვგრძნობ თქვენს წინაშე. ჭერ
ერთი; ხეირიანად მადლობაც ვერ გითხარით
საჩუქრებისათვის. გამომგზავრების წინ, იმ ფუს-
ფუსში ვერც მივხვდი, ამდენ რამეს თუ მატან-
დით. შინ კი, ბარგი რომ გავხსენი, ელდა მეცა.
პირდაპირ სირცხვილით დავიწვი. ის კამპიები,
მე რომ დაგიტოვეთ, ალბათ ამ საყიდლებს მო-
ანდომეთ. ზინას ცრემლი მოერია, ლიონიკამ
კი სისხარულისაგან ცეკვა დაიწყო. ეს როგორ
დამემართა, სიჩქარისაგან რომ ვეღარავფერი
გითხარით. მართლა, მართლა, ძალზე მაწუხებს
ეს ამბავი. დარწმუნებული ვარ, თქვენც უკმა-
ყოფილო ხართ, ბოლო დღეებში ისე უყურად-
ღებოდ გექცეოდით. მეორე: ორშაბათს, 29-ში
გავიგე, რომ აღარ მიფერინავდით (გახსოვთ, წი-
ნა ღამე ლუთნიძეებთან გავატარეთ), გადაე-
წყვიტე, უკანასკნელი საღამო ჩემთვის წყნარ-
ად გამეტარებინა და აუცილებლად ერთხელ
კიდევ მენახეთ. მაგრამ ძალით წამიყვანეს სა-
გურამოში და თბილისში დამის 3 საათზე დავბ-
რუნდი. აგროდრომზე წასვლამდე 2 საათიღა
იყო დარჩენილი. საგურამოში ცოცხალმკვდარი
ჩავედი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. აქეთო-
ბას ეფემია ალექსანდრეს ასული ბევრს მღე-
როდა და ერთი მშენიერი, ლაბირინთივით დახ-
ლართული შეგრული სიმღერა (ოუ რაღა) მას-
წავლა. ახლა, როცა მანდ ზღაპრულად გატარე-
ბულ ორ კვირას, ეფემია ალექსანდრეს ასულს
და თქვენ გიგონებთ, სულ ამ სიმღერას ვიდი-
ნებ. მომიკითხეთ ნიტოჩკა, როგორ მიწოდდა
მისი ნახვა, რაღა მაშინ არ იყო ქალაქში.

კიდევ რა გითხრათ, ნინო? აი, ისევ მოგი-
ნახულეთ; ოდესღაც განცილები და შეცნობი-
ლი ახლა უფრო მარტივად, მაგრამ ძალუმად
განივცადე და შევიცან. რაც იმარჯვებდა, და-
მარცხებდა; რაც იშვიათი იყო, ახლა ერთადერთი
შეიქმნა.

გული მომიკლა განშორებამ თქვენთან, სი-
მონთან, გოგლასთან, მათ ძვირფას ოჯახებთან
თუნდაც სასტუმროსთან, სასტუმროს წინ დაგე-
ბულ ასფალტთან, სადაც დიდხანს იდგა სიმონ-
ნის ვილისი, ეფემია მღეროდა და ჩვენ ერთმან-
ნეთს ვეხმობოდით.

მე და საბარალო სტეპანოვს თვითმფრინავში
სავარძლები არ გვერგო. მთელი გზა ჩემოდნებ-
ზე ვისხედით. ის დედაკაცები კი წამდალწუმ
ფულსა მთხოვდნენ და რასაც დაინახვდნენ,
ყველაფერს ხარბად ყიდულობდნენ. მერე გუ-

ლი ავრიათ და მთელი სიამოვნება ჩამწარდათ.
თბილისიდან ისე წამოვედი, ზინა დეგემით არ
გამიფრთხილებია. იგი პერედელკინოში წასული
ყო, ხოლო სტასიკი — კონსერვატორიაში, გა-
საღები არა მქონდა. ბარგი მეზობლებს დავუ-
ტოვე და ყენიასთან წავედი ტერვის ბულვარ-
ზე. იქაც სამგზავროდ ვშვადლებოდნენ. ყენია
დილაადრიანად ზანაყად უნდა წასულიყო. საყ-
ვარელ აღმამანებთან და ადგილებთან ნაადრე-
ვად, იძულებით განშორებულ ყმაწვილივით
გულდამძიმებული მივდიოდი მოსკოვის ქუჩებში
და სულში შეგრული სიმღერა ხშირანობდა. მივ-
დიოდი და ვფიქრობდი, რატომ წამოვედი-მეთ-
ქი. უფრო მეტიც, მეჩვენებოდა, თითქოს მოს-
კოვენი ნამდვილად არც დაებრუნებულვარ, სუ-
ლით და გულით მანდ დავრჩი, თქვენს სახლ-
თან ახლოს, ელექტრონის შუქით განათებულ
ასფალტზე, სასტუმროს წინ, ჩიქოვანებთან და
ლეონიძეებთან ერთად.

ამ წერილს პერედელკინოდან ვწერთ. ეს-
ეს არის ჩამოვედი. ყველანი კარგად არიან, მო-
ვივითხეს. მადლობას გითვლიან. ზინა ქალაქში
წავიდა, სახლს უნდა მიხედოს (რემონტი ჭერ
არ დაგვიმთავრებია). აგარაკზე შეშა გამოგვე-
ლია. წერილის წერა დავიწყე და სინათლედ
ჩაქრა. მაგრამ არა უშავს, ღვთის შეწევნით ყვე-
ლაფერს მოვაგვარებთ. ხეალიდან შევეუღდეგი
ჩემს ძირითად, ყოველდღიურ სამუშაოს, მაკ-
ბეტის ან ლირის თარგმანს დავიწყებ. თბილი-
სში ძალზე კარგად ვგრძნობდი თავს. იმიტომ
კი არ ვჩიოდი, ამდენმა ქეიფმა და ღამისთევამ
დამაშინა-მეთქი, რომ ჯანს ვუფრთხილდებო-
და. თურმე ნამდვილი ღამის ფრინველი ვყო-
ფილვარ, უძილობამ ვერაფერი დამაკლო. უბ-
რალოდ, კარგი იქნებოდა, განმარტების საშუ-
ალები მოეცათ. მაშინ მართლა შეეძლებდი, რაი-
მე გონიერული მეთქვა ჩემს საღამოებზე და მე-
გობრებთან შეხედრისას. თორემ, რა გამოვი-
და, თავად შთაბეჭდილებებით ავიხსე, ორი კვი-
რა თითქოს სიყვარულის ზღვაში ვცურავდი,
სამაგიერო კი ვერავის მივუზღე. ახლა კი, თუ-
ცა გვიანია, ამის გამო უნებურად სინდისის
ქენჯნას ვგრძნობ.

თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, ვაზაფხულზე
ისევ გესტუმრებთ. ამას მაშინ შეეძლებ, თუ
ზამთარში ნაყოფიერად ვიმუშავებ. მინდა, პროგ-
რამა გავაფართოვო, შექსპირით და ახალი ლექ-
სებით შევივსო და საღამოები გავმართო ლე-
ნინგრადში, მოსკოვში და ლქვენთან. ასე რომ.
მისურვებთ, ამ ზამთარს მუყაითად ვიმუშაო და
საქმე წარმატებით დაეასრულო. ძვირფასო მე-
გობარო, ერთხელ კიდევ ვახსოვ მადლობას
ყველაფრისათვის, რაც თქვენთან ყოფნამ შე-

ზორის პასტერნაკი

წერილები მართხიმელ მებობრეზს

ძინა, იმისთვის, რომ ამქვეყნად არის ერთი შე-
სახვევის დაჩრდილული კუთხე, საიდანაც სადა-
მო ეამს შემძლია ამოგახათ: „ნინო!“ და იმ
წუთში, როცა ფანჯარა გაიღება, უსაზღვრო
ბედნიერება განვიცადო. ალბათ ამასვე მიეწერ
სიმონს და გოგლასაც. მანამდე კი მომიკით-
ხეთ და დამიკონენთ ყველანი.

თქვენი ბორია

ს. ი. და მ. ნ. ჩიქოვანებს

5. XI. 45.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო სიმონ და მარი-
კა. ეს წერილი რომ თქვენთვის საინტერესო
ყოფილიყო, მინდოდა, შიგ „იჭვის“³² თარგმან-
ნიც ჩამედო, მაგრამ არ ვიცი, ბოლო წლებში
ჩემს ხელნაწერებს რა ემართება. შვადდე მხო-
ლოდ ნაწილობრივ ვწერ და არც ვინახავ, თეთრს
კი რედაქციიდან არ მიბრუნებენ. ერთი სიტყ-
ვით. ჩემს ქალაღლებში „იჭვი“ არ აღმოჩნ-
და. ლიტ. ვახუთის რედაქციაში მომიძებნიან და
როგორც კი დამიბრუნებენ, მაშინვე გამოვიგ-
ზავნით. ალბათ დღესასწაულების შემდეგ. ამას
გარდა „სიგორცე ქვეყნისა“³³ მინდოდა გამოგე-
ზავნა, მაგრამ აღარსად იშოვება. კრუჩონიხი ან-
ტიკვარულ მალაზიებში მომიძებნის და გამოვიგ-
ზავნით.

თვალწინ მიდგას თქვენი სახლი. თქვენი სუფ-
თა, ნათელი ოთახები. სამად განშტოებულია
ქალაქის დიდებული პანორამა. რა გონივრულად,
ნიჭიერად, თვითდაჯერებულად და თანაც უბ-
რალოდ ცხოვრობთ! ზურციკო თავს გვერდზე გა-
დახრის, თვალებს მოჰუტავს და ტიტინებს:
დარ... ალო. სინანულისაგან გული მეკუმშება,
ყოველივე ეს რომ მივატრევე და წაშოვდი.

ტფილისში უქანასკნულად ყოფნის ძალზე
დაგიახლოვდით. არ დაგიმალავთ: თქვენ ჩემი
აღიარება დიდი ხანია ჰპოვეთ. ჩვენი მეგობრო-
ბა თანადათან მტკიცდებოდა. მაგრამ ყოველ-
თვის მიჰიჭრდა, ჩემი გრძნობები გამოემხატა ისე-
თი ხალისითა და აღტაცებით, როგორც ჩვენს
წრეში სჩვევიათ... მიხარია... რომ თქვენ ნამ-
დვილი, ხალასი მხატვარი ხართ. ჩვენ ყოველთ-
ვის მხარში. უნდა ვედგეთ ერთმანეთს.

ვწერ ამას და თან საოცრად ვღელავ. მინ-
და, ერთხელ კიდეც სულითა და გულით გადა-
ვიხადოთ მადლობა იმისათვის, რომ სიხიფის
ჯაფა გასწვით. ჩვენმა ჩამოსვლამ ხომ უამრავი
საზრუნავი გაგჩინათ. თქვენი წყალობით ეს
დღეები წარმტაცად, ბედნიერად გავატარე. იცო-
დეთ: ამქვეყნად ცოტა რამ გაახარებდა ჩემს
გულს ისე, როგორც თქვენი და მარიკას დამსა-
ხურებელი წარმატება და ბედნიერება გაახა-
რებს. დამიკონენთ ძვირფასი სერგო, ყოველივე
კარგს ვუსურვებთ თქვენს საყვარელ შინაუ-
რებს. გკონით თქვენი ბორისი.

ს. ი. ჩიქოვანს

ძვირფასო სიმონ!

ქალაქში გადასასვლელად რომ ვეწინააღმდეგებო-
დი, ქალაღლები გადავსინჯე და ვიხივე, რომ
ვე. ვეღარ ვავიხსენე, საბოლოო ვარიანტია თუ
არა. ბეწარედიც არა მაქვს, რომ შევამოწმო,
ძალიან ხომ არ გადავასხვავებ. ცოტათი კი
ალბათ ვანზრახავ გავამართლებ. სხვაგვარად არც
შემძლო. ეს კვალი ახლა ჩემს ყველა თარგმანს
ეტყობა. ბოლო დროს კომპოზიციის სინათლეს
და მოძრაობის სიმსუბუქეს მეტ ყურადღებას
ვაქცევ. ვიდრე ხატოვნებას, ემოციებს და სხვა
დეტალებს. ჩვენ ერთმანეთთან ისე გულახდილ-
ნი ვართ, თუ თარგმანი არ მოგწონებთ, უთუ-
ოდ მომწერთ და მაპტოფი გადავასხვავებ.
მეტად ალბათ ის სტროფები გადავასხვავებ.
ვაქა ვშვეელაზე რომაა. მაგრამ, როგორც ვით-
ხარით, ვეღარაფერს შევუღარებ. თუ არ დაი-
წუნებთ და თქვენი სურვილიც იქნება, კორნეეც
მიეცი თ „ზარია ვოსტოკაში“ დასაბეჭდად.

თბილისში ჩემს ყოფნას კუფტინებთან გაგ-
ზავნის წერილში მისტერია ვუწოდებ. იმ დღე-
თა გახსენება ჩემს გულში სიყვარულისა და
სევდის ისეთ მოზღვავებას იწვევს, რომ ამის გა-
მოსახატავად უფრო შესაფერი სიტყვა ვერ მი-
პოვია. გაზაფხულზე უსათუოდ კიდევ უნდა ჩა-
მოვიდე. მომიკითხეთ ნინო, ლეონიძე, მანდ
დარჩენილი მოსკოვლები, გუდიაშვილი მეუღ-
ლითურთ. დამიკონენთ სერგო,³⁴ მარიკა და
ყველა თქვენიანი.

გულში გიკრავთ თქვენი ბ.

ს. ი. ჩიქოვანს

1. II. 46.

ძვირფასო სიმონ! მიიღეთ თუ არა ჩემგან
გამოგზავნილი დაზღვეული წერილი მინდობი-
ლობებით და „შერცხლით?“ ვთარგმნე ლექსა-
ნილიც და სამივე ლექსი („იჭვის“ ჩათვლით,
რომელსაც სათაური შევუტყვალე, „სამუშაო“
დავარქვე) იქნებ „პრავდაში“ დავაბეჭდინო. გე-
თაყვა, წერილს როცა მომწერთ, გამახსენეთ.
თქვენი რა და რა ლექსი ვთარგმნე. შუა პერი-
ოდის ლექსები (მეთევესთან ერთად) გამოქვეყ-
ნებულ არასოდეს მინახავს და არც ვიცი, რამ-
დენია და სად არის გაბნეული. გოგლასაც უთ-
ხარით, თუ უნდა, თავისი პატარა ლექსებიდან
შეარჩიოს რამდენიმე ყველაზე უფრო სადა,
ხატოვანი, უტენდენციო ლექსი. ქართული ლექ-
სების თარგმანთა კრებულში (თუ გამოცემა შეე-
ძელი) მის ლექსებსაც შევიტან. ბოროდინს თქვე-
ნი წერილი ალბათ არ მიუღია, რადგან იარკვე-
მა არაფერი იცის ამ წინადადების შესახებ.
თქვენი წიგნი მოსკოვის რომელ გამოცემილო-
ბაში უნდა გამოვიდეს? სად მივიტანო ახალი
თარგმანები?

ლეონიძეს ჰკითხეთ, დაადგინეს თუ არა ბა-

რათაშვილის სათუთ დაგეროტიში. „ოგონიოკი“
ჩემს თარგმანს ცალკე წიგნაკად უშვებს და
კარგი იქნებოდა, პორტრეტები ჰქონოდა დართუ-
ლი. მომთხოვეს კიდეც, მაგრამ 1938 წლის გა-
მოფენის ყალბ, შეღამაზებულ სურათს ხომ არ
მივცემდი? ლუონიძისათვის დეპეშის გაგზავნას
აპირებდნენ, მაგრამ დაეარწმუნე, რომ ამ საქ-
მეს ასე იოლად ვერ მოაგვარებდნენ. თუ გოგ-
ლას რაიმე მოსაზრება ან წინადადება აქვს ამის
თაობაზე (ბარათაშვილის იკონოგრაფიის თაობა-
ზე) „ოგონიოკს“ მისწეროს. იქნებ გოგლამ
პორტრეტი გამოგვიგზავნოს და თრიოდ სიტყ-
ვაც მოგვაწოდოს ამ პორტრეტის შესახებ. ან
იქნებ ლადოს პორტრეტი მივცეთ. ანდა იმ ახალ-
გაზრდა მხატვრისა, პიონერთა სასახლეში რომ
ენახეთ (გვარი დამივიწყდა, ბარათაშვილი ლურ-
ჯი მთაწმინდის ფონზე, ზეთი).

ამ დღეებში „სოვეტსკი პისატელისთვის“ ვაე-
ფშვევლას სტრიქონების დათვა და დამპირდა და
„პართველი ლირიკოსები“ გადაეთავლიებოდა. 10
წელია ხელი არ მიხლია და განვეციფრდი,
კვლავ როგორი სიხალისითაა სავესე, როგორი სა-
ინტერესოა ბალოლი!!! დარწმუნებული ვარ, რი-
სი იმედიცა ჰქონდა და რისი ღირსიც იყო.
აქამდე აუხდებოდა. ალბათ მოუთმენლობამ გა-
აწამა და დაღუპა კიდეც.

წუხებდ მთელი დამე ტიცინი მესიზმრებო-
და, უამბეთ ნინოს. ვითომ დამეს ვათევი მთ-
თან, სადღაც მთაში. ჩვენი მთები არ იყო, შეეი-
ცარიის მთებს უფრო ჰგავდა. საუტხოო, სუფთა,
კარგად მოწყობილ სახლში ვიყავით. იმ ოთახს,
სადაც მე მეძინა, წინ აივანი ჰქონდა. თენდებო-
და, ოთახში კი ჭერი ისევ ბნელოდა. კედელზე
გოგონიობის მწვანე შალგერი იყო გაკრული.
მეორე ოთახიდან ტიცინის ხმა მოისმოდა. ძალ-
ზე მნიშვნელოვან, კარგ ამბავს მიყვებოდა. თან
ეტყობოდა, ტანთ იხდიდა. თითქოს ეჩვენებო-
და კარგად ვერ ვუყვებოდა და სიტყვებს ეძებდა.
აკიანურებდა. ნინო კი ნერვიულობდა და აჩ-
ქარებდა. ძალზე ნათელი, ლაღი სიზმარი იყო.

მაგრად გვოცნით თქვენ და ყველა თქვენი-
ნებს.

თქვენი ბ.

ბ. ი. ჩიქოვანს

15. III. 46.

ძვირფასო სიმონ!
მიღებუთ თუ არა თქვენ და მარია-
კა მოსკოვის ჩამოსვლას, თუ ჭერ არა? გოცინით
კოლექტიური დეპეშისათვის, „ოგონიოკის“ მიერ
გამოცემული ბარათიშვილის განაწილების შესა-
ხებ რომ გამომიგზავნეთ. მაღლობას გიხდით მა-
ნამდე გამოგზავნილ წერილისთვისაც. თუ თავს
კარგად გრძნობთ და არ გაგიჭირდებთ, გადა-
თვალდით „ოგონიოკის“ გამოცემული წიგნა-
კი თქვენს ვარიანტთან შედარებით ბევრი რამ

(„საყურე“, „ჩჩილი“, „სული თბოლი“ და სხვ.)
შევაწორო და საბოლოო რედაქციად ვთვლი.
ვიტია გოლცევი წუხს, სოლ. ლეონიძის
ბი ზუსტად არ არის თარგმნილი და ცუდი
რი დამახინჯაო. მაგრამ ეს ხომ საწმინდო
აქტი არ არის. ლიტერატურასთან რა აქვს საერ-
თო? მე ეს ამბავი არ მაფიქრებს. გადახედეთ
„ოგონიოკის“ ვარიანტს, თუ მეთანხმებით და
თქვენც საბოლოო რედაქციად მიგაჩნიათ, მის-
წერეთ ვიტისა, დაამშვიდეთ...

მთელი იენისი ქალაქში გავატარე, შექსპი-
რის ჩემუელი თარგმანისთვის წინასიტყვაობას
ეწერდი. ძალიან მეშინოდა, არ ჩავეთრე ცრუ-
მეცნიერულ მრავალსიტყვაობას, ყოველთვის
თან რომ ახლავს ასეთ დიდ, მარადიულ თე-
მას. ეფიჭობდი, ამ დახლართულ გორგალს რა-
იმე სახეცელილ ხეუელს თუ დაუშობებ-მეთ-
ქი. წარმოიდგინეთ, ამ ხიფათს თავი დაეაღწიე!
შევეძლი, ძალზე უბრალოდ, გასაგებად მეტყვა
ბევრი რამ, რაც შექსპირის თარგმანისას შევი-
ცან, თანაც ყოველივე ერთ ნაბეჭდ თაბახზე და-
მეტია! გოგლას სთხოვეთ, ჩემი გამოგზავნილი
თარგმანები გიჩვენოთ. მიბასუხეთ დეპეშით.
იყავით ჭანმრთელად. უმჯობესი იქნება, თუ ჩა-
მოხვალთ, თანაც რაც შეიძლება მალე. ჩამოდით
ჩვენთან. პრეტენდელიწონში. ადგილი საკმაოდ
გვაქვს. სიწყნარეა.

გოცინით, თქვენი ბ.

ბ. ნ. ლეონიძეს

31. III. 46.

ძვირფასო გიორგი ნიკოლოზის ძე!
მ. ი. ზლატკინისგან დღეს თქვენი წერილი და
ბჭკარედები მივიღე. დიდი მაღლობა. მშვე-
ნიერა ლექსებია, ღრმა განწყობილებით სავესე.
გმაღლობთ... აუცილებლად გამოვიყენებ.

სამწუხაროდ, მოსკოვის გამოცემისათვის ამ
ლექსების თარგმანს ვეღარ მოვასწრებ. უამრა-
ვი საქმე მაქვს, კრებულ კი უკვე იბეჭდება.
თქვენი ლექსების რუსული გამოცემისათვის
უთუოდ გავამზადებ. ვწუხვარ, რომ ეს ბჭკარე-
დები თებერვალში ხელთ არ მქონდა. ბარათა-
შვილს ვასწორებდი და ჩიქოვანის რამდენიმე
ლექსიც ვთარგმნე. მაშინ თქვენთვისაც მოვიც-
ლიდა. ავი მოგწერეთ კიდეც. თუმცა, სულ ერ-
თია, არაფერი წვაგივით. ვეცდები, ეს ხარვეზო-
მომავალში შევავსო; ადრე იქნება თუ გვიან.
ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მიხარია, რომ თქვენი ოჯახი გრიბს იოლად
გადაურჩა. მე კი, ღრმა სიბერის გამო ასეთი
ახალგაზრდული სენი აღარ მემართება.

გულთბადი სალაში ეფემია აღექსანდრეს
აბულს და ყველა თქვენიანს. ზინაიდა ნიკოლო-

ბორის პასტერნაკი

წერილები ჰართველ მიგობრებს

ზის ასული მადლობას გითვლით მოკითხვისათვის (და მდებლად გიკრავთ თავს.

თქვენი ბ. პასტერნაკი.

6. ა. ტაბიძის

22. XII. 46.

ძვირფასო ნინიო!

ამ წერილთან ერთად ადრე დაწერილ წერილსაც გიგზავნით. ერთ თვეს მედო შინ. მინდოდა, ნინო ოსიპის ასულ გუდიაშვილისთვის გამოემეტანებინა. გულით მეწადა მისი ნახვა. შესანიშნავი ქალია, ჩამოყალიბებული ხასიათი აქვს, ნამდვილი ადამიანობის, პიროვნულობის ბეჭედი ახის. იმ დღეს, როცა უნდა მენახა, ვერ მოვიცალე. მეორე დღეს კი ავად გამხდარა და წამოსულა. პოდა, წერილი გამოუგზავნელი დამარჩა.

სიმონსა და მარიკას ხშირად ვნახულობთ, ჩვენს ამბავს ისინი მოგიყვებიან. როგორ ვცხოვრობთ?... ალბათ ბედს არ უნდა ვემდუროდეთ. ან იქნებ უნდა დავემდუროთ კიდევც... არაფრის თქმა არ ძალმიძს, ისე ვარ დაბრმავებული შინაგანი ბედნიერებით, საკუთარი არსებობა რომ მანიჭებს.

ზეგ ჩიქოვანები ტფილისს მიდიან. დილას გავიფიქრე თუ არა, რომ ორიოდ სიტყვას მოგ-

წერდით და კონკანს შემოგივლიდით, გულჯავრი შემომაწვა ნიტონკას გამო. როგორ მადარდებს მისი გაურკვეველი მდგომარეობა... საშინელებაა, ასეთი ეგოისტობა... მჭიდროდ მისი თარი თაყით რომ ვარ გართული. ალბათ დიდ ცოდვას ჩავდივარ ჩვენი შვილების წინაშე.

რადგანაც იმ სასიყვარულო სიტყვებს, ჩვეულებისამებრ რომ გეტყვით, მიკარნახებს პირადული, სამართლიანობით განუწყენდელი თრობა თქვენი ოჯახით, თქვენი ქუჩით, თქვენი ქალაქით, უდიდესი კელაპტრის მოძრაე, ცხოველმყოფელ ალად რომ მესახება... და თქვენც ხომ ამ ალის უმგზნებარესი ნაწილი ხართ. ნინო, მე თქვენ უსაზღვროდ მიყვარხართ, მაგრამ ისეთი სულელი, ისე უნიჭო ვარ, რომ ეს თქვენ არ იცით. ვერც შარშანდელი სტუმრობით შეგმატე რაიმე ამ უცნობლობას.

ამქვეყნად თავს ასე ბედნიერად მაინც რატომ ვგრძნობ? ეს ამბავი ისეთი საოცარი, ისეთი შეუცნობელია, ლამის აუტირდვ. იმ ნაბოღვარის მიხედვით, რაც ამ წერილში საკმაოდაა შეჩვენება, რომ თქვენ ჩემზე უკეთ უწყით, რას მიშხადებს ბედისწერა. თითქოს ლმერთები, ვიდრე ჩემს ბედს გადაწყვეტდნენ, თქვენ გეთათბირებოდნენ, როგორც გულთამხილავ სიბილას.

თქვენი ბორისი

თარგმნის ლევან ბოლქვაძემ, ზვიმ კიკილაშვილმა

გაგრძელება იქნება.

შენიშვნები

- 1. გ. ი. ჩულკოვი — რუსი მწერალი.
- 2. ე. ე. ლანსერე — მხატვარი.
- 3. ნ. ნ. ასევეი — რუსი პოეტი.
- 4. ნიტონკა, ნიტა — ტანით ტაბიძე, ტ. ტაბიძის ქალიშვილი.
- 5. ზ. ნ. პასტერნაკი — ბ. პასტერნაკის მეუღლე.
- 6. „მფარველობის სიგელი“ — ბ. პასტერნაკის ავტობიოგრაფიული შოთხრობა.
- 7. მ. იაშვილი — პ. იაშვილის ქალიშვილი.
- 8. ა. პ. ნეიგაუზი — ზ. ნ. პასტერნაკის უფროსი შვილი პირველი ქმრისაგან.
- 9. სტრიქონი პ. იაშვილის ლექსიდან „მაგიდა ჩემი პარნასი“.

- 10. ე. ლ. ანდრონიკაშვილი — ქართველი ფიზიკოსი, საქართველოს სსრ ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.
- 11. პ. მ. ფოლიანი — იმ ხანად „ზაკვიზის“ მთავარი რედაქტორი.
- 12. გ. ე. ბეზუთოვი — საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე.
- 13. ვ. გოლცევი — საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე.
- 14. ანდრეი ბელი — რუსი მწერალი.
- 15. ბ. ი. კორნეევი — კრტიკოსი, ჟურნალისტი, გამოცემლობის მუშაკი.
- 16. ა. ბელის მეუღლე.

17. იგულისხმება ტ. ტაბიძის ლექსი „ოქრო-
ყანიდან“.
18. ვ. ა. ლეონიძე — გ. ლეონიძის მეუღლე.
19. ევგენია ვლადიმერის ასული მურატოვა —
ბ. პასტერნაკის პირველი მეუღლე.
20. იგულისხმება ფორმალიზმზე დისკუსიასთან
დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები.
21. სოფიო ანდრეის ასული ტოლსტაია —
ლ. ნ. ტოლსტოის შვილიშვილი, ს. ესენინის
მეუღლე.
22. თ. გ. იაშვილი — პ. იაშვილის მეუღლე.
23. პ. იაშვილის პატივსაცემად.
24. ი. ლ. ანდრონიკოვი და მისი მეუღლე ვ. ა.
ანდრონიკოვა.
25. ს. ჩიქოვანი და ე. გულდვეგი.
26. ა. ნ. აფინოგენოვი — ტუსი დრამატურგი.
27. შექსპირის პიესა.
28. ნ. ბარათაშვილის თარგმანსა და
ხელი მოჰკიდა ს. ჩიქოვანის ინიციატივითა
და დახმარებით.
29. კ. გ. ანდრონიკაშვილი — ქართველი მსა-
ხიობი.
30. ნ. გ. ვაჩაძე — ცნობილი კინომსახიობი.
31. პ. გ. ანტოკოლსკი — რუსი პოეტი.
32. ს. ჩიქოვანის ლექსი.
33. ბ. პასტერნაკის ლექსთა კრებული.
34. ს. კლდიაშვილი — ქართველი მწერალი.
35. ნ. ო. გუდიაშვილი — მხატვარ ლ. გუდიაშ-
ვილის მეუღლე.



არლი თაყაიფვილი

«ილიოტეა» რა ქნა

(თანამედროვე ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, სხვაზე ნაკლები ვინ უნდა ყოფილიყო, ან რატომ უნდა ყოფილიყო. იყო ერთი დიდად შეძლებული ქართველი. ჩვენი საქმე არ არის, რა გზებით და ბილიყებით გახდა იგი შეძლებული. საინტერესოა ის, რომ უზომოდ უყვარდა წიგნი (სხვათა შორის, ამ სიყვარულმა გადააკეთებინა გვიარი წიგნმედ, თორემ წარმოშობით ციგნაძე ვახლდათ). როდესაც მის კოლეგებს დანაზოგი სახსრები ოქროს სამარილებსა და საშაქრებზე გადაჰყავდათ, წიგნაძე წიგნის მაღაზიაში იღვა და სათავგადასავლო რომანების სერიაზე აწერდა ზელს. „რა მშვენიერი ბიბლიოთეკა აქვს!“ — აღტაცებას ვერ მალავდნენ სტუმრები და მასმინტელსაც ისე ეპირა თავი, თითქმის ტოლსტოი თუ ბალზაკი მისი ჰბატუკობის დროის ფსევდონიმი ყოფილიყოს.

მაგრამ წიგნაძის ინტელიგენტობას ერთი დაბრკოლება ედგა წინ: სასტიკად არ უყვარდა კათხვა. წიგნს „თხა და გიგოს“ გმირივით თუ დაიჭერდა ზელში, ასიც ძილის პროცესის დასაჩქარებლად. ის კი არა, ლოზუნგი: „შეიძინეთ წიგნი, იგი ცოდნის წყაროა“, ბოლომდე არ ჰქონდა ჩაითხული. წიგნი მისთვის ისეთივე სამკაული იყო, როგორც ბიანინოზე შემომწერივებული მთვლემაჩე სპილოების ქარავანი. მათი პატრონი საოცრად წააგავდა ასანთის კოლოფების ნორჩ კოლექციონერს, რომლისთვისაც მთავარია ფორმა-ეტიკეტი და არა შინაარსი — ცეცხლი.

და ერთ მშვენიერ დღეს მოხდა სასწაული:

წიგნაძის ტყეობაში მყოფი კლასიკოსები ალაპარაკდნენ.

— რას გავს ეს. ვის ზელში ჩავვარდით. — აღშფოთდა გოეთე.

— ასე მგონია, ჯოჯოხეთში ვარ. — აჰყვა მას დანტე.

— წაითხვას ვინ ჩივის, სარჩევშიც კი არ ჩაუხელია. — წყენით თქვა დიკენსმა.

— კოლეგებო, ხომ არ მოვებრდით? — ირონიულად იკითხა უჯრასი მიმალულმა ბუვიემ, მთლად დაფლეთილი „იზას“ ავტორმა.

— მე ჩემი მკითხველი მყავს. — ამაყად განაცხადა უაილდმა. — მცირე, მაგრამ ესთეტი მკითხველი.

— მკითხველი ჩვენცა გყავს. — შენიშნა გოგოლმა. — მაგრამ ასე შხალიერით ყოფნაა აულტანელი.

ჰემინგუეის ბოლომდე ხმა არ ამოუღია.

— ჰქუა უნდა ვასწავლოთ. — თქვა მან.

ნერვებადქცეულ დოსტოევსკისაც მეტი არ უნდოდა. და შორიგი „მკედარი საათის“ დროს, როცა საამოდ პირდაღებული წიგნაძე პრიმიტიული სიზმრის ახალ კინოკადრებს უყურებდა, ტახტის ზემო თაროდან საცმაოდ მოზრდილი „ილიოტი“ გამოეყო თანატომებს და — ბრახ! — წიგნაძეს შებლში.

სამოცი ნომერი თავი უტებ კინოდარბაზივით განათდა.

— ხა, ხა, ხა! — გაისმა დარბაზის მფლობელის გრანდიოზული ხარხარი.

— сеанс окончен. — თქვა მშვიდად დოსტოევსკიმ.

ხელად მოსრიალდა „სასწრაფო“. ექიმი ჯერ უზომოდ გამხიარულებულ პაციენტს ჩააცქერდა, მერე მზერა სასთუმალთან დაგდებულ „იარაღზე“ გადაიტანა, რომლიდანაც ეს-ესაა გაისროლეს.

— ტვინის შერყევა ზედმეტი კითხვისაგან. — მოკლედ მოჭრა მან.

— მომაშორეთ ეგ „იდიოტი“! — იყვირა ცოლმა.

მთელ ქალაქს მოედო ეს ამბავი. წიგნის გამყიდველი გოგონები მოწყენილები იდგნენ, თითქოს მათი ბრალი იყო, რაც მოხდა.

სერიის მოყვარულებით აივსო ბინა.

— დოსტოვესკის დაურტყამს. „იდიოტს“. — თქვა ერთმა.

— მაინც, რა მორფივით მოქმედებს ეგ მამაცხონებული. — თქვა მეორემ.

— ისე, ნამეტანი კითხვაც არ ვარგა. — მენიშნა მესამემ. — ზოგი წიგნი კინორეჟისადაც კაცმა.

— რომ არ ჰგავდა, ამხელა ბაგაჟის პატრონსა.

— დაეჭვად პაოველი.

— განგებ არ იმჩნევდა. მოკრძალებული იყო.

— აუხსანა მეორემ.

— მე ვფიქრობ, მაინც შთამომავლობითი შერყევაა. — დაასკენა მეოთხემ.

დაზარალებული კი გაუნძრევლად იწვა და უმანკო ღიმილით მიშტერებოდა საგანგებოდ დაცლილ თაროებს. და ეზმანებოდა სამხრეთისაკენ გადაფრენილი წიგნების გუნდი...





ა უ შ

ციხეში დაწერილი ავტობიოგრაფია

ნიუ-იორკის ერთ-ერთ გამოცემლობაში ახლახან გამოვიდა ამერიკელი ზანგი კომუნისტის ბენჯამინ დევისის წიგნი „მუნიციპალიტეტის წევრი — პარლემენტი კომუნისტი“.

წიგნი წარმოადგენს ავტობიოგრაფიულ მოგონებათა კრებულს, რომელიც დევისმა პატიმრობის დროს დაიწყო და ველარ დამთავრა, ვინაიდან იგი ციხეში გარდაიცვალა.

წიგნში ავტორი იხსენებს მოწაფეობის წლებს, იმას, თუ როგორ გადაწყვიტა ადვოკატი გამხდარიყო. დევისი დიდი გატაცებით წერს თავისი საადვოკატო პრაქტიკის დროს როგორ გაეცნო მარქსის მოძღვრებას, როგორ შეისწავლა იგი და როგორ გახდა კომუნისტი. შემდეგ იკონებს ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტში გატარებულ დროს, სადაც იგი სამჯერ იქნა არჩეული. წიგნი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორია ზანგების ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ავსტრიის

ვენის ოპერას 100 წელი შეუსრულდა

სახელგანთქმული ვენის ოპერა ზეიმობს 100 წლის იუბილეს. მისი შენობა პირველად საზეიმოდ გაიხსნა 1869 წელს მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი“.

ვენის ოპერამ სწრაფად მოიხვეჭა საპატიო ადგილი ევროპის საოპერო კოლექტივებს შორის. ოპერის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი იყო XIX საუკუნის დასასრული, როდესაც მას ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი და დირიჟორი გუსტავ მაღერი. ამ პერიოდში ოპერის სცენაზე დაიდგა მოცარტის, ვებერის, ბეთოვენის, ვაგნერის, პუჩინის, შტრაუსის და სხვა კომპოზიტორთა ოპერები. ამ პერიოდში ავსტრიელი მასურებელი პირველად გედნო ჩაიკოვსკის „მეფის ონგინს“, „პიკის ქალს“ და „იოლანტას“.

ავსტრიის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ვენის ოპერას სათავეში ჩაუდგა ფრანც შალიკი, შემდეგ — რიჰარდ შტრაუსი.

1945 წელს ოპერის შენობა ამერიკის ავიაციის მსხვერპლი გახდა. 10 წელი ელოდა ავსტრიელი მასურებელი მის განახლებას და 10 წლის შემდეგ აღდგენილი ოპერის სცენაზე კვლავ აღედგა მოცარტის მუსიკა.

ამჟამად ვენის სახელმწიფო ოპერა ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოს მუსიკალურ კოლექტივებს შორის.

ინგლისი

იორკელი მიზღვაურის იუბილე

რობინზონ კრუზოს, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლიტერატურულ გმირს „შეუსრულდა“ ორას

ორმოცდაათი წელი. ეს თარიღი ინგლისის მრავალმა ურწხლმა და გაზეთმა აღნიშნა თავის ფურცლებზე. გაზეთ „ტაიმსში“ დაიბეჭდა ბრაიან ოლდერსონის სტატია, რომელშიც მოყვანილია მრავალი საინტერესო ისტორიული ფაქტი ამ წიგნის გამოცემების თაობაზე.

თავის სტატიაში ოლდერსონი წერს: „1917 წლის გაზაფხულზე პირველად გამოვიდა წიგნი იორკელი მეზღვაურის, რობინზონ კრუზოს ცხოვრებასა და უცნაურ თავგადასავლზე, რომლის ავტორი იყო დანიელ დეფო. წიგნს გამოსვლისთანავე დიდი წარმატება ხვდა წილად. ოთხი თვის განმავლობაში იგი ოთხჯერ გამოიცა. იმავე წელს დაიწერა მეორე ტომიც.“

„შეუძლებელია ზუსტი დადგენა იმისა, — წერს ოლდერსონი — „რობინზონ კრუზო“ რამდენჯერ გამოიცა დღემდე. 1968 წლის საგამოცემლო ცნობარი იტყობინება, რომ ამჟამად ინგლისის ბიბლიოთეკებში ინახება ამ ყველაზე პოპულარული წიგნის არა უმცირეს 35 გამოცემისა. იონესკოს ცნობარი კი იტყობინება, რომ ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში გამოდის „რობინზონ კრუზოს“ დაახლოებით 20 გამოცემა“.

გასული საუკუნის გერმანელმა მეცნიერმა ულბრიხმა დაადგინა, რომ 1898 წელს მარტო ინგლისურ ენაზე გამოვიდა „რობინ-

ზონ კრუზოს“ 196 გამოცემა.

ამჟამად წიგნი თარგმნილია მსოფლიოს 40 ენაზე.

იტალია

რეჟისორმა ფრანკო ზეფირელიმ გასულ წელს დაამთავრა ფილმი „რომეო და ჯულიეტას“ გადაღება შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მიხედვით. მაშინ რეჟისორი აღბათ არ მოულოდა, რომ მისი ნამუშევარი გამოიწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში მთავარ როლებს ახალგაზრდა ინგლისელი მსახიობები ასრულებენ, ფილმს ინგლისის პრესა ყველაზე კრიტიკულად შეხვდა. გაცილებით კეთილგანწყობით მიიღო ფილმი იტალიის კრიტიკამ.

ამჟამად ფილმი და მისი შემქმნელები დაჯილდოებული არიან იტალიის ერთერთი მნიშვნელოვანი კინობრემით: „ვერცხლის ბაფთა“.

რუმინეთი

დოსტოევსკი რუმინეთის სცენაზე

რუმინეთის ლიტერატურული პრესა დიდი ინტერესით გამოეხმაურა დოსტოევსკის რომანის „იდიოტის“ მიხედვით დადგმულ ამავე სახელწოდების ახალ სპექტაკლს. ბოლო ორი წლის განმავლობაში რუმინეთის თეატრალურ სცენაზე დოსტოევსკი „ქმები კარამაზოვების“ შემდეგ მეორედ იქნა წარმოდგენილი.

სპექტაკლი დადგა ბუქარესტის ნაციონალურმა თეატრმა. რეჟისორია ალექ-

სანდრ ფინცი. ინსცენირების ავტორი ანდრე ბარსაკი. მონაწილეობენ თეატრის წამყვანი მსახიობები ფლორინ პიერსიკი და ილიანა სტანა იონესკუ.

საბერძნეთი

ალმგარდელეები შავ მუნდირებში

სამსახურიდან გაათავისუფლეს ათენის უნივერსიტეტის რვა პედაგოგი, რომლებმაც უარი განაცხადეს ემსახურონ „შავი პოლიციელების“ რეჟიმს. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტის, გეორგიოს მაგაკისის გამოსათხოვარი ლექცია გადაიქცა სტუდენტთა ანტიფაშისტურ დემონსტრაციად. მაგაკისმა სტუდენტებს განუცხადა: „ჩემი სურვილია არასოდეს ჩაქრეს თქვენში თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. ეს სურვილი ჩვენ მუდამ თან უნდა ვატაროთ, როგორც იურისტებმა და როგორც ბერძნებმა. სიტყვა „საბერძნეთი“ გულისხმობს არა მარტო მის გეოგრაფიულ მნიშვნელობას, არამედ, უპირველესად ყოვლისა, გულისხმობს, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას. თავისუფლება კი ყოველი ჩვენგანისაგან სიმამაცესა და ვაჟკაცურ ღირსებას მოითხოვს“.

პედაგოგ-დემოკრატების სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ რეპეტიორებმა სტუდენტებთან ანგარიშის გასასწორებლად მთელი რიგი ახალი დახასჯელი მეთოდი შეიმუშავეს.

— იცოდნენ ტირანებმა, რომ თავისუფლებების დაშლენება იოლი არ არის! — გაიძახოდნენ აღშფოთებული სტუდენტები.

მიჩის თეოლორაკისის ახალი სიმღერები

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა და პოლიციის სისტემატური მეთვალყურეობისა, გადასახლებაშიმყოფი მიკის თეოლორაკისი განუწყვეტლად წერს ახალ სიმღერებს და მოუწოდებს ბერძენ ხალხს იბრძოლონ „შავი პოლიციელების“ რეჟიმის წინააღმდეგ. კომპოზიტორმა ახლახან მოახერხა თავისი ბოლო სიმღერები პარიზში გაეგზავნა მელინა მერკურისათვის. მათ შორის არის ახალგაზრდა ბერძენ პატრიოტ პანაგულიოსისადმი მიძღვნილი სიმღერა, რომელიც თავს დაესხა დიქტატორ პანაგოპულოსს. პანაგულიოსი პატრიოტმა ხალხმა იხსნა სიყვდილით სასჯელისაგან და ამჟამად ციხეში იმყოფება.

თეოლორაკისი უმღერის მის მამაცურ საქციელს.

საზრანგეთი

შან ფარას „სამამი“

„დღევანდელი ჩვენი საზოგადოება იყოფა ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. მთელი ჩემი სიმშაბიები ექსპლოატირებულთა მხარეზეა“, — განაცხადა ცნობილმა ფრანგმა მომღერალმა და მრავალი სიმღერის ავტორმა შან ფარამ ერთერთი სატელევიზიო, გადაცემის დროს. („კვირის სტუმარი“), რომელშიც მონაწილეობდნენ მწერალ შან-პიერ შაბროლის „სტუმრები“ უორშ ბრანსენი, ჟაკ ბრელი, ფრანსის ლემარკი, ესპანელი გიტარისტი სებასტიან მაროტო და პარიზის კომუნის ისტორიკოსი მონიკ მორელი.

გადაცემის დამთავრების შემდეგ ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ანდრე ფრანსუამ აღელვებით მიმართა უან-პიერ შაბროლს: „უმჯობესია უან ფერამ იმდროს, ვიდრე სისულელეები რომოს“.

ეს გადაცემა უან ფერასათვის მარცხით დამთავრდა. მას აეკრძალა ტელევიზიით გამოსვლა და საშუალება აღარ მიეცა შეესრულებინა მისი ახალი სიმღერა „ჩემი საფრანგეთი“, რომელშიც იგი უმღერის საფრანგეთის ნათელ მომავალს.

კინოს სიხსლენი

ბერძენმა რეჟისორმა კოსტა-გავრასმა ვახილი ვახილიკოსის რომანის მიხედ-

ვით საფრანგეთში გადაიღო ფილმი „ზეტ“. ფილმი მოგვითხრობს დემოკრატიული პარლამენტის დეპუტატის, ათენის უნივერსიტეტის პროფესორის, ლამბრაკისის მკვლელობაზე. მასში ნაჩვენებია არიან ლამბრაკისის მკვლელობის ქეშმარიტი დამანაშავენი, პოლიციისა და უანდარმერიის, მაღალი ჩინისა და უცხოური მონოპოლიების წარმომადგენლები.

ფილმში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ივ მონტანი, ირენ პაპასი, უან-ლუი ტრენტინიანი, უორუ გერე და სხვები.

რეჟისორი უან პიერ მელვილი მუშაობს ახალ ფილმზე „იატაკვეშა არშია“. ფილმში მონაწილეობენ ლინო ვენტურა და სიმონა სინიორე.

ბრძელი დღე-ღამე

შეიძლება თუ არა დღე-ღამე 48 საათის ვაგონში დღეს? ფრანგ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ შეიძლება. ამის დასადასტურებლად ერთ-ერთ გამოქვაბულში მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის შედეგად გამოიკვია, რომ აღამიანმა, რომელსაც საშუალება არ ექნება სისტემატურად იტყვიროს სათზე და უყუროს დღისა და ღამის დადგომას, თავისუფლად შეუძლია შეიმუშაოს დღის ახალი განრიგი — იმუშაოს 36 საათი და იძინოს 12 საათი უკველგარი ეჭვის გარეშე.

ფრანგ მეცნიერებს მიაჩნიათ, ეს ექსპერიმენტი დიდ გამოყენებას ჰპოვებს მომავალ საბლანეტო ფრენაში.

გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. დ. ერისთავისა.

ქურნალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის ბროსი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 1/VIII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-69 წ. ქაღალდის ფორმატი 70X108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეეკ. № 2303. უშ 00127 ტირაჟი 18.300.

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14,

6 37/75

3260 60 333.



საქართველოს
საქართველოს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236